

# გზა



№23 5/6/2014 ფასი 1 ლ

## „გვიღო, არ დაგღუპო!“

### დედის ტრაგედია

„მისი სისხლიანი ქურთუკი ჩაიხვე და სახურავიდან გადახტა“ გვ. 12



### რას ჰყვება მარტოდ დარჩენილი მამა




### აქსთერამი

თბილისში „აქსთერამის“ საავტრო ტენდერი გაიხსნა

ISSN 1987 - 5029



9 771987 502009



### მანიკას ძვირად ღირებული საჩუქრები

„სელფანის სახით თვეში 3.000 ლარს ვიღებდი“ გვ. 22



### ვინ დაავალა მსახიობს ტურისტების დაუინება

გვ. 25  
„უმის არც ვჩივებოდა ამის და არც — ახაკი“

### ჩემი წინაური მსტყრიმ

როგორც ლუის სვივენსონი

ოთხგომეული ტომი II



„გზის“ ამ ნომართან ერთად!

წიგნის ფასი 5 ლარი

უამდავი როგორც ლუის სვივენსონი ტომი III

## „ოცნების ქალაქი“ — კიდურგებოქვეთილი კაცის სიყვარულის ამბავი

# გასტროფიტი GASTROFIT®

შუბსვლელი პრეპარატი თქვენი ოჯახის აფთიაქში!

უნიკალური და კომპლექსური მოქმედების მცენარეული სიროფი

აღადგენს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გაღიზიანებულ ლორწოვან გარსს

- მყისიერად ხსნის გულძმარვას, სიმძიმისა და გულისრების შეგრძნებას
- ხსნის ტკივილს, შებერილობასა და დისკომფორტს მუცლის არეში
- არაგულირებს სანაღვლა გზების ტონუსს
- არაგულირებს საჭმლის მომნელებელი ფერმენტების სეკრეციას
- აღადგენს ნაწლავის სასარგებლო მიკროფლორას

გასტროფიტის გამოყენება შესაძლებელია 1 წლის ასაკიდან

განსაკუთრებით საჭიროა და რეკომენდებულია ბავშვებისათვის და მოზარდებისთვის, რომლებიც იკვებებიან მშრალი საკვებით სკოლაში და ჟუნაში – ე.წ ფასტფუდი, ჩიკსები, ცომეული, გაზირებული სასმელები



გამოყენებისა და დოზირების ინსტრუქცია, გვარდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ პეიზს.

# რეკოვა გელი



- სწრაფი და სტაბილური ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი
- დაჭიმული კუნთების რელაქსაცია
- ადგილობრივი ანთების საწინააღმდეგო მოქმედება

რეკოვა გელი ეფექტურია: კისრისა და წელის კუნთების დაჭიმულობის, ნევრალგიის, რადიკულიტის, ართრიტის დროს

გამოყენების წესი: შეიზილეთ მტკივნეულ უბანზე 2-3 ჯერ დღეში.



გამოყენება შესაძლებელია ორსულობის პერიოდში და ბავშვებში 5 წლის ასაკიდან.

გამოყენებისა და დოზირების ინსტრუქცია, გვარდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ პეიზს.

## TECHNO LUX



# საქნო ლუქსი

www.technolux.ge



- ს გაზქურები საუკეთესო ფასად !

ყოველთვიური თქვენს საშენიანო მოქმედებაში!

299 ლარი  
NOSTRA 5101 GREY



399 ლარი  
NOSTRA 7111C WHITE



449 ლარი  
NOSTRA 7155C BLACK



☎ 2 92 11 11



NOSTRA - ს ელსკოპიური ნაწარმებისთვის და სანაღვლა სისტემებისთვის

www.technolux.ge



# „უარყოფითი კალორიები“

## აი, ადამიანი, რომელიც დაეხმარა ქალაქს გახდომაში!

პატარა ქალაქ ალესუნდის მოსახლეობამ ამ ტაბლეტებს „უარყოფითი კალორიები“ შეარქვა. თუმცა, ეს დიეტაზე მყოფი ადამიანებისთვის ჯადოსნური ტაბლეტი სულაც არ გახლავთ. მას მეცნიერული მტკიცებულება აქვს: თუთის ფოთლების ექსტრაქტი, რომელსაც შეიცავს „მალბერი“ Mulberry™, ამცირებს ორგანიზმის მიერ შაქრის ათვისებას. ეს არ არის წამალი, ეს არის ნატურალური საშუალება, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ საკვების მიღების შემდეგ სისხლში შაქრის რაოდენობა დააბალანსოს.



ჯონი პეტერსენი – აფთიაქის მფლობელია ნორვეგიის ზღვისპირა ქალაქ ალესუნდში, რომლის მოსახლეობა 40 000 ადამიანს შეადგენს. ბოლო 12 თვის განმავლობაში ამ ქალაქის ასობით ადამიანმა საგრძნობლად დაიკლო წონაში – მალბერის ტაბლეტების გამოყენებით, რომელიც სწორედ ბატონი პეტერსენის აფთიაქში იყიდებოდა.

### კლინებმა რჩევა ითხოვა

ყველაფერი 2007 წლის ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს დაიწყო, როდესაც აფთიაქში შესულმა ქალბატონმა ჯონს რჩევა ჰკითხა, თუ როგორ დაეძლია ჭარბი წონა და დაებალანსებინა სისხლში შაქრის მომატებული დონე. ბატონმა პეტერსენმა ჯერ კიდევ უნივერსიტეტიდან იცოდა, თუ ჯანმრთელობისათვის რაოდენ საშიშია სისხლში შაქრის დონის მომატება და ამიტომ ქალბატონს ურჩია საკვები დანამატი – მალბერი. ჭამის წინ მიღებული მალბერის ტაბლეტი ხელს უშლის საკვებიდან მიღებულ შაქრის სრულად ათვისებას და სისხლში გადასვლას. სწორედ ამიტომ დარქვა მას „უარყოფითი კალორიების“ ტაბლეტი.

### გამაოგნებელი ეფექტი

„ამ პრეპარატის მიღება საჭიროა ყოველი ჭამის წინ – 1

ტაბლეტი. მაგრამ ჩემმა კლიენტმა და მეც, მალე შევნიშნეთ, რომ ყოველი ჭამის წინ 2 ტაბლეტის გამოყენებით, მალბერი არა მხოლოდ შაქრის ორგანიზმში მოხვედრას აფერხებს, არამედ მას კიდევ ერთი განსაცვიფრებელი ეფექტი აქვს – ამცირებს სხეულის წონას“ - ამბობს ბატონი პეტერსენი.


### კარგი სიხლუ სწრაფად ვრცელდება

ასეთი წარმატების შესახებ რომ გაიგეს და საკუთარი თავითაც დანახეს, პეტერსენის აფთიაქს ქალბატონის თანამშრომლებმა და მეზობლებმაც მიაკითხეს. პრეპარატის შესახებ ხმა ძალიან სწრაფად გავრცელდა და ახლა პეტერსენის აფთიაქში ყოველდღე მიდიან ადამიანები, რომლებსაც სურთ მალბერის ეფექტი საკუთარ თავზე გამოსცადონ.

### 1500 ადამიანმა წარმატებით დაამარცხა შაქრი წონა

ბელნიერი ვარ, რომ ბოლო 12 თვის მანძილზე ალ-

სუნდში და მის შემოგარენში 1500 ადამიანზე მეტი გავაბედნიერე. ნატურალური საკვები დანამატის მალბერის გასინჯვის შემდეგ ჩემი კლიენტები ისევ ბრუნდებიან. ხშირად მათ მეგობრები და ნათესავებიც მოჰყავთ და ერთდროულად მალბერის რამდენიმე შეუეთვასაც ყიდულობენ. ჩემი კლიენტები ბელნიერები არიან იმით, რომ ზედმეტი ყილოგრამების მოშორების საშუალება აქვთ, მე კი მსიამოვნებს მათ ღამაზე და ბელნიერებს რომ ვხედავ“ - ამბობს ბატონი პეტერსენი.



## როგორ მოქმედებს თუთის ფოთლები?

თუთის ფოთლები შეიცავს ნატურალურ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას, რომელსაც DNJ (1 დეოქსინიოირინიმიცინი) ეწოდება. კვლევებით დადგენილია, რომ DNJ საჭმლის მომხელე ტრაქტში შაქრის და ნახშირწყლების გლუკოზად გარდაქმნის პროცესს ანელებს. ეს კი ნიშნავს, რომ ჭამის შემდეგ სისხლში გლუკოზის უფრო მცირე რაოდენობა

ხვდება. ეს ეხმარება ჭამის შემდეგ სისხლში შაქრის დონის დაბალანსებას და ამ გზით უზრუნველყოფს კალორიების ნაეტყობად ათვისებას.\*

\* Kimura T et al.: Food-grade mulberry powder enriched with 1-deoxynojirimycin suppresses the elevation of postprandial blood glucose in humans. Agric Food Chem (2007) Jul 11;55 (14):5869-74




### რა არ ვსადა, მაგრამ სასწორის ისარი აღვილიდან არ იძროდა!

ალესუნდში მცხოვრები ჰეიდი ვერაფრით ახერხებდა გახდომას. ის, სხვა უამრავი ადამიანის მსგავსად, ხშირდ მიიროთმევდა ტუბილუუსს და მუდმივად შიმშილის გრძობა აწუხებდა. „რამდენიმე წლის წინ მან კილოგრამა ვინონილი. ჩემთვის ეს წონა ძალიან დიდი იყო, ამიტომ გადაწყვიტე მემოქმედა. დაავიწყდი დიეტა და ყვებითი ჩვეულებები შევიცვალე. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. რაც არ უნდა გამეკეთებინა, სასწორის ისარი ადვილიდან არ იძროდა. მეგობარმა მირჩია მალბერის ტაბლეტები მომესინჯა. მისი მიღება შარშან აღდგომის წინ დავიწყე, და მოუთმენლად ველოდი შედეგს. ვიღებდი ინსტრუქციის მიხედვით - 2 ტაბლეტს ყოველი ჭამის წინ. მალე ვიგრძენი, რომ ტუბილუუსის მოთხოვნილება საგრძნობლად შემცირდა. ზედმეტმა ყილოგრამებმა კი „დნობა“ დაიწყო! ეს გადასარევი იყო – გვიამბობს ჰეიდი. მე დავრწმუნდნა მალბერის ეფექტურობაში – ეს ტაბლეტები მართლაც მოქმედებს. ჩემი ტანსაცმლის ზომა „L“-დან „M“-ით, ხოლოდ ახლა უკვე „S“-ით შეიცვალა.“

### სად შევიძინო მაღარის ტაბლეტები?

ტაბლეტების შეძენა შეიძლება აფთიაქში. პრეპარატის შესახებ უფრო დაწვრილებით ინფორმაციის მოსაძიებლად იხილო ინტერნეტ-საიტზე: [www.newnordic.lv](http://www.newnordic.lv) ან დარეკო ტელეფონზე: **5 70 102 392** ქალაქის ნომრიდან ზარი უფასოა



შეფუთვაზე მოქმედებს ვერცხლისფერი საფირმო ნიშანი. ეს იმის გარანტიაა, რომ პრეპარატი შეესაბამება ხარისხისა და უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს, რომელსაც კომპანია „ნიუ ნორდიკი“ გთავაზობთ. „ნიუ ნორდიკი“ ზრუნავს ადამიანებსა და ბუნებაზე.

# თბილისში „მაქსთერმი“ სავაჭრო ცენტრი გაიხსნა

31 მაისს, ბელიაშვილის ქუჩაზე, მიონის მოპირდაპირე მხარეს, სავაჭრო ცენტრი „მაქსთერმი“ გაიხსნა. გახსნას „მაქსთერმის“ უცხოელი პარტნიორები, ბიზნესმენები, დიზაინერები და კომპანიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„მაქსთერმი“ წარმოდგენილია იტალიური წარმოების გათბობის, კონდიციონერებისა და ვენტილაციის სისტემები; ასევე აბაზანის მოწყობილობები, როგორც არის უნიტაზები, ნიჟარები, ნყლის შემრევეები, წყალკანალიზაციის მილები და სხვა ნაწილები. პროდუქციის მომწოდებლები, საუკეთესო ხარისხის მქონე იტალიური, ჩეხური და თურქული კომპანიები არიან (Fondital, Giacomini, Remer Binetterie, Climaveneta და სხვ.).

სავაჭრო ცენტრი, გათბობის ქვაბებზე, ორწლიან გარანტიას უზრუნველყოფს, რაც პროდუქციის შეკეთებას ან დაზიანებული ნაწილის გამოცვლას გულისხმობს. „მაქსთერმი“ მომხმარებლებს პროდუქციის სახლში მითანის



## მაქსთერმი



სერვისს და მონტაჟსაც სთავაზობს. პროდუქციის შექმნა შესაძლებელია ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, დღის 10-დან საღამოს 6 საათამდე.


სამომავლოდ, პროდუქციის მრავალფეროვნების გაზრდა იგეგმება. ჩამონათვალს დაემატება ლამინირებული იატაკი, აბაზანები და საშხაპე კაბინები, ასევე იგეგმება აბაზანის ავეჯის წარმოება, რაც ავსტრიული მასალით, კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, ადგილზე დამზადდება. ამის გარდა, უახლოეს მომავალში ბათუმში „მაქსთერმის“ განახლებული ფილიალი გაიხსნება.

კომპანია „მაქსთერმი“ 2005 წელს, გიორგი კუკულავას და ზაქრო გორდაძის მიერ დაფუძნდა. დღესდღეობით კომპანიაში 52 ადამიანია დასაქმებული. მისი კლიენტები არიან ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა სამშენებლო კომპანია „აქსისი“, საქართველოს სავაჭრიარქო, შპს „ახალი სამშენებლო კომპანია“, შპს „აირმაქსი“, შპს „სამეცნიერო სანარმო“, კომპანია „ელ-ეს-ჯი“, შპს „მედგრუპჯორჯია“, შპს „თერმო ვენტი“, შპს „პროექტი 21“, შპს „ალიანსი“, შპს „ჯი-ემ-პი“, შპს „ბანი“, ააიპ „ლიმა გჯუფი“ და სხვ.



N1

საავტომობილო ჟურნალი



**Auto  
Bild**

საქართველო

ჩიხომ ხეივანი  
ბთავეზობი



ჩიხომ ხეივანი  
RICO CREDIT

იპოთეკური სესხები (თბილისში, იუსთავში, ქუთაისში, ბათუმში) ბინების და მიწის უხეზველეყოფით, ყველაზე მოქნილი პირობებით

ეოცაჩი, ავსოთი **2%** თვითი

ხესთავი 0341220030  
გოჩი 2292929 (1701)  
ქუთაისი 0431262128  
ბათუმი 0422242929



თბილისი  
ტელ. 229-29-29; ფაქსი 222-08-25  
ე-ფოსტა: rico@rico.ge  
www.rico.ge



**ქვეყანა**



### პირადი დაცვა — პრობლემა თუ კომფორტი

„ჩვენი დაცვის სპეციალური სამსახური წინა პრეზიდენტის დროსაც და ახლაც უფრო პოლიტიზებულია, ვიდრე — პროფესიული. სააკაშვილის დროიდან მოყოლებული, ამ სამსახურიდან პროფესიონალები გაყარეს და პიროვნული ნიშნით აიყვანეს ახალი კადრები. ამიტომ საკადრო პრობლემა დგას. რაც შეეხება ტექნიკურ აღჭურვილობას, ამ სფეროში ჩვენები არ ჩამოუვარდებიან მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას...“

**8**



### სოფო გელოვანი — ბავშვობიდან დღემდე

„უბრალო და „ლოყბიანი“ ბოგო ვიყავი“

**27**



**სანა**



### მარიტა როხვაძე შეყვარებულს დაუორდა

„დღემდე ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ... მისი სიტბო და ყურადღება რომ მომაკლდა, ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი, მენატრებოდა. ახლაც მენატრება და მინდა, თქვენი ჟურნალის საშუალებით მოვიკითხო. ის ისევ ამერიკაშია... შეყვარებულ ადამიანს, რომელიც თავის რჩეულთან ბედნიერია, არანაირი სოციალური ქსელი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ეს ურთიერთობას ანგრევს; ზოგიერთები სხვის ბედნიერებას ვერ ეგუებიან...“

**26**

№23

5 - 11 ივნისი, 2014 წ.  
ფასი 1 ლარი



- **ვინიატიურები** 5  
„შმაპი“ ანუ „ვისაც ხელში რა გვიჭირავს“
- **ფესტივალი** 6
- **სახელმწიფო** 8  
პირადი დაცვა — პრობლემა თუ კომფორტი
- **პროექტი** 10  
ლადო კახაძის „კაცია-ადამიანი?!“
- **ტრავმატია** 12  
შვილის სიკვდილის გამო თვითმკვლელობამდე მისული დედები
- **მასშედი** 14  
„გზის“ ჟურნალისტმა მედიაკონკურსში გაიმარჯვა
- **კრიმინალი** 17  
„ველარ შევძლებ, მკვლელის სახელი ვატარო“
- **დაუსრულებელი წინადადება** 18  
ემოციური მსახიობი და მგზავრობა თოვლის ბაბუასთან ერთად
- **ქსელი** 20  
„ძალადობის მსხვერპლი“ ქალის თამამი „პოსტი“
- **ფულის გემო** 21  
კერძი, რომელიც ფულთან ასოცირდება
- **გარემო** 23  
ზალიკო ბერგერის თავნება „გოგო“ ტანსაცმელს არ კადრულობს
- **კადრს მიღვა** 24  
კოტე თოლორდავა საშინელებათა ფილმში
- **პირადი ცხოვრება** 25  
მარიტა როხვაძე შეყვარებულს დაშორდა
- **მეზამოროშოზები** 27  
სოფო გელოვანი — ბავშვობიდან დღემდე
- **განსაჭირი** 30  
გაუჩინარებული „ქველმოქმედი“ და ბედის ანაბარა დარჩენილი 3 წლის ავადმყოფი გოგონა

## ჩემი წრეური მსოფლიო

### რობერტ ლუის სტივენსონი


ოთხტომეულში შედის

ტომი I. განაის კუნძული

ტომი II. შავი ისარი

ტომი III. პატონი გალანტრა


ტომი IV. სომალიის საიდუმლო



■ <b>შთაშვავლოვა</b>	31
სტუმრად ტიცინანის სახლ-მუზეუმში და ტრადიცია, რომელსაც თაობები აგრძელებენ	
■ <b>ივიზრანტი</b>	32
როსინდო სტარენი — არუბელი ინდიელი ჰოლანდიდან	
■ <b>კონკურსანი</b>	34
მეზო ნუცუბიძეს ცხოვრების ხალისი შეყვარებულმა დაუბრუნა	
■ <b>რევიონი</b>	36
„ოცნების ქალაქის“ ნაცრისფერი რეალობა	
■ <b>რეალური</b>	28
ფიქრები გისოსებს მიღმა	
■ <b>თავისუფალი თემა</b>	40
სამყაროს ყველაზე ფერადი ნაწილი	
■ <b>სიტუაცია</b>	42
ვინ უკვეთს მუსიკას?!	
■ <b>ჩემი თაობა</b>	43
მარიკო ლეჟავას გიჟური იდეები და „პაღვემკად“ ქცეული ოთახი	
■ <b>რომანი</b>	46
მგელთან მოხეტიალე (გაგრძელება)	
■ <b>დოკუმენტური პროზა</b>	50
ვლადიმირ პუტინი: „გერმანელი“ კრემლში (გაგრძელება)	
■ <b>დღესასწაული</b>	52
საყოფაცხოვრებო ნივთების კვირეული	
■ <b>ბაჰარი</b>	54
საიდან გაჩნდა ცრურწმენა ადამიანთა ცნობიერებაში?	
■ <b>კულისები</b>	56
სიღნაღიდან დაწყებული საქართველოს გაერთიანება	
■ <b>გურამნი</b>	58
როდის მიხვდა „ნახშირზე“ გაზრდილი ჭოლა, რომ მისი ოჯახი შედგა?	
■ <b>კონტაქტები</b>	60
იაპონიის ელჩი „საქართველო-იაპონიის ასოციაციას“ და „ქართულ სასწავლებელში“	
■ <b>ეკულონი</b>	62
„ქერის უბანში“ ყველა წამყვან პოლიტიკოსს შეხვედებით“	
■ <b>თარიღი</b>	64
„მე დავბრუნდები“ — ფილმისა და მირზა გელოვანის საოცრად მსგავსი ცხოვრების გზა	
■ <b>სათავეებთან</b>	66
ევროინტეგრაციის სათავეებთან	
■ <b>FACEBOOK მონიტორი</b>	68
ამბავი ავტობუსების გაჩერებაზე მცხოვრებ ბიჭუნაზე და ფერებჩამორთმეული ქართული ცისარტყელა	
■ <b>გზავნილები</b>	72
შვილის მეგობარზე გაცვლილი ოჯახი	
■ <b>მოზილი-ზასია</b>	75
■ <b>ასტროლოგია</b>	79
■ <b>ბასართობი</b>	80-81
■ <b>სკანოროლი</b>	82



**სსოვრება**



**„გულზე „მამა“ ამოვისპირინება...“**

„ზურგზე „ჩონჩხი ვარდებში“ მაქვს ამოსვირინებული, რაც დედას აზრით, უპატივბული შეცდომაა. მისაყვედურა, — როგორ გაბედე ამის გაკეთება და თანაც, ჩონჩხის დახატვა?! ის რელიგიური ქალია და პანიკაში ჩავარდა... მამა არ გამიჯავრდა, მაგრამ მიხვდით, ძალიან ეწყინა. მე ზიზ-ლევა, როცა ნაწყენია ჩემზე. მის გარეშე ვერ ვძლებ. ჰოდა, „მამა“ დავინერე გულზე...“

**43**



**„ოცნების ქალაქის“ ნაცრისფერი რეალობა**


„8 წლის პიყაი, სოფლის სანჯარში აუფთქებული „სნაიპი“ რომ ვნახე...“

**36**

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამომდის კვირაში ერთხელ, სუბსაბსკრიპციის გზით „კვირის კალიტრის“ დამატება**

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**  
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლიკა ქაჯაია, მარი ჯაფარიძე**  
მენეჯერი: **გიორგი ბაბუციძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე** |  **დანიამაძე**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **სტამბა**  
**ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიძე** | **კოლორში**

„პალიტრამედის“ ცხელი ხაზი: (+995 32) 219 60 13; (+995 32) 219 60 53  
ელ.ფოსტა: [contact@palitra.ge](mailto:contact@palitra.ge)

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. 49; ელ.ფოსტა: [gza@palitra.ge](mailto:gza@palitra.ge)  
სარეკლამო განყოფილება: (+995 32) 237 78 07; (+995 32) 238 78 70

# „შმაპი“ ანუ „ვისაც ხელში რა გვიჭირავს“



## შესავლის ნაცვლად

არავითარი ორაზროვნება და „ავი განზრახვა“ არ მქონია, როდესაც ეს სათაური დავწერე, თუმცა საკუთარი აზრის ქონას ვერავის დავუშლი და ყველამ საკუთარი ინტერპრეტაცია მოუძებნოს. მაგრამ მე ეს სულ სხვა გამოთქმის გამო გამახსენდა. აი, ხომ გსმენიათ, ასეთი, სინანულით თუ წუნუნით ნათქვამი: „რამდენი მიშრომია, რამდენი მიწვალაა და ხელში რა მიჭირავს?!“

მეც ეგ ვიგულისხმე: ჯარის მოდერნიზებიდან დაწყებული, ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცების გაგზავნით გაგრძელებული და „ანტიდისკრიმინაციული კანონით“ დამთავრებული, ყველაფერი „ვიშრომეთ და ვინვალეთ“ და „ხელში რა გვიჭირავს?!“ — მაპზე უკეთესი?! ჰო, ეგ კი — ბუქარესტში დაგვაბოლეს მაგით, მაგრამ როგორც ქართული ანდაზა ამბობს, „მგობნის მგობი არ დაილევს“ და უელსში, დარწმუნებული ვარ, მაპს ჯერ კიდევ ვერა, სამაგიეროდ „მაპზე უკეთესზე“ კიდევ უკეთესს დაგვაჭერინებენ ხელში, ანუ არა უბრალოდ „მაპზე უკეთესს“ (როგორც ბუქარესტში), არამედ „მაპზე ბევრად უკეთესს“ მივიღებთ.

მოკლედ, იმას ვამბობდი... იყო და არა იყო რა, მაპზე უკეთესი რა იქნებოდა? რა იქნებოდა და უელსში რომ ხელში დაგვაჭერინებენ, — ის! აჰ, ჰო, ეს უკვე ვთქვით... იყო ერთი ქვეყანა, რომელიც მართლაც იყო და აღარ არის, რადგან სულ 40 წელი იცოცხლა და მას „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა“ ერქვა, „მოფერებით“ — გე-დე-ერი.

სახელის დარქმევა, მოგეხსენებათ, უცნაური ამბავია: შეიძლება წინაპრის, მეზობლის ან ოჯახის მეგობრის პატივსაცემად შვილს ყარამანი, ამირანი, ან დევი დაარქვა და მერე ზრდასრულობისას მეტრანახევარს ვერ აცდეს, რას იზამ — წინასწარ ვერ განჭვრეტ, ვისგან რა გამოვა.

ეს ამბავი იმ გე-დე-ერის გამო გამახსენდა, სრულ სახელში სიტყვა „დემოკრატიული“ რომ ამაყად უწერია. ისემც ძალიან მიაკვდეს სტალინს სულში. ახლა აქ იმის დრო არ არის, ახალგაზრდებს ავუხსნა, რა იყო საბჭოთა „კაგებე“ და გედევრული „შტაზი“ ან საბჭოთა „კამსამოლი“ და გედევრული „ეფ-დე-იოტი“ — უფროსებს ჰკითხეთ და აგისხნან. მე მხოლოდ ერთს გეტყვით: როდესაც ზოგიერთ პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთევროპულ ქვეყანაში ლუსტრაციის კანონები მიიღეს, „კაგებე-კამსამოლებსა“ და მათ ანალოგებში ნამსახურ-ნაჩათლახარ ტიპებს ჩინოვნიკობა აეკრძალათ, მინცდამაინც გაერთიანებულ გერმანიაში რატომ მოუნდათ ამ მხრივ ლიბერალიზაცია?!

ეს მერკელი, ის კანონი რომ წესიერად და ბოლომდე მუშაობდეს, ხომ იჯდებოდა ახლა სადმე, აღმოსავლეთ გერმანიაში, პენსიაზე და წარსულის მოგონებებით „დატკებოდა“?! ჩვენ კი, ჯერ კიდევ ბუქარესტში ავცდებოდით „მაპზე უკეთესს“! დღეს კი, აგერ, ამერიკის აქაური ელჩი პირდაპირ აცხადებს: „ახლა მოკავშირეები იმაზე ვმსჯელობთ, თუ რა დავარქვით იმას, რასაც საქართველო უელსში მიიღებს“ — მართლა ცუდ დღეში არიან: მაპს არ იძლევიან — „ტავარიშჩ ანგელა“ (გედევრულად: „პარტაიგენოსეს მერკელ“) წინააღმდეგია; მაპზე უკეთესი გვაქვს; იმის ზევით მაპია... ვაჰ! რა ქნან?! არადა, იციან, რომ ყველა დავალება შეასრულა ამ „ნიჭიერმა, მაგრამ ზარმაცმა“ მოსწავლემ!..

ცუდია, რომ ნატოს უსტაბაშებმა ქართულ-თბილისური

ენა კარგად არ იციან, თორემ უცებ მოიფიქრებდნენ:

— რა უნდათ?

— მაპი...

— მაპი არა, შმაპი! — და მოგეცემდნენ იმ „უკეთესზე უკეთესს“ და დაარქმევდნენ შმაპს! არ აჯობებდა? აბა, ცოდონი არ არიან, ახლა იმ ანეკდოტის პერსონაჟის დღეში რომ ჩაცვივდნენ, სახლში საყვარლისგან დაბრუნებულს ცოლი რომ „ფაქტებს უპრავებს“? — პომადის კვალი ლოყაზე, ალბათ, ბიძაშვილი შეგხვდა იმან გაკოცაო; ეს ოქროსფერი თმის ლერები, ალბათ, ავტობუსში ჭყლეტა იყო და ბოლოს ქალის საცვალის რომ აცვია თურმე და ცოლს ეხვეწებო: ნათელა, მოიგონე რამე, თორე დაგვენგრა ოჯახიო!

ჰოდა, აჰა თქვენ იდეა — შმაპი!

მერე, თვითონ მიხვდებით, თუ ვერ მიხვდებით, ისევ გიკარნახებთ: ნატო არა, შმატო! და ა.შ.

სულ ზევით, შესავალში დაბოლება ვახსენე და მაგაზე გამახსენდა: ამ ორი დღის წინ ქართველი ახალგაზრდების (ძველგაზრდებისაც) ერთმა ნაწილმა მარისხუანის მოხმარების ლეგალიზება მოინდომა. არგუმენტები იყო სამყაროსათვის ძველი და ბანალური: პლანით მკვდარი არავინ გვინახავს, ალკოჰოლი კი მუსრს ავლებს ქართველებს — რატომ არ კრძალავთ ალკოჰოლსო?! კიდევ: დაბოლილი კაცი, ზის (ან დგას, ან წევს, ან გორაობს) და თავისთვის იცინის, არყით მთვრალი კი აგრესიული ხდება და სხვებს ერჩისო...

კარგი, რა, აღარ დაილაღეთ? გეთანხმებით, რომ პლანის მონევისთვის ციხეში არ უნდა დაალო კაცი, მაგრამ მსოფლიოში სიკვდილიანობის ნახევარზე მეტი გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე მოდის, რასაც ქოლესტერინის მომატება იწვევს — ავკრძალოთ ღორის და ცხვრის ხორცი?! „დინამოს“ და „ტორპედოს“ უმსგავსი თამაში მათი ფანების აგრესიას იწვევს და ლენავენ ყველაფერს და ერთმანეთს — ავკრძალოთ ფეხბურთი?

ნადით, რა, რამე სხვა არგუმენტები მოძებნეთ...



**P.S.** პარტაიგენოსე მერკელ, ტექსტის ბოლო პასაჟი ისე არ გაიგოთ, თითქოს პლანის წინააღმდეგი ვიყო. ეგ კი არა, „კონჩიტას კანონიც“ უდრტინველად მივიღეთ და ოღონდ „შმაპი“ არ მოგვიფიქრეთ, პლანსაც მოვწვევთ ქალიან-კაციანად. გელოდებით, თქვენი იმედი გვაქვს: ჯერ შმაპი, მერე — შმატო! ამასობაში კი: რუსის ტანკის ლულა ჩვენ ჯანში... ნადით, თქვენი...

პრომოკატორი



**ქვეყანა**

**თამთა დაღვაწი**

თინათინ ასათიანი, გამომცემლობა „პალიტრა L“-ის დირექტორი:

— ნიგნის წლევანდელ ფესტივალზე გამომცემლობა „პალიტრა L“-ი ყველაზე დიდი სტენდით იყო წარმოდგენილი. საბავშვო, მხატვრულ, დარგობრივ ლიტერატურაზე განსაკუთრებული ფასდაკლებები გვქონდა. იყო 75%-მდე ფასდაკლება, ასევე, ნიგნები — ერთი ლარიდან. ყველა ნიგნი, რომელიც პრესასთან ერთად გამოიცემოდა, კვლავ აქციის ფასად გაიყიდა და ვისაც რომელიმე ტომი გამოურჩა, მისი შეძენა ფესტივალზე მოახერხა.

— ნიგნის თაროების პრეზენტაცია გაიმართა. სად დამზადდა ისინი და რამდენად ფართო არჩევანია დიზაინისა და ფერის მხრივ?

— სპეციალურად ჩვენი ერთგული მკითხველისთვის, რომელიც 100 ნიგნის — 50+1+49 ნიგნი, სერიას აგროვებს, საგანგებო დიზაინის თაროები დავამზადეთ, რომლებიც სპეციალურ საფესტივალო ფასად გაიყიდა. მსურველებმა სურვილისამებრ შეარჩიეს ფერიც და დიზაინიც. მანამდე ჩატარდა კონკურსი, შეირჩა რამდენიმე თარო, უცხოეთში დამზადდა და ჩამოვიტანეთ. ფესტივალზე 99-ლარიანი თარო სამ ფერში წარმოვადგინეთ — ყავისფერი, შავი და თეთრი, ასევე იყო 259-ლარიანი

# ნიგნის ფესტივალმა სრული „ანულაბით“ ჩაიარა

რამდენიმე დღის წინ, „ექსპო ჯორჯიას“ მეთერთმეტე პავილიონმა ნიგნის XVI საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლა და სხვა გამომცემლობებთან ერთად, „პალიტრა L“-მა მკითხველი დიდი ფასდაკლებებითა და საინტერესო შეთავაზებებით გაანებივრა. ფესტივალის ტრადიციული სპონსორი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და თბილისის მერია გახლდათ, ორგანიზატორი — საქართველოს ნიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია. წლევანდელი ფესტივალი უცხოელი სტუმრების სიმრავლით გამოირჩეოდა და უამრავი ნიგნი და „პალიტრა L“-ის მიერ სპეციალურად შეთავაზებული თარო გაიყიდა.



თაროები, რომლებიც უფრო დიდი ზომისა და ათი სხვადასხვა ფერისაა. ვაჩვენეთ, რამდენად მარტივად იწყობა და როგორ გამოიყურება, როცა უკვე ნიგნებითაა შევსებული.

— სად იქნება შესაძლებელი თაროების შეძენა?

— „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელშიც გაიყიდება და გამოწერილია —

ტელეფონით ან საიტისგან, რომელსაც შემდგომ, კურიერი სახლში მიართმევს. ოღონდ უკვე — არასაფესტივალო ფასად.

თინათინ ფაიქრიშვილი, პროექტების მენეჯერი:

— ფესტივალზე „მკითხველთა კლუბი“ თავისი სტენდით წარმოვადგინეთ, მომხმარებლები ადგილზეც

სიგნალურად დაამთხვა 1-ელ ივნისს „პალიტრა L“-ის ახალი საიბის, mshoblebi.ge-ს ამოქმედებას, სადაც „საბავშვო ანულაბის“ წარმოდგენილი



დავარეგისტრირეთ. კატალოგში 90%-მდე ფასდაკლებები იყო და წევრებმა „მკითხველთა კლუბის“ ბარათზე დაგროვებული ქულების განაღდებაც შეძლეს — ყოველ დახარჯულ ათ ლარზე 1 ქულა გროვდება, რომელიც 1 ლარს უდრის.

სოფიკო კვიციანი, მომხმარებელი:

— „მკითხველთა კლუბის“ წევრი დაარსების დღიდან ვარ და ნიგნებზე შეკვეთებს სისტემატურად ვაკეთებ.

ფესტივალზე 99-ლარიანი თარო სამ ფერში წარმოვადგინეთ — ყავისფერი, შავი და თეთრი





განსაკუთრებულად მიიწვევს ალჰეიზონ „პალიტრა L“-ის ფასდაკლებები და ის შეთავაზებები, რომლებიც SALESLAND-ზე განთავსდება და სადაც პირველივე დღეს 300-მდე ადამიანმა გააქვთა შენაძენი

საკმაოდ კარგი აქციებია ხოლმე და კმაყოფილი ვარ. ამჯერად ფესტივალზე ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ და საბავშვო ზღაპრები შევიძინე. იმედია, მომავალში კიდევ ბევრი საინტერესო და რაც მთავარია, ფასითაც ხელსაყრელი შემოთავაზება იქნება.

დათო ორბაძე, „პალიტრა L“-ის ტექნიკური რედაქტორი:

— შეიძლება ითქვას, რომ წიგნის წლევანდელი ფესტივალი ბევრად უფრო ხალხმრავალი იყო, ვიდრე გასულ წლებში და ალბათ ეს იმან განაპირობა, რომ მომხმარებელს გამომცემლობებმა საკმაოდ დიდი ფასდაკლებები შესთავაზეს. განსაკუთრებულად მიიწვევს ალჰეიზონ „პალიტრა L“-ის ფასდაკლებები და ის შეთავაზებები, რომლებიც salesland-ზე განთავსდება და სადაც პირველივე დღეს 300-მდე ადამიანმა გააქვთა შენაძენი. ჩვენს დახლებთან გრძელი რიგები იდგა. salesland-ზე ფასდაკლებები მთელი წლის განმავლობაში იქნება. მცირე ხარვეზიანი, წუნდებული წიგნების შეძენა მიზეზულ ფასად შეეძლოთ. დიდი მოთხოვნა იყო თაროებზე — შავი ფერის თაროები ამჟამად ქსელში საერთოდ აღარაა. ფესტივალის გახსნიდან დახურვამდე, ჩვენს სტენდებთან ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. დიდი მოთხოვნა იყო ჯორჯ ორუელის, ფრედერიკ ბეგბედერის წიგნებზე, ოსკარ უაილდის მოთხრობებზე, რომ-

ლებიც პირველად „პალიტრა L“-მა გამოსცა, მანამდე მხოლოდ „დორიან გრეის პორტრეტი“ იყო ქართულად. ფიტცჯერალდის „დიდი გეტსის“ პოპულარობით სარგებლობს და მკითხველები აღნიშნავენ, რომ წიგნი ბევრად უკეთესია, ვიდრე ფილმი, რასაც აქტიურად განიხილავდნენ.

— რაც შეეხება „მაკულიტერატურას“: ძველი წიგნები ბევრმა ჩააბარა?

— ძალიან. ამ პროექტსაც დიდი დანტერესება ჰქონდა. ჩვენი გამომცემლობა მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ძველი, გამოუყენებელი წიგნები ჩააბაროს, ახლები მიიღოს და ამით გარემოსაც გაუფრთხილდეს!

შორენა ბურღილაძე, ჟურნალ „საბავშვო კარუსელის“ რედაქტორი:

— ჟურნალი „საბავშვო კარუსელი“ სიამოვნებით უერთდება ყველა

ლონისძიებს, რაც ბავშვებისთვის სასარგებლო და საინტერესოა. ბუნებრივია, არც წიგნის ფესტივალს დავაკლდებოდით, მითუმეტეს, რომ მისი დახურვა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს დაემთხვა. სპეციალურად ამ დღისთვის „საბავშვო კარუსელმა“ გასართობი ცენტრის ანიმატორები მოიწვია, რომლებმაც ბავშვების განწყობაზე იზრუნეს. მხიარული მუსიკა, ცეკვები, სახალისო გათამაშებები და სახეზე მოხატვა პატარების გასახარებლად გაკეთდა. დავასაჩუქრეთ ბუმბუტებით, ასანყოფი ფაზლებითა და ჟურნალის ნომრებით, რომლებიც გოგონებისა და ბიჭებისთვის ცალ-ცალკე გამოდის. გათამაშების გამარჯვებულები კი გამომცემლობა „პალიტრა“-ის წიგნებით დავაჯილდოეთ. ასევე სიმბოლურად დაემთხვა 1-ელ ივნისს „პალიტრამედის“ ახალი საიტის, mshoblebi.ge-ს ამოქმედებაც, სადაც „საბავშვო კარუსელიცაა“ წარმოდგენილი. საიტი მშობლებისა და ბავშვებისთვის საინტერესო თემებს გააშუქებს, „საბავშვო კარუსელი“ კი ახალი აქციებისა და საინტერესო შემოთავაზებების შესახებ ინფორმაციას მიიწვევს მკითხველს.



ჩვენს სტანდებთან ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. დიდი მოთხოვნა იყო ჯორჯ ორუელის, ფრედერიკ ბეგბედერის წიგნებზე, ოსკარ უაილდის მოთხრობებზე



# პირადი დასვა — პროლეტა თუ კომფორტი?

როგორ არჩევენ კადრებს

## ვინ უჩენდა პროლეტებს საკუთარ დასვას

ქვეყნის პირველი პირების დაცვა არა მარტო მათი უსაფრთხოების, არამედ ქვეყნის უსაფრთხოების უმთავრესი წინა პირობაა. რამდენად გამართულია ჩვენთან დაცვის სამსახური და შეესაბამება თუ არა მსოფლიო სტანდარტებს, ამ თემაზე კომენტარი სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის ხელმძღვანელს, გენიკ პლადაშვილს ვთხოვეთ:



### ლადო გოგოლაძე

— სახელმწიფო დაცვის სამსახური ერთ-ერთი ყველაზე გასაიდუმლოებული სტრუქტურაა როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ, თუმცა, გარკვეული ინფორმაცია ბუნებრივია, მაინც არსებობს. ჩვენი დაცვის სპეციალური სამსახური წინა პრეზიდენტის დროსაც და ახლაც უფრო პოლიტიზებულია, ვიდრე პროფესიული. ამ სამსახურიდან (ისევე როგორც სხვა სპეცსამსახურებიდან) სააკაშვილის დროიდან მოყოლებული, პროფესიონალები გაყარეს და პიროვნული ნიშნით აიყვანეს ახალი კადრები. ამიტომ საკადრო პრობლემა დგას. რაც შეეხება ტექნიკურ აღჭურვილობას, ამ სფეროში ჩვენები არ ჩამოუვარდებიან მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას, რადგან მათი ბიუჯეტი

საკმაოდ დიდია.

— რამდენად თანაბარი ძალისაა პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის პირადი დაცვა?

— დღეს საქართველოში ორი უმაღლესი ფიგურაა: პრეზიდენტი და პრემიერი. მათი დაცვა ბუნებრივია, ერთნაირი არაა. პრეზიდენტის უფლებები და მისი პოლიტიკური წონა საკმაოდ შესუსტებულია, ამიტომაც მისი დაცვა გამომდინარეობს მისი რეალური ფუნქციებიდან.


— რამდენიმე წლის წინ ვრცელდებოდა მითები შევარდნაძის პირად დაცვაზე. რამდენად ადეკვატური იყო ეს ხმები?

— შევარდნაძეს მოუწყვეს ორი ტერაქტი (სხვა საქმეა, ეს იყო თუ არა

მართლაც ტერაქტი). დაცვის სამსახურის მოვალეობაში ისიც შედის, რომ გასაყვლელი გზა შეამოწმოს და აღკვეთოს მოსალოდნელი საფრთხე; თუ ტერაქტი მოხდა, ეს უკვე დაცვის სამსახურის მინუსია. შევარდნაძის მეორე ტერაქტის დროს გარდაიცვალა დაცვის ორი წევრი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ეს ბიჭები არ იყვნენ ცუდად მომზადებულები. შევარდნაძის დაცვის სიძლიერეზე იმ დროს მითები მართლაც დადიოდა. კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში ამერიკელებმა ჩვენი დაცვის სპეცსამსახურებისთვის მოამზადეს კადრები, აღჭურვეს შესაბამისი ტექნიკით, გვეხმარებოდნენ მატერიალურადაც, რადგან მაშინ მწირი ბიუჯეტი გვექონდა და ამის საშუალება არ იყო. ამან შეუწყო ხელი ამ მითის შექმნას, თორემ ეს იყო ჩვეულებრივი დაცვის სამსახური და არაფერი — განსაკუთრებული.

— რა პრინციპით ხდება პირად დაცვაში პიროვნების აყვანა?

— ადამიანის პირადი დაცვა, როგორც წესი, ოჯახის მცველის ფუნქციასაც ასრულებს, ამიტომ ის უფრო მეტია, ვიდრე — დაცვა. წლების მანძილზე ის ხდება ოჯახის წევრი, ფაქტობრივად, ყველაფერი იცის. ეს ფაქტორი არის როგორც დადებითი, ისე — უარყოფითი. დადებითი იმიტომ, რომ ამა თუ იმ ინფორმაციის ცოდნა დაცვის წევრს უადვილებს საკუთარი საქმიანობის სწორად წარმართვას, მაგრამ უარყოფითია, თუ მოხდა მისი გადაბირება ან მოსყიდვა (გაიხსენოთ ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრის, ბესო სურმავეას გადაბირება). ამ დროს ის უკვე საფრთხის შემცველი ხდება. ამიტომ დაცვის წევრის შერჩევა ხდე-



**თეატრ FORD- ში ცნობილმა მსახიობმა და სამხრეთელთა მხარდამჭარმა, ჯონ უილკინსმა გუთმა სანსკვიდლოდ დაჭრა მკვლელთან ერთად თეატრში მყოფი პრაზიდენტი, აბრაამ ლინკოლნი. დამნაშავეს და მკვლელის სხვა თანამონაწილეს განზრახული ჰქონდათ მისი მოტაცება 20 მარტს, თუმცა, პრაზიდენტის გაგმობი შეიცვალა და აღარ მივიდა იქ, სადაც მკვლელი 6 მებოგართან**

ერთად აღოღებოდა. 2 კვირის შემდეგ რიჩმონდი გაართიანებულ ქალაქს ჩაუვარდათ ხელში. გუთმა ახალი გაგმა დასახა. მან განიგო, რომ 14 აპრილს ლინკოლნი ლაურა კინის დაღვამას — „ჩვენი ამერიკელი გიგანტი“ დაენარებოდა ვაშინგტონის თეატრში და განზრახვა სისრულეში მოიყვანა. როგორც ისტორიკოსები წარან, პრაზიდენტის დაცვა იმ დროისთვის უმაღლეს დონეა იღბა, მაგრამ მინც ჩაპარდა.



# დაცვა ძალიან დიდი როლი შეასრულა შავარდნაძის გადაწყვეტაში, მაგრამ მთლიანობაში, პრეზიდენტის უშიშროების სისტემა „პარ იმუშავა“

ბა პირადი ერთგულებით, რადგან ამ დროს დიდი ნდობის ფაქტორი. როდესაც ესა თუ ის თანამდებობის პირი იცვლება, როგორც წესი, ხდება დაცვის წევრების შეცვლა. მაგალითად, სააკაშვილს ჰყავდა დაცვის სამსახურის ორი უფროსი, ხოლო როდესაც ქვეყნის პირველი პირი გახდა ლარიბაშვილი, მან ამ თანამდებობაზე თავისი შერჩეული კადრები დანიშნა. საუკუნეებია, ეს პრაქტიკა არსებობს და მეფეებიც კი ასე იქცეოდნენ.

— ამერიკულ ფილმებში გვინახავს, რომ დაცვის წევრი არცთუ ისე იშვიათად საკუთარი შეხედულებისამებრ იქცევა და დასაცავ ობიექტსაც აიძულებს მორჩილებას. რამდენად აქვთ მათ ეს უფლება?

— დიახ, დაცვის სამსახურის წევრებზე უამრავი ფილმია გადაღებული და ჩვენ გვაქვს ნანახი, როდესაც ამერიკის პრეზიდენტსაც კი დაცვა აიძულებს, მისი შეხედულებისამებრ მოიქცეს. არსებობს კანონი, საიდუმლო ინსტრუქციები, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს დაცვის წევრმა და ამ დროს პრეზიდენტი და ნებისმიერი სხვა პირი ვალდებულია, დაცვას დაემორჩილოს, რადგან ეს მისი უსაფრთხოებისთვის კეთდება. თანაც გაითვალისწინეთ, რომ პრეზიდენტი მარტო საკუთარ თავს არ წარმოადგენს, ის სახელმწიფოს პირველი პირია. დაცვის წევრებს ძალიან დიდ პრობლემებს უქმნიდა და ყველაზე რთული დასაცავი (საბჭოთა კავშირის პირველი პირებიდან) ყოფილა მიხაილ გორბაჩოვი, იმპულსური ხასიათიდან გამომდინარე. სხვათა შორის, ძალიან რთული დასაცავი იყო მიხეილ სააკაშვილიც, მისი ექსცენტრიკული ხასიათიდან გამომდინარე. მას სადაც მოუხდებოდა, იქ შედიოდა, უეცარ გადაწყვეტილებებს იღებდა და ეს დაცვას ძალიან ურთულებდა დაკისრებული ამოცანის შესრულებას.

რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ, როცა პირადმა დაცვამ ობიექტის ცხოვრებაში ძალზე დიდი როლი ითამაშა.


ინაუგურაციიდან 2 თვეში, პრეზიდენტ რეიგანზე თავდასხმა მოხდა. სასტუმრო „ვაშინგტონიდან“ გამოსვლის დროს, მას ჯონ ჰინკლიმ ესროლა.

პრეზიდენტი მიძიმედ დაიჭრა. ტყვიამარცხენა ფილტვში, გულთან ძალიან ახლოს გაჩერდა. პრეზიდენტის დაცვა მალევე მოეგო გონს, თავდამსხმელი გაანეიტრალა და მას განმეორებით სროლის საშუალება არ მისცა. მოულოდნელი თავდასხმისაგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ დაცვამ სწრაფი რეაგირება უნდა მოახდინოს, როგორც ეს ამ შემთხვევის დროს მოხდა, რამაც გადაარჩინა დაჭრილი პრეზიდენტი. საავადმყოფოში მიყვანილმა, ქირურგებს ხუმრობით უთხრა — იმეღია, ყველანი რესპუბლიკელები ხართო. თავდამსხმელი დღესაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია. მისი თქმით, ის პრეზიდენტს თავს იმიტომ დაესხა, რომ მსახიობ ჯოდი ფოსტერზე შთაბეჭდილების მოხდენა სურდა.

რომის პაპზე, იოანე-პავლე მეორეზე თავდასხმა 1981 წლის 13 მაისს, დღის 5 საათზე, რომის წმინდა პეტრეს მოედანზე მოხდა. პაპი მოედანზე ავტომანქანით მიიყვანეს. იგი ხალხს მიუახლოვდა და პატარა გოგონა აიყვანა ხელში. გოგონა მშობლებს დაუბრუნა თუ არა, შეჯგუფებულ ხალხს შორის გამოჩნდა „ბრაუნინგის“ ტიპის პისტოლეტით შეიარაღებული ხელი და გასროლის ხმაც გაისმა. პაპს ორი ტყვია მუცელში მოხვდა, დაუზიანდა მარცხენა ხელი და მარჯვენა ფეხი.

შემთხვევის ადგილას იმყოფებოდა პიტერ ჯენინგსი, ამერიკული ტელევიზია

ABC-ს კორესპონდენტი. მომხდარი მან ასე აღწერა: „მოულოდნელად, ხალხის ჯგუფიდან სროლა გაისმა. თვითმხილველთა მონაცემებით, პაპი მოკირებული იყო — წამით ადგილზე გაშეშდა და შემდეგ მოცელილივით დაეცა ავტომანქანის სავარძელზე“. თავდამსხმელი თურქეთის მოქალაქე, მაშინ 23 წლის, მეჭმედ ალი აგჯა იყო. სროლა მას გაბედულმა მონაზონმა შეაწყვეტინა — მივარდა და ჩაებლაუჭა. აგჯამ გაქცევა ვერ შეძლო და მალევე დააკავეს.



1993 წლის ოქტომბრის დამლაშვს, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი რამდენიმე მხარდამჭერი იძულებული გახდნენ, თავი სამხრეთკავკასიის მთიანი რეგიონების მთავრობის მხარეში დაეხვედნენ. 1993 წლის 31 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტი დაიღუპა ნალანჯიანის რაიონის სოფელ სიბუღაში. 1994 წლის თებერვალში იგი გადაასვენეს გოგონაში. მისი დაღუპვის გარემოებაში უცნობია. პრეზიდენტის გარდაცვალებისას პირად დაცვას გვირგვინი ოთახში აქონა. რთულია იმის თქმა, რომ თუ ისინი პრეზიდენტთან ერთად იმეორებდნენ, ამით რამე შეიცვლებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ამით იმ ყოფნა ამ საქმეს მატ სიცხადეს ნამდვილად შესძენდა.

## სიმაღლეში ზრდის სუპერსიონალი პროგრამები

სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად, კურსით 3-5სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის მკვებავი ვენტრინებისა და მინერალების ნაკრებით გარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურება, ეფექტურია გენეტიკური სიდალის დროსაც. გახდომა-გასუქება 5-დან 15კგ-მდე თვეში, ჯანმრთელობისთვის უვნებლად, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით, მადის რეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუნეულების გარეშე, ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით 100%-იანი შედეგებით.

მის: დ. აღმაშენებლის №154 (მესავე ოფისის)  
ტელ: 558 156-333 ქაიხი ნინო  
218-46-08 (ოფისი)



# ლადო კახაძის „კაცია-ადამიანი?!“


გამიხარდა, რომ ფორმატმა დაიტია მრგვალი მაგიდის პრინციპი

ცნობილი ექიმი, ექოსკოპისტი და მეან-გინეკოლოგი, ერთ დროს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე — ლადო კახაძე „პალიტრა TV“-ის მაყურებელს ამჯერად ახალ ამბლუაში — წამყვანად მოეწვინა. გადაცემის — „კაცია-ადამიანი?!“ პირველი ვერსია 4 ივნისს გავიდა და ამირიდან მაყურებელს შესაძლებლობა ექნება, ის ყოველ ოთხშაბათს, 22:30-ზე იხილოს.

## თამთა დაღვაწი

— ბატონო ლადო, გვიამბეთ, რის შესახებაა თქვენი გადაცემა. თქვენთვის, როგორც ექიმისთვის, რამდენად საინტერესოა ის ახალი ამბლუა, რომლითაც „პალიტრა TV“-ის მაყურებლის წინაშე წარდგებით და ვისი შემოთავაზება იყო ამ პროექტის განხორციელება?

— ეს მაკა ლომიძის დაჟინებული თხოვნა იყო და თავიდან ძალიან ვიუარე. მართალია, რესპონდენტის ამბლუაში ხშირად ვარ, მაგრამ ყოველთვის ვფრთხილობ, ვინმეს ჩემი აზრი თავს არ მოვახვიო, რადგან როგორც კი რაღაც ქცევაზე განკითხვასა და დიდაქტიკას დაიწყებ, „მე ვიცის“ პოზიციაში აღმოჩნდები, თავს დამარცხებულად ჩათვლი. ამიტომ საავტორო გადაცემა, ასეთი თემები, ჟურნალისტიკა — ჩემთვის ძალზე საპასუხისმგებლოა. გადანყვეტილებების ნაჩქარევად მიღება არ მიყვარს და ვცდილობ, შორიდან მოვუარო ხოლმე. მერე, მაკამ გადაცემის შინაარსი გამაცნო და მთხოვა, როგორც ექიმა, ეგებ, თქვენეული ხედვით საზოგადოებაში დაგროვილი პრობლემების გადაჭრაზე ისაუბროთო. როცა ექიმი პაციენტთან ურთიერთობას იწყებს, ცდილობს, მას საუბარი დააცადოს და ათქმევინოს, რა ანუხებს. ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა ხომ საუბრით იწყება. მის მონათხრობში ჩაერევი, შენ შენი კუთხით მიგყავს, ბევრ რამეს აანალიზებ და დიაგნოზს სვამ, რაც ძალზე საინტერესო პრო-



ცესია. როდესაც მაკამ ეს თემა ამ კუთხით დამანახვა, საზოგადოებაში გაჩენილი დაავადების სიმპტომები გამოვასპარავოთ და ამაზე ვიმსჯელოთო, დავთანხმდი. ფარული კამერა მუშაობს, დავარქვათ ამას პროვოკატორი, რადგან ადამიანი რამდენად ჯანსაღადაც უნდა თვლიდეს თავს, ძლიერი და სუსტი ნერტილები აქვს და პროვოცირების შემთხვევაში, იმუნური სისტემა არაადეკვატურად რეაგირებს. ორ ადამიანზე ერთნაირი გარემო სხვადასხვაგვარად მოქმედებს.

— გადაცემას მხოლოდ თქვენ გაუძღვებით თუ სტუმრებიც გეყოლებათ?

— გამიხარდა, რომ ფორმატმა დაიტია მრგვალი მაგიდის პრინციპი. სხვადასხვა სპეციალობის მქონე რამდენიმე ადამიანი ამა თუ იმ თემაზე, დაავადებაზე, მისი გამოცდილების გზაზე, საბოლოო დიაგნოზზე ბჭობს. ყველა ადამიანი თავის გამოცდილებას გაგვიზიარებს. მეცნიერებაში უშედეგობაც მნიშვნელოვანია. როცა რაიმე ექსპერიმენტი და ცდა ჩიხში გაყენებს, უკვე შედეგია, ამიტომ სხვას ურჩევ, იგივე არ გააკეთოს და ამით დროსა და შრომას დააზოგვინებ. საზოგადოებაში ბევრი ჩიხია და ჩვენს გადაცემაში სწორედ ჩიხიდან გამოსვლის ძიება იქნება. რაც ერთ კაცს

1998 წელს, საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე მეორე ტერაქტი განხორციელდა. ტერაქტის დროს პრეზიდენტის დაცვის წევრებსა და ტერორისტებს შორის შეტაკება მოხდა, ორი მათგანი (ერთი — პირადი დაცვიდან ანუ ე.წ. „ლიჩნიკი“, მეორე — სპეცდანიშნულების რაზმიდან) ბრძოლისას სასიკვდილოდ დაიჭრა და დაიღუპა. შეიძლება ითქვას, რომ დაცვამ ძალიან დიდი როლი შეასრულა შევარდნაძის გადარჩენაში, მაგრამ მთლიანობაში, პრეზიდენტის უშიშროების სისტემამ „ვერ იმუშავა“, ვინაიდან, ამ სისტემის არსი თავდასხმის მოგერიებაში კი არ მდგომარეობს, არამედ — თავიდან აცილებაში. რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, კულიკოვმა ბაქოში ქარაგმულად უთხრა ქართველ კოლეგას, რომ შევარდნაძეზე თავდასხმა მზადდებოდა, არა მხოლოდ დაცვა უნდა გაძლიერებულიყო (ეს გაკეთდა), არამედ უნდა „გადაფარულიყო“ ყველა ნერტილი, საიდანაც შეიძლებოდა ტერაქტი განხორციელებულიყო (ყოველ შემთხვევაში, რეგულარული მოძრაობის მარშრუტებზე მაინც). მაგალითად, დღეს იმავე ნერტილიდან ტერორისტები თავდასხმას ვეღარ შეძლებენ იმ უბრალო მიზეზით, რომ როგორც კი პრეზიდენტი რეზიდენციიდან კრწანისისაკენ მოძრაობას დააპირებს, ის ადგილი საგანგებოდ მონმდება. საკმარისი იყო, 9 თებერვალს ეს გაეკეთებინათ და თავდასხმა ვეღარ განხორციელდებოდა, — კორტეჟი არ დაიძვრებოდა, ვინაიდან შესაბამის შეტყობინებას ვერ მიიღებდა ამ ნერტილიდან.

პრეზიდენტ შევარდნაძის მანქანა





# პირველად ორი თაობის წარმომადგენლები მოვიხვია – ჩემი თაობა და შვილების. დიზაინერი გიორგი ნაზალიძე, მსახიობი და ბელაბაყვანი ბაბა პალიაშვილი

უჭირს, ორს — ნაკლებად და ხუთს, კიდევ უფრო ნაკლებად. მინდა, გარდატეხის ასაკში მყოფი ახალგაზრდებზე მოვიყვანო, თინეიჯერები და მათთან ერთად, მათი ასაკის პრობლემები და სანუხარი განვიხილოთ. ეს გადაცემა იტოვებს უფლებას, თქვას — არ ვიცი, რეცეპტი ჯერ არ გვაქვს, ჯერჯერობით დიფერენციალური დიაგნოსტიკის სტადიაა. გადაცემების უმეტესობა ამბობს — ვიცი და რეცეპტი მზად მაქვს. რაც მთავარია, ჩვენს გადაცემაში ისეთი ძალის მქონე პერსონა ფიგურირებს, რომლის სული უკვდავია, გონება ნათელი და რომელიც მაშველი რგოლია ცივილიზაციისთვის — ილია ჭავჭავაძე და სათაურიც აქედან შევარჩიეთ — „კაცია-ადამიანი“.

— კონკრეტულ თემებს რის მიხედვით შეარჩევთ? რა იქნება აქტუალური?

— მაგალითად, საზოგადოებრივი გულგრილობა, ინდივიდი და საზოგადოება, თავდაცვითი რეაქციები, კლუბტომანია და ა.შ. როცა ადამიანს რაღაცას უკრძალავ, ალტერნატივა უნდა შესთავაზო — როგორ მოიქცეს. ძირითადად, იქნება დეონტოლოგია, ეთიკა, ფსიქოლოგია, ჭეშმარიტების ძიების გზა და ა.შ. ადამიანში ორი რამ ვერ ეტევა — სიკეთე და ცოდნა და როცა ეს მოეძალდება, უნდა, რომ გამოხატოს, სხვას მოუყვეს და ა.შ. პიპოკრატეს ფიცში მესამე მუხლში ერთ-ერთ პარამეტრად წერია — არა ავნო რა! ჩვენი პრინციპიც ესაა. არავის ვავნოთ, პირიქით, გახსნის საშუალება მივცეთ. ცხოვრება ხომ წინაპრების გამოცდილების ნაზავია, წიგნი — შთამომავლისთვის დატოვებული შენი სულიერი სამყარო, შენ მიერ აღქმული და დანახული. არავის ავალდებულებ, რომ ასევე მოიქცეს. უბრალოდ, სთავაზობ, გასინჯოს და თავის თავზე მოირგოს. ინტერაქტივი გვექნება და ჩვენთვის უარყოფითი შეფასებებიც მისაღები იქნება, რადგან საინტერესოა, რა არ მოეწონება მაყურებელს. ეს დაცვის მექანიზმია.

— როგორ ჩაიარა პირველმა გადაცემამ? ვინ იყვნენ თქვენი სტუმრები და რა თემაზე ისაუბრეთ?

— პირველად ორი თაობის წარმომადგენლები მოვიხვია — ჩემი თაობა

და შვილების. დიზაინერი გიორგი ნაზალიძე, მსახიობი და ტელენამყვანი მაკა შალიკაშვილი, დამოუკიდებელი ჟურნალისტი თამაზ სულაძე. ეს ადამიანები ერთსა და იმავე მოვლენას სავსებით ლოგიკურად აფასებენ, თავიანთ თავს იმ მდგომარეობაში აყენებენ, ანალიზს აკეთებენ, ერთმანეთს ეპაექრებიან. ნუ ვიტყვით, რომ საზოგადოებაში ყველა ცუდია ან — კარგი,

არსებობს სუსტი და ძლიერი წერტილები. კითხვები, რომლებიც ჩნდება, ყოველთვის ითხოვს პასუხს. ყოველ გადაცემაში მრგვალ მაგიდასთან სამი სტუმარი მეყოლება. უფრო მეტის მოწვევა უკვე შოუს ელემენტს იძენს, თანაც ადამიანი თემაზე საუბარს რომ იწყებს, აზრის დასრულების საშუალება უნდა ჰქონდეს. ესეც ეთიკის ნორმაა. ექიმი ასეა: პაციენტს სანამ ბოლომდე არ მოუსმენ, მომდევნო კითხვის დასმას აზრი არ აქვს, რადგან შეიძლება, არასწორი გზით წაიყვანო. ამიტომ, საზოგადოებასთანაც ამ კუთხით გვინდა კავშირის დამყარება, ვნახოთ, იმედია, „არ ვავნებთ“!

“სანისოქსლო” გინეკოლოგის ნახევრადუჯერი ცხიმოვანი მჟავები

# ომასანი

## ომეგა-3 (EPA18%/DHA12%)-1000 მგ

- ▶ აკლიერებს ორგანიზმის იმუნური, გულ-სისხლქარღვთა, ნერვული და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემების ფუნქციას;
- ▶ ავცირებს სისხლში ქოლესტერინის დონას, ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას;
- ▶ აუმჯობესებს სისხლქარღვთის ელასტიურობას;
- ▶ ამაღლებს შრომისუნარიანობას და ორგანიზმის სპორტო ტონუსს;
- ▶ ხსნის ქრონიკული დაღლილობის სინდრომს, უძილობას, მოუსვენრობას, დაპრინიას;
- ▶ არავულირებს ცხიმოვან ცვლას ღვიძლსა და სისხლის პლაზმაში;
- ▶ ხელს უწყობს კუნთოვანი მასის ზრდას და ცხიმოვანის შეამცირებას;
- ▶ აუმჯობესებს ტვინში სისხლის მიმოქცევასა და მხედველობას;
- ▶ ახასიათებს გამოსატოვებელი ანტიოქსიდანტური მოქმედება;
- ▶ ეფექტურია კანისა და ალერგიული დაავადებების მკურნალობისას.

გიოლოგირად აქტიური დანამატი



# შვილის სიკვდილის გამო თვითმკვლელობამდე მისული დედა

„ჩემმა ცოლმა შვილის სისხლიანი ქუთუბი ჩაიცვა და სახუარავიდან გადახტა“

საგანგაშო რეალობაა, ბოლო დროს საქართველოში თვითმკვლელობის ფაქტები მომრავლდა, განსაკუთრებით — ახალგაზრდებში. თვითმკვლელობა რომ უმძიმესი ცოდვია, ამას ხშირად ქადაგებს ჩვენი პატრიარქი, მაგრამ საუბედუროდ, ამ ცოდვას მაინც სჩადიან ადამიანები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, ყოველწლიურად მსოფლიოში მილიონზე მეტი ადამიანი იკლავს თავს და სიკვდილიანობის ყველაზე დიდი წილი მოზარდებსა და 35 წელს ქვევით ახალგაზრდებზე მოდის. სამწუხაროდ, მოზარდები არ ფიქრობენ, რომ ამით ოჯახის წევრებს გაუსაძლის ტკივილს აყენებენ. ბევრი დედა ამ ტკივილს ველარ უძლებს და სასონარკვეთილი თავადაც გამოუსწორებელ დანაშაულს სჩადის.

## თბა სურსილავა

ფრანგი სოციოლოგის, ემილ დიურკეიმის მოსაზრებით, სუიციდის სხვადასხვა ტიპი არსებობს: ეგოისტური თვითმკვლელობები, რომელსაც მიეკუთვნება დეპრესიის, ადამიანური ურთიერთობებისა და სოციალური ფაქტორების გამო ჩადენილი სუიციდის ფაქტები; ანომიური თვითმკვლელობა, რაც ახასიათებს მატერიალური მიზეზებით გამოწვეულ სუიციდურ ფაქტებს; ალტრუისტული თვითმკვლელობა, რომელსაც ძირითადად, სიყვარულით იმედგაცრუებულები სჩადიან. ფატალისტური თვითმკვლელობა — ადამიანი სიცოცხლეს ასრულებს საზოგადოებრივი დოგმებისა

და სტერეოტიპების გასაპროტესტებლად. არსებობს ფარული სუიციდიც, რომელიც ხორციელდება ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მიღებით; როდესაც ადამიანი მათი მეშვეობით ცდილობს რეალობიდან გაქცევას, სინამდვილეში, მისდა უნებურად, სიცოცხლეს გაურობს.

გასულ კვირას, შემზარავი ფაქტი შროშის ქუჩაზე მოხდა. 31 მაისს, ღამის 2 საათზე მეცხრეკლასელი გოგონა ლიზი ლაშნი, თავისი საცხოვრებელი სახლის მე-9 სართულიდან გადმოხტა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. დედისერთა გოგონა ბებიასა და დედასთან ერთად ცხოვრობდა. მშობლები გაშორებულები არიან და დედა შვილს მზრუნველობას არ აკლებდა. მეზობლების თქმით, ლიზი ძალიან გონიერი და ნაკითხი გოგონა იყო. ერთი წელია, რაც ოჯახმა ამერიკულ აკადემიაში შეიყვანა და წარმატებით დახურა მეცხრე კლასი. რა გახდა გოგონას თვითმკვლელობის მიზეზი, ამაზე ოჯახის წევრები და ახლობლები არ ლაპარაკობენ. ერთი ვერსიით, გოგონა სახლში გვიან დაბრუნდა, დედამ უსაყვედურა და ეს ვერ აი-

ტანა. მეორე ვერსიით, ლიზი ღამის ორ საათზე მეგობრებთან ერთად კაფეში აპირებდა წასვლას, დედამ არ გაუშვა და ამიტომ მიიღო ასეთი საშინელი გადაწყვეტილება. მომხდარ ფაქტზე გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს. იმედია, ძალოვანები დაადგენენ ტრაგედიის მიზეზს, თუმცა, ამით არაფერი შეიცვლება ლიზის ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც მომხდართი შეძრულეები არიან. მათ აღარ ჰყავთ დედისერთა ლიზი.

საზოგადოებამ იცის, რომ ამ ფაქტის თვითმხილველმა დედამ, ეკა იორამაშვილმაც სცადა თვითმკვლელობა. ისიც გადმოხტა აივნიდან, მაგრამ, სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა, მეზობლის აივანზე დაეცა და სხეულის დაზიანებები მიიღო. მეზობლის თქმით, სასონარკვეთილმა დედამ საავადმყოფოში წასვლაზეც კი უარი თქვა. მას სახლში მოუყვანეს ექიმი. ამბობენ, ექიმები არ გაიკარაო. დღემდე სახლში რჩება.

ტრაგედიის შესახებ სოციალურ ქსელში ფაქტის თვითმხილველმა სულისშემძვრელი სტატუსი დაწერა. უფრო მეტი დეტალის გასარკვევად, მას დაუვუკავშირდით და ასეთი რამ გვიაბოძო:

— რამდენიმე დღე გავიდა ამ საშინელი ტრაგედიიდან და ვერ ვივინყებ იმ ღამეს. დაახლოებით ღამის 2 საათზე ისეთი საშინელი ხმა მომესმა, რომლის მსგავსი არასოდეს გამიგონია. ვიფიქრე, აქვე ახლოს რაღაც აფეთქდა-მეთქი... გავიხედე ღია ფანჯრიდან, მაგრამ ვერაფერი დავინახე... რამდენიმე წამში ქალის განწირული კივილი შემომესმა... ის შველას ითხოვდა. მაშინვე გავვარდი გარეთ და რას ვხედავ, ახალგაზრდა ქალს შუა ქუჩაში, გოგონა გულში ჰყავს ჩახუტებული და უაზროდ, არადადამიანური ხმით კივის. თან ეფერება, — შვილო, არ დამღუპოო, — ეუბნებოდა. მივედი ახლოს და მთხოვა, „სასწრაფო“ გამოიძახეთო... — გული წაუვიდა-მეთქი? — ვკითხე დაბნეულმა. — არა, მეცხრე სართულიდან გადმოვარდაო... — გადავირიე... ვერ აღვწერ იმ მდგომარეობას, რა დღეშიც ჩავვარდი, როცა თვალი ავავოლე იმ კორპუსის სიმაღლეს, თვითონ გავხდი მოსაბრუნებელი... ამასობაში, ჩემი რძალიც გამოვარდა სახლიდან... უკვე დავრეკე „სასწრაფოში“. თავიდან ვერ გავარჩიე, გოგო იყო თუ ბიჭი, რადგან სახე არ უჩანდა, დედას ისე ჰყავდა ჩახუტებული. გოგონას ჯინსის შარვალი ეცვა. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა... უცებ ბავშვს მუცელი საშინლად გაებერა,



31 მაისს, ღამის 2 საათზე მეცხრეკლასელი გოგონა ლიზი ლაშნი, თავისი საცხოვრებელი სახლის მე-9 სართულიდან გადახტა



რაც სავარაუდოა, ძლიერი ვარდ-  
ნისგან ორგანოების გასკდომამ  
გამოიწვია. სისხლი არ წამოსვლია,  
ღია ჭრილობა არ ჰქონია. გული  
მომიკვდა... ამასობაში მთელი კორ-  
პუსი შეიკრიბა გარეთ. ბავშვის  
ბებიაც გამოჩნდა, გამწარებული  
დარბოდა და შველას ითხოვდა.  
„სასწრაფოს“ მოსვლამდე პატრუ-  
ლის მანქანები მოვიდნენ. „სასწრა-  
ფომ“ დააგვიანა, მერე როგორც  
იქნა, გამოჩნდა. ბავშვს თვალი  
ნახევრად ღია ჰქონდა. ჯერ ისევ  
თბილი იყო, მაგრამ ვხედავდი,  
ცოცხალი აღარ იყო. საკაცებზე  
რომ დაანვინეს, ფეხი გაფუსნორე,  
მოტეხილი ჰქონდა. პროზექტურაში  
ნაყვანის გადაწყვეტილებას იღებდნენ.  
ველა აკავებდნენ დედას და ბებიას.  
საწყალო დედამისი რომ მიხვდა, შვილი  
ცოცხალი აღარ ჰყავდა და საავადმყო-  
ფოში არ მიჰყავდათ, უცებ გაშტერდა,  
ხმას ვეღარ იღებდა. გაოგნებული ვიდ-  
ექი... როგორ აიყვანეს სახლში ბებია,  
არ დამინახავს. გავიგონე, მეზობელმა  
პატრულს რომ უთხრა, — ბავშვის  
დედას ყურადღება მიაქციეთ, რამე  
არ მოიმოქმედოსო. დედაც აიყვანეს  
პატრულის დახმარებით სახლში. აღ-  
ბათ პატრული ვერც მოიფიქრებდა,  
იმ სახლს უკანასკნელ ჰქონდა აივანი  
და ცოტა ხანში ზედა სართულიდან  
ისევ კვიცილი გაისმა. თურმე ახლა  
დედა გადახტა მეცხრე სართულის  
უკანა აივანიდან... ეს არც გაგივიგია,  
„სასწრაფოს“ მანქანასთან ვიდექით  
და ველოდებოდით, როდის ნაიყვანდ-  
ნენ ბავშვს პროზექტურაში. ამ დროს  
ოთხი ბიჭი მოვარდა ყვირილით, —  
ზედა სართულიდან ქალი გადმოხტაო.  
ვიცო, ბავშვი 15 წლის და „სასწრა-  
ფოში“ ასვენია-მეთქი. გაიკვირვეს,  
— ასე უცებ როგორ დაასვენესო?  
ქუჩის მეორე მხრიდან გადმოხტაო,  
გაიმეორა მეორე ბიჭმა. მერე გაირკვა,  
რომ ბიჭები თურმე სიგარეტს ეწეოდ-  
ნენ აივანზე და დაინახეს მათი წინა  
კორპუსიდან ქალი რომ გადმოხტა. ეს  
ლიზის დედა, ეკა იყო. უნდა გენახათ,  
ის უცხო ბიჭები როგორ იმენდნენ  
თავში ხელს და როგორ ბლაოდნენ,  
როცა ეს საშინელება დეტალურად  
გაიგეს... პატრული და მოსახლეობის  
ერთი ნაწილი სასწრაფოდ გაცვივდნენ  
სახლის უკანა მხარეს ჩაბნელებულ  
ეზოში, მაგრამ იქ ეკა ვერ იპოვეს...  
შემდეგ ვილაგამ დაინახა, ქალი რომე-  
ლილაცა სართულის აივნის სახურავზე  
ედგო, რომელიც უფრო განიერი იყო  
და კარგად წინ წამოწეული. როგორც  
ამბობენ, როცა გადახტა, რომელილაც  
სართულის თოკზე ძლიერად დაეცა, ამ



**შვილის  
სისხლიანი  
ქურთუკი  
ჩაუცვამს ჩემს  
მეუღლეს, მეცხრა  
სართულის  
სახურავზე  
აიპარა და იქიდან  
გადახტა**

ინერციამ ააგდო მაღლა და ერთ-ერთი  
მეზობლის აივანზე დავარდა. მესმის  
განადგურებული დედის მდგომარეო-  
ბა... წამებში დაემხო თავზე მთელი ცხ-  
ოვრება, წამებში დაკარგა აზრი მისმა  
ამქვეყნად ყოფნამ, მაგრამ სიკვდილი  
თუ არ გინერია, თურმე არაფრით მოკ-  
ვდები... დედა გადარჩა, დაჟეჟილიაო,  
ექიმებსაც კი არ გაჰყავა საავადმყო-  
ფოში. საშინლად განადგურებულია...  
უფალმა დედა გადაარჩინა და არ  
გაიყვანა ამ წუთისოფლიდან, რადგან  
შვილისთვის უნდა ილოცოს და შესთხ-  
ოვოს უფალს პატიება მისი საქციელ-  
ისთვის... დედის გულმხურვალე ლოც-  
ვა-ვედრებას შვილი ჯოჯოხეთიდან  
ამოჰყავს... ახლობელ-მეგობრებს კი,  
არა აქვთ უფლება მასზე ლოცვის.  
როგორც შევიტყვეთ, 2006 წელს,  
დოლიძის ქუჩაზე ეკა იორამაშვილს  
ძმა მოუტკლეს. ოჯახს ეს ტკივილი  
ჯერ კიდევ არ ჰქონდა განელებული  
და ახალი ტრაგედია დაატყდათ თავს.  
სადარბაზოსთან ლიზის კლასელები  
და მეგობრები იყვნენ შეკრებილი. ისინი  
ჟურნალისტებს კორპუსის კადრე-  
ბის გადაღების საშუალებასაც კი არ  
აძლევდნენ. მომხდარის მიზეზებზეც  
არ საუბრობენ.  
როგორც გვითხრეს, ამ ტრაგე-  
დიამდე რამდენიმე დღით ადრე,  
ლიზის „ფეისბუქის“ საკუთარი გვერ-  
დი დაუხურავს, თუ რატომ, ამაზე  
პასუხიც არ გვაქვს. ერთი რამ ცხადია,  
უდიდესი ტრაგედია დატრიალდა.  
თურმე გოგონას დედა საღ გონებაზე  
არ არის. ფაქტზე გამოძიება გრძელ-  
დება.  
აფექტის მდგომარეობაში მყოფმა  
სცადა ეკა იორამაშვილმა თვითმ-  
კვლელიობა. ანალოგიურად მოიქცა  
წლების წინ რუსთავში კიდევ ერთი ქა-  
ლბატონი. მანაც ვერ გაუძლო ერთად-  
ერთი შვილის სიკვდილს და სიცოცხ-  
ლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამ  
ფაქტიდან ბევრი დრო გავიდა, მაგრამ

ტრაგედია დღემდე ახსოვთ იქაურ  
მეზობლებს. ცოლ-შვილის გარეშე  
ცხოვრებას აგრძელებს დავით თურ-  
ქაძე. დეტალებს გასახსენებლად მას  
მივაკითხეთ. მეზობელს როცა ფაქტი  
გავახსენე, მაშინვე მიმიითთა, მეცხრე  
სართულზე ადით, სახლში იქნება  
დავითი და ყველაფერს გიამბობთო.  
**დავით თურქაძე:**  
— წლების წინ დაგვატყდა ეს უბედ-  
ურება, რამაც ჩემი ბედნიერი ცხოვრება  
მთლიანად შეცვალა. ყვარლის რაიონის  
სოფელ ახალსოფლიდან ვარ. რუსთავ-  
ში ბინა გვქონდა. ერთადერთი ბიჭი მყა-  
ვდა, ჯონი თურქაძე. მაშინ 18 წლის იყო,  
მეორე დღეს ჯარში უნდა წასულიყო და  
სუფრის გასაშლელად ვემზადებოდით.  
ჩემი მეგობრის მანქანიდან წავიდით კახ-  
ეთში. მეურნეობა მქონდა და ჩემი აუზ-  
იდან თევზი უნდა წამომეღო. 1989 წლის  
ოქტომბერი იყო, პარასკევი დღე. დვი-  
ნო და თევზი ჩემმა მეგობარმა წამოიღო  
თავისი მანქანით. ჯონიმ მითხრა, —  
მე ლევანი ძიას გავყვებო და მას გა-  
მოჰყავა. მე სუფრისთვის ხორცეული  
მომქონდა. დავტვირთე მანქანა და ამ  
დროს ჩემი ძმაცაი ანზორი შემხვდა.  
ვაიმე, ძალიან ცუდი ამბავია, შენთან  
რომ მანქანა იყო, ავარიში მოჰყვავო. —  
ვაიმე, ჯონიც იქ იჯდა-მეთქი, წამოვიყ-  
ვირე. — არა, ჯონი იქ ვერ დავინახეო.  
გაცვეთილი საბურავები ჰქონდა,  
მოუცურდა და კაკალის ხეს შეასკდა.  
დარტყმის ხმაზე მეცხვარე გამოსულა.  
ჩემს ბიჭს უთქვამს, — ძალიან ცუდად  
ვარ, დათოს შვილი ვარ, ყველაფერს  
გააკეთებს მამაჩემი, ოღონდ მიშველეთ  
და საავადმყოფოში მიმიყვანეთო. იმ  
კაცს ნაუყვანია ჯონი საავადმყოფო-  
ში. ლევანი იქვე დაუტოვებია, რადგან  
მკვდარი ეგონა. იფქრა, ბავშვს მაინც  
გადავარჩენო. საუბედუროდ, ჯონი საა-  
ვადმყოფოში მიყვანისთანავე დაიღუპა.  
მერე სხვებმა გადმოიყვანეს ლევანი. ის  
გადარჩა, თუმცა შრომისუუნაროა. მე  
საავადმყოფოში გავიგიე, შვილი რომ




აღარ მყავდა. ჩემი მეუღლე, მარინა ბალოშვილი, რუსთავეში იყო, კახეთში მოტყუებით ჩამოიყვანეს. საშინელ დღეში ჩავარდა, ვერ აღგინერთ იმ განცდებს, რაც გადავიტანეთ. მინდოდა, შვილი სოფელში დამეკრძალა, მაგრამ მეუღლემ მითხრა, — ამხელა გზაზე ვერ ვივლიო და ამიტომ რუსთავეში წამოვასვენეთ. ხუთშაბათ დღეს დავკრძალეთ. მეორე დღეს საფლავზე გასასვლელად ვემზადებოდით. სახლში იყვნენ დედაჩემი, ჩემი სიდედრი, ცოლის და. მარინა ჯონის ოთახში რომ შევიდა, დავინახეთ, თურმე წერილი დაუწერია. მწერდა, — დათო, მაპატიე, მე ჩემს ბიჭთან უნდა წავიდე, სხვანაირად არ შემიძლია და შენ აქედან გვიპატრონეო. ჯონისაც სწერდა, — შვილო, არ ვიცოდი, ამდენი მეგობარი თუ გყავდა, ასე თუ უყვარდი ყველას, ასე თუ გაფასებდნენ. მე შენთან მოვდივარო. ჩემი შვილის სისხლიანი ქურთუკი იდო სახლში, ტრაგედიის დროს რომ ეცვა. ის ქურთუკი ჩაუცვამს ჩემს მეუღლეს, მეცხრე სართულის სახურავზე აიპარა და იქიდან გადახტა. სახლში ვიყავით ყველანი. ყვირილისა და ბავშვების ჩოჩქოლის ხმა გაისმა. ამ საშინელების წინაშე დავდექით, ჩემი მარინაც აღარ მყავდა.

**— მანამდე მის ქცევაში საეჭვო არაფერი შეგიმჩნევიათ?**

— არაფერი. რომ შემეტყო, ყურადღებას მივაქცევდი. მისი სიკვდილის მერე სოფელში მეზობლებმა მითხრეს, შვილს დასტიროდა, შვილო, ერთი კვირის თავზე შენთან ვიქნებით. ეს რომ გამეგო, სიფრთხილეს გამოვიჩინე. თუმცა, არ ვიცი, შევძლებდი თუ არა ამ ტრაგედიის თავიდან აცილებას. მისი სიკვდილის მერე დედა-შვილი სოფელში წავასვენე და იქ დავკრძალე ორივე ერთად. ერთადერთი შვილის დაკარგვა ვერ გადაიტანა. მეორე შვილი რომ მყოლოდა, ვფიქრობ, თავს არ მოიკლავდა და მასზე იფიქრებდა. იმ დღით მის ხელში სარეცხის თოკი შევნიშნე. — ეს რად გინდა-მეთქი? მითხრა, — სარეცხის თოკი დალბა და შესაცვლელიაო. რა დროს თოკის შეცვლაა, ჭკუიდან ხომ არ შეიშალა-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ თავის მოსაკლავ გზას თუ ეძებდა, ამაზე არ მიფიქრია. ეს განაჩენი გამოუტანა საკუთარ თავს. ის ერთი კვირა, სანამ ჯონი დავკრძალეთ, ჩემს

მეუღლეს პირში ლუკმა არ ჩაუდვია. მარტო ყავას სვამდა. გულში იკრავდა შვილის სისხლიან სამხედრო ქურთუკს, სწორედ ის ეცვა მაშინ, როცა გადახტა. ასე დაასრულა სიცოცხლე, ყველაფერი შეგნებულად გააკეთა, ტკივილს ვერ გაუძლო მისმა გულმა. საოცარი დედაშვილობა ჰქონდათ ჯონის და მარინას. ჩვენც კარგი ცოლქმრობა. არასოდეს ხმამაღალი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. ძალიან ბედნიერები ვიყავით, მაგრამ, ასე შეიცვალა ჩემი ცხოვრება. მათ გარეშე დავრჩი. ძალიან ძნელია მათ გარეშე ჩემი ცხოვრება. მე ისე ძლიერად მიყვარდა ჩემი ცოლი, სხვა ქალის შერთვაზე არც მიფიქრია. ტრაგედია რომ მოხდა, მაშინ მარინა 37 წლის იყო, მე — 42-ის და მას მერე დავრჩი მარტო. დავდივარ მათ საფლავზე, ვუხბდი დაბადების დღეებს, ვლოცულობ. მათ ფოტოებს ველაპარაკები. მარტო ვცხოვრობ. 4 წელია, რუსთავეში წამოვედი. ლოპოტის ტბა და მიმდებარე ტერიტორია, 24 ჰექტარი, იჯარით მქონდა აღებული და 80 ტონა თევზი მყავდა ტბაში. მეურნეობას ვეწეოდი. ეს ყველაფერი წინა ხელისუფლებამ წამართვა. არჩილ გეგენავასა და მიხეილ სააკაშვილს ერთად ჰქონდათ მეურნეობა ყვარელში, ხეხილის ბაღჩა. თურმე ჩემი ტბისკენ ჩამოისეირნეს და როცა მიშას ეს ადგილი დაუნახავს, გაკვირვებულს უთქვამს, — ამ ადგილს მიშალავდით? ხვალდანვე დაიწყეთ აქ მშენებლობა და წამართვეს იქაურობა, თავისი 80 ტონა თევზით. ახლა სოციალურად დაუცველის დახმარებას ვიღებ, ამას პენსია ემატება და ამით ვცხოვრობ. ჩემი ფონის მეგობრები ჩემთან ხშირად მოდიან და მიხარია, მათ რომ ვხედავ.



**წლები წინ დაგვატყდა ეს უბედურება, რამაც ჩემი ბედნიერი ცხოვრება მთლიანად შეცვალა**

შურნალ „გზის“ შურნალისტმა, თამუნა კვინიკაძემ მედიაკონკურსში პირველი ადგილი დაიკავა: არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“ და „სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის“ ორგანიზებით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მედიატური-კონკურსი მოეწყო. პროექტისთვის შერჩეული შურნალისტები პირველ კვირას მცხეთა-მთიანეთს, ქვემო ქართლსა და კახეთს ესტუმრნენ, მომდევნო კვირას კი, 3 დღის განმავლობაში, დასავლეთ საქართველოს კუთხეები მონახულეს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, რეგიონულ პრობლემებს გაეცნენ და საზოგადოებასაც გააცნეს. ჩვენი შურნალის მკითხველებს, ამ მედიატურის შემდეგ მიღებული საინტერესო ინფორმაციები თამუნა კვინიკაძემ გააცნო.

ის პროექტში შარშანაც მონაწილეობდა და კონკურსში მესამე ადგილიც დაიკავა, ნელს კი, როგორც ჩანს, მედიაკონკურსში მონაწილე პროფესიონალი შურნალისტებიდან ყველაზე საინტერესო მასალები სწორედ თამუნამ მოამზადა და დამსახურებული ფულადი პრემია და სიგელიც მიიღო.

**თიო უორლანაშვილი**

მედიაკონკურსში მეორე ადგილი ორმა შურნალისტმა — ოლიკო ცისკარიშვილმა (IREPORTER, EKO FACT) და თათა კაკაურიძემ („გურია ნიუსი“) გაიზიარა. მესამე ადგილი ასევე, ორმა შურნალისტმა — თიკო ოსმანოვამ („რეზონანსი“) და ქრისტი ქარჩხაძემ (NEWS. GE, TV MEGA) დაიკავა...

პროექტის მიზნად და საქმიანობაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“ აღმასრულებელ დირექტორს — ზმინაღ ღვედარიანს ვესაუბრეთ...

— ვხედავთ, რომ ეროვნულ მედიაში რეგიონული თემები ძალიან აქტიურად არ შუქდება. ჩვენი ორგანიზაცია და ჩვენი ქსელიც (სადაც 50-მდე რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციაა განვრცობული) ძირითადად, რეგიონული პრობლემების პოვნასა და წარმოჩენას ცდილობს. პრობლემის შესახებ საზოგადოებისთვის (მათ შორის — გადწყვეტილების მიმღებთათვის) ინფორმაციის ეფექტიანად მიწოდება მნიშვნელოვანია. ამისთვის სხვადასხვა ფორმას ვიყენებთ: წერილობითი მიმართვა ადგილობრივი ხელისუფლებისადმი, სამინისტროსადმი... სხვათა შორის, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რადიოში რადიოპროგრამა — „რეგიონის პრობლემები“ გვაქვს... მედიატურს რაც შეეხება, მონაწილეებს ბეჭდური და ინტერნეტგამოცემებიდან





# „რეგიონული სანტრალური მედიისთვის უზარმაზარი აუთონისებელი სივრცეა“

„გზის“ ჟურნალისტმა მედიაკონსულტინგში გაიმარჯვა

კონკურსის სახით ვირჩევთ, თუმცა, ცალკეული ტელევიზიებიც (უფრო — რეგიონული) ინტერესდებიან. ვცდილობთ, ჟურნალისტი ადგილზე ჩაიყვანოთ, პრობლემები ვაჩვენოთ... მათ მხოლოდ თემას ვთავაზობთ. ისინი ამ ინფორმაციას როგორ დაამუშავებენ და ინტერვიუს ვისთან ჩაწერენ, ბუნებრივია, ეს მათი პრეროგატივაა. ერთადერთი, წინასწარ ვაცნობთ, რომელ რეგიონებში მიდიან, სად რა პრობლემები უნდა ნახონ... პროექტს კონკურსის ფორმატი ჟურნალისტიებისთვის დამატებითი სტიმულისთვის აქვს. მაგალითად, წელს 70-მდე „მედიაპროდუქტი“ მომზადდა. ძალიან გაგვიხარდა. სულ 5-6 რეგიონში ვიყავით, ჟურნალისტიებს რამდენიმე პრობლემა ვაჩვენეთ, რომელთა „გარშემოც“ ავტორიტეტული მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა მასალები მოამზადეს.

ეს ძალიან კარგი ფაქტია: სტატიებს თბილისში გადაწყვეტილების მიმღებები ეცნობიან და იმედი გვაქვს, ამ თემებს ყურადღებას მიაქცევენ.

— შარშან თქვენი პროექტის ფარგლებში გაშუქებულ პრობლემებს რეაგირება თუ მოჰყვა?

— როგორც აღვნიშნე, მედია ერთ-ერთი კომპონენტია — ვცდილობთ, პრობლემებს სხვადასხვა მხრიდან შევჭვდილოთ. გარკვეული შედეგიც გვაქვს: სადღაც ადგილობრივი ხელისუფლება წყლის ხარისხის პრობლემით დაინტერესდა, სადღაც — მოსახლეობამეტადაა მობილიზებული, რომელმაც არ იცოდა, პრობლემის მოსაგვარებლად ვისთვის მიემართა, ახლა კი გზა გაიკაფა... სტატიის გამოქვეყნებით პრობლემები არ წყდება. ამას ერთ-ერთ ინსტრუმენტად ვიყენებთ. ვცდილობთ, ადგილობრივი სოციალური პრობლემების მოგვარებით ბიზნესმენებიც დაინტერესდნენ, მათ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ვაკავშირებთ, პრობლემები რომ ერთობლივი ძალისხმევით მოგვარდეს. მთელი ჩვენი ამოცანა რეგიონში არსებული მიწვეული, უყურადღებოდ დარჩენილი პრობლემების გადაწყვეტის ბოლომდე მიყვანაა. ამ პროცესში მედია ერთ-ერთი რეალური პარტნიორი გახლავთ და ცხადია, მისი შესაძლებლობების გამოყენებასაც ვცდილობთ.

— სხვადასხვა რეგიონში არსებულ პრობლემებს რეგიონული ტელეარხე-

ბი და გამოცემებიც აშუქებენ. წესით, პრობლემის შესახებ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ხმის მიწვდენა არ უნდა ქირდეს...

— ჯერ ერთი, ადგილობრივ ხელისუფლებას მაინც თავისი სპეციფიკური გავლენა აქვს. როცა პრობლემის შესახებ ინფორმაცია თბილისში, ეროვნულ მედიაში ქვეყნდება, ის ადგილობრივ ხელისუფლებასაც დამატებით გავლენას ახდენს; მეორე — ხშირად ყველა პრობლემის მოგვარების ბერკეტი თავად ადგილობრივ ხელისუფლებასაც არ აქვს. თუ დაფინანსება მიიღეს, რაღაცების კეთებას ახერხებენ... ჩვენ მიერ განხორციელებული აქტი მათ წინააღმდეგ მიმართული კი არ არის, არამედ პირიქით — გვინდა, მათაც ხელთ ჰქონდეთ ფაქტი, თუ რას აშუქებენ ჟურნალისტიები და ვისაც პრობლემის გადაჭრა ევალება, იმოქმედოს.

— ჟურნალისტიების მიერ მომზადებულ მასალებს შორის ძლიერი კონკურენცია იყო?

— პროექტში მონაწილე ჟურნალისტებიც კონკურსის წესით შევარჩიეთ. ვცდილობთ, ისინი მოქმედი ჟურნალისტები იყვნენ, რადგან გვინდა, გარანტირებულად ვიცოდეთ, რომ მომზადებული მასალები გამოქვეყნდება. პროექტში დაახლოებით 17 ჟურნალისტი მონაწილეობდა. თითოეულმა 5-6 სტატია მოამზადა. რა თქმა უნდა, კონკურენცია არსებობდა, რადგან განსხვავებული „ხელნერა“ აქვთ. ვცდილობდით, საუკეთესოები გვეპოვა. კონკურსი ჟურნალისტის შრომის აღნიშვნაც არის, მაგრამ რეალურად, ეს მგონი, ამ ჟურნალისტებისთვისაც „მეასახარისხოვანია“. უბრალოდ, მათ თავიანთი საქმის კეთების ტექნიკური საშუალება მივცით.

— მომზადებული მასალები ვინ შეაფასა?

— იმ ხალხმა, ვინც მედიატურს ორგანიზებას ვუკეთებდით და ჩვენმა რეგიონულმა პარტნიორებმა — არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რადგან მნიშვნელოვანი იყო, თავად რეგიონში მყოფ ადამიანებს გამოეთქვათ აზრი. ამიტომ, როცა



მედიატურის გამარჯვებულები

სამუშაო თემები „შეკვარით“, რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებს გაუფზავნეთ. მედიატურის დროსაც ვაკვირდებოდით, ვინ როგორ მუშაობდა, რამდენად აქტიურობდა... ზოგმა ჟურნალისტმა 1 მასალა მოამზადა, ზოგმა — 7. ბუნებრივია, ჟურნალისტები მხოლოდ მათ მიერ მომზადებული სტატიების რაოდენობით არ შეგვიფასებია — ხარისხიც მნიშვნელოვანი იყო. კარგია, რომ კონკურსში მონაწილეობა ტრადიციად იქცა: საპირიზო ადგილზე გასულ სამეულში შარშანდელი გამარჯვებულიც მოხდა. ჟურნალისტები ნელ-ნელა მხოლოდ ჩვენს კონკურსში მონაწილეობას კი არ ეჩვენებენ, არამედ პრობლემების გაშუქებით უფრო აქტიურად ინტერესდებიან და მედიატურის ტრადიციული მონაწილეები ხდებიან. იმედია, ეს ჯგუფი გაფართოვდება და კონკურენციაც გაიზრდება, რაც პირდაპირ ხარისხზე აისახება.

**მედიისტიკა** **მედიისტიკის**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, აღწობა, ნაზირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლო შარდვა, წვატკივლი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა ვირუსული და მიკრობული ინფექციებისაგან, ასევე ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისაგან გათავისუფლება, დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, წერტილი სისტებს მოწესრიგება, ნევროზი, უძლიერა, აგრესია, შიშობა, ავიატები, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოწესრიგება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უფასოა, ანონიმურობა და შედეგები გარანტირებულია.

**მელ: 555 60-67-29 ქიქიძე ქვიძი**  
**210-14-90 (ოფისი)**  
**მის: დ. აღმაშენებლის №154 (მედიკალი)**



ვცდილობთ, ჟურნალისტები ადგილზე ჩავიყვანოთ, პრობლემები ვაჩვენოთ...

— როგორც ვიცი, მეორე და მესამე ადგილები გაიყო, პრიზები კი არ გაყოფილა...

— დიახ, გამარჯვებულს „არ ვეხებით“ ხოლმე. ჩვენ ხომ ჟურნალისტებს სახელმწიფო ფილდოებს არ ვაძლევთ?! საპრიზო თანხები სიმბოლურია. რთულია, უპირატესობა ერთს მიანიჭო. ამიტომ ვცდილობდით, კარგი სტატიების ყველა ავტორის წვლილი მაქსიმალურად აღგვენიშნა. საპრიზო თანხა ისეთი დიდი არ იყო, რომ გაგვეყო.

— ჟურნალისტებს თქვენს კონკურსში მონაწილეობა როგორ შეუძლიათ?

— როცა კონკურსს ვაცხადებთ, საკუთარი გამოცდილების დამადასტურებელ ინფორმაციას გვანვდიან. არავის ვზღუდავთ. ვცდილობთ, პროექტში ყველა ჩავართოთ. 15 მონაწილე იქნება თუ — 17, ჩვენთვის ეს დიდი პრობლემა არ არის, პირიქით — რაც უფრო მეტი ჟურნალისტი გააშუქებს, უკეთესია. მედიატურის შემდეგ, საკონკურსო მასალის გამოქვეყნებისთვის მონაწილეებს გარკვეულ დროს ვაძლევთ და ვაფასებთ. სხვათა შორის, ჟურნალისტებს შარშან ბევრად მეტი თემა დაავახვედრეთ — გესურდა, ყველაფერი ენახათ. შემდეგ ცოტათი გვისაყვედურეს, რადგან მათ მუშაობისთვის დრო სჭირდებოდათ. ნელს ეს გავითვალისწინეთ: ახალი, საინტერესო, „მსხვილი“ თემები უფრო „ფოკუსირებულად“ შევარჩიეთ — ვეცადეთ, ნაკლები თემა და მეტი სამუშაო დრო ჰქონოდათ. ნელ-ნელა ტექნიკური პროცესიც იხვეწება.

— მედიატურის მონაწილეებმა პრობლემები რამდენად საინტერესოდ გააშუქეს?

— ძალიან საინტერესოდ! ეს ადამიანები პროფესიონალები არიან. უბრალოდ, პრობლემა ის გახლავთ, რომ თავად მედია ინფორმაციის მოპოვებას ნაკლებად ცდილობს. მათი საქმიანობა სხვის მიერ ჩამოყალიბებული „დღის წესრიგის“ ნაწილი ხდება ანუ — პოლი-

ტიკური კლასი რასაც კარნახობს, იმ „ნიუსზე“ „მიბმული“ და მიაჩნია, რომ თუ ამა თუ იმ „ნიუსს“ არ გააშუქებს, ამის გაკეთებას სხვა დაასწრებს, თავად კი — „ჩამორჩება“. არადა, თუკი კრეატიული იქნები და თემების მოპოვებას ეცდები, არ ჩამორჩები. რეგიონებში ცენტრალური მედიისთვის



მათ მხოლოდ თემას ვთავაზობთ. ისინი ამ ინფორმაციას როგორ დაამუშავებენ და ინტერვიუს ვისთან ჩაწერენ, ბუნებრივია, ეს მათი პრეროგატივაა

უზარმაზარი აუთვისებელი სივრცეა. — რამდენი ხანია, რაც „სამოქალაქო გაერთიანების სააგენტო“ — „სიდა“ არსებობს?

— 10 წელზე მეტია. საქმიანობა ნელ-ნელა გავაფართოეთ. თავდაპირველად, მხოლოდ რუსთაველაში ვმუშაობდით, შემდეგ — ქვემო ქართლი მოვიცავით, ჯავახეთი... დღეს უკვე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ვართ და ევროკავშირთან ერთად, მიგრაციის სფეროში ვმუშაობთ. პრობაციონერების ინტეგრაციის საკითხზე წელიწადზე მეტხანს ვიმუშავეთ. USAID-ის ერთ-ერთ პროგრამასთან ერთად, ქვემო ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში, სიღარბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანებს ვეხმარებით: ხალხის საჭიროების იდენტიფიცირება მოვახდინეთ, დასაქმება წავახალისეთ ანუ — მოსახლეობას ე.წ. „საარსებო პაკეტებს“ ვაძლევთ: ფუტკრების „ოჯახებს“, ხელის ტრაქტორებს, ნერგებს ვურიგებთ, რომ შემოსავალი გაიზარდონ და სიღარიბეს თავი დააღწიონ. ასევე, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის იმ მუნიციპალიტეტებში ვმუშაობთ, რომლებიც სომხეთს ესაზღვრება...

— თქვენი პროექტებიდან ყველაზე მასშტაბური რომელია?

— მასშტაბურად, ბიუჯეტურად ყველაზე დიდი მაინც მიგრაციის პროექტია: საქართველოში 5 რეგიონში ვმუშაობთ. თურქეთი და საბერძნეთი „ავირჩიეთ“ იმ ქვეყნებად, სადაც საქართველოდან ყველაზე დიდი მიგრაციაა. ჩვენი წარმომადგენლები იქაც გვყავს. აქ მყოფ მოსახლეობას ვაცნობთ, ამ 2

ქვეყანაში არალეგალურად წასვლა რისკებთანაა დაკავშირებული და გამგზავრება ლეგალურად როგორ უნდა მოხდეს. ვცდილობთ, ის მაინც იცოდნენ, გამგზავრების შემთხვევაში, თუ როგორ გარემოში მოხვედებიან. საზღვარგარეთ მყოფ ჩვენს მოქალაქეებს საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებას ვუწვევთ. ვებგვერდიც — migrant.ge გვაქვს და შეუძლიათ, „სკაიპით“, ტელეფონით, „ფეისბუქით“, „იმეილით“ დაგვიკავშირდნენ. გვაცნობენ, რა პრობლემა აქვთ, ჩვენ კი ვცდილობთ, იურიდიულად მოვუვგაროთ.

— დახმარების მსურველები აქტიურები?

— საკმაოდ. საერთოდ, ეს პრობლემა არსებობს: არალეგალი რაც უნდა ცუდად იყოს, ცდილობს, არ გამოჩნდეს. ემინია, კანონმდებლობით რაიმეს ხომ არ მიუსჯიან. მათი ნდობის მოპოვება იოლი არ არის...

— არალეგალებს ერთგვარ „დათურ სამსახურს“ ხომ არ უწვევთ?

— არა. ვთქვათ, არალეგალი საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა და დააკავეს. მისი ახლობელი გვეკონტაქტება და გვეკითხება, — დაკავებულმა თავი როგორ დაიხსნასო? ჩვენი იურისტებს ვთავაზობთ და ადამიანის დახსნას ვცდილობთ. მაგალითად, ერთი პიროვნება გვეკითხება, — არალეგალი ვარ, საქართველოში გამომგზავრებას ვაპირებ, ფული რომ წამოვიღო, არალეგალობის გამო, გზაში ხომ არ ჩამომართმევენო?... იმდენი ნიუანსია, ვერ წარმოადგენთ! ხალხს არალეგალურად ცხოვრებაში ხელს არ ვუწყობთ, პირიქით — საბერძნეთში 1-ლი ივლისიდან, ამოქმედდება კანონი, რომლის მიხედვითაც, თუკი ქვეყანაში 3 წელი მაინც იცხოვრებ, შენი იქ ყოფნის ლეგალიზება შეგიძლია. ამას კონკრეტული პროცედურების გავლა სჭირდება. ახლა ვეცდებით, საბერძნეთში მყოფ ჩვენს მოქალაქეებს კანონით გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში დავეხმაროთ.



გამარჯვებულს „არ ვეხებით“ ხოლმე



# „ველარ შეჰკლეზ, მკვლელის სახელი ვატარო“

ნოდარ გვიჩიანი უკრაინაში ხელახალ დაკითხვას და მისი სიცოცხლის დაცვას ითხოვს

„ნოდარ გვიჩიანი შიშობს, რომ მერაბიშვილი და კოდუა მის ლიკვიდაციას აპირებენ“

თბილისის სააპელაციო სასამართლო უვადო პატიმრობაში მყოფი გია გვიჩიანისა და ნიკა ჩემიას საქმეს განიხილავს და სავარაუდოდ, 17 ივნისს საბოლოო ვერდიქტს გამოიტანს. მათ „თელასის“ მენეჯერ ნიკა ლომინაძის მკვლელობაში ედება ბრალი. ნიკა ლომინაძე 2002 წლის 13 აგვისტოს საკუთარ სახლში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იპოვეს. 2006 წლის მარტში მკვლელობა გახსნილად გამოცხადდა და დანაშაულის დამკვეთად გამოძიებამ „თბილგაზის“ ყოფილი დირექტორი გია გვიჩიანი ცნო, მკვლელობის შემსრულებლებად კი — ნიკა ჩემია, ავთანდილ ხერკილაძე, გიორგი პაპაჩაშვილი და ნოდარ გვიჩიანი (პაპაჩაშვილსა და გვიჩიანს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ, ხერკილაძე კი ამასობაში ციხეში გარდაიცვალა).

შარშან პროკურატურამ ლომინაძის მკვლელობა გაუხსნელად გამოაცხადა და მისი გადამონშების ვალდებულება აიღო. ჩვენ სამუდამო პატიმრობამისჯილი ნიკა ჩემია დაგვიკავშირდა და საქმეში არსებულ ახალ დეტალებზე გვესაუბრა:


## ნანა ფისხალაური

— მე და გია გვიჩიანი მე-9 წელია, უკანონოდ ვიმყოფებით უვადო პატიმრობაში და უსამართლოდ ვატარებთ ბინძურ ადამიანების — სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადვიშვილისა და კოდუას მიერ მიკერებულ იარაღებს. ამ „კვარტეტს“ დღეს პროკურატურა კრიმინალურად აცხადებს, ხოლო მათ მიერ შეთხზულ საქმეს კი ბრმად და უარგუმენტოდ თვლის კანონიერად. ჩვენი საქმის ყოფილ პროკურორს ანზორ ხვადაგიანს, ჩემი წამების არაერთგზის შეკვეთასა და ნარკორეალიზატორ ნოდარ გვიჩიანის აშკარა მფარველობაზე რომ არაფერი ვთქვა, 50-ზე მეტი დაზარალებული ჰყავს ბინების აფერის გამო. იმის მაგივრად, რომ დღეს ბრალდების მხარემ ხელი შეგვიწყო იმაში, რომ სასამართლომ დეტალურად გამოიკვლიოს ყველა ნიუანსი, დანაშაული ე.წ. მოწმედ ქცეული ბრალდებულების ჩვენებებიდან, განაჩენის არგუმენტაციით დამთავრებული, ამ საქმით დაინტერესებულ პირთა დაკვეთით ცდილობენ, ისე დაგვეტოვონ უვადო პატიმრობაში. ჩვენი სიკვდილი თუ უნდათ, პირდაპირ დაგვხვრიტონ, მაინც საბჭოთა კავშირის დროინდელი, 1937-იანი წლების პროკურორ ვიმინსკის მეთოდებით გვებრძვიან. თუნდაც ე.წ. მოწმედ ქცეული ბრალდებულების — ნოდარ გვიჩიანისა და გიორგი პაპაჩაშვილის აღიარებით ჩვენებებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ჩვენ უდანაშაულოები ვართ. გვიჩიანი და პაპაჩაშვილი ამ საქმეზე დაკითხვას რა ხანია ითხოვენ, რადგან მათი თქმით, წინა რეჟიმის დროს ზენოლისა და მოსყიდვის გამო მისცეს ცრუ ჩვენებები. მათ განაცხადებით მიმართეს პროკურატურას და შიშობენ, რომ ამ ინფორმაციის

გამჟღავნების შემდეგ მათ სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება ყოფილი ძალოვანი მალაჩინოსნების მხრიდან.

— თქვენს წინააღმდეგ სამმა ადამიანმა მისცა ჩვენება და გია გვიჩიანი ნიკა ლომინაძის მკვლელობის შეკვეთაში, თქვენ კი მკვლელობის შესრულებაში დაგადანაშაულდათ. ამბობთ, რომ მათ ჩვენების შეცვლა სურთ. იქნებ დააკონკრეტოთ, რა იცით, ახლა რის თქმას აპირებენ ნოდარ გვიჩიანი და გიორგი პაპაჩაშვილი?

— დავინყოთ იმით, რომ ნოდარ გვიჩიანი აცხადებდა, რომ ის და გია გვიჩიანი არიან ბიძაშვილები, რაც ტყუილია. მისმა ნათესავებმა სოფელ ლატალიდან დაადასტურეს, რომ ეს არის სიცრუე (ამაზე ვახო კომახიძის ფილმიც ჰყვებიან). მთელი საქმე აწყობილია იმაზე, თითქოს მე და ნოდარ გვიჩიანს (როგორც მე და გია გვიჩიანს შორის შუამავალს) ინტენსიური შეხვედრები და სატელეფონო კონტაქტი გვქონდა. ის ხელს მადებს, მაგრამ არ იცის, რა ნომრიდან ვურეკავდი (ვერც საკუთარ ნომერს ასახელებს). იმავეს ამბობს გიაზეც. ბრალდების მხარემ „თელასში“ ჩაატარა გამოძიება, რათა გაერკვია, მართლა იმყოფებოდა თუ არა გიასთან ნოდარ გვიჩიანი, მაგრამ ვერც საშვი და ვერც სატელეფონო ზარები ვერ აღმოაჩინეს. ავთანდილ ხერკილაძე, რომელიც ციხეში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა, ნამდვილად ვიცი, რომ ცუდად გახდა და რამდენიმე საათის გარდაცვლილი იყო, როცა მასთან ექიმი მიიყვანეს. მისი ოჯახი ისეთი დაშინებულია, ამაზე ლაპარაკიც არ უნდა. ჩვენ ერთად გაგვიტაცეს ორთაჭალის მე-5 იზოლაციონიდან სპეცკორპუსში, სადაც ხვადაგიანის ბრძანებით, ერთი თვე, ფაქტობრივად, მკლავდნენ, მანამდე



ნიკა ლომინაძე

იმისთვის, რომ მკვლელობა მეღიარებინა. ვეუბნებოდი, რომც მომკლათ, კილერობას არ დავიბრალებ-მეთქი, რაზეც ხვადაგიანმა პირდაპირ მითხრა, ეტყობა, კარგად ვერ „დაგამუშავეს“. შვილები მეზრდებოდა და კილერის იარაღი როგორ უნდა მიმეკრებინა?! ორი ვითომ „პადელნიკი“ ერთ საკანში ვყავდით და როცა მაგრად მცემდნენ, სანამ დანესებულების უფროსი თამაზ მელაძე არ ეტყოდა, გეყოფათო, არ მეშვებოდნენ, გასვლის წინ 1-2-ს ხერკილაძესაც წაუთაქებდნენ ხოლმე. მეორე „მოწმემ“, გია პაპაჩაშვილმა ოფიციალურად მიმართა სასამართლოს, — გთხოვთ, დამკითხოთ, ვინაიდან გვიჩიანისა და ჩემიას წინააღმდეგ ცრუ ჩვენებები მივეციო. ნოდარ გვიჩიანს რაც შეეხება, იგი უკრაინაში იხდის სასჯელს (გია დევდარიანის სახელით). ის ტელეფონით დაუკავშირდა გიას ძმას, ლევანს და პროკურატურისგან ითხოვს, ჩავიდნენ და დაჰკითხოთ. მას აქვს შიში, რომ მერაბიშვილისა და კოდუასგან შურისძიება ემუქრება, ამბობს, მოკვლას მიპირებენ, ჩამოდიოთ და დამიცავითო. რა, გაუჭირდებათ იმ ნაძირალებს, ვინმეს ფული გადაუხადონ და გვიჩიანი ციხეში მოაკვლევინონ? ის ამბობს, პირადად მერაბიშვილმა და კოდუამ მაიძულეს ასეთი ჩვენების მიცემაო. ვფიქრობ, ნიკა ლომინაძის მკვლელობაში

გაბრძქვება იხ. 83. 70



# ეპოციური მსახიობი და მგზავრობა თოვლის ბაბუასთან ერთად

„სიყვარული ორი ადამიანის შეგრძნებების გადაკვეთა“



**დაოჯახების გადაწყვეტილება გაცნობიდან 5 თვეში მივიღეთ**

## თაშუნა კვინიკაძე

— **დაბადების თარიღი...**  
 — ...1990 წლის 18 მარტი.  
 — **რომ არა მსახიობობა...**  
 — ...ჩოგბურთელი გამოვიდოდი. ვერ ვიტყვი, რომ ბავშვობაში ჩოგბურთით გატაცებული ვიყავი, ინტერესი ბოლო დროს უფრო გამიჩნდა. ადრეული ასაკიდანვე, ჭოკით ხტომის გარდა, მგონი, ყველაფერზე დავდიოდი. მსახიობობა რატომ გადავწყვიტე? „ბერიკებში“ დავდიოდი და ამ პროფესიით მაშინ „მოვინამლე“.  
 — **ჩემზე ამბობენ...**  
 — ...უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება, ვიდრე ეკრანზე ჩანსო. სერიალში გრიმით მამბერებენ, თმას მიჭალარავენბენ.  
 — **ცხოვრებას თავიდან რომ ვინცებდე...**

გიორგი ბახუტაშვილი წარმატებული მსახიობია. ფართო საზოგადოებამ ის სერიალიდან — „ჩემი ცოლის დაქალები“ გაიცნო. გიორგის მიერ განსახიერებულმა პოლიტიკოსმა პოპულარობით ლამის ნამდვილი პოლიტიკოსებიც დაჩრდილოს. მიიჩნევენ, რომ მისი, როგორც მსახიობის აღმასვლა, უპირველეს ყოვლისა, საქმისადმი პასუხისმგებლობით მიდგომამ განაპირობა.

გიორგი ახლახან დაოჯახდა. ვინ არის მისი რჩეული, რის გამო საყვედურობენ, როდის კარგავს კონტროლს საკუთარ თავზე, რამ გაურთულა ცხოვრება, ჰყავს თუ არა ფავორიტი პოლიტიკოსი და რა დარიგება მიიღო უფროსი მეგობრისგან? — ამ ყველაფერს მის მიერ დასრულებული წინადადებებიდან შეიტყობთ.

— ...ბევრს არაფერს შევცვლიდი. ბედის უმადური არ ვარ. მგონია, ფუჭად არ მიცხოვრია, თან — მიმართლებდა. ვმუშაობ თეატრში, ვთამაშობ სერიალში, წინ კიდევ სხვა გეგმები მაქვს. მიმაჩნია, რომ წარმატება საქმისადმი სერიოზულმა მიდგომამ განაპირობა. სტუდენტობის დროს მაქსიმალურად ვცდილობდი, კარგად მესწავლა, პირადი ცხოვრება და გართობა კი მეორეხარისხოვანი იყო.

— **ჩემს წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის...**

— ...ჩემს მეუღლეს, თაკო შოშიაშვილს. ყოველთვის მეგონა, რომ საქმეში სტიმულის მომცემი ადამიანი არ დამჭირდებოდა; გავაკეთებდი იმას, რაც შემეძლო და რაც არ შემეძლო, იმასაც ვაღიარებდი. როცა ჩემს ცხოვრებაში თაკო შემოვიდა, ყველაფერი შეიცვალა. სერიალის გმირზე მუშაობისას, რეპეტიციებსაც ერთად გავდიოდით, ტექსტს ერთად ვსწავლობდით... ახლა მეტი პასუხისმგებლობა დამეკისრა, თაკო კი ყველანაირად ხელს მინყობს.

— **ჩემს ცხოვრებაში რომანტიზმი...**

— ...ზომიერი დოზითაა. არ ვფიქრობ, რომ „ფლეშმობი“ და ფანჯრების წინ გულების დანთებაა რომანტიკა.

— **ჩემი რომანტიკა...**

— ...ურთიერთობის იმ დეტალებში გამოიხატება, რომელიც მხოლოდ მე და თაკოს გვეხება და რომელზე ლაპარაკიც რთულია. ჩვენი ურთიერთობები დეტალებისგან შედგება და მე სწორედ ამ შეგრძნებებს ვაქცევ ყურადღებას. ერთ დღეს ცოტათი ნასვამი ვიყავი და ტაქსით ჩემი ხელით გაკეთებული თოვლის ბაბუა მივუტანე. ეს მანამდე იყო, ვიდრე დავოჯახდებოდი. ტაქსი რომ გავაჩერე, მძღოლს ვუთხარი: მარტო არ მოვდივარ, ეს თოვლის ბაბუაც უნდა „ჩავსვა“ და გათბობა გათიშე-მეთქი. — დაჯექი, დაჯექი და რომ არ დადნეს, კონდიციონერსაც ჩაგირთავო.

— **ბედნიერი ვარ, რომ...**

— ...მეორე ნახევარი ვიპოვე. ალბათ გასმენია ასეთი ლეგენდა: ღმერთი ადამიანებზე გაბრაზდა და ორ

**პოლიტიკა ინტრიგების სფეროა და, რა თქმა უნდა, იქ დიდი დოზითაა თამაში; ოჯახშიც და საყვარელთანაც თამაშობს**





ნაწილად გაყო. მას შემდეგ დადის ადამიანი და თავის მეორე ნახევარს დაედებს. საბედნიეროდ, მე ის ვიპოვე და გავმთლიანდი. თავის გარეშე სიცოცხლე ვეღარ წარმომიდგენია. ბედნიერი ვარ, რომ კარიერაშიც რეალიზებული ვარ.

**— სერიალში ჩემი პოლიტიკოსი გმირი...**

— ...ცოტნე მეცოდება. ადამიანი, რომელიც ტყუილში ცხოვრებას ირჩევს, ღირსია, ცხოვრება თავზე დაენგრეს. სადაც კი ტრიალებს, ვერც ერთ წრეში ნამდვილ სახეს ვერ აჩვენებს. პოლიტიკა ინტრიგების სფეროა და, რა თქმა უნდა, იქ დიდი დოზითაა თამაში; ოჯახშიც და საყვარელთანაც თამაშობს. ცოტნეს ნამდვილი სახე მაყურებელს მაშინ შეუძლია ნახოს, როცა მარტო რჩება. ჩემი გმირისგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანი ვარ.

**— გმირს ხშირად, პერსონაჟთან აიგივებენ. მახსოვს, ლევან ყოჩიაშვილს ერჩუბებოდნენ, — ცოლს რატომ ღალატობო? მსგავსი ამბები შენც ხომ არ გადაგხდენია?**

— არა, ჩემი გმირის საქციელის გამო ჯერ არავის გავუკიცხავვარ. უმეტესად, პროფესიული რჩევები მიმიღია... თეატრალურში პირველსავე ლექციაზე გასწავლიან, ადამიანების ქცევებს დააკვირდე. ჩემი გმირი რომელიმე პოლიტიკოსის პროტოტიპი არ არის, ეს ამ სფეროს წარმომადგენლების კრებითი სახეა. პოლიტიკაში ნაკლებად ვერკვევი.

**— ფავორიტი პოლიტიკოსი...**

— ...არ მყავს.

**— თვისება, რომელიც ჩემში ყველაზე მეტად მომწონს...**

— ...შემიძლია, ადამიანს ყველაფერი გავუგო, გარდა უპასუხისმგებლობისა. ამავე დროს, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია გულწრფელობა.

**— თვისება, რომელიც არ მომწონს და ვცდილობ, გამოვასწორო...**

— ...ცოტათი გამირთულა ცხოვრება იმან, რომ ყველაფერს ემოციურად აღვიქვამ. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს არ მომწონს. მხოლოდ გაბრაზებული ვამბობ ხოლმე: რაღაცების გატარება უნდა ვისწავლო-მეთქი, მაგრამ გულგრილობა არ შემიძლია.

**— წონასწორობიდან ჩემი გამოყვანა შეუძლია...**

— ...უსამართლობას. ასეთ დროს უკონტროლო ვხდები.

**— დათმობა შემიძლია, თუ...**

— ...საქციელი ჩემს მორალს არ ეწინააღმდეგება. პრინციპებისთვის არასდროს მიღალატია. მიმაჩნია, რომ

ერთ ადამიანს სხვა პიროვნებებისგან სწორედ მორალური პრინციპები და შეხედულებები განასხვავებს, ეს მისი ინდივიდუალიზმია. მიმაჩნია, რომ ინდივიდუალიზმი არ უნდა დაკარგოს.

**— ამ წუთში ძალიან მინდა ვიყო...**

— ...სახლში.

**— ცხოვრებას ვილამაზებ...**

— ...ცხოვრებას ისედაც ძალიან ლამაზ ფერებში ვხედავ, მიუხედავად იმისა, რომ პრობლემებიც მქონია. ყოველთვის ვიცოდი, რა, სად „იღო“, მივდიოდი და ვიღებდი. მერე რა, რომ მიზნის მისაღწევად ხშირად, რთული გზის გავლა მინევდა?! ადრეც ვამბობდი და დღესაც ამ აზრზე ვარ: უკვალოდ არაფერი იკარგება. მთავარია, მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება შეგეძლოს.

**— ყოველთვის შეუძლია კარგ ხასიათზე დამაყენოს...**

— ...მეუღლის ღიმილმა. მასზე ბევრს ვლაპარაკობ? — ურთიერთობაში დეტალებზე ვამახვილებ ყურადღებას, მიღებული შეგრძნებები კი ჩემს მეხსიერებაში იღექება. თავი ის ადამიანია, ვისაც უსიტყვოდაც ესმის ჩემი. მასზე ზრუნვა კარგ ხასიათზე მაყენებს.

**— სიყვარული ეს...**

— ...ორი ადამიანის შეგრძნებების ძალიან ზუსტი გადაკვეთაა. იდეალურია, როცა შეგრძნებებში თანამოზრეები არიან.

**— როცა საჯაროდ მაქებენ...**

— ...ვნიტლდები, მაგრამ სულ გრიმი „მაღვეს“ და არ მემჩნევა. ასეთ დროს უხერხულობას ვგრძნობ. რა თქმა უნდა, ეს სასიამოვნოც არის და ხშირად, სტიმულის მომცემიც. სიამოვნების განცდა მას მერე მოდის, როცა უხერხულობა გაივლის.

**— ხშირად მსაყვედურობენ...**

— ...დაგვიანების გამო. არაპუნქტუალური არ ვარ, მაგრამ ერთდროულად იმდენი საქმის კეთება მიწევს, რომ უნებურად მაგვიანდება.

**— რეჟისორი, რომელთანაც სიამოვნებით ვითანამშრომლებდი...**

— ...პედაგოგი და რეჟისორი იყო გოგი თოდაძე. დღეს, როგორც მსახიობი, რამეს თუ წარმოვადგენ, ეს მისი დამსახურებაა. თეატრში დათო დოიაშვილთან ვმუშაობ. დათოსთან მუშაობა შემოქმედებითი კათარზისია. საერთოდ, ძალიან ადვილია მუშაობა იმ ადამიანთან ერთად, რომელსაც საკუთარი საქმე უყვარს და ეს ფაქტორი ნებისმიერ სამუშაო პროცესში მნიშვნელოვანია.

**— ცხოვრებაში რისკზე...**

— ...ხშირად მივიღივარ.  
— ჩემი ინტუიცია...  
— ...კარგი ინტუიცია მაქვს და ამას ჩემ გარშემო მყოფი ადამიანებიც აღნიშნავენ.

**— ვიბნევი, როცა...**

— ...ჩემს შეგრძნებებზე ვლაპარაკობ, მით უმეტეს — საჯაროდ. ამის უფლებას საკუთარ თავს ხშირად (მეგობრების გარემოცვაშიც კი) არ ვაძლევ. ასევე ვიბნევი, როცა მაქებენ.

**— დარიგება, რომელიც არასდროს დამავინწყდება...**

— ...ნლების წინ უფროსმა მეგობარმა მითხრა: შეიძლება, შენს ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდეს, მთავარია, არ დაიბოლო, ბოლმა ყველაზე დიდი ბოროტებააო. ის ადამიანი ახლა 50



შეიძლება, შენს ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდეს, მთავარია, არ დაიბოლო, ბოლმა ყველაზე დიდი ბოროტებააო

წლის არის და 18 წლის ასაკიდან ეტლში ზის. სულ ვცდილობდი, სწორი გზით მევლო და სწორი ფასეულობები მქონოდა. მისი სიტყვები ჩემს გონებაში ჩაიბეჭდა და ხშირად მახსენებს თავს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავადაც ამ დევიზით ცხოვრობს.

— დაბოლოს, გეტყვი...  
— ...ვიყოთ გულწრფელები და ფასეულობებს ნუ დავკარგავთ.



# „გაბუნია სტეფანეს ეპრანჭება“

ანუ „ქალადობის მსხვერპლი“ ქალის თამაგი „პოსტი“

მხიარულ, ენერგიულ მსახიობსა და რადიონამცევანს — ნინო შავბუღიძეს ტელემეაყურებელი კომედიური როლებით იცნობს. ახლახან ნინომ ანრი ჯოხაძის კლიპში ქალადობის მსხვერპლი ქალი ეფექტურად განასახიერა.

## ეთო ყოვლანაყოფილი

— კლიპი ექსტრემალურ სიტუაციაში გადავიღეთ: თეატრში რეპეტიციიდან „მომხსნეს“, გადასაღებ მოედანზე მიმიყვანეს, 1 საათში გადამიღეს და ისევ რეპეტიციაზე დამაბრუნეს. სხვა კლიპში მონაწილეობა არასოდეს მიმიღია. ანრისთან ვმეგობრობ. მან მთხოვა, — ასეთი პერსონაჟის „გაკეთება“ მინდა და იქნებ დამეხმარო.

— შემოთავაზებულმა როლმა არ გაგაკვირვა?

— არა. ანრი სპექტაკლებს ესწრება ხოლმე და ალბათ, ჩემი შესაძლებლობების შესახებ იცოდა.

— სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებელი ხარ?

— სმარტფონმა და „ფეისბუქის“ მიერ შემოთავაზებულმა აპლიკაციებმა „დამლუბა“: სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებელი გავხდი. შემიძლია, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას ქსელი ჩართული მქონდეს. თუმცა, ისე არ გამოვიყენებ, თითქოს გამუდმებით კომპიუტერთან ვზივარ ან მობილურ ტელეფონს ვუკირკიტებ, ამისთვის არც მცალია და თან, ფიქრობ, ყველაფერი კარგია მხოლოდ მაშინ, როცა დოზირებულია.

— პირველად როდის და რომელ სოციალურ ქსელში დარეგისტრირდი?

— დაახლოებით 2006 წელს, „მაის-პეისზე“ დავრეგისტრირდი. ამჟამად

„ფეისბუქზე“ ვაქტიურობ.

— სოციალურ ქსელში შენს ყურადღებას რა სახის ინფორმაცია იპყრობს?

— ახალ ამბებს ვადევნებ თვალყურს, პოლიტიკაში „დადავარდნილი“ ვარ. როცა ტელევიზორში საინფორმაციო გამოშვების ნახვას ვერ ვასწრებ, საჭირო ინფორმაციის მისაღებად სოციალურ ქსელს ვსტუმრობ. ასევე, ჩემთვის საინტერესო ადამიანების მიერ გაზიარებულ სხვადასხვა სიახლეს ვეცნობი, რომელიც შესაძლოა, ადრე გაგონილიც არ მქონდა. ჩემს ყურადღებას სასურველი მუსიკაც იპყრობს... მოკლედ, „ფეისბუქით“ უამრავ სიახლეს ვიგებ.

— პოლიტიკური შინაარსის სტატუსებს თუ წერ?

— არასოდეს. მიმაჩნია, რომ ყველას „თავისი სიმართლე“ აქვს. მე ვიცი, „ჩემი სიმართლე“ რაც არის, მაგრამ ამის შესახებ სოციალურ ქსელში დანერის სურვილი არასოდეს გამჩენია.

— ავტობიომის საჭესთან მჯდომს „ფეისბუქით“ გისარგებლია?

— იშვიათად.

— რა უნდა მოხდეს, რომ ასე მოიქცე?

— დიდ „საცობში“ უნდა „გავიჭედო“. ასეთ დროს, უსაქმურობის გამო, სოციალურ ქსელში „შევიძვრები“ და რაღაცებს თვალს გადავავლებ.

— შენი სახელობის „ფეიჯზე“ გამოქვეყნებულ „პოსტებს“ ეცნობი?

— კი. ასეთი გვერდები ჩემმა უსაყვარლესმა პატარა მეგობრებმა შექმნეს. თქვენი ჟურნალის მეშვეობით, მათ მადლობას ვუხდით. ძალიან გულთბილი ადამიანები არიან და „ფეიჯზე“ აქტიურობას მთხოვენ.

— უცნობებს იმეგობრებ და ეკონტაქტები?

— აბსოლუტურად ყველას ვიმეგობრებ — დასამალი არაფერი მაქვს. „სამეგობროში“ რაც უფრო მეტი ადამიანი გყავს, სოციალური ქსელის „ნიუსფიდი“ უფრო საინტერესოა, უფრო მეტ სიახლეს იგებ... როცა უცხოები მწერენ და ჩემ მიმართ სიმპათიას გამოხატავენ, არ არსებობს, მათ არ ვუპასუხო. ადამიანს გულთბილი



სმარტფონმა და „ფეისბუქის“ მიერ შემოთავაზებულმა აპლიკაციებმა „დამლუბა“

სიტყვებისთვის მადლობა რა უფლებით არ გადავუხადო?

— „ფრენდმა“ ისეთი რა უნდა დანეროს, რომ ის მეგობრების სიიდან წაშალო?

— მსგავსი შემთხვევა არასოდეს მქონია. სხვისი აზრის პატივისცემა უნდა ვისწავლოთ და გავაანალიზოთ, რომ ყველა ერთნაირად ვერ იაზროვნებს; ინდივიდუალურები ვართ და უფლება გვაქვს, სოციალურ ქსელში, ჩვენს პირად გვერდზე ის დავენოთ, რაც გვსურს.

— რომანტიკულ წერილებს გიგზავნიან?

— არა.

— გვატყუებ?

— (იცინის) არა. სიმპათიის გამოხატვას „რომანტიკულ წერილს“ ვერ დავარქმევ. მაგალითად, ადამიანები მწერენ, რომ ჩემი „სკეტჩები“ მოსწონთ, მგულშემატიკვირობენ...

— ვინმესთან ინტერნეტნაცნობობა რეალურ მეგობრობაში გადაზრდილა?

— ყოფილა შემთხვევა, როცა სოციალური ქსელის მეშვეობით გაცნობილი ადამიანი სერიალის — „ჩვენი ამბავი“ ჩანერაზე მოსულა და უთქვამს: ის ვარ, „ფეისბუქზე“ რომ გწერდიო.

— როცა სერიალი — „ჩვენი ამბავი“ გადიოდა, მიკი (მირიან) ჯეჯელავა „ფეისბუქზე“ გწერდა, — ისე არასოდეს მოგექცევი, როგორც გიორგი თამუნას მოექცაო. რას გულისხმობდა? რომანი გაქვთ?

— მე და მიკი დიდი ხნის მეგობრები ვართ. ბევრს ჰგონია, რომ რაღაც „სხვანაირი“ ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ ასე არ არის.



მე და მიკი დიდი ხნის მეგობრები ვართ. ბევრს ჰგონია, რომ რაღაც „სხვანაირი“ ურთიერთობა გვაქვს



# ქერი, როგორც ფულთან ასოცირდება

„ხელფასის სახით თვეში 3.000 ლარს ვიღებდი“

მოდელი და ტელენამყვანი მანიაკა ასათიანი დიდი ხანია, მატერიალურად დამოუკიდებელი ადამიანია და შესაბამისად, იცის ფულის ფასი, მისი ყაირათიანი ხარჯვაც. „გულწრფელად გეტყვი, ფული ჩემთვის პირველხარისხოვანი არ არის, მაგრამ აუცილებელია იმისთვის, რომ მშვიდად ვიცხოვრო და შეილს არაფერი მოვაკლო“, — ამბობს მანიაკა.



სოფო ჭონიჭილი

არარეალური და მიუწვდომელი ოცნებები არ მაქვს

— თუკი მხოლოდ მეგობრები ხართ, მიკიმ თქვენი ურთიერთობა ცოლ-ქმრის ურთიერთობას რატომ შეადარა?

— იმიტომ, რომ ერთ-ერთ ტელევიზიაში გადაცემის ნამყვანები ვიყავით და ერთმანეთს ხუმრობით ასე მივმარტავდით: „ქმარო“, „ცოლო“...

— შეყვარებული არ გყავს?

— არა.

— „სელფომანიით“ „შეპყრობილი“ ხომ არ ხარ?

— არა! ერთხელ „სელფი“ რომ გამოვაქვეყნე, მეორე დღეს მთელმა სამეგობრომ მომწერა, — ნინო, შენც დაინყე? სელფი „ფეისბუკიდან“ ახლავე მოაშორეო! გადავწყვიტე, რომ „სელფოტები“ საერთოდ აღარ გადამეღო (იცინის). ისე, ფოტოების გადაღება ყოველთვის მეზარება — მნიშვნელობა არ აქვს, სად ვიმყოფები. ხომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ღირსშესანიშნავ ადგილებს სურათებს უღებენ? პირადად მე, ფოტოების გადაღებას ყოველთვის სანახაობით ტკობა მირჩევნია.

— ინტერნეტში შენს ინტერვიუებთან დაკავშირებულ და საერთოდ, შენ შესახებ გამოქვეყნებულ კომენტარებს კითხულობ?

— რა თქმა უნდა. ახლაც, TV11-ის ოფიციალურ გვერდს ხშირად ვათვალიერებ და გადაცემისა თუ „სკეტჩების“ შესახებ კომენტარებს ვეცნობი.

— ძირითადად, როგორი შეფასება ქაზრობს?

— კარგი (იცინის), მაგრამ იშვიათად ნეგატიური კომენტარებიც მხვდება. ყველა „კრიტიკოსი“ გახდა, ერთმანეთს ლანძღავენ... ახლა რადიკალურად განსხვავებული აზრის ქონაა მოდელი. ადამიანს რომ ცეთანხმებოდნენ, მაინც სხვა რაღაც უნდა დაწერონ. ეს ცოტა არ იყოს, გამაღიზიანებელია.

— ამას წინათ შენი „პოსტი“ ვნახე: გენერა, — გიორგი გაბუნია სტეფანეს ეპრანჭებო. რას გულისხმობდი?

— ვაიშე!.. აი, ამიტომაც არის, რომ მსგავსი არაფერი უნდა დაწერო (იცინის)... უბრალოდ, ერთ-ერთ გადაცემას ვუყურებდი. სასაცილო დუეტი იყო, მაგრამ ალბათ ეს შოუს ნაწილი გახლდათ. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ძალიან ვიხალისე. ჰოდა, ის „პოსტი“ ხუმრობით დავწერე. ორივეს დიდ პატივს ვცემ, მაგარი ადამიანები არიან.

— შენს განწყობილებაზე „ლაიქების“ რაოდენობა მოქმედებს?

— რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა „ლაიქების“ რაოდენობა მომატებულია. ალბათ ეს ყველა ადამიანს ახარებს.

— ყველა დედის ოცნებაა, რომ მის შვილს ჰქონდეს ის, რაც ბავშვის აღზრდისთვის აუცილებელია, ამისთვის კი მატერიალური სტაბილურობაა საჭირო.

— შენთვის ფული რომელ გემრიელ საჭმელთან ასოცირდება?

— (ფიქრობს) „სუში“ მიყვარს ძალიან. მიმაჩნია, რომ საოცრად გემრიელი კერძია. ჰოდა, ფულის გემოს „სუშის“ შევადარებ.

— ფული როდის არის ყველაზე „გემრიელი“?

— ადამიანს გარკვეული თანხა ყოველდღიურად სჭირდება, მაგრამ ხანდახან დგება მომენტი, როცა ფულს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად.

— უფულობის გამო შეიძლება, დეპრესიაში ჩავარდე?

— საერთოდ, დეპრესიული ადამიანი არ ვარ. მიმაჩნია, რომ ყველანაირი სიტუაციიდან არსებობს გამოსავალი, ამისთვის კი საჭიროა, პრობლემა სწორად გააანალიზო. უფულობის გამო დეპრესიაში არ ჩავვარდები, მით უმეტეს, რომ საკმაოდ თავშენაწილი ადამიანი ვარ და ფულს ბოლო თერთამდე არასდროს ვხარჯავ. არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ერთი დღით ცხოვრობენ და მომავალზე არ ფიქრობენ.

— მატერიალურად დამოუკიდებე-

მე რა ასაკიდან ხარ?

— 16 წლიდან უკვე საკუთარი შემოსავალი მაქვს. ფულის ფასი ვიცი და ამიტომაც, მას უდიერად არასოდეს ვეპყრობი. ვაცნობიერებ, რომ თუ არ იშრომე, შემოსავალი არ გექნება და შესაბამისად, ბევრ რაღაცაზე მოგიწევს უარის თქმა.

— თუ გახსოვს, პირველი ხელფასი რა ასაკში და რამდენი იღე?

— 13 წლის ვიყავი, რომ რეჟისორმა გიორგი ოვაშვილმა მოკლემეტრაჟიანი ფილმში გადამიღო. ძალიან მიხაროდა, რომ გადასაღებ მოედანზე აღმოვჩნდი და თან, საკუთარი შრომით გამოშვებული ჰონორარის — 150 ლარის დახარჯვის შესაძლებლობა მომიცა. თუმცა არ მახსოვს, ის თანხა რამი დაუხარჯე.

— ხშირად ოცნებობ?

— საკმაოდ, მაგრამ არარეალური და მიუწვდომელი ოცნებები არ მაქვს. ვფიქრობ, ცხოვრებაში ყველაფრის მიღწევა შეიძლება, მთავარია, მიზანი დაისახო და ბოლომდე იბრძოლო.

— მდიდარი რომ იყო, რას გააკეთებდი?

— არ ვიცი, სიმდიდრე და ჩემთვის სასურველი თანხა რამდენია (იცინის). კონკრეტულ თანხაზე არასდროს ვოცნებობ. უბრალოდ მინდა, იმდენი ფული



მქონდეს, რამდენიც სურვილების ასრულებაში მეყოფა. მიინდა, ჩემ გარშემო ყველა ბედნიერი და გახარებული იყოს; არ იყვნენ გაჭირვებული ადამიანები, რომლებსაც ყოველდღიურად ექმნებათ პურის ფულის შოვნის პრობლემა. ოდესმე თუ გავმდიდრდები, გარანტიას ვიძლევი, რომ მეგობრებსა და ნათესაებს არაფერს გაუუჭირვებ.

**— ფულის შეგროვება გიყვარს?**

— მიყვარს, მაგრამ არ გამომდის. ყველაზე დიდი თანხა, რისი დაგროვებაც შევძელი, 350 ლარი იყო.

**— ფულის ეკონომიურად ხარჯვა თუ შეგიძლია?**

— ეს კარგად გამომდის. ყოველთვის წინასწარ ვსაზღვრავ, რა უნდა შევიძინო და რა — არა. არ ვარ მფლანგველი. თუ ადამიანმა ფულის სწორად ხარჯვა არ იცის, ყოველთვის საწუნუნოდ ექნება საქმე.

**— ყველაზე დიდი გასამრჯელო რამდენი გქონია?**

— ერთი პერიოდი 2 სამსახური მქონდა და საერთო ჯამში, ხელფასის სახით თვეში 3.000 ლარს ვიღებდი. ამას ემატებოდა ჰონორარიც (სხვადასხვა გადაღებაში მონაწილეობისთვის). მოკლედ, ნორმალური შემოსავალი იყო.

**— ალბათ ამიტომაც არ გიჭირს თვიდან თვიმდე ხელფასის განაწილება...**

— ვცდილობ, ეს მოვახერხო (იცინის). თუმცა, ხანდახან მეუღლის დახმარებაც მჭირდება. ის ყველანაირად მხარში მიდგას და ზუსტად ხვდება, რა დროს რა მჭირდება.

**— ოდესმე ისეთი ნივთი ან სამოსი თუ შეგიძინია, რომელიც ვერ გამოიყენე?**



— როგორ არა! ბევრჯერ შემიძენია საკმაოდ ძვირად ღირებული სამოსი და სახლში მისულს აღარ მომწონებია. მიუხედავად იმისა, რომ უსარგებლო ნივთებში ფულის „გადაყრა“ არ მიყვარს, ზოგჯერ ასეთი რაღაცებიც ხდება.

**— ყველაზე დიდი სიამოვნებით ფულს რაში ხარჯავ?**

— ვგიჟდები, როცა ფულს საჩუქრებში ვხარჯავ. მომწონს საყვარელი ადამიანების გახარება და ამ სიამოვნებაზე უარს არასდროს ვამბობ. ფულის ხარჯვა საკუთარი თავისთვისაც არ მენანება. როცა რაღაც მომეწონება, აუცილებლად ვყიდულობ.

**— საფულეში ფულს ხშირად აკონტროლებ?**

— არა, რადგან ისედაც ყოველთვის ვიცი, რა თანხა მაქვს... ფულის ხარჯვა ნამდვილად სასიამოვნო პროცესია და მიინდა, ყველა ადამიანს ჰქონდეს იმის საშუალება, რომ ელემენტარული რაღაცები არ ენატრებოდეს.

**— საბანკო მომსახურებით ხშირად სარგებლობ?**

— საკმაოდ ხშირად ვსარგებლობ, რაც ჩემთვის დიდი კომფორტია.

**— ყველაზე ძვირად ღირებული საჩუქარი რა მიგიღია?**

— ჩემთვის ნებისმიერი საჩუქარი ძვირფასი და სამახსოვროა, მის ფასს კი ყურადღებას არ ვაქცევ. როცა ადამიანი რაღაცას გულით გჩუქნის, ეს უნდა გახარებდეს. ამ მხრივ, პირადად მე, განებივრებული ვარ... რაც შეეხება ყველაზე ძვირად ღირებულ საჩუქარს: დავასახელებ ოქროს სამკაულებს, რომელიც მეუღლემ მაჩუქა.

**— ფულის სესხება ხშირად გინევს?**


— თუ გამოუვალი მდგომარეობაა, მხოლოდ ამ შემთხვევაში ვთხოვ ძალიან ახლობელ ადამიანს, ფული მასესხოს. უმნიშვნელო რაღაცების გამო ვალის აღება არ მიყვარს.

**— შენ თუ გაგისესხებია?**

— რა თქმა უნდა, გამისესხებია. როცა მეგობარს უჭირს და დახმარებას მთხოვს, მზად ვარ, მხარში ამოვუდგე.

**— შენს შვილს თუ აქვს ყულაბა?**

— ჩემი შვილი ჯერ წლი-



**ბევრჯერ შემიძენია საკმაოდ ძვირად ღირებული სამოსი და სახლში მისულს აღარ მომწონებია**

სა და 9 თვისაა. მისთვის ასეთი რაღაცები ნაადრევია. როცა წამოიზრდება, აუცილებლად დავეხმარები ყულაბის გაკეთებასა და ფულის შეგროვებაშიც.

**— როგორ ფიქრობ, წარმატების ყიდვა შესაძლებელია?**

— თუ თავი ცარიელი გაქვს, ფულითაც ვერაფერს მიაღწევ. თუმცა, იმისთვის, რომ საკუთარი შესაძლებლობები უფრო კარგად წარმოაჩინო, ფული აუცილებელი რამ არის.

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ სტაბილური შემოსავალი გქონდეს?**

— ამქვეყნად მუდმივი არაფერია. წინასწარ ვერ განსაზღვრავ, ყოველთვის სტაბილურად უზრუნველყოფილი იქნები თუ არა.

**— კომუნალურ გადასახადებს შენ იხდი თუ ეს საქმე მეუღლეს აბარია?**

— კომუნალურ გადასახადებს ბექას მშობლები იხდიან.

**— ოდესმე თუ დაგჭირვებია იმაზე ფიქრი და ზრუნვა, რომ რაც შეიძლება ნაკლები ელექტროენერგია ან ბუნებრივი აირი დაგეხარჯა, რათა თვის ბოლოს ნაკლები გადასახადი მოგსვლოდა?**

— სიმართლე გითხრა, მსგავს რაღაცებზე ფიქრი არასდროს დამჭირვებია. ალბათ იმიტომ, რომ ბევრს არც ელექტროენერგიაში ვიხდი და არც — ბუნებრივ აირში.

**ყველა დედის ოცნებაა, რომ მის შვილს ჰქონდეს ის, რაც ბავშვის აღზრდისთვის აუცილებელია**





# ზალიკო ბერბერის თაყვანება „გოგო“ ტანსაცმელს არ კადრულობს

დიზაინერ ზალიკო ბერბერს ცხოველები ძალიან უყვარს. თურმე, ბავშვობაში ეზოს ლეკვებს წინ და უკან დაატარებდა, მათ შინ წაყვანაზე ოცნებობდა, მაგრამ მშობლები ცხოველის სახლში ყოლის უფლებას არ აძლევდნენ. სამაგიეროდ, ახლა ზალიკო ბერბერის ოჯახის წევრები ფუმფულა კატაზე — კუსუსაზე გიჟდებიან და ოჯახის სრულუფლებიან წევრადაც მიიჩნევენ.

## იქო ყოვლანაყოფილი

— ჩემს კატას კუსა ჰქვია, „კუსუსას“ მოფერებით ვეძახი. 10 წლის ბრძანდება. ულამაზესი „გოგოა“. კნუტი იყო, როცა დედამ შინ მოიყვანა: ქუჩაში, ტრანსპორტის გაჩერებაზე დაუნახავს, მოეწონა და მისი აგარაკზე წაყვანა გადაწყვიტა. იმ პერიოდში სახლში „მოშენებას“ ვაკეთებდით. კნუტი რკინის ხარაჩოებზე ჩავარდა. შეგვებრალა და გადავწყვიტეთ, ვიდრე გამოჯანმრთელდებოდა, შინ გავვეჩერებინა. როგორც დედა ამბობს, — სახლში ნასვამი მივსულვარ და კნუტისთვის მითქვამს: აბა, იმედია, კაი ფეხით შემოხვედი, თუ არა და, გარეთ პანლურის კვრით გავარდები-მეთქი (იციან)!.. ახლა კუსა ჩვენი ოჯახის წევრია. აი, ვეთამაშები და ისე გესაუბრები... სუფრასთან რომ მოდის, ითხოვს (გვანიშნებს), — სკამი გამომიწიეთ და დამსვითო.

### — კნუტი ჭირვეული არ იყო?

— კიდევ კარგი, სახლში რემონტი მოგვიანებით გავაკეთეთ! მანამდე შინ რაც იყო, ყველაფერი გაანადგურა და შპალერიც ჩამოფხრინა. ლამის ჭერამდე ხტებოდა, „მაიმუნობდა“... ახლაც მხიარულია — თავისთვის დარბის და დაშლივინებს.

### — არ გაბრაზებს? ოინებს არ გიწყობს?

— არა. ჩემს მშობლებს ლოგინში უწვება, მე — არა, რადგან მის ხასიათზე ვერ „ვივლი“... ხშირად მოდის, ფეხებთან მელამუნება, კუდს გაიქნევს ხოლმე... ფარშავანგით დიდი კული აქვს! მოკლედ, ულამაზესი კუსუსა გვყავს.

### — რა ჯიშის არის?

— მთლად „ჯიშიანიც“ არ არის, მაგრამ მგონი, ციმბირული ანგორისა და „რალაცის“ ნაჯვარი გახლავთ. ფუმფულაა.

### — დიზაინერი პატრონი მის ჩაცმულობაზე ან ვარცხნილობაზე არ ზრუნავს?

— არა. ძალღებს ტანსაცმელს რომ აცმევენ, დიდად არც ეგ მომწონს. ისე, ზოგ ძალს უხდება. ჩემს მეგობარს ძალღი — ქეთო ჰყავს, რომელზეც

ოჯახის წევრები გიჟდებიან, ისე უყვართ და ნაირ-ნაირ კაბებს აცმევენ. მოგეხსენებათ, კატა ძალღივით დამჯერი არ არის. ერთხელ კუსუსას ლამაზი ყელსაბამი ვუყიდე, მაგრამ არ ატარა, იუცხოვა. ძალიან თაენება, „დასტონი“ „გოგოა“. თავისი ბენვითაც კმაყოფილია და ტანსაცმელს არ კადრულობს (იციან!).

### — მარტში კატებს პირად ცხოვრებაში „აფორიაქების“ პერიოდი აქვთ ხოლმე...

— საბრალო კუსუსა „ქალიშვილია“. თავდაპირველად, როცა „ატყდებოდა“, კნაოდა ხოლმე, შემდეგ კი ოპერაცია გავუკეთეთ: „ქალური“ ორგანოები ამოაჭრეს და სექსუალური მოთხოვნის დაკმაყოფილება გაუჭრა. სამაგიეროდ, დაისვენა. კუსუსა ველარ დაორსულდება.

### — ასეთი ხვედრისთვის როგორ გაიმიტეთ?

— ქუჩაში არ ვუშვებთ, სახლის გარეთ ნამყოფი არც არის... ასე რომ არ მოვქცევოდით, მისთვის კატა უნდა მოგვეძებნა, მერე — კნუტები გავვეჩუქებინა... მგონი, პრობლემა უკეთ გადაწყვიტეთ — ცხოველი ნაკლებად იტანჯება. მისთვის ოპერაციის გაკეთება ჯობდა, რადგან წინათ რაღაც წამალსაც ვასმევდით, რომელმაც კუსუსაზე უფრო ცუდად იმოქმედა — თურმე, იმ წამლის დაღვევა არ შეიძლებოდა...

### — ამბობენ, დროთა განმავლობაში ცხოველი პატრონს ემსგავსებაო. შენ და კუსუსა ერთმანეთს ჰგავხართ?

— ასე ზუსტად ვერ გეტყვი, მაგრამ ამბობენ, რომ — ვგავართ. რამდენჯერმე შინ სტუმარი გვეწვია და აღნიშნა, — ოჯახში ყველას რა ლამაზი თვალები გაქვთო ანუ — კუსუსას, მის პატრონს, დედაჩემს და ა.შ. (იციან!). შეიძლება, ერთმანეთს თვალებით ვგავართ.

### — ხასიათით — არა?

— გამორიცხული არ არის, რომ ერთმანეთს ხასიათითაც ვგავდეთ, რადგან კატა თავისებურია: მომთხოვია, კომფორტი უყვარს...

### — როცა მოგზაურობ, კუსუსა შინ რჩება?

— კი. „გასვლითი რეისი“ კუსუსას

ჯერ არ ჰქონია.

### — სასიეროდ საერთოდ არ გადის?

— არა. პირველ სართულზე მცხოვრები კატები ქუჩაში კი გადიან ხოლმე... თავდაპირველად, კუსუსა მაინც კარისკენ „იქაჩებოდა“, ახლა გარეთ გასვლით აღარ ინტერესდება — სახლში ცხოვრებას მშვენივრად შეგუებულია.

### — დღის განმავლობაში რას აკეთებს, როგორ ერთობა?

— მოგეხსენებათ, კატებს დიდხანს ძილი უყვართ — მათი ცხოვრების წესი ასეთია. კუსუსას რამდენიმე სამალავი აქვს და ხშირად გვიწევდა მისი ძებნა. თუ კარგ ხასიათზეა, სათამაშო თავგებით ერთობა: „თავს“



რკინის ხარაჩოებზე ჩავარდა. შეგვებრა-ლა და გადავწყვიტეთ, ვიდრე გამოჯანმრთელდებოდა, შინ გავვეჩერებინა

დაიჭერს, აქნევს... თუ აივანზე ჩიტები მოფრინდებიან, კუდს იქნევს — ვითომ ნადირობა უნდა (იციან!). ძალიან სასაცილო ვინმეა.

### — მოფერება უყვარს?

— რა თქმა უნდა! თავად გაგრძობინებს, როცა მოფერების ხასიათზეა. 1 ხალიჩა აქვს ამორჩეული. იქ მივსა და დანვება — განიშნებს, როდის უნდა, რომ მოეფერო.

### — ტელეეკრანზე გცნობს?

— მგონი — არა. იტალიაში რომ ვიყავი, დედაჩემს „სკაიპით“ ველაპარაკებოდი. „კუსუსა“ რომ დავიძახე, კატა გაცივებულა — ჩემი ხმა გაიგონა და ვერ მხედავდა!.. აი, ტელეეკრანთან დაკავშირებით, „ექსპერიმენტი“ ჯერ არ ჩავგიტარებია (იციან!).



# კოტე თოლორდავა საშინელებათა ფილმი

მსახიობი ლოს-ანჯელესში წითელ ხალიჩაზე გასასვლელად ემზადება

ბოლო დროს კოტე თოლორდავა არც თმას იჭრის და არც წვერს იპარსავს, ამასთან, როტვეილერის ჯიშის ძაღლთან ხანგრძლივ ტრენინგს ყოველდღიურად გადის და მასთან ურთიერთობას სწავლობს, ეს ყველაფერი კი ერთი ახალი ფილმისთვის სჭირდება — მთავარ როლზე ცოტა ხნის წინ დაამტკიცეს. „ნაღმი უნდა აფეთქდეს“, — ასე ჰქვია ქართულ-ამერიკულ სურათს, რომელსაც კომპანია „სარკე“, კონკრეტულად კი მისი დამფუძნებელი, რეჟისორი ლევან ბახია გადაიღებს.

## ლალი ფასია

— ჩემთვის გრანდიოზული როლისთვის ვემზადები. ვფიქრობ, იმ ადამიანებს, რომლებმაც ფილმში მიმიწვიეს, მათ წინაშე არსებული ამოცანის ხარისხიანად და საინტერესოდ გადაჭრა შეუძლიათ. ამოცანა კი საკმაოდ რთულია, რადგან მუშაობა უნდა დაიწყოს ფსიქოლოგიურ და მძაფრსიუჟეტთან ანუ საშინელებათა ჟანრის ფილმზე... თუ ისინი ამ მიმართულებით ჩვენში გზას გაკვალავენ, დარწმუნებული ვარ, სხვებისთვის ამ განხრით მუშაობა გაცილებით მარტივი გახდება.

— როგორ აღმოჩნდი ამ პროექტში მთავარ როლზე?

— კასტინგზე მიმიწვიეს, სადაც რეჟისორმა ლევან ბახიამ ბევრი ქართველი მსახიობი გასინჯა. სხვათა შორის, ის უნიკალური ადამიანია: განათლება მარკეტინგისა და ბიზნეს-ადმინისტრირების განხრით აქვს მიღებული, მაგრამ იმდენად მაგარი ვინმეა, რომ სხვა საქმეების კეთებაც შეუძლია; მისმა კინემატოგრაფიულმა ხედვამ გამაოცა. ზუსტად იცის, რა უნდა და როგორ... უანრი, რომელშიც ახლა მომინევს თამაში, ჩემთვის, როგორც მაყურებლისთვის, ყოველთვის ტაბუდადებული იყო, არასდროს მსიამოვნებდა „უჟასების“ ცქერა.



ილია ტურისტებს საშინელებებს უწყობს...

ეს ფილმი ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაზეა გათვლილი, რისი მეშვეობითაც მაყურებლის „ჩათრევა“ ხდება. ამ უანრმა, როგორც მსახიობი, ახლა ძალიან დამაინტერესა. ეს ლევანის მეორე ფილმია, ამერიკული ბაზრისთვის გათვლილი და პრემიერა ლოს-ანჯელესში გაიმართება. მასში მართლაც, კარგი მსახიობები თამაშობენ. მაგალითად, მიჩელ მუსო (ამერიკელი ვარსკვლავია, „სანტა მონტანაში“ ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს), ტომ ფელტონი („ჰარი პოტერში“ ვამპირის როლშია). როდესაც ლევანს ვკითხე: რატომ აირჩიე მაინცდამაინც უანრი, რომელიც ქართულ მენტალიტეტში აბსოლუტურად არ ჯდება? მაგალითად, რატომ არ იღებთ ფილმს ნარკომანებზე-მეთქი? მიპასუხა: — გლობალურ, ყველასთვის გასაგებ თემაზე გვინდოდა გვემუშავაო. თან, ფილმის გაყიდვაზეც ფიქრობს და თემად „შიში“ აირჩია, რომელსაც არც ქვეყანა აქვს, არც ეროვნება და არც — ასაკი. ეს პროდუქტი ყველგან უნდა გაიყიდოს...

— მოგვიყვი შენს პერსონაჟზე...

— პირველი ათი წუთი ფილმში არ ჩანს, მერე კი მოქმედება მის გარშემო ვითარდება. თავიდან ბოლომდე უარყოფითი პერსონაჟია. ჰქვია ილია და არის ქართველი. ის ტურისტებს საშინელებებს უწყობს...

— მაინცდამაინც ამ როლზე რატომ დაგიძახეს?

— თავიდან მეც გამიკვირდა, მაგრამ როგორც ჩანს, ასე იყო საჭირო.



რეჟისორი ლევან ბახია და კიდევ ერთი ქალბატონი მანამებს

ჩემთვის ამ პერსონაჟის თამაში საინტერესოა. სხვათა შორის, ფილმის დასაწყისში არ „იყიდება“, რომ ასეთი საშინელი ადამიანია. ამას მაყურებელი ნელ-ნელა უნდა მიხვდეს.

— მოქმედება სად ვითარდება?

— დასავლეთ საქართველოში, ერთ ტყიან, კლდიან რეგიონში, სადაც ტურისტები ჩადიან... ჩემი პერსონაჟის გასათავისებლად ყოველდღე, ძაღლთან ერთად დავდივარ. მინდა, ერთმანეთს შევეჩვიოთ. როტვეილერი ყველაზე არაპროგნოზირებადი ძაღლია, ამიტომ მასთან ურთიერთობის ტრენინგებს გავდივარ. რაიმეს რომ ვუბრძანებ, რასაც უნდა აკეთებდეს, მაშინვე უნდა გაჩერდეს და დამემორჩილოს. არადა, ისეთი ყბა და კბილები აქვს, თუ მსხვერპლი ხელში ჩაიგდო, ძვლებს დაუმტვრევს.

— ცოტა ხნის წინ ინტერნეტით გავრცელდა ვიდეორგოლი, სადაც შენი „ნამების“ სცენა ასახული. ის რგოლი რომ ვნახე, ძალიან შემეშინდა.

— ეს არის „თიხერი“, რომელშიც ასახულია, კოტე თოლორდავა „ლაიქების“ გამო როგორ ანამეს. იქ ჩემი ერთ-ერთი მწვალბეული ლევან ბახიაა, რომელიც მეკითხება: — რამდენი „ლაიქი“ მოგპარესო? დიახ, იქ რეჟისორი ლევან ბახია და კიდევ ერთი ქალბატონი მანამებს, რომელიც ფილმში ჩემი მეუღლის როლს ითამაშებს. ნანა კიკნაძე მოსკოვში ცხოვრ-



# მარიტა როხვაძე ზეყვარებულს დაუორდა

„დღემდე მიყვარს და გვერდამს ვნანობ“

ობს, ჟურნალისტიკა, მაგრამ როგორც მსახიობი, საკმაოდ წარმატებულია... ეს „ვირუსული“ ვიდეო გახლდათ, რადგანაც ამ ფილმის კამპანია უკვე დაწყებულია.

— ამ ფილმით რისი თქმა გინდათ?

— ბევრი ნიუანსია სცენარში. ამბები ერთმანეთში იმდენად კარგად არის ჩახლართული და იმდენად კარგად იხსნება, რომ დარწმუნებული ვარ, მაყურებელს მოეწონება, „იკაიფებს“...

— ამ ფილმის შემდეგ უცხოეთიდან, კერძოდ, ამერიკელი პროდიუსერებისგან რაიმე შემოთავაზება რომ მიიღო, წახვალ?

— წავალ, მაგას რა ჯობია? საცხოვრებლად არა, მაგრამ სამუშაოდ — სიამოვნებით. ჩემი ქვეყანა მიყვარს.

— როლი ინგლისურ ენაზე უნდა ითამაშო?

— კი და ესეც სირთულეა. საერთოდ, მიყვარს იმპროვიზაცია, მაგრამ არ ვიცი, ენის ცოდნა რამდენად „გამიშვებს“ და მომცემს ამის საშუალებას. ინგლისური კარგად მესმის, მაგრამ ისე კარგად ვერ ვლაპარაკობ, როგორც გერმანულს.

— როგორ ფიქრობ, ქართველი მაყურებელი მანიაკს სიხარულით მიგაღებს?

— მე მსახიობი ვარ, ეს ჩემი პროფესია და ჩემი საქმეა... კინოროლებით განებივრებული რომ ვიყო, შესაძლოა დამენყო რალაცების არჩევა, თუმცა, ამ როლმაც დამაინტერესა. მანიაკს ანუ ჩემს პერსონაჟს არაფრით ვგავარ; ფანტაზიის დონეზეც ვერასდროს წარმოვიდგენ ისეთ რამეს, რასაც ის აკეთებს... ფილმის გადაღება 2 ივლისს დაიწყება. ყოველი წამი ზუსტად აქვთ განწერილი და თქვენ წარმოიდგინეთ, ფილმს დააზღვევენ კიდევ...

— რაც შეეხება გარეგნობას...

— (მანყვეტინებს) ილიას წვერიც სჭირდება და გრძელი თმაც, ამიტომაც არის, რომ კარგა ხანია, არც ერთს არ ვისწორებ. მოკლედ, ჩემს გარეგნობაში დიდი სახეცვლილება იქნება... ის არის საოცარ ბუნებაში მცხოვრები მონადირე, მეფუტკრე, რომელიც ადამიანებზე საოცარ ზემოქმედებას ახდენს. ისე, ფუტკრებთანაც ვიყავი, სპეციალური ტრენინგი ამ მიმართულებითაც გავიარე. ეს ყველაფერი ძალიან მსიამოვნებს. ღმერთმა ქნას, ყველაფერმა კარგად ჩაიაროს. პრემიერა ლოს-ანჯელესში გაიმართება და ნითელ ხალიჩაზე უნდა გავიარო, რაც ვფიქრობ, ყველა მსახიობის ოცნებაა.

## ინოვაციური

— ქალებს ზედმეტი წონის მასშორებლად სჭირდებათ სტიმული. მეთანხმები?

— მართალია, სტიმული ნამდვილად საჭიროა, მაგრამ მე შეყვარებული „ჯეოსტარში“ მონაწილეობის პერიოდშიც მყავდა და მას ისეთი ვუყვარდი, როგორც გახლდით. თუმცა, პროექტის ფინალს ტელეეკრანზე რომ ვუყურე, შემეშინდა: მაშინ 81 კილო ვიყავი და თან, ხომ იცით, ეკრანზე კიდევ უფრო ჭარბწონიანი ჩანხარ, ვიდრე რეალურად ხარ. ჰოდა, შემრცხვა... ახლა ზოგს მოსწონს გამხდარი მარიტა, ბევრი კი მეუბნება, — ის საყვარელი, ბუნწულა მარიტა გვერჩივნა, რომელსაც თვალები უციმციმებდაო. ახლაც მიციმციმებს თვალები, თან — უკეთ ჩანს, რადგან ლოყები აღარ ეფარება (იციინის). ფიქრობ, მხოლოდ კარგი ხმა და ვოკალური მონაცემები არ არის საკმარისი მომღერლისთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს მის გარეგნობასაც.

— როგორც ჩანს, კარგი ნებისყოფაც გაქვს...

— ჰო, ნებისყოფა მართლა აღმომამჩნდა. პირველი სამი თვე მხოლოდ წინიბურას, უმაროლო ყველს და წყალს გეახლებოდით, მეოთხე თვეს ვარჯიშიც დავუმატე; ვვარჯიშობდი, ვცურავდი და საუნაში შევდიოდი. საუნა რეკომენდებულია მაქსიმუმ, კვირაში სამი დღე, მე კი ყოველდღე 30 წუთით შევდიოდი. ქორწილში ან დაბადების დღეზე თუ წავიდოდი, მხოლოდ სამ ზეთისხილსა და ლიმონს ვჭამდი. ამ ყველაფერში ისიც დამეხმარა, რომ ძალიან მინდოდა, სცენაზე ლამაზი, გამხდარი, მომხიბვლელი გავსულიყავი და მომერგო ის სამოსი, რომელზეც მანამდე მხოლოდ ვოცნებობდი.

— შენს შეყვარებულს მოეწონა, რომ გახდი?

— კი, მოეწონა, მაგრამ ამბობდა, — ისეთი მიყვარდი, როგორც იყავიო.

— დღეს ისევ ერთად ხართ?



მხოლოდ კარგი ხმა და ვოკალური მონაცემები არ არის საკმარისი მომღერლისთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს მის გარეგნობასაც

— არა, მაგრამ დღემდე ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ... მისი სიტბო და ყურადღება რომ მომაკლდა, ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი, მენატრებოდა. ახლაც მენატრება და მინდა, თქვენი ჟურნალის საშუალებით მოვიკითხო. ის ისევ ამერიკაშია.

— ზურასთან ერთად დასასვენებლად დადიოდი, მის ოჯახთან მეგობრობდი... რატომ დაშორდით ერთმანეთს?

— მის ოჯახთან დღემდე ვმეგობრობ. ძალიან მიყვარს ზურას დედა და ძმა. ამ ურთიერთობის გაფუჭება ჩემი ბრალიც არის. პრესაში დაინერა, ვითომ მე რომანი მქონდა მოდელთან, მახო (მაქსი) მაჭარაშვილთან. დი-



ლის 5 საათზე დამირეკა ზურამ, ელაპარაკა მახოსაც. აფუხსენით, რომ მხოლოდ მეგობრები ვართ და თითქოს დალაგდა ყველაფერი. მაგრამ მერე ისევ აგორდა ახალი ჭორები; ვილაც ინკოგნიტოდ სწერდა ზურას რალაცებს, მეც მწერდნენ მასზე, თითქოს სერიოზულად აღარ ფიქრობდა ჩემზე. მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ ახლა მგონია, რომ ერთი და იგივე ადამიანი გვწერდა ორივეს, ოღონდ — სხვადასხვა პროფაილით. ჩემი აზრით, შეყვარებულ ადამიანს, რომელიც თავის რჩეულთან ბედნიერია, არანაირი სოციალური ქსელი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ეს ურთიერთობას ანგრევს; ზოგიერთები იმდენად დაბოლმილები არიან, რომ სხვის ბედნიერებას ვერ ეგუებიან...

**— ვის შეეძლო, ეს გაეკეთებინა?**


— ვიცნობ გოგოს, რომელსაც ზურა აინტერესებს. ის „ფეისბუქზე“ მეგობრებში მყავს, ფოტოებს „მილაიქებს“, მიკომენტარებს და ალბათ ჩვენი განსორებისათვის ტკბება. ასე მგონია, ვერ მიტანს და ჩემი ბედნიერება არც ერთ შემთხვევაში არ გაუხარდება.

**— მე კი ვფიქრობ, როცა წყვილს შორის ნამდვილი სიყვარულია, სოციალური ქსელი და ინკოგნიტო წერილები ამ ურთიერთობას ვერ დაანგრევს.**

— თავიდან ამ წერილებს ყურადღებას არ ვაქცევდით, მაგრამ ბევრი დაგროვდა და ეტყობა, ნებისყოფაც არ გვეყო... ვცდილობ, ვიყო პოზიტიური და სხვებთან საკუთარ პრობლემებზეც არ ვლაპარაკობ. არ მინდა, ვინმეს ჩემ გამო ხასიათი გაუფუჭდეს. ჰოდა, რატომ გადაამეკიდნენ, მართლა ვერ ვხვდები... ზურას არ ვამტყუნებ, რადგან შორს იყო ჩემგან (ამერიკაში ცხოვრობს). მის ადგილას შესაძლოა, მეც „გამეჭედა“, მით უმეტეს, რომ დედისერთა ვარ, თან — „თევზები“ და საშინლად მესაკუთრე გახლავართ. ზურას ბევრი მეგობრის დათმობა მოუხდა ჩემ გამო, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი. ეს ურთიერთობა დიდი გამოცდილება იყო ჩემთვის. არასდროს გავიმეორებ იმ შეცდომებს, რაც ზურასთან ურთიერთობისას დავუშვი! უკვე ვისწავლე კარგი ადამიანის ფასი.

**— ვფიქრობ, დღესაც გიყვარს ზურა.**

— მიყვარს, მენატრება და ამას არც ვმაღავ.



მისი სიტბო და ყურადღება რომ მომაკლდა, ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი

მაპატიეთ, მაგრამ ჩემი მომავალი საქართველოში ვერ წარმომიდგენია. აუცილებლად ვიცხოვრებ ამერიკაში, აუცილებლად ავიღებ „გრემის“ და დავდგები ისეთ სცენაზე, როგორსაც ვიმსახურებ! აუცილებლად მივალწვე დიდ წარმატებას და ყოველთვის ვიამაყებ იმით, რომ ვარ ქართველი, ვარ ქუთაისელი.

**— უფრო რომანტიკული ოცნებები არ გაქვს?**

— მაქვს, ოღონდ არა — სახლი ტბის პირას და

— შენი „ფეისბუქის“ გვერდზე ასეთი სტატუსი წავიკითხე: „თვალს ვხუჭავ და მაშინვე მოდინარ... მოდინარ ისევ ისე, როგორც მაშინ აღებდი კარს და ფეხაკრფით მოდიოდი ჩემამდე. მაგ ლამაზ თითებს შეაცურებდი თმაში და მეთამაშებოდი... მე დავიძინებ, იქნებ ოდესმე ნაცნობმა სურნელმა ისევ გამაღვიძოს და ამაფორიაქოს, როგორც მაშინ, დიდი ხნის წინ“. ეს სტატუსი ზურას ეკუთვნოდა?

— კი, ზურას ეკუთვნოდა, მაგრამ არ შეიმჩნია (ცრემლებს ინმენდს. — ავტ.). თუმცა, დღესასწაულებს ვულოცავთ ერთმანეთს და მიწერ-მონერაც გვაქვს ზოგჯერ... მძიმეა ჩემთვის ამ თემაზე ლაპარაკი.

**— იმასაც წერდი: ისევ აცინიციდა თვალებით. რა ხდება?**

— ეს კარიერული ციციციია. ვაკეთებ საქმეს, რომელიც მიყვარს და მიხარია, რომ ძალიან დაკავებული ვარ. ამში ჩემი პრობლემური, კახა ხომტარია დამეხმარა. „ჯეოსტარში“ კი გავიმარჯვე, მაგრამ ორი წლის განმავლობაში სახლში ვიჯექი. გავხდი, გავლამაზდი და მაინც ვერაფერს ვაკეთებდი. მერე კახა გამოჩნდა და დამასაქმა. ახლა ორ კლუბში ვმუშაობ. მაქვს ხელფასი, რომელიც მეც მყოფნის და ჩემს ოჯახსაც. ხომ იცით, ოჯახში მხოლოდ მე ვმუშაობ. მამა მეორე ჯგუფის ინვალიდია, დედა კი 26 წელი ცეკვადა ოპერის თეატრში, ახლა ასაკი აღარ უწყობს ხელს. ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ შემოძლია, ოჯახს დავეხმარო. თითოეული თერთის ფასი ვიცი.

**— ყველა ადამიანს აქვს მიზანი, ფიქრი, ოცნება. შენ რაზე ოცნებობ? როგორი გინდა, იყოს მომავალი?**

— ზუსტად ვიცი, როგორი იქნება ჩემი ცხოვრება, რადგან ვფიქრობ: როცა ადამიანს რაიმე მთელი გულით უნდა, აუცილებლად მიაღწევს მიზანს.

ჰამაკი ეზოში. მე მექნება პენტჰაუსი მანჭეტენზე.

**— წელან ისე ჩამოყარე ცრემლები, უფრო მეტად რომანტიკოსი მეგონე...**

— ცრემლებიც ჩამოვყარე და გულიც ამიჩქარდა იმიტომ, რომ ვლაპარაკობდი ადამიანზე, რომელთანაც არაჩვეულებრივი სამი წელი გავატარე... თავში არ მიქრის. შემოქმედებითად მყარად რომ დავდგები ფეხზე, ალბათ მერე მეც მეყოლება გვერდით საყვარელი ადამიანი, თუნდაც იმ პენტჰაუსში.



მოდელი — მახო მაჭარაშვილი



# სოფო გელოვანი — ბავშვობიდან დღემდე

„პუტკუნა და „ლოყეზიანი“ გოგო ვიყავი“

„ყველა აღნიშნავს, — ძალიან აქტიური და მოუსვენარი ბავშვი იყავიო. სამწუხაროდ, ახლა ასეთი აღარ ვარ“, — ამბობს მომღერალი სოფო გელოვანი, რომლის ფოტოალბომშიც მისი ბავშვობის დროინდელი თავგადასავლების ამსახველი ფოტოების ნაკლებობაა.

## მარჯვნივ

— მასსოვს, ბავშვობაში, ჩემს ეზოში გამართული ყველა კონცერტისა და წამოწყების ინიციატორი ვიყავი. მართლაც, ზედმეტად აქტიური გახლდით, მაგრამ ჩემი სიცვლქის გამო მშობლებისთვის პრობლემად არასოდეს შემიქმნია. როცა წამოვიზარდე, მშობლებმა ჩემში მუსიკის ნიჭი აღმოაჩინეს და ანსამბლ „ნერგებში“ შემეყვანეს, სადაც ფორტეპიანოზე ვუკრავდი. პარალელურად, სკოლაში ვმღეროდი და ყველა ღონისძიებაში აქტიურად ვმონაწილეობდი.

### ეს ფოტო სად არის გადაღებული?

— ბავშვობის დროინდელი ეს სურათი ძალიან მიყვარს და როცა ვუყურებ, მეცინება: ამ ფოტოზე ჩემი ძმა და ბიძაშვილებიც არიან აღბეჭდილი და თუ დააკვირდებით, ყველას ერთნაირი წითელი „ბასანოჩკები“ გვატყვია, რომელიც მამამ ჩამოგვიტანა. ძალიან მომწონდა და არ ვიშორებდი (ბავშვობაში ტანსაცმლის ამოჩემება ვიცოდი). სურათი ზოობარკში გადაგვიღეს. ბიძაშვილები ასაკით ჩემზე უფროსები არიან. მანებივრებდნენ და ამავე დროს, სულ მეუფროსებოდნენ, მაგრამ მასსოვს, თავს არ ვიჩაგრავდი (იციან). სხვათა შორის, პუტკუნა და „ლოყეზიანი“ გოგო ვიყავი, მაგრამ დროთა განმავლობაში წონაში დავიკელი, მხოლოდ 7 წლის ასაკამდე ვიყავი ასეთი ჩაპუტკუნებული.

### სკოლის მოსწავლე როგორ გამოიყურებოდი?



ამ ფოტოზე 8 წლის ვარ

— კლასში ყველაზე პატარა ვიყავი. როცა ჩემი კლასელი გოგონები უკვე იპრანჭებოდნენ და დაქალებას ცდილობდნენ, მე ისევე ძალიან ბავშვური გახლდით. აი, ამ ფოტოზე 8 წლის ვარ. ახლა, როცა კლასელები და მეგობრები მხედებიან, ყველა აღნიშნავს:

დიდად არ შეცვლილხარ. თითქმის ისე გამოიყურები, როგორც მოსწავლეობის პერიოდშიო.

### თინეიჯერი სოფო როგორი იყო?

— გარდატეხის ასაკი იოლად გადავლახე. ვიცვამდი იმას, რაც მაშინ იყო მოდაში და სულაც არ ვცდილობდი, სხვებისგან ჩაცმულობით გამორჩეული ვყოფილიყავი. საზაგიეროდ, მე და ჩემი მეგობრები ვცდილობდით, თმა ყოველთვის სხვადასხვა ფრად შეგვეღებოდა და ამისთვის ისეთ საღებავს ვიყენებდით, რომელიც დაბანის შემდეგ იოლად მოგვეშორებოდა. კლასში 5 გოგო ძალიან დავმეგობრდით და მიხდა აღვნიშნო, რომ ეს მეგობრობა დღემდე გრძელდება. მასსოვს, მოგვწონდა ერთმანეთის სამოსის ჩაცმა და მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, დედა გამიბრაზებდა, სახლში მეგობრის მათსურით არაერთხელ მივსულვარ. ვფიქრობ, ძალიან კარგი ბავშვობა მქონდა და ის



როცა დრო მაქვს კიტრისა და წილის ნიღბებს ვიკეთებ

პერიოდი ყოველთვის სასიამოვნოდ გამახსენდება.

### სკოლის დამთავრების შემდეგ გოგონების უმრავლესობა იმიჯს იცვლის, ბანკეტისთვის განსაკუთრებულად ემზადებიან...

— (მანყვეტინებს) სკოლის ბანკეტს ნუ გამახსენებ, რადგან ეს იყო საშინელება. თუმცა ამ დღისთვის მართლაც განსაკუთრებულად მოვემზადე: მამიდამ გერმანიიდან ორი კაბა გამომიგზავნა და ვარცხნილობასა თუ მაკიაჟზეც წინასწარ ვიზრუნე. ხომ იცი, ამ პერიოდში გოგოს გინდება, ქალურად გამოიყურებოდე. ჰოდა, მამინ მეგონა, რომ საბანკეტოდ გამოპრანჭული მართლაც, მაგრამ და საოცრად ლამაზად გამოვიყურებოდი. ახლა კი იმ დღის ამსახველ ფოტოებს რომ ვუყურებ, მეცინება. როცა მეგობრები ძველ ფოტოებს ვათვალთვლი, საბანკეტოდ გამოპრანჭული საკუთარ თავზე კარგად ვხალისობ.

### მაკიაჟს ყოველდღიურ ცხოვრებაში იკეთებ?

— პირველი სერიოზული მაკიაჟი ბანკეტის დღეს გავიკეთე და არ მომეწონა. მანამდეც ვიღებებოდი, მაგრამ მსუბუქად და თანაც — იშვიათად. ახლა ამ საქმეს მეტი სერიოზულობითა და სიფრთხილით ვეკიდები. სცენას უხდება მკვეთრი მაკიაჟი, ყოველდღიურ ცხოვრებაში კი უპირატესობას სიმსუბუქეს ვანიჭებ.

### სახის კანს როგორ უყვლი? კოსმეტოლოგთან ხშირად დადიხარ?

— კოსმეტოლოგს იშვიათად ვსტუმრობ. სახის კანს განსაკუთრებულად არ ვუვლი, მაგრამ ვცდილობ, ხა-



ყველას ერთნაირი წითელი „ბასანოჩკები“ გვატყვია, რომელიც მამამ ჩამოგვიტანა



ჯვერისწერის დღეს ძალიან სადა, მაგრამ ლამაზი, კრემისფერი კაბა მეცვა



მალე ჩვენი შვილი სკოლაში შევა, მოსწავლე გახდება

რისხიან კოსმეტიკასა და კრემებში ფული არ დავზოგო. როცა დრო მაქვს, ასევე, კიტრისა და ხილის ნიღბებს ვიკეთებ.

**— სტუდენტობის პერიოდში როგორ გამოიყურებოდით?**

— ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში, ესპანური ენის განხრით, საერთაშორისო ურთიერთობებს ვსწავლობდი. მაშინაც ისე გამოვიყურებოდი, როგორც ახლა. მოკლედ, გარეგნულად არ შევცვლილვარ. უბრალოდ, მაშინ სულ გარეთ ვიყავი, ფეხით მიწევადა სიარული და ამიტომაც, ძირითადად სპორტულად მეცვა... სიმართლე გითხრათ, სტუდენტობის გემო ვერც გავიგე, რადგან ამ პერიოდში კონკურსებზე მინევდა სიარული.

**— ჩაცმასთან დაკავშირებით ვის აზრს ითვალისწინებ?**

— სამოსი პირველ რიგში, თავად უნდა მომეწონოს და მასში თავი კომ-

ფორტულად ვიგრძნო. მე თუ არ მომწონს, გარშემო მყოფებმა რამდენიც უნდა მიმტკიცონ, — გიხდებაო, არ ჩავიცვამ. თუმცა, მყავს მეგობარი — ტატიანა მეფარიძე, რომლის აზრსაც ყოველთვის ვითვალისწინებ. მან კარგად იცის ჩემი ხასიათი და სტილი.

**— მეუღლის აზრს არ ითვალისწინებ?**

— ჩემს ჩაცმულობასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, საკუთარ აზრს გამოხატავს და თუ რაიმე არ მოეწონება, მეუბნება. მის სიტყვას ყოველთვის ვითვალისწინებ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ჩვენი გემოვნება ერთმანეთს ემთხვევა.

**— თმა პირველად რა ასაკში შეიღებ?**

— ბუნებრივად შავი თმა მაქვს. როგორც უკვე აღვნიშნე, სკოლის პერიოდშიც ვიღებავდი, მაგრამ ისეთი საღებავით, რომელიც ადვილად მომშორ-

დებოდა. მყარი საღებავით თმა მხოლოდ ერთხელ, დაახლოებით ერთი წლის წინ შევიღებე, უფრო სწორად, მეღიერება გავიკეთე და უკვე თითქმის აღარც მეტყობა. ახლა გადავწყვიტე, სანამ ჭალარა არ გამიჩნდება, საღებავს აღარ გავიკარებ. ჩემს ხვეულ, სქელ თმას ძალიან ვუფრთხილდები და ვუვლი, რასაც „მიფასებს“: ძალიან დამყოლია, ადვილად სწორდება. ზაფხულში ხვეული თმის ტარება მიყვარს, ზამთარში კი ხშირად ვისწორებ.

**— სცენაზე კლასიკურ სამოსს ანიჭებ უპირატესობას, თუმცა, ამ ფოტოზე განსხვავებულად გაცვია...**

— ეს ჩემი სტილი არ არის, მაგრამ ასე პროექტის გამო გამოვეწყვე. ვფიქრობ, სცენაზე მყოფს კლასიკური, აკადემიური სტილი უფრო მეტად მიხდება. ალბათ იმიტომ, რომ ჩემი მუსიკაც ასეთია.

**— თავის მონესრიგებას ბევრ დროს უთმობ?**

— შემიძლია, ძალიან სწრაფადაც მოვემზადო, მაგრამ მიყვარს, როცა არსად მიჩქარება. ჰოდა, ვიდრე სახლიდან გავალ, საათ-ნახევრით ადრე ვიწყებ თავის მონესრიგებას. მოკლედ, ჩემი რიტუალი მაქვს.

**— აქსესუარები თუ გიყვარს?**

— აქსესუარები ძალიან მიყვარს. საათი ის ნივთია, რომლის გარეშეც გარეთ არ გავდივარ. მიყვარს შარფები, სათვალეები, ჩანთები. მომწონს ბიჟუტერია, რომელსაც თავადაც ხშირად ვყიდულობ და მჩუქნიან კიდევ.



ეს ჩემი სტილი არ არის, მაგრამ ასე პროექტის გამო გამოვეწყვე



სირთულეები დავძლიეთ და ჩვენი ნყვილი შედგა



კლასიკური, აკადემიური სტილი უფრო მეტად მიხდება. ალბათ იმიტომ, რომ ჩემი მუსიკაც ასეთია



ზაფხულში ხვეული თმის ტარება მიყვარს



ერთმანეთის აზრს, რჩევას ხშირად ვითვალისწინებთ

— საკუთარ ქორწილში როგორ გამოიყურებოდით?

— მე და ჩემს მეუღლეს — ნოდო ლანდიას დიდი ქორწილი არ გვქონია. უბრალოდ, მეგობრების წრეში დავინერეთ ჯვარი და თაფლობის თვის გასატარებლად წავედით. ჯვრისწერის დღეს ძალიან სადა, მაგრამ ლამაზი, კრემისფერი კაბა მეცვა. მე და ნოდო წლებია, ერთად ვართ და გვყავს 5 წლის დათა. არ მჯერა, 5 წელი ასე სწრაფად „გაფრინდა“. არადა, მალე ჩვენი შვილი სკოლაში შევა, მოსწავლე გახდება. ქმარ-შვილთან ერთად გადაღებული

ყველა ფოტო მიყვარს.

— შენს ფოტოალბომში ნოდიკო ტატიშვილთან ერთად გადაღებული ბევრი სურათია...

— მოგეხსენებათ, ჩვენი დუეტი „ევროვიზიისთვის“ შედგა. დღეს ძალიან კარგი, ახლო მეგობრები ვართ და ერთმანეთის აზრს, რჩევას ხშირად ვითვალისწინებთ.

— პროექტში — „ორი ვარსკვლავი“ მონაწილეობდი. რას იტყვი შენს მენეჯერზე?

— მყავდა ძალიან კარგი მენეჯერი, წყალბურთელი მიზა ბალათურია. პრო-

ექტი არა მარტო მისთვის, არამედ ჩემთვისაც საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ არაპროფესიონალ მომღერალთან მომიხდა მუშაობა. იყო სირთულეები, მაგრამ დავძლიეთ და ჩვენი ნყვილი შედგა. ჩემი აზრით, ცუდი გამოსვლები არ გვექონდა. მინდა, მიმას წარმატებები ვუსურვო.

— ოდესმე საკუთარ გარეგნობაში რაიმეს შეცვლაზე არ გიფიქრია?

— არ არსებობს ადამიანი, ვისაც თავი უნაკლო ჰგონია. რალაცები მეც არ მომწონს და ყოფილა შემთხვევა, როცა მითქვამს: ასეთი თვალები ან ცხვირი რომ მქონოდა, უკეთესი იქნებოდა-მეთქი. მაგრამ ოპერაციის გზით საკუთარ გარეგნობაში რაიმეს შეცვლა არასდროს მომნდომებია.

— დაბოლოს, შენს შემოქმედებაში თუ არის რაიმე სიახლე?


— ძალიან მალე ჩავენერ ახალ ფრანგულენოვან სიმღერას, რომელიც ლილიკო ნემსაძემ ჩემთვის დაწერა. ის ტანგოს ახლებური ვერსიაა. ასევე იგეგმება ჩემი ალბომისთვის კიდევ ერთი ახალი სიმღერის ჩანერა და ჩემი კონცერტი გერმანიაში.

მსოფლიოს სათავგადასავლო ლიტერატურის აღიარებული ავტორი რობერტ ლუის სტივენსონის 4-ტომეული

5 - დან 12 - ივნისამდე

„შავი ისარი“

განსაცვიფრებელი ამბები თავგადასავლების მოყვარულთათვის



ნიბნის ფასი: 5 ლარი  
შურნალთან ერთად 6 ლარი

სარიდან „ჩამი რჩეული მსოფლიო“  
შურნალ „გზასთან“ ერთად ყოველ ხუთშაბათს  
აირჩიე შენი ავტორი!



ბათუმის რაიონი, ანთონიძის ქუჩა, 10. ტელ.: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 www.elva.ge

ELVA GROUP



# სსოპრება

3 წლის ლიზი ყაველაშვილს სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება. ბავშვის ოჯახს ოპერაციისთვის საჭირო თანხა არ აქვს. სასწრაფო კვებით დედას შვილისთვის დახმარება ვინმე მირიანმა შესთავაზა, ბანკში ანგარიშის ნომერი გახსნა და ხალხისგან შემოწირული ქველმოქმედებით გარკვეული თანხაც შეაგროვა, მაგრამ შემდეგ — გაუჩინარდა.

## ეთო ყოვლანაყოილი

ნიწო დევიდარიანი, ლიზის დედა:

— სიმსივნური წარმონაქმნი ლიზის 6 თვის წინ აღმოვუჩინეთ. რადგან სიმსივნე დიდი იყო, 6 ქიმიოთერაპია ჩაუტარდა, რის შემდეგაც სიმსივნე დაპატარავდა. ქიმიოთერაპია იანვარში შევუწყვიტეთ, რადგან წარმონაქმნის ზომა აღარ მცირდებოდა. გუშინწინ ლიზის ტომოგრაფია გადავუღეთ — სიმსივნურ წარმონაქმნს ისევ ზრდა დაუწყია და სასწრაფო ოპერაცია საჭირო.

— რა თანხა სჭირდება?

— თურქეთში ოპერაციაზე უარი გვითხრა, — ძალიან სარისკოაო. ისრაელში მივიღეთ — სიმსივნეს ბოლომდე ამოვიღებთ, ამისთვის 40 ათასი დოლარია საჭიროო.

— თაღლითობის თუ გაუგებრობის მსხვერპლი როგორ აღმოჩნდით?

— საქველმოქმედო ფონდის — „ფენიქსის“ წარმომადგენელი მირიან სურმანიძე ჩვენთან, სახლში მოვიდა. ის სხვა ბავშვის დასახმარებლად



ხალხისგან შემოწირული ქველმოქმედებით გარკვეული თანხაც შეაგროვა, მაგრამ შემდეგ — გაუჩინარდა

# გაუჩინარებული „ქველმოქმედი“ და ბედის ანახარა დარჩენილი 3 წლის ავადმყოფი ბოპონა



სიმსივნურ წარმონაქმნს ისევ ზრდა დაუწყია და სასწრაფო ოპერაცია საჭირო

ფულს აგროვებდა, ყუთებით კარდაკარ დადიოდა. ფული მეც ჩავუყარე და ლიზის შესახებაც ვუამბე. მითხრა, — როცა ისრაელიდან კალკულაცია ჩამოვივით, მაშინ დაგიკავშირდებითო. ჩემი მეუღლის ნომერი ჩავანერინე. მართლაც, დაგვიკავშირდა. ისრაელიდან გამოგზავნილი პასუხები და ბავშვის სურათები წაიღო. ჩემს მეუღლეს რუსთავეში (რუსთავეში ვცხოვრობთ) შესაწირისთვის ყუთები დაადგმევინა; ქალაქში ეს ყუთები ახლაც არ აუღიათ, ისევ არის... მერე თვითონვე გაზეთის რედაქციებს სთხოვა დახმარება და ჩვენც დაგვირეკა, — ანგარიშის ნომერს გაზეთებში გამოვაქვეყნებთო და შესაწირი ყუთებიდან 600 ლარი ამოიღო, რადგან „სამოდრო“ თანხა სჭირდებოდა. ანგარიშის ნომერი გახსნა „საქართველოს ბანკში“, „ფენიქსი 2014“-ის სახელზე და გაზეთებში გამოაქვეყნა...

— ანგარიშის ნომერზე თქვენ ხელი არ მიგინვდებოდათ?

— არა, არა, ყველაფერი თავად გააკეთა. რა ვიცი, ვენდეთ... თან, ძალიან რომ ვნერვიულობდით, ყურადღება აღარ გაგვიმახვილებია ამაზე. არ ვიცოდით, ანგარიშის ნომრის კონტროლი ჩვენც თუ შეგვეძლო.

— მის საქციელში ეჭვი როდის შეგებარათ?

— ტელეფონები რომ გათიშა, ეჭვი

შეგვეპარა და მისი მეუღლე დავიბარეთ, რომელიც შინ გვეცხუმრა და გვითხრა, — ბავშვის გამო, ჩემი ქმარი ერევანში წავიდა. იქ ყუთებით დადის, თანხას აგროვებსო.

— იქნებ მართლაც ერევანშია?

— არა. თურმე ხაშურში დადიოდა: წარმოშობით ხაშურელი ვარ. მამაჩემს ძმაკაცებმა დაურეკეს, — ვილაც თქვენი შვილიშვილის ფოტოებითა და ყუთით დადის, თანხას აგროვებსო. მამაჩემმა მირიანი პირადად ნახა და ჩემს მეუღლეს, ზვიადს ტელეფონით დააღაპარა. მირიანი შეგვპირდა, — სალამოს ჩამოვალ, ბანკში მივიდეთ და თანხას მოგცემთო. იმ სალამოს ცოლმაც და ქმარმაც ტელეფონები გათიშეს და აღარ შეგვეხმარებინა.

— ეს როდის მოხდა?

— დაახლოებით 1 კვირაა. პოლიციაში საჩივარი ამიტომ დავწერეთ — დავრწმუნდით, რომ ნამდვილად გვატყუებდა.

— პოლიცია რას ამბობს?

— ასე მალე ვერ მოვძებნითო.

— თუ იცით, რა თანხა შეაგროვა?

— მისმა მეუღლემ გვითხრა, — 10 ათასი ლარიო, მაგრამ როცა მირიანი ცოლს ტელეფონით ელაპარაკა, მგონი, უთხრა: 20 ათასამდე შევაგროვეო.

— პრესას ინტერვიუს მირიანი აძლევდა?

— კი.

— „ფენიბუკზე“, „გზის“ ოფიციალურ გვერდზე გვკითხეთ, — თქვენს ჟურნალში ანგარიშის ნომრის გამოქვეყნება რა ღირსო?

— ფასიანი იმიტომ მეგონა, რომ მაგ კაცმა ჩვენგან 600 ლარი წაიღო, — პრესაში ანგარიშის ნომრის გამოსაქვეყნებლად გადასახადი არისო...

როგორც ნინომ გვითხრა, პრესაში ლიზის „დასახმარებლად“ ჯერ კიდევ ქვეყნდება ანგარიშის ძველი ნომერი, რომელზეც სინამდვილეში, გოგონას მშობლებს ხელი არ მიუწვდებათ. ამიტომაც, ბავშვის დასახმარებლად ანგარიშის ახალი ნომერი უკვე შექმნილია. თუ ლიზის დახმარების სურვილი გაგიჩნდებათ, თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ „ლიბერთი ბანკში“, თამარ წერეთლის (ლიზის ბებია) სახელზე გახსნილ ანგარიშზე: GE57LB011148815339000.





# სტუმრად ტიცინის სახლ-მუზეუმი და ტრადიცია, რომელსაც თაობები აბრძელებენ

„მეუღლის ხსოვნას წიგნი მივუძღვინი“

ბივი ანდრიაძე პროფესიით ექიმი-კარდიოლოგი გახლავთ. ბავშვობაში ფარიკაობაზე იმ მიზნით მიიყვანეს, რომ პატარა პუტუნა ბიჭს წონაში დაეკლო. მაშინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მომავალში სპორტის ამ სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონი არაერთგზის გახდებოდა. მის ბიოგრაფიაში მხოლოდ ეს არ არის აღსანიშნავი: ბატონი გივი ტიცინი ტაბიძის შვილიშვილია. ჩვენი შეხვედრა გრიბოდოვის ქუჩაზე, პოეტის სახლ-მუზეუმში შედგა. სახლში ყველაფერი ისეა, როგორც ტიცინის დროს იყო: სამელნე, კალამი, ცისფერი ყანწი, საათი, რომელიც 1937 წელს, ტიცინის დაკავებისას ანუ ლამის 3 საათზე გაჩერდა და მას შემდეგ აღარ ამუშავებულა... ინტერვიუს ჩასაწერად იმ მაგიდასთან ვსხდებით, რომლის გარშემოც მაშინდელი ელიტის წარმომადგენლები იკრიბებოდნენ. როგორც ყოველთვის, მაგიდას ამჯერადაც, წითელი მიხაკები ამშვენებს.

## თაფნა კინიკაძე

— 2015 წელს ტიცინის 120 წლის იუბილეა. ლიტერატურის მუზეუმმა კულტურის სამინისტროში წერილი უკვე გაგზავნა და ღონისძიებების გეგმას ადგენენ. ერთი საღამო ოპერის თეატრში დაგეგმილი, მეორე — ვანში, სოფელ ჭყვიშში; ყვარულშიც უნდათ, რადგან ბებია ყვარულიდან იყო.

### — ამ სახლ-მუზეუმს ბევრი ადამიანი სტუმრობს?

— ადრე უფრო მეტი დამთვალიერებელი მოდიოდა. ბავშვები სკოლებიდან ექსკურსიებზე მოჰყავდათ.


### — და აქ წითელი მიხაკი ყოველთვის ხვდებათ?

— რა თქმა უნდა: ეს ყვავილი ხომ ტიცინს უყვარდა! ყვავილების გამყიდველებს არც ზამთარში და არც ზაფხულში მიხაკის გაყიდვის პრობლემა არ ჰქონდათ. მაშინდელი დროის პოეტები „ქიმირონი“ იკრიბებოდნენ. ბებია იქ ნახა, მოეწონა, მიხაკი აჩუქა და მათი სიყვარულის ამბავიც ასე დაიწყო... როცა ტიცინი სასწავლებლად მოსკოვში წავიდა, ბორის პასტერნაკს, სერგეი ესენინს დაუკავშირდა. ეს ადამიანები თბილისში ხშირად ჩამოდიოდნენ და ამ სახლში, ამ მაგიდასთან ისხდნენ, „ცისფერყანწლებთან“ ერთად ლექსების კითხვასა და სადღეგრძელოების თქმასი ღამეებს ათენებდნენ. მოკლედ,

დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. ბაბუას გარდაცვალების შემდეგ, მათთან ურთიერთობა ბებია გააგრძელა. ის პასტერნაკთან ხშირად ჩადიოდა. 1953 წელს, როცა პასტერნაკი დევნაში იყო, ბებია სულ მის ოჯახთან ერთად გახლდათ. ბაბუას რეაბილიტაციის შემდეგ, 1957 წელს ბინა გოგებაშვილის ქუჩაზე, ე.წ. მწერალთა კავშირის სახლში მოგვცეს. ამ ბინაში პასტერნაკი ჩვენთან ერთად, მთელი თვე ცხოვრობდა. დედა და ბებია მასპინძლობდნენ, ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს მალულად ათვალიერებინებდნენ. ერთ დღეს მცხეთაში წასულან და ვილაც კაცს ჩვენი სტუმარი უცნია. უკითხავს, — „ბორის ლეონიდოვიჩი, შენ ხარ?“ — არა, შეგეშალათო, — მოუტყუებია, რადგან „კაგებესი“ ეშინოდა. დედა თბილი ადამიანი იყო. მე და ჩემი და ვცდილობთ, ეს ტრადიცია გავაგრძელოთ. პროფესიით ექიმი-კარდიოლოგი ვარ. მასხოვს, როცა მოსკოვში დისერტაციის დასაცავად წავედი და პასტერნაკებმა ჩემი ჩასვლის ამბავი გაიგეს, საკუთარი ბინა დამითმეს.

### — ფარიკაობით გატაცებული ბავშვობიდანვე იყავით?

— 20 წლის ვიყავი, როცა მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი, მანამდე საბჭოთა კავშირის პირველობა სამჯერ მოვიგე. პუტუნა ბავშვი ვიყავი და ფარიკაობაზე პიონერი მოსა სასახლეში იმიტომ მიმიყვანეს, რომ წონაში დამეკლო. ყველა იცინოდა: ისე დაგორავს, ამან რა უნდა იფარიკაოსო? შეჯიბრებაზე არავის მივყავდი, მაგრამ ერთი მოფარიკავე ვადა გახდა და შემთხვევით, მის ადგილზე ჩამსვეს. ჯერ ერთი შეჯიბრება მოვიგე, მერე — მეორე. ამას სხვა წარმატებებიც მოჰყვა. მსოფლიოს ჩემპიონი სულ სამჯერ გავხდი. ყოფილი საბჭო-



მანანა გაცნობისთანავე მომეწონა

თა რესპუბლიკებიდან ფარიკაობაში პირველი მსოფლიოს ჩემპიონი ვიყავი. მოსკოვში, ასპირანტურაში სასწავლებლად რომ წავედი, ფარიკაობა იქაც გავაგრძელე და პარალელურად, აკადემიკოს ევგენი ჩაზოვთან ვმუშაობდი. ინფარქტიანი ადამიანების მოვლა იმდენად რთული იყო, ღამეები არ მეძინა. ფარიკაობაზე ერთი წელი მაინც დავდიოდი, მაგრამ მერე გავაცნობიერე: ან მედიცინისთვის უნდა დამენებებინა თავი, ან — ფარიკაობისთვის. მედიცინაში იმდენი შრომა მქონდა ჩადებული (მოსკოვში კარდიოლოგიის ცენტრში ვმუშაობდი), უარი როგორ მეთქვა? ჰოდა, ამ პროფესიას გავეყვი, დისერტაცია დავიცავი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჯერ კარდიოლოგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი გავხდი, მერე — უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. ინფარქტის განყოფილება მე ჩამოვყავალიბე. კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორიც ვიყავი. შემდეგ კარდიორეანიმაციული ცენტრი ჩამოვყავალიბე, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

### — მოგვიანებით კი ისევ ფარიკაობას დაუბრუნდით...

— 1992 წელს გავიგე, რომ ვეტერანი მოფარიკავეების მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდებოდა. გავვიყვი, ვარჯიში დავიწყე. ამერიკაში პირველად, ფლორიდის შტატში გამწვდელი, მაგრამ — უშედეგოდ, შემდეგ წლებში კი V, VII და X ადგილებზე გავიგე. მსოფლიო მასშტაბით ეს ცუდი შედეგი არ არის. თან კატე-



ტიცინი ნიტა ტაბიძესთან ერთად



გორიები იყო, 50-60 წლამდე, 60-70-მდე და 70-იდან ზევით. 70 წლის ზევით კატეგორიაში შარშან ვიფარაკავე, როცა მეუღლე ახალი გარდაცვლილი მყავდა. ჩემი გამოსვლა 12 მაისს, მის დაბადების დღეს დაემთხვა. ევროპის ჩემპიონატი ტარდებოდა და ბევრი ვეტერანი მოფარაკავე მონაწილეობდა. მესამე ადგილზე გავედი, ბრინჯაოს მედალი ავიღე და ეს გამარჯვება მეუღლის ხსოვნას მივუძღვენი. ჩემი შვილები და რძალი მახლდნენ, მგულშემატკივრობდნენ.

**— თქვენს მეუღლეზე მიამბეთ.**

— ჩემი მეუღლე, მანანა ანდრიაძე კონსერვატორიის პრორექტორი გახლდათ. მანანა გაცნობისთანავე მომეწონა. მერე ის მოსკოვში, ასპირანტურაში სასწავლებლად გაემგზავრა, სადაც მეგობართან — ლეილა მარუაშვილთან ერთად ცხოვრობდა. ყოველ პარასკევს თბილისიდან მოსკოვში მივფრინავდი, შაბათს და კვირას იქ ვრჩებოდი და მერე უკან ვბრუნდებოდი. მინდოდა, მისთვის თავი მომეწონებინა, ჰოდა, მანანას და ლეილას თეატრში, კინოში დავატარებდი. გავაცანი ბორის პასტერნაკის ოჯახი. ასე გრძელდებოდა რამდენიმე ხანს და მერე დავქორწინდით... ახლახან წიგნი გამოვეცი, რომელიც მანანას ხსოვნას მივუძღვენი. მის კოლეგებს, მეგობრებს ვთხოვე, ჩემი მეუღლე გაეხსენებინათ. გაკვირვებული დავრჩი, იმდენი თბილი სიტყვა და მოგონება დაგროვდა. ზედმეტი ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ კონსერვატორიისთვის მართლაც, ბევრი კარგი რამ გააკეთა. მაგალითად, საეკლესიო მუსიკის კათედრა დააარსა...

„ქართული გალობა ქართველი ერის იდენტობის, ქართული კულტურის უნიკალურობისა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი გამოხატულებაა. მაღლიანია ყველა, ვინც თავდადებითა და ერთგულებით ემსახურა ამ საუნჯეს. ასეთი პიროვნება იყო ქალბატონი მანანა ანდრიაძე“, — ეს არის ამონარიდი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მოგონებიდან, რომლითაც ხელოვანისადმი მიძღვნილი წიგნი იწყება.

**გივი ანდრიაძე:**

— ორი შვილი მყავს. ვაჟი ერთ-ერთი ფირმის გენერალური დირექტორია, ქალიშვილი კი მენეჯერი გახლავთ. შვილიშვილი მყავს: ზურაბი, ელენე და ნიკოლოზი. კონსერვატორიაში ტრადიციად დამკვიდრდა, ყოველ 12 მაისს, მანანას დაბადების დღეს, წლის საუკეთესო სტუდენტის დაჯილდოება მოხდება და ყველა ახალგაზრდას, სიგელთან ერთად, საკუთარი დანაზოგიდან მანანას სახელზე 300 ლარს გადავცემ. წელს ერთი სტუდენტი უკვე დავაჯილდოეთ.

# როსინდო სტარენი — არუბელი ინდიელი ჰოლანდიიდან



როსინდო აღფრთოვანებული დარჩა საქართველოში

თბილისში წარმოშობით არუბელი ინდიელების შთამომავალი, როსინდო მარგარიტა იოჰანეს ფრანცისკუს სტარენი ცხოვრობს ოჯახთან ერთად. როსინდო საქართველოში სიყვარულმა ჩამოიყვანა. ეს ამბავი კი უკრაინაში დაიწყო.

**ქათი ნიკოლაჟა**

**როსინდო:**

— პროფესიით აი-ტის სპეციალისტი ვარ. წლების წინ ერთ ამერიკელთან დავინწყე მუშაობა, რომელმაც უკრაინაში წამოიყვანა. სიმართლე გითხრათ, იქ გარკვეული პრობლემები შემექმნა ენის გამო. ჰოდა, ერთ დღესაც ახალგაზრდა გოგონა — ინა მომევიწინა მშველელად.

**ინა:**

— დედა უკრაინელი მყავს, ამიტომაც ხშირად მიწვედა იქ ყოფნა. ისე, თბილისში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი ოჯახი ავლაბარში, სამების ტაძრის წინ ცხოვრობს.

**როსინდო:**

— დავმეგობრდით მე და ინა. მერე ის საქართველოში დაბრუნდა, მე — ნიდერლანდების სამეფოში, მაგრამ ერთმანეთს „სკაიპით“ ვუკავშირდებოდით.

**ინა:**

— ეს „სკაიპ“-მეგობრობა საკმაოდ დიდხანს გაგვიგრძელდა. იმ პერიოდში სასტუმროში ვმუშაობდი და ლამის ცვლაში ყოფნა როსინდოსთან „სკაიპით“ საუბარმა გამიადვილა. მახსოვს, შუა საუბრისას მეუბნებოდა ხოლმე, — გადავედი ახლა მე გერმანიაში, მაღაზიაში უნდა ვიყიდო რალაცო. თავდაპირველად მიკვირდა. მერე გავიგე, რომ ვაალი, ქალაქი, სადაც როსინდო ცხოვრობს და მუშაობს, თურმე გერმანიის საზღვართან მდებარეობს და რადგანაც საქონელი გერმანიაში უფრო იაფია (მათ შორის, სანვაიცი), როსინდო იქ გადადგოდა ხოლმე.

**— თბილისში როდის ჩამოვიდა?**

— უამრავ რამეს ვუყვებოდი საქართველოზე და ერთ დღესაც მან ჩამოსვლა გადაწყვიტა. 2009 წლის ივნისი იყო. როსინდო აღფრთოვანებული დარჩა საქართველოში და თამამად ვიტყვი, რომ თვითონ ჩვენ, საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს არ გვექნება მოვლილი და შესწავლილი ყველა ის კუთხე-კუნჭული, რომელიც მას აქვს.

**— როსინდო, განსაკუთრებით რომელმა კუთხემ მოგხიბლა?**

— სვანეთმა. საოცარი ბუნებისა და ლანდშაფტების „პატრონი“ კუთხეა. ასევე მოვიხიბლე მთაში მცხოვრები ხალხით. ისინი რალაცით არუბლებს ჰყვანან: მათსავეთ სიცოცხლის მოყვარულები არიან. იცით, როგორი ხალხი ცხოვრობს არუბაზე? ძალიან სტუმართმოყვარე და მხიარული. აი, ბობ მარლის სიმღერასავით არიან — Don't worry, be happy. ტყუილად კი არ ეძახიან არუბას — One happy island (ერთი მხიარული კუნძული.)

**ინა:**

— სვანეთში როსინდო ჩვეულებრივი სამარშრუტო ტაქსით გავმგზავრა, რომელიც სვანებით იყო სავსე. საოცრად მხიარული ატმოსფერო იყო შექმნილი. მერე ვილაცამ არყის ბოთლი ამოიღო და გრძელი და დამქანცველი გზა სადღეგრძელოებსა და მხიარულებამი განვლეს. თავდაპირველად როსინდოს ჩვენი ქორწილის გადახდა სვანეთში უნდოდა, მაგრამ როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, უამრავი სირთულის წინაშე აღმოჩნდით. საორგანიზაციო საკითხებმა, სვანეთში სტუმრების ტრანსპორტირების ჩათვლით, ფაქტობრივად შეუძლებელი



გახადა ამ იდეის განხორციელება.

**— დაქორწინება როდის გადაწყვიტეთ?**

— გარკვეული დროის მანძილზე მიგვაჩნდა, რომ ჩვენს ბედნიერებას პასპორტში შტამში არ სჭირდებოდა. მაგრამ თურმე სიღნაღს ტყუილად არ ეძახიან სიყვარულის ქალაქს: 2013 წლის ივლისში სიღნაღში ყოფნისას როსინდომ მაღალ კოშკზე ამიყვანა და შამპანურისა და ყვავილების თანხლებით, ხელი მთხოვა. ყველაფერი ისე ლამაზად მოხდა, რომ პოლიეუდის ფილმში მეგონა თავი.

**როსინდომ:**

— დეკემბერში კი ვიქორწინეთ და ქორწილი ლონდონში გადავიხადეთ.

**— ლონდონში?**

— „ლონდონი“ აქვე, ჩვენს სახლთან მდებარე რესტორანს ჰქვია.

**ინა:**

— დიდი ქორწილი არ გადავიხდია. მხოლოდ ჩვენი ოჯახის წევრები იყვნენ.

**როსინდომ:**

— რაც მთავარია, თეთრი კაბა და საქორწილო ტორტი გვქონდა.

**— ჯვრისწერა არ გქონია?**

**ინა:**

— არა, რადგანაც სხვადასხვა რელიგიას მივეკუთვნებით: როსინდო კათოლიკეა, მე — გრიგორიანელი.

**— როსინდო, შენი წინაპრები კუნძულ არუბაზე მცხოვრები აბორიგენი ინდიელები იყვნენ. მათგან რაიმე ტრადიცია არ გადმოგეცა?**

— საუკუნეების წინ ჩვენი კუნძული ჰოლანდიელმა კოლონიზატორებმა დაიპყრეს. მერე ჩამოვიდნენ მისიონერები და კათოლიციზმი გაავრცელეს ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის. ძველი ადამიანები კი დავიწყებას მივცა.

**საუბარში როსინდოს დედა, ვრანცისკა ჰენრიკუსი ერთეობა:**

— თუმცა არის რაღაც-რაღაცები, რისიც არუბელებს სჯერათ. მაგალითად, თუ მზის ჩასვლის შემდეგ რაიმე გაგიტყდებათ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ახვეტოთ ცოცხით — უბრალოა იცისო, — ამიტომ ხელით უნდა აიღოთ. ასევე არ არის მიღებული არუბელებში სახლში ბანქოს თამაში. მახსოვს, დედა დაგვინახავდა თუ არა ხელში ბანქოს, ეგრევე ქუჩაში გვყრიდა.

**— თქვენ ინდიელებისთვის დამახასიათებელი მეტსახელიც გექნებათ.**

**ინა:**

— რაც შეეხება მეტსახელებს: მაგალითად ავიღოთ „თეთრი კლანჭი“ — ეს სუფთა ევროპული ფანტაზიის ნაყოფია, რადგანაც მათთვის რთული წარმოსათქმელი იყო ინდიელების სახელები. თუმცა, როსინდოს დედას აქვს მეტსახელი,

რაც მათ ენაზე თურმე ლობოს ნიშნავს.

**— საქართველოში ჩამოსულ უცხოელებს ძირითადად, თბილისის ქუჩებში მოუწონებელი სატრანსპორტო მოძრაობა აწუხებთ.**

**როსინდომ:**

— მე სულ სხვა რამეზე გავაკეთებდი აქცენტს. საქართველო ტექნოლოგიური განვითარებით საკმაოდ მოიკოჭლებს. მაგალითად, მსურს სახლის დაპროექტება (სტარენები თბილისში სახლს იშენებენ). საპროექტო კომპანიას ინტერნეტის საშუალებით ვეძებ და ეს მთელ მსოფლიოში მიღებული ფორმაა.

**ინა:**

— საქართველოში კი მსგავსი რამე უფრო ნაცნობობით კეთდება.

**როსინდომ:**

— ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა გახარებული ვიქნებოდი,

როდესაც ხანგრძლივი ძიების შემდეგ, როგორც იქნა, აღმოვაჩინე ინტერნეტში ალბათ ერთადერთი არქიტექტურული ფირმა, რომელიც არ იყო Under Construction (საიტ რეკონსტრუქციის პროცესში). ქართველებმა უფრო თამამად უნდა მიიღონ ტექნოლოგიური სიახლეები — ასე ვფიქრობ. ეს გაცილებით გააუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს საქართველოში. კიდევ ვიტყვი: მთელი საქართველო მაქვს შემოვლილი და ვიტყვი, რომ სოფლებში ხალხი უფრო უშუალო და ხალისიანია, ვიდრე ქალაქში.

**— როგორც ვიცით, მამით ჰოლანდიელი ხარ და ჰოლანდიაში ცხოვრობ. არუბასთან გაკავშირებს რამე?**

— არუბაში დედის დიდი ოჯახი ცხოვრობს.

სტარენებთან სტუმრად ყოფნისას ვერც კი შეამჩნევ, როგორ სწრაფად გადის დრო. საუბრისას როსინდოს მთელი ოჯახი მმასპინძლობდა. როსინდოს დედამ — ფრანცისკამ ყავა და კანფეტები მოგ-

ვართვა; მათ თავიდან სპეციფიკური გემო აქვს, რომელსაც თანდათანობით ერევი. დადებითი ემოციით დამუხტული იმ აზრამდე მივდივარ, რომ ქართველები „დაძაბული“ ხალხი ვართ. გასული წლების პოლიტიკურმა მოვლენებმა დაამძიმა ჩვენი ხასიათი. სტუმართან ან სტუმრად მისვლისას ვსაუბრობთ მხოლოდ არჩევნებზე, „ელგებეტესა“ და პოლიტიკაზე...

შინ დაბრუნებული, მეგობარს მიღებულ შთაბეჭდილებებს ვუზიარებ და ნუხილს გამოვთქვამ იმ დაკარგულ სილაღესა და სიმსუბუქეზე, რომელიც წლების მანძილზე „შემოგვეფანტა“, რაზეც ლოგიკურ პასუხს ვიღებ, — აბა, ტყუილად გვქვია რყვ-ინებიო (მოგესვენებათ, რყვ ტვირთს ნიშნავს)?!

**ვულკანური წარმოშობის კუნძული არუბა კარიბის ზღვის სამხრეთით მდებარეობს სამხრეთ ამერიკაში და ვენესუელას ესაზღვრება. მისი ფართობი სულ რაღაც 184 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა კი 101 484 კაცს შეადგენს. დედაქალაქი — ორანიესტადია.**

**კუნძულის აზორიგენი ძირკველი მოსახლეობა არავაკავის ტომის ინდიელები იყვნენ, რომლებიც შემდგომ კარიბებმა დაიპყრეს (კარიბები ასევე, ერთ-ერთი ინდიელების ტომია). მიწვიდგიმე საუკუნეში კუნძული ახალი მიწების გაპიჯებულ ნიღარლანდელებმა დაიპყრეს. არუბა დღემდე მათ განაგრძობს. მოსახლეობის 80% კათოლიკეა, სოლო ოფიციალური ენები — ჰოლანდიური და პაპიამენტოა (ესპანური და პორტუგალიური ენების კრეოლური ნაზავი). კუნძული იმდენად პატარაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უმაღლესი განათლების მისაღებად ნიღარლანდელებში მიდის. არუბაზე უნივერსიტეტი არ არის.**

**არუბა ტურისტების საყვარელი ადგილია. მისი პიკაპიკი იმ სურათებს ჰგავს, ზღაპრულ კურორტზე მოხვედრავა მოცინებანი სმარტონებისა და კომპიუტარების ეკრანზე რომ იყინებან. ერთი სიტყვით, სამოთხეა და დამინაზა.**



არუბა სამოთხეა დედამინაზე



# მეზო ნუსუზიძეს ცხოვრების ხალისი შეჰპარებულა დაუბრუნა

24 წლის მუსიკოსი — მერაბ ნუსუზიძე მაყურებელმა „იქს-ფაქტორიდან“ გაიცნო. მანამდე მას ინტერნეტმომხმარებელი იცნობდა, როგორც კომპოზიტორ-შემსრულებელს. მეზო მისი სასცენო სახელია. ის გიორგი გაბუნის ოთხეულშია და პირველ „ლაივ“-კონცერტზე „ესემეს“-ლიდერი გახდა. მეზო საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფრანგული ენის სპეციალისტია, მაგრამ ოცნებობს, როგორც მუსიკოსს, იმდენი შემოსავალი ჰქონდეს, რომ სხვა საქმის კეთება არ დასჭირდეს.

## ინო მჭადლიუვილი

— 17 წლის ასაკში დავინტერესდი მუსიკით. „რედო ჰედი“ იყო ჩემი საყვარელი ბენდი და მათი მიზაძვით მომინდა, გიტარაზე დაკვრა მესწავლა, ბენდი მყოლოდა. კომპოზიტორ-შემსრულებელი ვარ და შესაბამისად, სულ ვწერდი სიმღერებს, რომლებსაც მერე თავადვე ვასრულებდი. დღეს მყავს ბენდი — „ზე ბეარ ენდ ზე ფოქს“ („დათვი და მელა“). ახლა ოთხნი ვართ, მაგრამ ადრე ორნი ვიყავით: ჩემი მეგობარი დათვი იყო, მე — მელა (იციხის).

— რატომ — მელა? მატყუარა ხარ?

— არა, გარეგნობით მამსგავსებენ მელას. ინდიელებისთვის ეს ცხოველი სიბრძნესთან ასოცირდება და მე მიმსგავსების ეს ვარიანტი მიჩვენებია... მოკლედ, ვასრულებდი საკუთარ სიმღერებს, რომლებსაც „იუთუბიზე“ ვდებდი. „იქს-ფაქტორმა“ კი მომცა შანსი იმისა, რომ ჩემი შემოქმედება უფრო მეტმა ადამიანმა გაიცნოს, მომისმინოს. ინტერნეტში კასტინგის პირველი ვიდეო რომ გამოჩნდა, ჩემი სიმღერების „ნახვები“ გაორმაგდა, რითაც ბედნიერი ვარ.

— მეზო, პირველი სიმღერა რა განცდით, ემოციით დაწერე?

— პირველი სიმღერა სიყვარულმა და მანერინა, მაგრამ ის ახლა აღარ მომწონს.

— ადრესატს მოეწონა სიმღერა?

— მას მე მოეწონდა და სიმღერაც ამიტომ მოეწონა (ილიმის). ობიექტური რომ ყოფილიყო, არ მოეწონებოდა.

— ახლა სად არის ის გოგო?

— საფრანგეთში ცხოვრობს. ჩვენი ურთიერთობა არ შედგა.

— სამაგიეროდ, ახალი დაიწყო: როგორც ვიცი, შეყვარებული ხარ. ვინ არის შენი რჩეული?

— ის პროფესიით იურისტი და რაც მთავარია, გემოვნებიანი მსმენელია. ყოველთვის კარგ რჩევებს მაძლევს.



წვერი მქონდა მოშვებული, არ ვუვლიდი საკუთარ თავსა და შემოქმედებას, უბრალოდ, ვცხოვრობდი

ამიტომაც, ახალ სიმღერას პირველად მას ვასმენინებ. ზუსტად ვიცი, არ მომაცყუებს და ობიექტურად შემაფასებს.

— შეყვარებული შენს ფანგოგონებზე არ ეჭვიანობს?

— გოგონებს მოსწონთ ჩემი მუსიკა და მოსწონთ მუსიკოსი მეზო, რაც ჩემს შეყვარებულს გაცნობიერებული აქვს. რაც უფრო მეტი ადამიანი მომისმენს, ქეთი მით უფრო ბედნიერი იქნება.

— ქეთისთვის არ მიგიძღვნია სიმღერა?

— ყველაფერს, რასაც ვაკეთებ, მისთვის და მისი დამსახურებით ვაკეთებ.

— ერთმანეთი როგორ გაიცანით?

— 5 წელია, ერთმანეთს ვიცნობთ, მაგრამ 9 თვის წინ აღმოვაჩინეთ, რომ ერთად კარგად ვართ. მანამდე წვერი მქონდა მოშვებული (8 თვე არ გამიპარსია), არ ვუვლიდი საკუთარ თავსა და შემოქმედებას, უბრალოდ, ვცხოვრობდი; ვწერდი სიმღერებს, მაგრამ არ მქონდა მათი ჩანერის ხალისი. მერე გამიჩნდა სურვილი, ყველაფერი შემეცვალა და სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა ქეთიც.

— ეს რვათვიანი პერიოდი დეპრესიას უკავშირდებოდა?

— იმედგაცრუება მქონდა. იყო პერიოდი, როცა სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდი, რათა გიტარისა და მიკროფონის შესაძენად თანხა შემეგროვებინა. ჰოდა,

ამდენს რომ ინვალებ, ჩანერ სიმღერას და მერე არავინ მოისმენს, თავს უფლებას აძლევ, მოდუნდე, წვერიც მოუშვა... მერე ფიზიკური და ნაწიბ კიდევ იმ მოდუნებას. მიხარია, რომ ჩემს ცხოვრებაში არსებობს ქეთი, რომელმაც ყველაფრის ხალისი დამიბრუნდა.

— პროფესიით ვინ ხარ?

— საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი დავამთავრე. მეორად ფაკულტეტად კი ფრანგული ლიტერატურა მქონდა არჩეული. ახლაც ვსწავლობ — მაგისტრატურაში. ვოცნებობ, ვიცხოვრო მხოლოდ მუსიკით. იმედია, ოდესმე დადგება დრო, როცა როგორც მუსიკოსი, იმდენ თანხას ვიმოვი, რომ გიტარის გამოცვლას შევძლებ და ამისთვის ფრანგულიდან ქართული თარგმანების კეთება არ მომიწევს.

— შენ პირველ „ლაივზე“ „ესემეს“-ლიდერი იყავი...

— ამას ნამდვილად არ ველოდი. აბსოლუტურად განსხვავებული ოთხეული ვიყავით, ერთნაირად ძლიერები. პროექტიდან გიორგი ბერიძის გამოთიშვასაც არ ველოდი. მისი გავარდნა შოკი იყო ყველასთვის. მეგონა, „ესემეს“-ლიდერი ის იქნებოდა.

— შენს მენტორს, გიორგი გაბუნისა სმირად აკრიტიკებენ. ამბობენ, რომ მუსიკის აზრზე არ არის. მოგწონს მისი შერჩეული სიმღერები?

— იმისთვის, რომ იყო კარგი მუსიკალური პროდიუსერი, არ არის საჭირო, იყო მუსიკოსი. გიორგის მუშაობით კმაყოფილი ვარ. ის გემოვნებიანი ადამიანია და კარგი სმენა აქვს. ზოგჯერ ლილინებს კიდევ ჩვენთან ერთად.

— ყველაზე მეტად, ოჯახის რომელი წვერი გგულშემმატყვირობს ან გაკრიტიკებს?

— ბოლო დროს ოჯახის წევრები მეუბნებიან, — ძალიან ხმაურობო (იციხის). განსაკუთრებით, ჩემს დას ვაწუხებ, რომელსაც გამოცდები აქვს ჩასაბარებელი და მეცადინეობას არ ვაცლი. ერთი და მყავს. ის ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარია და არც კრიტიკას მაკლებს.



მიხარია, რომ ჩემს ცხოვრებაში არსებობს ქეთი



# ერთი ბრენდის ისტორია

დამღლედი სამუშაო დღის შემდეგ კომფორტულ გარემოში განტვირთვა საუკეთესო საშუალებაა. საღამოს რბილ სავარძელში მოკალათებასა და ტელევიზორის ყურებას არაფერი ჯობია. ყველა ჩვენგანს შინ საყვარელი ადგილი აქვს, მე — ჩემი სავარძელი. საბჭოთა დროინდელი ხის მასიური ავეჯი წლების წინ რბილმა და კომფორტულმა ჩაანაცვლა. კარგია სახლის ძვირად ღირებული უცხოური ბრენდის ავეჯით მოწყობა, მაგრამ, ვფიქრობ, პრიორიტეტს საკუთარ ქვეყანაში დამზადებულს უნდა ვანიჭებდეთ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართული წარმოება ბევრად იაფი ჯდება,



ვიდრე უცხოური, რატომ უნდა გადავყაროთ ფული?!

რამდენად შესაძლებელია საქართველოში დამზადებული ხარისხიანი და ხელმისაწვდომი პროდუქციის შექმნა? ამჯერად მკითხველის ყურადღებას ავეჯის მწარმოებელ ერთ-ერთ კომპანიაზე გავამახვილებთ.

როგორ დაიბადა „ემბავუდი“ საქართველოში? ბრენდის ისტორიაზე „ემბავუდის“ რეგიონული წარმომადგენლობის დირექტორს, გიორგი დაბრუნდაშვილს ვესაუბრეთ:

**„ემბავუდის“ პირველი მაღაზია 2009 წელს გაიხსნა, დღეს უკვე 32 მაღაზია გვაქვს, წლის ბოლოს კი საქართველოს მასშტაბით „ემბავუდის“ 40 მაღაზია იქნება**

## თორნიკე ყაჯარიშვილი

— ავეჯის დამზადება საქართველოში 2007 წლიდან დაიწყო. ჩამოვიტანეთ გერმანული დანადგარები, რომ წარმოებული ავეჯი ევროპული ხარისხის შესაბამისი ყოფილიყო. მალე კომპანიამ ბრენდმაღაზიის გახსნა გადაწყვიტა. „ემბავუდის“ პირველი მაღაზია 2009 წელს გაიხსნა, წლის ბოლოს 7 მაღაზია გვაქვს. დღეს კი უკვე 32 მაღაზია გვაქვს. კომპანია საქართველოს ფარგლებს გარეთაც წარმატებით საქმიანობს: აზერბაიჯანში, უკრაინაში, ყაზახეთსა და თურქეთში. 2010 წლიდან განხორციელდა სპეციალური პროექტი გერმანულ ტექნოლოგიებთან ერთად, რომლის შედეგადაც შემოვიღეთ ორწლიანი საგარანტიო მომსახურება, ანუ ჩვენთან შექმნილ პროდუქციას, თუ ქარხნული წუნი აღმოაჩნდა, ორი წლის განმავლობაში მომხმარებელს მის შესაკეთებლად არანაირი თანხის გადახდა არ უნევს; ხოლო თუ ავეჯი მომხმარებლის მიზეზით დაზიანდა,

ამ შემთხვევაშიც უფასოდ ვემსახურებით, მომხმარებელი მხოლოდ დეტალის საფასურს იხდის. გარდა ამისა, ჩვენს მაღაზიებში მოქმედებს 0%-იანი განვადება. შექმნილი პროდუქციის მომხმარებელთან მიტანა და აწყობა უფასოა. მაგალითად, თუ მომხმარებელს საძინებლის მთლიანი კომპლექტის შექმნა არ შეუძლია, ვაძლევთ საშუალებას, მისთვის სასურველი საძინებელი გარნიტურიდან ერთი ნებისმიერი ნივთი შეიძინოს. ვამაყოფთ, რომ ჩვენი პროდუქცია „დამზადებულია საქართველოში“. ამით იმის თქმა გვინდა, რომ საქართველოშიც შეიძლება მზადდებოდეს ხარისხიანი ავეჯი, რომელიც კარგად იყიდება და ექსპორტზეც გაგვაქვს.

წლის ბოლოს საქართველოს მასშტაბით „ემბავუდის“ 40 მაღაზია იქნება. ივნისის ბოლოს კი ბათუმში კიდევ ერთი მაღაზია გაიხსნება.

— რამ განაპირობა თქვენი წარმატება?

— წარმატების ძირითადი ფაქტორებია: ხედვა, რომ ვიყოთ ახლოს

მომხმარებელთან და შევთავაზოთ თანამედროვე დიზაინი, ევროპული ხარისხი და მისაღები ფასი.

— მასალები საიდან ჩამოგაქვთ?

— ძირითადი მასალები ჩამოგვაქვს ევროპიდან, აქსესუარები — თურქეთიდან. იმისთვის, რომ ჩვენი პროდუქციის ფასი მისაღები ყოფილიყო, „ემბავუდმა“ 2009 წელს გარდაბანში გახსნა ავეჯის ნახევარფაბრიკატის ქარხანა. ჩვენ ვზრუნავთ კომფორტზე, ხარისხზე და გვინდა, ფასიც კომფორტული იყოს.

უახლოესი ორი წლის განმავლობაში ვგეგმავთ, კიდევ უფრო საინტერესო დიზაინი შევთავაზოთ მომხმარებელს და მათი ინდივიდუალური მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ. გესურს, გავხდეთ ლიდერები ავეჯის ბაზარზე თანამედროვე დიზაინითა და ყველაზე კომფორტული ნაწარმით.

კომპანიაში ამჟამად 1000-მდე ადამიანია დასაქმებული. ბრენდი მთავალში კიდევ რამდენიმე ქვეყანაში გეგმავს პროდუქციის ექსპორტს.

R



# „ოსნების ქალაქის“ ნასრისფერი რეალობა

ადამიანები ხელისუფლების კეთილი ნების მოლოდინში

„სახელდახელოდ შეკრული ფიცრულები, ცხოვრება XXI საუკუნეში წყლის, ელექტროენერჯის, გაზის გარეშე — ასეთია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე „ოცნების ქალაქის“ რეალობა. ფრიდონ ხალვაშის ქუჩის 188-ში რამდენიმე ფიცრულზე „ქართული ოცნების“ დროშა ფრიალებს. ძნელია გაერკვე, ეს რისი სიმბოლოა, უკეთესი მომავლის რწმენის თუ — დამსხვრეული ოცნებების. იქ ვისაც უნდა გაესაუბრო, ყველა გეტყვის, რომ მაღალმთიანი აჭარადან გაჭირვებას გამოექცა. კითხვაზე: აქაც ხომ გაჭირვებაში ცხოვრობთ? — მპასუხობენ, — იქ უფრო მეტი გაჭირვება გვექონდაო. „ოცნების ქალაქში“ მყოფი 500-ზე მეტი ადამიანი შინ დაბრუნებაზე ოცნებობს.

## თაყუნა კვინიკაძე

საპირფარეშო საერთოა, აბაზანის ფუნქციას ტენტით შემოსაზღვრული 4 ბოძი ასრულებს. ფიცრულებთან ახლოს — ნაგავსაყრელია, — დაახლოებით ერთი წლის წინ სწორედ ამ სიტყვებით დავინყე სტატიის წერა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ნანახით გულდამძიმებულმა. იქ მაშინ არასამთავრობო ორგანიზაცია „სი-დას“ მიერ ჩატარებული მედიატურით ვიყავი ჩასული. აჭარას წელსაც ვესტუმრე და „ოცნების ქალაქი“ მოვინახულე. ამ ადამიანებზე ერთი წლის წინ დანერვილ სტატიაში შესაცვლელი მხოლოდ ის არის, რომ სახელდახელოდ შეკრულ ფიცრულებში ელექტროენერჯია შეუყვანიათ, „ქართული ოცნების“ დროშა აღარ ფრიალებს და ფიცრულების (შესაბამისად, მოსახლეობის) რაოდენ-



ეკომიგრანტები და ლტოლვილები ისევ ერთად, საერთო ოცნებითა და ხვალინდელი დღის იმედით ცხოვრობენ...

ობა გაზრდილია. ეკომიგრანტები და ლტოლვილები ისევ ერთად, საერთო ოცნებითა და ხვალინდელი დღის იმედით ცხოვრობენ...

„არც ახალმა ხელისუფლებამ გაამართლა. ჩვენი მომავალი ისევ გაურკვეველია. როგორც იქნა, გამოვიზამთრეთ, გაყინვას გადავურჩით, მაგრამ გეტყვით, რომ ერთი ღერი შეშაც არავის მოუწოდებია“, — მეუბნება გულიკო ლომსაძე და თვალზე ჩამოგორებულ ცრემლს ინმენდს.



სამსახურს ვეძებ, ვნატრობ, მაგრამ ვერ ვშოულობ

ნანა ქოქოლაძეს 2 მცირეწლოვანი შვილი ჰყავს და მთელი ზამთარი ბავშვებთან ერთად, მუყაოს სახლში გაატარა. „16 კვადრატულში 4 სული ვცხოვრობთ. სოციალურ დახმარებას — 204 ლარს ვიღებთ და სულ ეს არის ჩვენი შემოსავალი. არც სახლი გვაქვს, არც სხვა თავშესაფარი“.

მადონა ბოლქვაძე ავადმყოფ შვილს დასტრიალებდა თავს: „არ ვიცი, რა გავაკეთო, მუცლის ღრუს იტკივებს. გვითხრეს, თბილისში წაიყვანეთ, გამოკვლევა ჩაუტარეთო. ექიმთან მისასვლე-

ლი ფული არ გვაქვს, პოლისი კი იმ გამოკვლევებს არ ანაზღაურებს. 2 შვილის დედაა, 24 წლის არის. ის ნივთები, რასაც აქ ხედავთ, ახლობლებმა გვაჩუქეს. თბილისიდან სახალხო დამცველი ჩამოვიდა, აქაურობა ნახა, მაგრამ მის სტუმრობასაც არ მოჰყოლია შედეგი. ახალი მთავრობა ძველისგან არაფრით განსხვავდება“.

„ძალიან გაენვალდით, თითქოს ამ ქვეყანაზე არც ვარსებობთ“, — ამბობენ ადგილობრივები. ეს ადამიანები წარსულითა და აწმყოთი ერთმანეთს ჰგვანან, მომავალს შიშით შეჰყურებენ.

## გაბრიელ კოჩიაძე:

— ორი წელია, აქ ვცხოვრობ. ჩასახლების დღიდან არაფერი შეცვლილა, მხოლოდ ერთი მიღწევა გვაქვს: დენი შემოვიყვანეთ, გამრიცხველიანება მოხდა. XXI საუკუნეში სიბნელეში, სანთლის შუქზე ვცხოვრობდით. სამსახურს ვეძებ, ვნატრობ, მაგრამ ვერ ვშოულობ.

## — ეკომიგრანტი როგორ განდით?

— ჩემი ძმები, მათი ცოლები და შვილები — სახლში 21 სული ვიყავით. ჰოდა, ოჯახს გამოვეყავი, სარდაფში დავსახლდი, მაგრამ ნესტმა ერთ-ერთი შვილის ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედა, ავად გახდა, მეორეს კი არასრულფასოვანი კვების გამო ანემია დაემართა. იძულებული გახდით, ის სარდაფი დამეტოვებინა და აქ ნამოვსულიყავი.

ზებური კახაძე პირველი ჯგუფის ინვალიდია. მას ორივე ქვედა კიდური მოკვეთილი აქვს და ეტლით გადაადგილდება.

— მხოლოდ პენსიას ვიღებ და ეგ არის. სახელმწიფო ყურადღებას არ მაქცევს. ხელისუფლების წარმომადგენლებს დახმარებისთვის მივმართე. მიპასუხეს, — ახლა წინასაარჩევნო პერიოდია და რომ დაგეხმაროთ, ამომრჩევლის მოსყიდვაში ჩაგვითვლიანო.

— თქვენ შესახებ მიაბნეთ: სად ცხოვრობდით, როგორ დაინვალიდდით?

— სახელმწიფოს დაუდევრობის გამო მივეჯაჭვე ეტლს. ეს 1988 წელს მოხდა. ჩემი სოფელი ორფოლოს პოლიგონიდან 1 კილომეტრშია. სკო-



თუ ორი ადამიანი ერთმანეთს გაუგებს, მისი ინვალიდობა მეორეხარისხოვანი ხდება

რი კარგი ადამიანია და მასთან ერთად ოჯახის შექმნა ამიტომაც გადაწყვიტე.

— ვიდრე შეხვდებოდით, მისი მდგომარეობის შესახებ იცოდით?

— დიახ, ვიცოდი.

— ბევრი თქვენსავით არ მოიქცეოდა...

— აბა, რა ვითხრათ? თუ ორი ადამიანი ერთმანეთს გაუგებს,

მისი ინვალიდობა მეორეხარისხოვანი ხდება. მთავარია, კარგი პიროვნებაა, სხვა რაღაცებს ყურადღებას არ ვაქცევ. სასიძო ჩემი ოჯახის წევრებმაც კარგად მიიღეს. ზებურის მკურნალობა ახლაც ესაჭიროება. მას ექიმებმა ნევროზის დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ უსახსრობის გამო, მკურნალობას ვეღარ აგრძელებს. მეც უმუშევარი ვარ.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე ერთი წლის წინ მოცემულ ინტერვიუში ამბობდა, რომ თვითნებურად ჩასახლებულ ადამიანებს დასუფთავების პრობლემას მოუგვარებდა, მაგრამ „ოცნების ქალაქელებს“ დღესაც უნევთ აქციების გამართვა, ნავის ბუნკერების მოთხოვნით (19 ჰექტარზე გადაჭიმული ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა არ ხდება). დღემდე არც იმ 50-მდე ოჯახის განსახლება მომხდარა, რომელიც, ხაბაძის თქმით, დახმარებას მართლა საჭიროებდა.

გიორგი ჩარკვიანი, სახალხო დამცველის წარმომადგენელი ბათუმში:

— უჩა ნანუაშვილმა ეს ადამიანები პირადად მოინახულა. სამწუხაროა, რომ არაერთ ბავშვს მძიმე პირობებში უნევს ცხოვრება. ამავე დროს, ძალიან რთულია დაადგინო, ვინ იტყუება და ვინ საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას. მათ ვთხოვეთ, სახალხო დამცველის სახელზე განცხადებები შემოიტანონ და თითოეული ოჯახის მდგომარეობის შესწავლა მოხდეს. სხვათა შორის,

რამდენიმე განცხადება უკვე მივიღეთ და თბილისში გავგზავნეთ.

P.S. გაურკვეველია, რა მოხდება მას შემდეგ, როცა დაადგენენ, ვის ესაჭიროება სახელმწიფოსგან დახმარება და ვის — არა. მოხდება თუ არა ამ ოჯახების განსახლება ან როდიდან დაიწყება? „ოცნების ქალაქში“ ადამიანები ხელისუფლების კეთილი ნების მოლოდინში არიან.



არაერთ ბავშვს მძიმე პირობებში უნევს ცხოვრება

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

# არსენალი

ინფორმაცია ნამძვილი მამაკაცებისთვის!

ყოველთვიური ჟურნალი! იკითხეთ პრავის ბაზაპრეტალაბათანს!

www.arsenal.ge

ლიდან სახლში ვბრუნდებოდი, როცა სოფლის ცენტრში აუფეთქებული „სნარიადი“ ვნახე... (პაუზის შემდეგ) აფეთქდა. მაშინ 8 წლის ვიყავი. არ ვიცოდი, რა იყო. თურმე სოფლის მთელ ტერიტორიაზე ყოფილა მიმოფანტული ასეთი „სნარიადები“ და მას მერე, რაც დავშავდი, მანქანებით გაუტანიათ... როცა პიროვნება სახელმწიფო მოხელეთა დაუდევრობის გამო უნარშეზღუდული გახდება, სახელმწიფო ვალდებულია, საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოს. დახმარებისთვის ვის არ მივმართე, მაგრამ აბსურდული პასუხები მივიღე.

კახაძეები ხულოდან ახალციხეში ჩასახლებული ეკომიგრანტები არიან. ბატონი ზებურის დედა და ძმა ახლა სოფელ რუსთავეში ცხოვრობენ. ზებურის 5 წელია, დაოჯახდა. მეუღლესთან ერთად, ჯერ ახალციხეში, შემდეგ კი ბათუმში ქირით ცხოვრობდა, მაგრამ მას მერე, რაც ოჯახის უფროსის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და მათი შემოსავალი (პენსია და სოციალური დახმარება) ბინის ქირის გადასახდელად და საჭირო ნამღების შესაძენადაც კი აღარ იყო საკმარისი, იძულებული გახდნენ, ხელვაჩაურში გადასულიყვნენ და „ოცნების ქალაქის“ ბინადრები გამხდარიყვნენ.

გულნაზ კონცელიძე, ზებურის მეუღლე:

— ცოტა ხნის წინ ჩვენთან სახალხო დამცველი, ნანუაშვილი მოვიდა და დახმარებას შეგვპირდა, მაგრამ ჯერჯერობით არ შემოგვხმანებია. 2 წელია, ამ ფიცრულში ვცხოვრობთ.

— ერთმანეთი როგორ გაიცანით?

— გათხოვებამდე ქედაში ვცხოვრობდი. ერთმანეთი ტელეფონით გავიცანით; ჯერ ვლაპარაკობდით, მერე ერთმანეთს შევხვდით. ზებუ-



# უიქრები ბოსონებს მიღმა

ამ რეალური ამბის მთავარი გმირი, ალექსანდრე ახალკაცი, როგორც თავად ამბობს, რამდენიმე წელი უსამართლოდ იჯდა ციხეში. ბევრი იბრძოლა, რომ პატიმრობისთვის თავი დაეღწია, ეროვნული გამოცდების ჩაბარებაც სცადა იმ იმედით, რომ გაათავისუფლებდნენ, მაგრამ როგორც აღნიშნავს, არსებულ რეჟიმთან ბრძოლა, ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის განწვევა, განსხვავებული აზრის გამოთქმა არ აპატიეს და მიუხედავად იმისა, რომ გამოცდები წარმატებით ჩააბარა, არ გაათავისუფლეს. ალექსანდრეც ისევე დასაჯეს, როგორც გიორგი ზერუკიძე, რომლის ციხეში გამოკეტვას უამრავი ადამიანი აპროტესტებდა. რეალურის პირველ ნაწილში „გამოცდა ხელბორკილებით“ სწორედ ეს ამბები იყო აღწერილი, მეორე ნაწილში კი ყოფილი პატიმარი თანასაკნელებზე, საკუთარ განცდებსა და ციხეში მომხდარ რეალურ ამბებზე გვიყვება.

## ალექსანდრე ახალკაცი

დასაწიისი №. „გზა“ №9-22

„უმაგრეს სკოლაში ვსწავლობდი. არც მეტი, არც — ნაკლები, ოსიაურის საშუალო სკოლაში. ჩემს სოფელში იყვნენ უმაგრესი მასწავლებლები. რომელი ერთი ჩამოვთვალო? — დამრიგებელი ნანა თედიაშვილი, რომლის მიერ მოწყობილი საღამომ, სადაც ჩემს ლექსებსა და ჩანახატებს ჩემივე კლასელები კითხულობდნენ, ჯერ კიდევ მეექვსე თუ მეშვიდე კლასელი ბავშვი საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ხელოვანი ვიყავი. ქართულის მასწავლებელმა — თინა ზღუდაძემ მაზიარა ლიტერატურას, თანაც, რაღაც სხვანაირად, და წერაც მასწავლა. არა, კი არ მასწავლა, სულ სხვა განზომილებაში გადამაყვანინა. მეხუთე კლასიდან გვასწავლიდა. საკონტროლოს წერა ჩემთვის საშინელება იყო, რადგან „სამიანს“ ვერ გავცდი. კალიგრაფიაც არ მივარგოდა და არც თემების წერა ვიცოდი, რაღაცებს მივედ-მოვედებოდი, მაგრამ არაფერი გამომდოდა. თინა გვთხოვდა, თემა ყოფილიყო მინიმუმ, 5 გვერდი, მე კი 2-ს ვერასდროს გავცდი. ერთხელაც, თავის სახლში წამიყვანა და დაახლოებით სამი საათი მამეცადინა, რამდენიმე საიდუმლოც გამანდო. აი, ამის მერე დავინწყე და რა დავინწყე, ისეთ თემებს ვწერდი, თავად მიდგებოდა თმა ყალყზე. ჩემი მოთხრობები და ლექსები ახალ სტადიაზე გადავიდნენ და სწორედ ამის შემდეგ გამოაქვეყნა „ყაყაჩომ“ ჩემი რამდენიმე ნაწარმოები.

ძალიან უცანური ქალი იყო თინა მასწავლებელი. უცნაური იმიჯი, რომ უყვარდა ხატოვანი გამონათქვამები. გახვიდოდი დაფასთან, იცოდვოლებდი, ვერაფერს მოაბამდი თავს და გეტყოდა: „შეაყარე კედელს ცერცვი. ამისთვის ვილაპარაკე წინა გაკვეთილზე ერთი საათი?“

უყვარდა მინა. მუდამ ყავისფერი მი-

ნის სუნი ასდიოდა ხელებზე. გვთხოვდა მოსწავლეებს, — მომეხმარეთ ბლშიო და მივდიოდით სიხარულით იმიტომ, რომ გვეგონა, მერე შეღავათს გაგვინევდა, მაგრამ მსგავსი რამ არასდროს მომხდარა. თუ მეგობარს რაიმეს უკარნახებდი და ამას გაიგონებდა, გეტყოდა: „რატომ უნევ დათვურ სამსახურს?“ არ ვიცოდი, ეს დათვური სამსახური რა იყო. ახლა რაიული — რა კაცი, რა ადამიანი. მეხუთე კლასში მასწავლა ფიზიკა. მიყვარდა მისი საგანი. მერე წავიდა სკოლიდან, რადგან მღვდლად აკურთხეს და „დავიკიდე“ ფიზიკა იმზამსვე, მიუხედავად იმისა, რომ „ვეკუაშიც“ ვსწავლობდი ბოლოს.

სკოლა განსაკუთრებით სასიამოვნო გასახსენებელია ყოველთვის, მაგრამ აქ, ციხეში ათმაგია ის სიამოვნება, იმ წლების ამოტივტივებას რომ მოაქვს. ნევზარ თვალმილულული; ყველას ჰგონია, გძინავს და შენ ამ დროს სკოლის წლებში „ბანაობ“.

მიყვარდა ნაზი მასწავლებელი და გეოგრაფიაც, ანუ საგანი, რომელსაც ის გვასწავლიდა; მომწონდა რუკასთან დგომა და დედაქალაქების ძებნა.

სამაგიეროდ, არ მიყვარდა ალგებრა-გეომეტრიის გაკვეთილი, რადგან დედაჩემი მასწავლიდა და ერთადერთი გაკვეთილი იყო, როცა ლაპარაკის გამო ან კლასიდან მიშვებდნენ, ან კუთხეში მაყენებდნენ. ვდიდაკაცობდი მაშინ, ვილაც-ვილაცებოდა ვეარშიყებოდი.

სკოლის დირექტორი — ნათელა მიყვარდა მას შემდეგაც კი, რაც სუთი თითი დამამჩნია ლოყაზე. აი, ასეთებიც ხდებოდა. ინგლისურზე დავდიოდით ბავშვები გაკვეთილების მერე და წავუტიპე. ჰო, მაშინ იქ მყოფი ერთი გოგო მომწონდა. ჰოდა, მერხზე დავანთე ცეცხლი და ვუთხარი, — გათბი-მეთქი. მან კი ეს ამბავი ნათელას უთხრა, რომელმაც უზარმაზარი გაშლილი ხელი მტკიცა.

ფიზკულტურის მურო მასწავლებელი ხომ „პრიამოი“ ძმაკაცი იყო ჩვენი.



არ დავნერ ახლა რაღაც-რაღაცებს. ვაითუ, ოდესმე მუროს ჩემ გამო უსაყვედურონ: „შენა, ბიჯო, რა ქენი ევა? გაკვეთილიდან გაპარული ბავშვები რო შეგიფარებია დარბაზში, შეიძლება?“

ინფორმატიკის გაკვეთილზე ერთხელაც, ძალიან „ვისეცეკე“ და სათვალთა და კეპით შევედი დავიანებული. სილის განნას არ გავუბრაზებიავარ. მიმახვედრა, რომ მასის გაცინება არ არის მთავარი. ადამიანები იმაზე უფრო მეტად იცინიან, როცა გირტყამენ. კარგადაც დამაფიქრა მაშინ მეცხრე თუ მეათე კლასელი ბჭი ყოველივე ამან“.

## ჯავისზოს ომი

ყველაფერი ჩვეულებრივად დანყო: პოპულარობის მიზნით გაკეთებული განცხადებები, გამოსვლები, ტირადები, ალტყინებული ბრბო... მერე ტყვიის ხმა გაისმა, დაიხოცნენ ბჭები, მიწა სისხლით მოირწყა...

მე კი ამ დროს გლდანის იზოლატორში ვახლდით გამოწყვედი. ომი ერთი დღის დანყებული იყო, როცა ციხის დირექტორმა — მეღაძემ ჩამოიარა ყველა საკანში და „მამაშვილურად“ დაგემოდვრა, რომ თუ „ტრაკს ვათამაშებდით“, მათ ჩვენთვისაც ჰქონდათ ტყვიები გადანახული. კიდევ ერთხელ გვითხრა, რომ სახელმწიფოს „ფეხებზე ვეკიდეთ“.

არადა, წამითაც არ გვიფიქრია, ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა ჩვენს სასარგებლოდ გამოგვეყენებინა. პატიმარს მუდამ გაქცევაზე უჭირავს თვალი, მაგრამ იმ დღეებში ამაზე არავინ ვფიქრობდით. რადიოთი ვისმენდით ახალ ამბებს და ვგულშემატკივრობდით ქართულ საჯარისო შენაერთებს; ბიჭებს, რომლებიც საკუთარი მკერდით იცავდნენ შშობლიურ მიწას.

ის დღე იყო, 3-საათიანი მორატორიუმი რომ გამოაცხადეს და სამღვდელოებამ საკუთარ თავზე აიღო ცხედრების გამოტანა ცხინვალის შემოგარენიდან. კამერაში ხატების კუთხე გვქონდა.





სანთელი დავანთე დახოცილი ბიჭების სულის მოსასხენიებლად. მანამდე სხვებსაც ვთხოვე, დაენთოთ. კამერაში მცხოვრები ექვსი კაციდან ხუთი აციმციმებული სანთლით ხელში ვიდექით ხატების წინ და ვლოცულობდით საქართველოსთვის, ჯარისკაცებისთვის, ჩვენი ოჯახებისთვის. მხოლოდ ემზარი არ შემოგვიერთდა, ის „შპონკაზე“ წამონვა და ლადაობა დაიწყო.

— რა სულის მოსასხენიებელი, ხომ არ გამოირიდათ? სულ „ფეხებზე მკიდია“, დაიხოცნენ თუ რაც მოუვიდათ. ღირსები იყვნენ. სად მირობდნენ და ვის დავალებებს ასრულებდნენ? ეს ნაბოზრები მილიონებს იმოვიან ომით, ეგენი კიდე... ნეტავ, რუსი შემოვიდეს, რა, მერე ვნახავ ამათაც და თქვენც... ნუ გაატრაკეთ, რა! ოჯახები შეავადრეთ უფალს, თუ მაინცდამაინც ლოცვა გინდათ.

ყოველი მისი სიტყვა სიმბოვიით დაჭიმულ ნერვებზე გვეკიდებოდა და საფეთქლებში გვეხლებოდა ნერვებს ამოყოლილი; მერე ყელისკენ ინაცვლებდა და თითქოს ჩვენს გაგუდვას ცდილობდა. მიუხედავად ამისა, ხუთივემ ბოლომდე ჩავწვით სანთელი და ემზარს არ შევეპასუხეთ.

### შერხანი

შერხანი — ის ყველაზე კარგი „მენცია“ დედამიწის ზურგზე — ასე ხუმრობენ ტუბზონის პატიმრები კატაზე, რომელიც უკვე თორმეტი წელია, აქაურობას არ შორდება. ჰო, თორმეტი წლისაა შერხანი და ზუსტად ამდენი წელია, რაც დავიდოვიჩი აქ ზის. კატა მას გაუზრდია და შვილივით უყვარს. ერთად მოვიდნენ „სროკზე“. დღეს მისი თინყებს და ამთავრებს დავიდოვიჩი. კატაც გიჟდება ამ „ძველ ზეკზე“ და ერთადერთია, ვისაც ეკონტაქტება, სხვებს კი ამღვრეულ თვალებს გვიბრიალებს. ძალიან დიდი კატაა, ბოხოლა თავით და

ცივი მზერით. როგორც ამბობენ, მის გამო ექვს პატიმარს გაუკეთდა ცოფის სანინალმდეგო აცრა.

შერხანის ეშინია ზონის ყველა მამალკატას, ხოლო მდებრობითი სქესის კატები აშკარად, პატივისცემით არიან მის მიმართ განმსჭვალულები და ალბათ უმეტესობას უყვარს კიდეც (მაინტერესებს, რატომ არის ამდენი კატა ტუბზონაში, ამ სიკვდილის საუფალოში, საიდანაც თითქმის ყოველდღე გააქვთ მინიმუმ, ერთი ცხედარი?). შერხანი ყველას მდიდურად უყურებს და თავს არავის უყადრებს. არ არსებობს პატიმარი, რომელსაც იგი მდებრობით შეწყვილებული უნახავს. მოკლედ, იდუმალი ცხოვრება აქვს. სისხამ დილით „ზაპრეტკაზე“ ასული, წრეს ურტყამს ზონას, მერე ეზოში ჩამოდის და ყველაფერს ათვალერებს, როგორც „კრუჩნი“ შემონმებაზე. ბოლოს ზონის ერთადერთი ხის ქვეშ ჩერდება და ელოდება დავიდოვიჩს, რომელიც აუცილებლად მივა შვილობილის მოსახსნულებად და მასთან სასაუბროდ. გამზრდელის დანახვისას შერხანს თვალები უფართოვდება, ფეხებზე ელაქუცება. დავიდოვიჩს ხელში აჰყავს და მკერდში იხუტებს. მერე, როცა ჩამოსვამს, არავინ იცის, სად მიდის საღამომდე ანუ მამობილთან დანიშნულ მორიგ პაემნამდე ზონის ერთადერთ ხესთან, რომელიც ნინძას ბრძანებით მოჭრეს, — აქაოდა, ეს ერთი ხეც ზედმეტია ამათვისო.

### „საქათმა“

„საქათმა“ — ასე იმ სპეციფიკურ კორპუს-საცხოვრებელს ჰქვია, სადაც განთავსებულია სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლების კამერები. იქ შემთხვევით არავინ მოხვდება. არსებობს დაუნერვლი კანონი, რომელიც განსაზღვრავს პატიმართა იმ კატეგორიას, რომელთაც იქ ეკუთვნით

ცხოვრება და ამ შემთხვევაში, ამნისტია გამორიცხულია.

როგორი ადამიანი არ მინახავს იქ: ნათესავსა თუ საკუთარ ქალიშვილზე მოძალადე, მცირენლოვანი ბიჭის გამაუპატიურებელი და ა.შ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც „ქურდული“ მორალის თანახმად, ღირსების შემლახავ საქციელს სჩადიან.

იქ მოზინადრეთა უმეტესობას, ბოლო წლების ტენდენციის მიხედვით, პატარა ბიჭები შეადგენენ. ისინი აქ „სროკის“ მიხედვით არ მოხვედრილან. მათ პატიმრობისას მიჰქარეს: ერთმანეთთან „იზასავეს“ ან სექსი ჰქონდათ. მათი ნერვული სისტემა, ნებისყოფა არ არის ჩამოყალიბებული და სწორედ ამის გამო, პატიმრობაში ყოფნისას, ზოგიერთ მათგანს სული ნასძლევს ხოლმე, რომ შეეხოს მეორეს სხეულს; თუ ისიც თანახმაა, შესაძლებელია, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიაროს, მაგრამ თუ ეს სხვა პატიმრებმა დანახეს და ამის შესახებ საჯაროდ განაცხადეს, მოალერსეთა ბედი გადანყვეტილია: სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს ციხეში ყველაზე ბინძური სამუშაოს შესრულება უწევთ.

ყველაზე ბინძური საქმე კი ციხეებსა და კატორღებში — ტუალეტების დასუფთავებაა. თავდაპირველად, როცა კომუნისტებმა მილიონობით ადამიანი შეყარეს „გულაგში“, „პარაშები“ (ციხის ტუალეტი) არ არსებობდა; ყველა საკანში იდგა დიდი ვედრო, რომელიც მერე თავად პატიმრებს უნდა დაეცალათ, რაც ცხადია, არასასიამოვნო პროცედურა გახლდათ. „ქურდებს“ „ეგრეხებოდათ“ ამ ვედროების დაცლა და დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოეგვარებინათ ეს პრობლემა. „ზემდგომთა“ დახმარების შედეგად მიიღეს გადანყვეტილება, რომ პატიმრები დაიყოფოდნენ კასტებად: ქურდები, „ხარაშნიაკები“ და „მუჟიკები“. ესენი იქნებოდნენ ადამიანები, რომელთა სიტყვასაც ფასი ექნებოდა, ხოლო დანარჩენები მათ მოემსახურებოდნენ. ეს დანარჩენები კი იყვნენ: „ბალანდიორები“ (საჭმლის მომტანები), „კაზიოლები“, „შნირები“, „აბსლუგა“ (ვინც მენტებს დაეხმარებოდა) და „ქათმები“ (სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები). სწორედ ეს უკანასკნელები იყვნენ ყველაზე დაბალ საფეხურზე და როგორც მითხრეს, ეს განსაზღვრული იყო ისევ და ისევ ბიბლიის მიხედვით: რადგან მათი ცოდვა ყველაზე მძიმედ მიიჩნევა, სწორედ ამიტომ დაევალებათ ყველაზე ბინძური საქმე — ტუალეტების დასუფთავებაო.



გაგრძელება შემდეგ ნომერში



# სამყაროს ყველაზე ფარადი ნაწილი

პოეტი, რომელიც ყველაზე ლამაზ სიზმრებს კახეთში ხედავს

«გთხოვთ, შეგვახვედრეთ უნიჭიერეს ახალგაზრდა პოეტს — ქეთევან ნათელაძეს. საიმიჯნებით ნავიკითხავდი მასთან ინტერვიუს. ის მოვლენაა ქართულ პოეზიაში, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ ინტერნეტის მეშვეობით შემიძლია მის შესახებ რაღაცების გაგება. იმედია, ჩემს თხოვნას გაითვალისწინებთ», — ეს მესიჯი გასულ კვირას მივიღე. სოციალურ ქსელში ამ პოეტის შესახებ ინფორმაცია მოვიძიე, მისი ლექსები ნავიკითხე და ამის შემდეგ დაფუკავშირდი კიდეც. მის პირად გვერდს თუ ესტუმრებით, აუცილებლად მიხვდებით, რომ იგი კახეთიდან (დედოფლისწყაროდან) არის. 21 წლის პოეტს ძალიან უყვარს საქართველოს ეს ლამაზი კუთხე და ცხადია, ლექსებსაც უძღვნის.

## ლიკა ქავიაძე

— ბავშვობიდანვე ძალიან ბევრს ვკითხულობდი, ლიტერატურით ვიყავი შეპყრობილი. ვკითხულობდი ფსიქოლოგიურ ნაწარმოებებს; მაინტერესებდა ისეთი მწერლები, რომლებიც ადამიანის შინაგან სამყაროში, მის სულსა და ფსიქიკაში მახედებდნენ. მერე მეცნიერულმა ლიტერატურამ გამიტაცა. მომწონდა ფროიდი, ზიმბარდო, უზნაძე და სხვა. ამან განაპირობა ის, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ფსიქოლოგიურ ფაკულტეტზე ჩავაბარე (მესამე კურსზე ვარ) და ახლა, როგორც შემოქმედს, მომავალი პროფესია მაქსიმალურად დამეხმარება, ეს ხომ ძალიან ღრმა და ბევრისმოძველი სფეროა.

— ვინმე გირჩევდა, რა უნდა ნაგეკითხა, რა გამოგადგებოდა მომავალში?

— ლიტერატურა რომ შევიყვარე, ეს დედაჩემის დამსახურებაა. რა თქმა უნდა, ის მირჩევდა წიგნებს. მესამე კლასში ვიყავი, როცა შტეფან ცვაიგის ნოველები ნავიკითხე და მახსოვს, ნაკითხული ზრდასრულივით განვიცადე. ხშირად მსმენია, რომ მშობლები უდგენენ ბავშვებს, რომელ ასაკში რა უნდა ნაკითხონ, მაგრამ თუ ბავშვი სწორად იგებს ნაკითხულს და არ უჭირს მძიმე ტექსტების გააზრება, ალბათ არ უნდა დაუშალონ. ასაკი განაპირობებს წიგნის აღქმას. ესა თუ ის ნაწარმოები რომელ ასაკშიც უნდა ნაკითხო, ის კი არ დავიკარგება, არამედ ქვეცნობიერში ილექება და სამუდამოდ შენთან რჩება.

— ფროიდის, უზნაძის და ა.შ. ნაშრომების ნაკითხვა იოლი არ არის, მით უმეტეს, ისეთ ასაკში, როცა ყველაფერზე მეტად, გართობა მოგწონს. შენ როგორ უდებდი გულს ამ ყველაფერს?

— დიახ, იმ ასაკში, როცა თანატოლები ფიქრობდნენ თამაშზე, გართობაზე და წიგნების კითხვაც ნაკლებად სიამოვნებდათ, მე გამუდმებით ბიბლიოთეკაში ვიყავი და ამის გამო, უნებურად, მათგან განსხვავებული ვიყავი. ჩემთვის ეს იყო დიდი სულიერი

მოთხოვნილება, რომელსაც ვერსად გავუქცევოდი. რაც უფრო მეტს ვკითხულობდი, მით უფრო მეტის ნაკითხვის სურვილი მიჩნდებოდა და ვგრძობდი, რაღაც იცვლებოდა ჩემში. სრულიად ახალი და განსხვავებული სამყაროს აღმოჩენის პროცესში ვიყავი და ეს სამყარო იყო რეალობისგან განსხვავებული, რაღაც მიღიერი და შეუცნობელი... დაახლოებით 12 წლამდე მეც ბევრს ვთამაშობდი ჩემივე გამოგონილ თამაშობებს. შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა და ხშირად ვატარებდი ღონისძიებას, ვმონაწილეობდი სხვადასხვა კონკურსში, სადაც ყოველთვის წარმატებას ვაღწევდი. მახსოვს, თითქმის ყოველ წელიწადს ვიმარჯვებდი მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებით კონფერენციებზე, ჩამოვდიოდი თბილისში და უკან — კახეთში დიპლომებით ვბრუნდებოდი.

— რაიონში არსებული ბიბლიოთეკა რამდენად მდიდარი იყო? შეგიძლია დაგვიხატო, როგორია შენი კახეთი, შენი დედოფლისწყარო?

— სხვადასაშორის, ბოლო წლებში ბიბლიოთეკამ ძალიან ბევრი კარგი წიგნი შეიძინა... თუ რაიმე ისეთი წიგნის ნაკითხვა მომინდებოდა, რაც იქ არ ჰქონდათ, ვყიდულობდი. წიგნების შეგროვებას ალბათ, ვერასოდეს გადავეჩვევი. ვფიქრობ, ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც კი შეიძლება ადამიანს სახლში ჰქონდეს, წიგნებია.

რაც შეეხება ჩემს კახეთს — ეს კუთხე ულამაზესია. ბოლო დროს მძაფრი ნოსტალგია მჭირს, მიუხედავად იმისა, რომ ასე თუ ისე, იქ ხშირად ჩავდივარ. კახეთი ჩემთვის სამყაროს ყველაზე ლამაზი და ყველაზე ფერადი ნაწილია, ყველაზე ლამაზ სიზმრებს კახეთში ვხედავ და მგონია, რომ ყველაზე ბევრი ვარსკვლავი კახეთის ცაზეა.

— ლექსის წერის მუზა როდის გენვაია?

— ძალიან პატარამ ვიცოდი ლაღოს, გალაკტიონის, ანას ლექსები. პოეზია დედამ შემეყვარა. ის ხშირად



გვირილა ჩემი საყვარელი ყვავილია. ალბათ ყველაზე პოეტურია, ყველაზე უბრალო და ყველაზე სიყვარულისფერი

მესაუბრებოდა პოეზიაზე. რაც თავი მახსოვს, ლექსებს ვწერ. წერა ჯერ არც კი ვიცოდი, როცა რაღაცის მოყოლა დავიწყე. მახსოვს, ტექსტი საქართველოზე იყო. დედად ჩემი ნათქვამი ფურცელზე ჩაინერა და დღემდე შენახული აქვს. ეს იყო ჩემი პირველი მცდელობა ლექსის დაწერისა. რა თქმა უნდა, მას არ ჰქონდა არანაირი ლიტერატურული ღირებულება, მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ ამის სურვილი გამიჩნდა.

— და ახლა დაახლოებით რამდენი ლექსი გაქვს?

— ათასობით ლექსი და ასობით მოთხრობა მაქვს. მეთერთმეტე კლასში ვიყავი, როცა ჩემი პოეტური კრებული — «ყვავილების ინტერლუდია» გამოვიდა მცირე ტირაჟით. ახლა ვოცნებობ მეორე კრებულის დაბეჭდვაზე. იმედი მაქვს, ამ ოცნებას მალე ავისრულებ.

— გეტყობა, რომ ყვავილები გიყვარს... პოეზიის საღამოს, რომელიც რამდენიმე დღის წინ გაიმართა — «მთავარისფერი გვირილები» ერქვა...

— გვირილა ჩემი საყვარელი ყვავილია. ალბათ ყველაზე პოეტურია, ყველაზე უბრალო და ყველაზე სიყვარულისფერი. ყვავილები ჩემთვის უსიტყვებო ლექსებია. მათ აქვთ ფერი, სურნელი და ინვევენ ალტაცებას, ისევე, როგორც ლექსები... ეს ჩემთვის მესუთუე პოეზიის საღამოა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ დასასწრებად ყოველთვის მოდიან არა მხოლოდ ახალგაზრდები, არამედ ძველი თაობის წარმომადგენლებიც, მათ შორის —



მწერლები და პოეტები.

— თუ შენი Facebook-გვერდის მიხედვით ვიმჯგულებ, შენმა ლექსებმა ბევრი ალაფრთოვანა და ამ აღტაცებას თავადაც ლექსად გამოხატავენ. რას ნიშნავს ეს შენთვის?

— საბედნიეროდ, ჩემს პოეზიას მკითხველი ჰყავს და პოეტისთვის ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია და მით უმეტეს, სასიხარულოა, როცა თავად ხდები შთაგონების წყარო... მწერალმა თავისი მისია შეასრულა, თუკი მას შეიძლება კარგი მკითხველი მაინც ჰყავს.

— ახალი თაობა უფრო კარგი შემფასებელ-დამფასებელია შენი შემოქმედების თუ უკვე ცხოვრებისგან მაგალითობილებული ადამიანები?

— საერთოდ, საქართველოში პოეტობა ძალიან ძნელია, რადგან დღევანდელ საზოგადოებაში არ ხდება მწერლების სათანადო დაფასება. არადა, მწერალი ერის სულიერებისა და თვითმყოფადობის სარკეა. ქვეყანა, სადაც მწერლობა კვდება, კვდება სულიერებაც. პირადად მე, გაზაფხულზე ავიღე ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პრემია, რომელიც მერიამ და მწერალთა კავშირმა გადმოცა და ეს ჩემთვის დიდი სტიმული იყო. პერიოდულად, ჩემი ლექსები თუ მოთხრობები იბეჭდება სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთში. ძველი თაობის მწერლებისგან დადებითი შეფასება სასიხარულო და საპასუხისმგებლოა, მაგრამ საოცარი განცუბა მეუფლება, როცა ჩემი ლექსები ახალგაზრდებს მოსწონთ და ამას აღნიშნავენ: ეს მიმანიშნებს, რომ ჩემი თაობის ენაზე ვსაუბრობ, მათ სათქმელს გადმოვცემ.

— ქეთევან, მუზა არსებობს თუ შენთვის საჭიროა, რაღაც განიცადო, თავს გადაგხდეს, რომ მერე წერა შეძლო? იქნებ არარეალურ სამყაროში, ოცნებებში ხეტიალი უფრო გიზიდავს და მერე ამ ყველაფრის ფურცელზე გადმოტანა?

— არსებობს როგორც შთაგონების

რეალური ობიექტისგან, ასევე არარეალურისგან გამომწვეული მუზაც. მუზა არის უხილავი ძალა, რომელიც მოულოდნელად მოდის და გკარნახობს აზრებს, იდეებს, რითმებს. მუზა ხშირად, ტკივილსაც გკარნახობს, დარდაც და სევდასაც; მოაქვს მძაფრი შეგრძნებები და მერე ეს ყველაფერი ლექსებად გადადის ფურცლებზე. მე

**მი მეყოლება ღრუბლებივით ამაყი ქმარი**  
*„ბედთან თამაში გამეტებულ ოცნებად არ ღირს, ძვირფასო, ფრთხილად, ო, ძვირფასო, ძვირფასო, ფრთხილად, შემომათენდა უთავბოლო ფიქრებით დალილს, და კახპასავით აედევნა ტროტუარს დილა. მე მეყოლება ღრუბლებივით ამაყი ქმარი, და არასოდეს არ მაჩუქებს ყვავილთა თოვას, შენს აღარმოსვლას გარიჟრაჟზე იტირებს ქარი, და ჩემი ქმარი ნაომარი ფიქრებით მოვა! დამიშლის — ისევ მახარებდეს შემოსვლა მარტის, დამიშლის — ავეყვე გაზაფხულის ლურჯთვალა თრთოლვას, და ცეცხლისფერი ვარსკვლავთცვენა ამშლელი დარდის, იქნება ჩემთვის უსასრულო ფიქრი და გლოვა... ნატყვიარ სიზმრებს გადარეკავს მწყემსივით ღამე, დამიშლის ქმარი — წვიმასავით მეც ვიყო ლალი, გაუნელდება გულისცემა ლოდინში წამებს, გულში უთუოდ აფეთქდება ტკივილის ნაღმი. და ჩემი ქმარი, ღრუბლებივით ამაყი ქმარი, ისე ამაყი, ვერავის რომ ვერ ნახავ ვერსად, როლს შემითავსებს ერთგული და მორჩილი ქალის, არმაპატიებს არასოდეს სიყვარულს შენსას! მაჩუქებენ ჩემს გაზაფხულს კაბები ძველი, მისი თითების აიშლება ჩემს თმებში ქარი, გვექნება ღამე — ივლისივით უღმერთოდ ცხელი, მე მეყოლება ღრუბლებივით ამაყი ქმარი“.*

რეალურად არასოდეს არავინ მყვარებია, წარმოსახვა მიყვარდა ყოველთვის და ახლაც ასე ვარ, ვილაც გამოგონილს ვუნერ ლექსებს. „ის“ იმდენად ლამაზია, რომ ზოგჯერ მგონია, ვერასოდეს გადავცვლი რეალურზე.

— საქართველოს მწერალთა კავშირისა და მეცნიერებათა აკადემიის წევრი ხარ. ეს რას ნიშნავს შენთვის?

— ეს დაახლოებით ორი წლის წინ მოხდა და ეს ორი მოწმობა ძალიან ძვირფასი რამ არის ჩემთვის. საბედნიეროდ, წავიდა იმ დოკუმენტის ხანა, როცა აუცილებლად ასაკოვანი უნდა ყოფილიყავი იმისთვის, რომ რაღაცისთვის მიგეღწია.

— შენ რა გააკეთე ისეთი, რის გამოც მწერალთა კავშირისა და მეცნიერებათა

აკადემიის წევრი გახდი?

— მწერალთა კავშირის თავმჯდომარე — მაყვალა გონაშვილი არაჩვეულებრივი ქალბატონია. იგი ჯერ კიდევ მეათე კლასში ყოფნისას გავიცანი. ქალბატონი მაყვალა წარმოშობით კახეთიდან არის და მახსოვს, მაშინ კახელებმა შეხვედრა მოუწყვეს. იმ დღეს მას კახეთის ახალგაზრდობის სახელით მივესალმე და ლექსიც მივუძღვენი. რაც შეეხება ჯუმბერ ლეჟავას სახელობის ხელოვნებისა და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ქალბატონი გულნაზ ხარეიშვილს — ის ლიტერატურულ საღამოზე, სამების ლონისძიებათა დარბაზში გავიცანი. მან იმ საღამოსვე ჩაინერა ჩემი ტელეფონის ნომერი და მთხოვა, მისთვის ლექსები გადამეგზავნა...

— დაბოლოს, მინდა დაგისვა კითხვა, რომელიც შენს მომავალ პროფესიას უკავშირდება: ბევრს ერევა ერთმანეთში ფსიქიატრი და ფსიქოლოგი. მაინტერესებს, შენ რას გვეტყვი ამ განსხვავებაზე? რისთვის ან როდის არის საჭირო პროფესიით ფსიქოლოგთან ვიზიტი და როდის — ფსიქიატრთან?

— მართლაც, ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ არის ფენომოკიდებული ფსიქოლოგთან სიარულის კულტურა. რატომღაც ჰგონიათ, რომ ფსიქოლო-

რამდენიმე დღის წინ მიშიკო ქიტაშვილის მიერ ამ ლექსის მოძღვნამ გამახარა. ეს არის გაპასუხება ჩემს ლექსზე, „მე მეყოლება ღრუბლებივით ამაყი ქმარი“. მადლობა მას.  
**ქეთოს**  
*„შენ გეყოლება ღრუბელივით ამაყი ქმარი, აგანრილებს ატმის კვირტად — აპრილის თქეში, ნაგლეკავს ვნებად მოვარდნილი, შეშლილი ქარი, და გვირილებად ჩაგენება მხრებს ნაფენ თმებში, ღამის წყვდიადი გაუსხლტება ნამთვრალე მთვარეს, ვარსკვლავთ ციმციმი შეაჩვენებს დაშვებულ ფარდას, და შენი ქმარი, ღრუბლებივით ამაყი ქმარი, ჩამოქნილ მხრებზე, ნაჩურჩულარ ტაეპებს ქარგავს. ქალწულის ცრემლად ჩამოაღნა შენს სარკველს წვიმა, და ისევ შეკრთი, უძილობას თითქოსდა ნანობ, „კახპა ქალივით აედევნა ტროტუარს დილა“, გამოიღვიძე, ოცნებებში ბორკავდი ქალო...“*

გთან ვიზიტი სირცხვილია, არადა, ასე ნამდვილად არ არის. ფსიქიატრის დახმარება ესაჭიროება იმას, ვისაც გართულებული ფსიქიკური პრობლემები აქვს, ხოლო ფსიქოლოგი თითოეულ ჩვენგანს უნდა ჰყავდეს, მით უმეტეს ამ დროში, როცა ასე დაძაბული დღის რეჟიმი გვაქვს. საზღვარგარეთ ფსიქოლოგი ყველას ჰყავს, ჩვენთან კი ფსიქოლოგია მომავლის პროფესიაა.



# ვინ უყვების მუსიკას?!

## ინაა ჯაყელი

მინისქვეშა გადასასვლელებში ქუჩის მუსიკოსების მიერ გამართული კონცერტები იშვიათობას არ წარმოადგენს. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ გამორჩეულად იშვიათად თუ მღერის და უკრავს ვინმე; ქართულად ნამღერსაც იშვიათად გაიგონებთ. რატომღაც, ყველა მსოფლიო კლასიკის შედეგების აჟღერებას ცდილობს. თუ თავად წერენ მუსიკას, ამასაც ინგლისურენოვან ტექსტს ადებენ და ალბათ მათი გაგებაც შეუძლებელია, — ვინაიდან საქართველოში შოუბიზნესი არ არსებობს (ეს ისევ მათივე მტკიცებით), თითქმის ყველა მათგანი საზღვარგარეთ ნასვლასა და იქ თავის დამკვიდრებაზე ოცნებობს (ღმერთმა ხელი მოუშაროთ!) საქართველოში დარჩენილები მხოლოდ ვიამაყებთ მათი მიღწევებით, მაგრამ რეალობა ჯერჯერობით, სულ სხვაგვარია და პირადად მე, ამწუთას ვერც ვიხსენებ ისეთ ქართველ მომღერალს, რომელმაც მსოფლიო აღიარება და პოპულარობა მოიპოვა, მით უფრო, უცხოური სიმღერების გადამღერება-კალკირებით...

ამ სტატიის დაწერა მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც მინისქვეშა გადასასვლელებში არცთუ ისე სასიამოვნო სცენას შევხვარ: სამი კაცისგან შემდგარ მუსიკოსთა ჯგუფს ორი შუახნის მამაკაცი ეკამათებოდა და რომ არა შემთხვევითი გამვლელების სწრაფი რეაქცია, კამათი შეიძლებოდა, სერიოზულ ჩხუბში გადაზრდილიყო და

მუსიკალური ინსტრუმენტები ერთმანეთისთვის გადაეღუნათ...

აღმოჩნდა, რომ შექვიფიანებულ კაცებს მუსიკოსებისთვის „როკ-გნიასის“ (როგორც ყვიროდნენ) ნაცვლად, „მოხევის ქალო, თინაო“ და „დარი-დურის“ დაკვრა მოუთხოვიათ და ათლარიანიც შეუთავაზებიათ, რომელსაც ერთ-ერთი მათგანი გამომწვევად აფრიალებდა ხელში...

მუსიკოსებმა რატომღაც, იუკადრისეს ასეთი დაკვეთა და მათ გემოვნება დაუნუნეს, შედეგად კი ერთ-ერთისგან სამართლიანი შენიშვნა (უნდა ვაღიარო) მიიღო:

— ყალბად და ამდენი დეტონაციით ნამღერს უძახი შედეგს და „დარი-დურია“ უგემოვნება?!

უნდა გამოგიტყდეთ, რომ მეც კი, ვინც დიდი მუსიკალური სმენით ვერ გამოვიჩინე, ადვილად ვიჭერდი ყალბ ნოტებს მათ ნამღერშიც და დაკრულშიც...

მუსიკოსებმა უკან რომ არ დაიხიეს და მსმენელების ლანძღვაზე გადავიდნენ: ქართველებს გემოვნება ვინ მოგვცათო?! გამვლელებმაც იმ ორი მთვრალის მხარე დაიჭირეს:

— თუ ასე მაგრები ხართ, ბილეთები გაყიდეთ და დარბაზები აავსეთ, სადაც თქვენი მუსიკით აღფრთოვანებული მსმენელი მოვა მხოლოდ. აქ კი, კეთილი ინებეთ და ის დაუკარით, რასაც ხალხი გთხოვთ, ვისგანაც მოწყალებას ელოდებით! — ხმას აუწია შუახნის მა-

მაკაცმა და კოლოფში რკინის ლარიანი ჩაუგდო აშკარად საშოვარზე გამოსულ ტრიოს.

— დარბაზის დაქირავების საშუალება რომ გვექონდეს, აქ კი არ ვიმართოვრებდით, უმადური მსმენელის წინაშე! — ისევ „დაგვამადლა“ თავი ჯგუფის ვოკალისტმა.

— მართლაც, რომ მათხოვრობთ და თან — ხალხის მონყალებით კმაყოფილებიც არ ხართ, გვედიდგულებით! — უსაყვედურათ ასაკოვანმა ქალბატონმა და გზა გააგრძელა. თუმცა, სათქმელი ბოლომდე თქვა: — ნაიღეთ გული ამ გნიასით, მინისქვეშა გადასასვლელები თუ ბალაგანი?!

მიუხედავად იმისა, რომ აღარც მხარდამჭერი შემორჩათ და აღარც მსმენელი, ტრიომ მაინც შეასრულა კიდევ ერთი სიმღერა და ერთი გამვლელებიც არ შეჩერებულა მათ მოსასმენად...

მცირე პაუზისას დრო ვიხელთე და სოლისტთან გასაუბრება ვცადე.

- დრო მოვა და დაგვაფასებენ!
- როდის დადგება ეგ დრო?
- როცა კარგისა და ცუდის გარჩევას ისწავლის მსმენელი...

— მაპატიეთ, მაგრამ თქვენ ნამდვილად ვერ მღერით კარგად! — გაბედე და ვუთხარი სიმართლე, რასაც აშკარად არ ელოდა და გამიბრაზდა. ჰოდა, აღარც კითხვებზე მიპასუხა და აღარც სურათის გადაღების უფლება მომცა.

მოვერიდე მათ ზედმეტად გაღიზიანებას. არადა, მინდოდა მეთქვა: როცა ხელი მონყალებისთვის გაქვს გაშვერილი და მსმენელზე ხარ დამოკიდებული, სწორედაც რომ მისი გემოვნების გათვალისწინებით უნდა იმღერო და დაუკრა. რაც მთავარია, ქართულად და ყველასთვის გასაგებად, რომ გულის სიმები ადვილად მოუქებნო ხალხს, რომელიც ადვილად ვერ ჩაიყოფს ხელს ჯიბეში, რომ თავისი მწირი ლუკმა გაგინაწილოს (თავისი თავიც გასჭირვებია და იმიტომ!). საქართველოში, მხოლოდ უცხო ენაზე მომღერალი ვერც ერთი ქართველი ვერასოდეს გაავსებს პატარა დარბაზსაც კი. ამის მიზეზი „ღამურას პრინციპი“ მგონია. გახსოვთ ალბათ აკაკის უკვდავი სტრიქონები: „ერთმა უგწურმა თავუნამ, იუკადრისა თავგობა“... მოდი და ქართულად ნამღერით მოვიწონოთ თავი და გაუუთბოთ გულეები გნებავთ ქართველ და გნებავთ სხვა ქვეყნის მოლაქელებს და მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქროთ უცხოური სიმღერების შესრულებაზე. ქართული მუსიკა ძალიან აკლია მსმენელს და მოიგებს ის, ვინც ამ დანაკლისს შეუვსებს ღირებულ მუსიკას დანატრებულ ადამიანებს.





# მარიკო ლეჟავას ბიჟური იდეები და „კაღზემკად“ ქსეული ოთახი

„გულზე „მამა“ ამოვისვირინებ...“

„ჩემი თაობის წარმომადგენლები ზომიერად ამბიციურები და თავისუფლები ვართ. გვიჩნდება კარგი აზრები, იდეები. ჩამოგვიყალიბდა კარგი გემოვნება და ეს ძალიან მომწონს“, — ამბობს 19 წლის მომღერალი მარიკო ლეჟავა, რომელიც საკუთარი გარეგნობით, ჩაცმის სტილითა და ვარცხნილობით სხვებისგან ყოველთვის გამოირჩევა. აქვს რამდენიმე ტატუ, რის გამოც ერთხანს, დედა არ ელაპარაკებოდა. ვინაიდან სხეულის მოხატვა არც მამამ მოუწონა, მისი გულის მოსაგებად კიდევ ერთი ახალი ტატუ გაიკეთა და სიტყვა — „მამა“ ამოისვირინა.

## ლიკა ქავაია

— საქართველოში ყველაზე მაგარი მომღერალი არის ჩემი უახლოესი მეგობარი — ნინა სუბლატი. ვფიქრობ, მას არაჩვეულებრივი გემოვნება აქვს და რასაც აკეთებს, ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია. საინტერესო, უცხო, სპეციფიკური ხმა აქვს.

— ამბობ, მოზარდებს კარგი გემოვნება ჩამოგვიყალიბდაო. რას გულისხმობ?

— იმას, რომ ახლა თითქმის ყველა უსმენს კარგ პოპს, ერენბის, ალტერნატივას, როკს...

— ჰო, მაგრამ როკს წლების წინაც ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა.

— გააჩნია როკსაც... ახლა მრავალფეროვანი არჩევანი გვაქვს და არ არის ერთი რომელიმე კონკრეტული ჟანრი, რომელსაც მთელი თაობა უსმენს. არ ვართ დაშტამპულები, ერთ ჟანრზე მორგებულები და მსმენელებიც ძალიან საინტერესოები არიან... თინეიჯერები ცოტა არ იყოს, თავქარიანები ვართ. ვაკეთებთ იმას, რაც გვინდა და არ ფიქრობთ იმაზე, თუ რა მოჰყვება ჩვენს ამა თუ იმ ნაბიჯს.

— ჰოდა, ამიტომაც არის, რომ შენი თაობის წარმომადგენლებზე ამბობენ: ზედმეტად თავისუფლები არიან, რითაც გარშემო მყოფებს დისკომფორტს უქმნიანო.

— პირადად მე, არ მომწონს, როცა თავისუფლება ემსგავსება უზრდელობას. თავისუფლება სულ სხვა რამ არის და სამწუხაროდ, ეს ბევრს არ ესმის. ჰგონიათ, რაც უფრო მეტად იბილწისტიყვავებენ, მით უფრო მაგრები არიან. არადა, თავისუფლების მულამი იცით, რაშია? — როცა აკეთებ იმას, რაც გინდა, ოღონდ, ზომიერების ფარგლებში. შენი საქციელით ხალხი არ უნდა შეურაცხყო.

— როგორ ფიქრობ, თანატოლებისგან რით გამოირჩევი?

— დაახლოებით ორი წლის წინ მე და ნინამ თმა ავიპარსეთ. მაშინ



მიყვარს ცდების ჩატარება და ამის გამო მელადავებიან კიდევ, თმა ყოველკვირა სხვადასხვანაირად გაქვსო

ასეთი ვარცხნილობა საქართველოში არავის ჰქონდა. მახსოვს, ქუჩაში რომ გავდიოდით, რაღაც „სხვანაირად“ გვიყურებდნენ; ზოგი ამბობდა: ესენი სატანისტები არიან, კატებს კლავენ სასაფლაოზეო. ეს მაშინ ძალიან, ძალიან უცხო რამ იყო, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ ბევრმა გოგომ აიპარსა თმა და ქუჩაში გასულს, დღის განმავლობაში ასეთი ვარცხნილობით ვინმე თუ არ შემხვებოდა, ეს მიკვირდა. ჰოდა, იმ პერიოდში თმა გავიზარდე. თინეიჯერებს მოსწონთ, როცა განსხვავებულები არიან, მაგრამ ხდება ისე, რომ ერთმანეთს ძალიან ემსგავსებიან.

— რა მუღამი აქვს განსხვავებულობას?

— კარგია, როცა სხვას არ ჰგავხარ. დღესდღეობით საქართველოში აქტიურად ჰბაძავენ რიანას, რომელიც მართლა ძალიან გემოვნებიანი მომღერალია. მართალია, რიანას ვერც ერთი მიმბაძველი ვერ დაემსგავსება, მაგრამ მაინც.

— როცა განსხვავებული ხარ, საზოგადოებას შენი მიღება უჭირს და

ინცება ჩურჩული, თვალის გაყოლება და ა.შ. შენ ეს არ გალევებს?

— ჩემთვის საზოგადოების აზრი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არ მომწონს, როცა ვიღაც უხეშად ერევა შენს საქმეში, ეს გამაღიზიანებელია. ყოველთვის, თანაც — კარგსაც და ცუდსაც მოჰყვება ხოლმე კრიტიკა, ურთიერთსანიხააღმდეგო აზრი და ამან არ უნდა შეგაშინოს. ალბათ თმაპარსული საინტერესო ვიყავი და ამიტომაც მესმოდა რეპლიკები. ამბობდნენ, ამას პატრონი არ ჰყავსო? თითოეული მათგანის სიტყვებზე რომ მეფიქრა, ვერ ჩამოვყალიბდებოდი, მარიკო ვერ ვიქნებოდი. როგორი ვარ? — მიყვარს ცდების ჩატარება და ამის გამო მელადავებიან კიდევ, თმა ყოველკვირა სხვადასხვანაირად გაქვსო. რას ვერჩი, სიმართლეს ამბობენ. მაგალითად, ამას წინათ ჩემს ოთახში ვიჯექი, ლუბტოპთან და წინ სარკე მედო. ძალიან გრძელი თმა მქონდა. სარკეში საკუთარ



თავს თვალი რომ შევავლე, მივხვდი, საშინელი ვარცხნილობა მქონდა. ჰოდა, შევიკარი, მერე კი მთლიანი კუდი წავიჭერი. დედა ოთახში რომ შემოვიდა, გადაირია, — გიჟი შვილი მყავსო (იღიმის). თმის ფერსაც ხშირად ვიცვლი. რა ვქნა, ცვალებადი ხასიათი მაქვს და არ შემიძლია ერთსა და იმავე ადგილას ვიტრიალო, ახალ-ახალი რაღაცები მიზიდავს.

— დედ-მამა ამ სიგიჟეებზე როგორ რეაგირებს?

— დედაჩემი მგრძობიარე ქალია. ძალიან განიცადა, თმა რომ ავიპარსე და რამდენიმე კვირა არ მელაპარაკებოდა... ამის შემდეგ რამაც ალაშფოთა,



ეს არის ჩემი ტატუები. ზურგზე „ჩონჩხი ვარდებში“ მაქვს ამოსვირინგებული, რაც დედას აზრით, უპატივბელი შეცდომაა. მისაყვედურა, — როგორ გაბედე ამის გაკეთება და თანაც, ჩონჩხის დახატვაო?! ის რელიგიური ქალია და პანიკაში ჩავარდა.

**— ანუ მშობლებს ერთგვარ სიურპრიზებს უმზადებ ხოლმე?**

— ასეა. ზურგი რომ მოვიხატე, ამას ვმალავდი. ერთხელაც, დედასთან რაღაცაზე ვიკამათე. სამზარეულოში ვიყავი, ვსადილობდი, როცა მოვიდა და მითხრა: დედიკო, მაპატიე, რომ ვიჩხუბეთო და ხელი ზურგზე მომიხვა. ტატუ ახალი გაკეთებული მქონდა და ზემოდან ფუფხით იყო დაფარული. გაუკვირდა, რა გჭირსო? მერე მაისური ამინია... ვერ აღვინერ, როგორი რეა-



**ეს ძალიან ფერადი ტატუა. ამქვეყნად რაც კი ფერი არსებობს, ყველაფერია გამოყენებული. თანაც, ჩონჩხი ილიმის**

ქცია ჰქონდა, ორ კვირაზე მეტხანს, ზედაც არ მიყურებდა.

**— მამამ რა გითხრა?**

— მამა არ გამიჯავრდა, მაგრამ მივხვდი, ძალიან ეწყინა. მასთან საოცარი, მეგობრული ურთიერთობა მაქვს და მეზიზღება, როცა ნაწყენია ჩემზე. მის გარეშე ვერ ვძლებ. ჰოდა, „მამა“ დავინერე გულზე... იყო დრო, როცა ჩემს ცხოვრებაში მოხდა რაღაც ისეთი, რომ ძალიან მჭირდებოდა ახლობლების თანადგომა. მაშინ ყველაზე მეტად, მამა ამომიღდა მხარში, რასაც ვუფასებ.

**— სხეულზე ამოსვირინგებული ტექსტები თუ ნახატები რომ მოგებზრდეს, რას იზამ? ტატუ გააზრებულად გაიკეთე?**

— თითოეული სვირინგი რაღაცას მახსენებს და ვფიქრობ, არასდროს მომბეზრდება. მაგალითად, ამოსვირინგებული მაქვს ერთ-ერთი სიმ-

ღერის მისამღერი, რომელიც ძალიან მაგარ დროს მახსენებს; მოგეხსენებათ, ტატუს სახით, ანჯღლინა ჯოლის 4 ნაკანრი აქვს სხეულზე. ვინაიდან ეს ქალი ძალიან მომწონს, პლაგიატობაშიც რომ არ ჩამეთვალოს, ამ ოთხიდან ერთ-ერთი ნაკანრი „გავიკეთე“... რაც შეეხება „ჩონჩხს ვარდებში“ — ეს ძალიან ფერადი ტატუა. ამქვეყნად რაც კი ფერი არსებობს, ყველაფერია გამოყენებული. თანაც, ჩონჩხი ილიმის და ჩემს ხასიათზე მეტყველებს, ვარდები კიდევ, სიგჟუა.

**— შენ რამდენად რელიგიური ხარ?**

— მეზიზღება, როცა ამ თემაზე ლადაობენ. არადა, ახლა თითქოს მოდაშია რელიგიისა და რელიგიური ადამიანების ლანძღვა. მე არავის განვიკითხავ. შეიძლება, მქონდეს პროტესტი ვიღაცის ან რაღაცის მიმართ, მაგრამ ამაზე არ ვილაპარაკებ. ვფიქრობ, ოდესმე ყველა თავისას მიიღებს და მე ვინ მომიცა სხვების განსჯის, მით უმეტეს — მათზე ლადაობის უფლება? ეკლესიაში არ ვივლი მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცამ საქციელი მომიწონოს. როცა გულით მომიწონებ, ტაძარში მაშინ შევალ. არ მომწონს ისიც, რომ ეკლესიაში დადიან და მერე, იქიდან გამოსულები, უამრავ დანაშაულს სჩადიან. ეკლესიაში წასვლა ჩვევა არ უნდა იყოს, ეს გულით, სულითა და გონებით უნდა გინდოდეს.

**— როგორი მოსწავლე იყავი?**

— ცუდი... როცა სკოლა დავამთავრე, მოხდა ისე, რომ დედამ პედაგოგად დაიწყო მუშაობა და ვიფიქრე, რა მოხდება მაშინ, მასაც ისევე რომ მოექცნენ მოსწავლეები, როგორც მე ვექცეოდი პედაგოგებს-მეთქი? და შემეშინდა. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ძალიან დაუნდობელი ბავშვი ვიყავი. შემეძლო, მასწავლებელი გულის წასვლამდე მიმეყვანა.

**— ასეთს რას აკეთებდი?**

— როცა მასწავლებელი ლაპარაკობდა, რაღაცების გაპროტესტების სურვილი მიჩნდებოდა. მაგალითად, ერთ-ერთ გაკვეთილზე წამოვხტი და ვიყვირე: უიტნი ჰიუსტონი გარდაიცვალა-მეთქი, მერე კი ავმღერდი. მოკლედ, მიქროდა თავში და ეს „კაი ტიპობა“ მეგონა. ამას ძალიან ვნანობ. როცა მახსენდება იმ ქალის თვალები და ის, თუ როგორ მთხოვდა, — დაჯექიო, მე კი მორჩილების ნაცვლად, კიდევ უფრო ხმამაღლა ვმღეროდი, ძალიან მრცხვენია...

**— რომელიმე პედაგოგის მიმართ სიმპათია არ გქონია?**

— ისტორიის პედაგოგი ზედმეტად მკაცრი ქალი იყო, მაგრამ იმდენად

სწორად გვიხსნიდა მასალას, რომ ამ საგნით დამაინტერესა. მას პატივს ვცემდი და სკოლაში ისე არ მივიდოდი, გაკვეთილი რომ არ მესწავლა. ამ პედაგოგმა შემაყვარა ისტორია. ასევე, მიყვარს ნიგნების კითხვა. სამწუხაროდ, ბევრი ინგლისურენოვანი, მაგრამ ცოტა — ქართული მწერლების ნაწარმოები მაქვს წაკითხული. ბავშვობიდან კოლეჯში ვსწავლობდი, სადაც ინგლისურს პირველი კლასიდანვე მასწავლიდნენ. ჩემთვის პირველი სერიოზული ნიგნი — „რომეო და ჯულიეტა“ იყო ანუ ნიგნის კითხვა ქართული ნიგნებით არ დამინწყია. იმედია, დროთა განმავლობაში ყველა ქართველი მწერლის შემოქმედებას გავეცნობი.

**— შენს ადგილას ბევრი იამაყებდა იმით, რომ ნიგნს დედანში კითხულობს და თუ ქართველი მწერლების შემოქმედება „შემოეჩაგრება“, არც ინალღვებს.**

— მე პირველ რიგში, ქართველი ვარ და სხვა თუ არაფერი, ვალდებული ვარ გახლავართ, ჩემი ერის შემოქმედებას ვავეცნო. სხვათა შორის, დედა ყოველთვის მეუბნებოდა: იცოდე, დადგება დრო, როცა მეგობრებთან ერთად, ისეთ სიტუაციაში ჩავარდები, შეგრცხვებაო. ვპასუხობდი: ბევრი ინგლისურენოვანი ნიგნი მაქვს წაკითხული და არ ჩავიჭრები, ქართული კი რა საჭიროა-მეთქი? ახლა ვხვდები, რომ ვცდებოდი.

**— საინტერესოა, რომელი საგნის მასწავლებელი გყავდა ცუდად ამოჩემებული?**

— ბიოლოგიის, ქიმიის მასწავლებლებს ვანვალვობდი. სხვათა შორის, მათემატიკის პედაგოგს — არა. მანანა კვინიკაძე გეომეტრიას გვასწავლიდა. ძალიან მაგარი ქალია. ის ძირფსვიანად, თანაც — მარტივად, ჩვენთვის გასაგებ ენაზე გვიხსნიდა ყველაფერს და პატივს ამიტომაც ვცემდი.

**— დაასახელე ნიგნი, რომელმაც შენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა...**

— ასეთი ნიგნია „დიდოსტატის მარჯვენა“. ამ ნიგნის კითხვა რომ დავინწყე, „ლომკა“ გამიჩნდა, შეჩერება არ მინდოდა, ერთი სული მქონდა მომდევნო თავიც წამეკითხა. ქართულის მასწავლებელმა დამაინტერესა ამ ნიგნით.

**— ოთახში ვინმეს პლაკატი თუ გაქვს გაკრული?**

— დედა მეხუმრებოდა, — შენი ოთახი „პაღუმეკას“ ჰგავსო, რადგან მთლიანად მოვხატე. ხატვა ჩემი ჰობია. კედლებზე ასევე ვაკეთებდი ჩანანერებს. ვწერდი საკუთარ სურვილებზე,



ოცნებებზე. მაქვს ისეთი ნახატებიც, რომელიც ბავშვობას მახსენებს. ახლა პრინციპში, ის სასტუმრო ოთახი გახდა, მე კი სხვაგან გადავბარგდი (ილიმის).

**სტუმრებს მოსწონთ შენი ნახატები?**

— იმ ოთახში ყოფნა ყველას მოსწონს, რადგან საუცხოო სიხალისე სუფევს. ბევრი ფერია, თვალები გიჭრელდება, მაგრამ კარგი აურაა. მიხარია, რომ ამ ოთახში შესულ ადამიანებს ჩემი ბავშვობა ეშლებათ თვალწინ.

**ვინმეს ფანი არ ხარ?**

— ერთადერთი და განუმეორებელი მომღერალი, რომელიც ალბათ ყოველთვის მეყვარება, არის ბიონსე. ვხუმრობ ხოლმე, სისხლში მაქვს გამფადარი მისი ხმა-მეთქი. მეუბნებიან: ხანდახან მისი ხმის ტემბრი შენსას ძალიან ჰგავსო. ამას სპეციალურად არ ვცდილობ. ეს ქალი ჩემში იმდენად „ზის“, რომ უნებურად ვემსგავსები. ვფიქრობ, ერთმანეთს ვგავართ გემოვნებით, მელიზმით, დინამიკით... ახლა ბევრი ამბობს, ბიონსეს ფანი ვარო, მე კი მაშინ ვაფანატებდი ამ ქალზე, როცა საქართველოში მისი არსებობა თითო-ოროლა ადამიანმა თუ იცოდა. ბიონსეს ყველა „ლაივი“ ვიცი. არ არსებობს, მასზე სადმე „დადებულები“ ვიდეო გამომჩვენებს; არ არსებობს, ისე დავიძინო, რომ არ მოვიხმინო მისი ნამღერი ან არ ვნახო რომელიმე კონცერტის ჩანაწერი.

**რას ნიშნავს შენთვის ვირ-**



საქართველოში ყველაზე მაგარი მომღერალი არის ჩემი უახლოესი მეგობარი — ნინა სუბლაცი

**ტულური სამყარო?**

— ცხოვრება ვითარდება, ჩნდება ახალ-ახალი რალაცები, მათ შორის — ტექნოლოგიაც. როცა შენ მთავაზობ რალაც სი-ახლეს, ცხადია, ვინც მის მოხმარებას და შესაძლოა, ამ რალაცაზე დამოკიდებულიც გავხდე. სოციალური ქსელი მეც მიზიდავს. საინტერესო პროცესია, როცა „გადიხარ“ რეალობიდან და „ინითები“ ვირტუალურ სამყაროში. ვფიქრობ, ეს უფროსი ასაკის ადამიანებსაც არანაკლებ იზიდავთ და აინტერესებთ. სამაგიეროდ, არ მომწონს „სასტიკი“ თამაშები. ბევრჯერ მინახავს მოზარდი, რომელიც გააგიჟა და გამოათავყვანა „სისხლის ღვრამ“, „მკვლელობებმა“. მყავს პატარა ძმა. მართალია, „გემერი“ არ არის, მაგრამ მოსწონს კომპიუტერული თამაშები. ჰოდა, მასზე ვზრუნავ და ვცდილობ, ისეთი თამაში ვუყიდო ან გადმოვუნერო, რომელშიც სისასტიკე არ იქნება. ვთქვით, „ისტორიული თამაშები“, სადაც არ არის უაზრო „ბახაბუხი“. საბედნიეროდ, მიჯერებს და ჩემს შერჩეულ თამაშებს გვერდზე არ დებს. ის დამჯერია. პატივს სცემს ოჯახის წევრებს და ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

**— ოდესმე ვინმესი შეგშურებია?**

— როგორ არა. ცხოვრებაში არის მომენტები, როცა შენი შურთ ან პირიქით, შენ გშურს ვი-ლაცის. ეს არის არასრულფასოვნების კომპლექსი და ამას უნებურად გამოხატავ.

**— ბავშვობაში რისი კომპლექსი გქონდა?**

— იმის, რომ ძალიან, ძალიან მსუქანი ვიყავი. რამდენიმე წლის წინ დაახლოებით, 95 კილო გახლდით. ძალიან მინდოდა, წონაში დამეკლო, მაგრამ ვერ ვახერხებდი. მერე დადგა დრო, როცა ძალიან მოვიხდომე და 30 კილო დავიკელი. ახლა წონას ვაკონტროლებ. მომწონს, რომ არც ძალიან გამხდარი ვარ და არც — მსუქანი.

**— მალე მსახიობად მოგ-**



ამ ოთახში შესულ ადამიანებს ჩემი ბავშვობა ეშლებათ თვალწინ

**ვევლინები, არა?**

— დიახ. სპექტაკლში — „მოხუცი ქალბატონის ვიზიტი“ მეც მომცეს როლი, რაც ძალიან მახარებს.

**— როგორ მოხვდი ამ გაუგებრობაში?**

— ბავშვობაში მსახიობობაზე ვოცნებობდი. ჰოდა, როცა მეგობარმა და ამ სპექტაკლის რეჟისორმა დამირეკა: სპექტაკლს ვდგამ და შენთვისაც მაქვს როლიო, დაუფიქრებლად დავთანხმდი. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ძალიან შემეშინდა. გაცნობიერებული მაქვს, რომ ეს დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ გავრისკე. მომწონს რეპეტიცია, გაუთავებელი ყვირილი, ბობოქარი პროცესი...

**— რეჟისორი რას გეუბნება, მსახიობობა გამოგდის?**

— მოსწონს, როგორც ვთამაშობ და შემპირდა, — მომავალშიც დაგიძახებო. ხომ გითხარით, ძალიან ცვალებადი ხასიათი მაქვს და ადვილი შესაძლებელია, რომ ხვალ სამსახიობოზეც ჩავაბარო, მერე კი ბულალტრობის, ბანკში მუშაობის და ა.შ. სურვილიც გამიჩნდეს.

**— ალბათ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ ხარ დაღვინებული...**

— არც მინდა, რომ დაღვინდე (ილიმის)...

**— თანატოლებისთვის რაიმე ხომ არ გაქვს სათქმელი?**

— მინდა, უფრო მეტად იფიქრონ მომავალზე, თავიანთ საქმეზე, ნუ დაკარგავენ დროს უაზრო პარპაშში; განსაზღვრონ, რა უნდათ, როგორ უნდა წარმართონ საკუთარი ცხოვრება. ჩემი აზრით, ასაკის მატებასთან ერთად გემატება გამოცდილება, თორემ ჭკუა იგივე რჩება.



# ბიბლუსი

# იბალთან მოხაზილა



სირბილში გაჯიბრება არც მიცდია, რადგან ვიცოდი, ალთაის ვერ გავასწრებდი. შესაბამისად, ვახშმის თადარიგიც მე დავიჭირე.

მსიამოვნებდა დიასახლისობა, მით უმეტეს, როცა გვერდით ისეთი მამაკაცი მეგულებოდა, რომელსაც ჩემს ფანტაზიებში ბოლო დროს ცხოვრების მეგზურად წარმოვიდგენდი.

— გამიხსენებ ხოლმე, როცა აქედან წახვალ? — ფიქრებიდან მისმა ხმამ გამომარკვია.

გული შემეკუმშა ამის გაგონებაზე.

— რა თქმა უნდა, ეს ზაფხული არასდროს დამავიწყდება, — ჩამწყდარი ხმით მივუგე, — რატომ მეკითხები?

პასუხი არ გამცა. ხელში ქვიშა ეჭირა და მუჭში მოქცეულს ხან ერთ ხელისგულზე დაიყრიდა, ხან — მეორეზე.

— ალთაი! ისე მელაპარაკები, თითქოს სამუდამოდ მემშვიდობებოდე, — თავს მოვერიე და რიხიანად ავლაპარაკდი. — შენ რა, უკან დაბრუნებას არ აპირებ მარინასთან შეხვედრის შემდეგ? წიგნი რომ დასამთავრებელი გაქვს?

მან დაკვირვებული მზერა მომაპყრო, ამოიხვნეშა და ყრუდ ამოთქვა:

— ხვალ ვხვდები... ვფიქრობ, აღარ დავბრუნდები. უფრო სწორად, დასარჩენად არ დავბრუნდები; მხოლოდ იმისთვის, რომ ბარგი ჩავალაგო და წავიღო.

— გასაგებია, — ვუპასუხე და საკუთარი ხმა ვერ ვიცანი. იქნებ არც არაფერი მითქვამს და მხოლოდ გათიფიქრე? მაშინ, ასეთი სასონარკვეთილი „გასაგებია“ საიდან მომესმა? ნუთუ ფიქრშიც კი ასეთი ტონი აქვს წარმოუთქმელ სიტყვას?

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მეჩვენებოდა, რომ ტალღების ხმაურმა იმატა და ნელ-ნელა აუტანელი გახდა. იქნებ ჩემს ყურებს გაუდიოდა გუგუნი და ზღვის ხმად აღვიქვამდი? ძლივძლივობით გადავყლაპე ორიოდე ლუქმა, თვალეზი ამიცრემლიანდა. მთელი ვახშმის განმავლობაში თავდახრილი ვიჯექი, რომ მას ჩემი ცრემლები არ შეემჩნია.

— მომისმინე, მე და შენ ერთმანე-

თისთვის მაინც უცხოები ვართ, — ახსნა-განმარტებას მოჰყვა ალთაი, თითქოს ჩემი ტკივილის შემსუბუქებას ცდილობდა, — ორი უცნობი პლაჟზე — ეს არის და ეს. მხოლოდ დროებით აღმოვჩნდით ერთად, შემთხვევითობის წყალობით. უფრო მარტივადაც შეიძლება ითქვას — ჩვენ ერთად ვმუშაობდით. ახლა კი...

— ახლა კი დადგა დრო, ყველაფერი დავივიწყეთ, — მოჩვენებითი მხიარულებით გავაგრძელე, — მთავარია, ეს ყველაფერი ორივეს მოგვენონა, ხომ მართალია? კინკლაობაც კი. — ცერა და არათითი ერთდროულად მივიდე თვალებთან, ოსტატური მოძრაობით მოვინმინდე ცრემლები და შემდეგ იმავე თითებით ცხვირს ჩამოვუყვიე და მხოლოდ ამის შემდეგ შევხედე.

მისი მზერა არასდროს დამავიწყდება. ეს საოცარი ნაცრისფერი თვალები უცნაური სითბოთი მომაშტერდა, მაგრამ — მხოლოდ წამით, მერე კი ისეთი ცივი გაუხდა, უსიამოვნო ჟრუნტელმა დამიარა სხეულში.

— რა თქმა უნდა, — ძლივს გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა, — აბა, რა!

— ახლა კი გვიანია, დაწოლის დრო მოვიდა, — გამმრალი ხმით ვთქვი და მაგიდის ალაგებას შევუდექი.

— ჰო, დრო სწრაფად გაიქცა. დილას უთენია უნდა ავდგე. შეიძლება, ვერც მოვასწრო დამშვიდობება, ამიტომ ჯობს, ახლა დავემშვიდობოთ ერთმანეთს. რას იტყვი?

— შეხვედრამდე, ალთაი, — ხმანართმეულმა ძლივს წაველოდე. კიდევ კარგი, უკვე ნიჟარასთან ვიყავი და მოვასწარი თევშების ჩალაგება, თორემ ალბათ ხელიდან გამივარდებოდა.

— ასე არა... — ის ნელა მომიახლოვდა. — გამომშვიდობების წინ

წარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

<http://svetnov.wordpress.com/gza.fantazia@gmail.com>

სვეტა კვარაცხელია

დასაწყისი ნ. „გზა“, №13-22

ერთმანეთს არ უნდა ვაკოცოთ? თუნდაც ამდენი დღის ერთად ყოფნის სამახსოვროდ?

გული ჩვეული რიტმიდან ამომივარდა.

— არა, — ნავიწურჩულე და განზე გადგომა დავაპირე, მაგრამ ალთაიმ არ შეისმინა ჩემი უარი. უბოდიშოდ მომხვია ხელი ნელზე და ისე მძლავრად მიმიკრა მკერდზე, სუნთქვა შემეკრა. შემდეგ მაკოცა. არ ვიცი, მესიამოვნა თუ არა, რადგან იმდენად დიდი იყო მასთან მოსალოდნელი განშორების ტკივილი, სიამოვნების მისაღებად შეგრძნებები არ მეყო.

ალბათ იმედგაცრუებული ქალის გამოხედვა მქონდა, რადგან როდესაც ხელი შემიშვა და შემომხედა, გაოცებულმა წარბები აზიდა.

— აჯობებს, მარინასთვის შემოინახო საალერსო ძალები, — ასეთი გულგრილი ტონი რამდენი დღეა, არ მქონია.

მან პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რადგან სასწრაფოდ გავედი სამზარეულოდან და მეორე სართულზე ავედი. ვცდილობდი, ნელინაბიჯებით ამეგლო საფეხურები, რათა თავი არ გამეცა. როგორც კი საძინებელში შევედი, კარი გასაღებით ჩაკეციე და ზურგით მივეყრდენი... განადგურებული ვიყავი.

ეს ყველაფერი სიგიჟე იყო, უკვე დამთავრებული სიგიჟე. აქ დარჩენა





აღარ მინდოდა. ერთი სული მქონდა, როდის დავტოვებდი ამ სახლს, ამიტომ წამითაც არ მიყოყმანია. ხელის ერთი მოსმით გამოვიცვალე ტანსაცმელი, მანქანის გასაღებს ხელი დავტაცე და გარეთ გამოვევარდი...

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი „მერსედესი“ ქუჩაში მიქროდა. გზად ბიბის გაფურე, ბოდიში მოვუხადე და გვიანებისთვის და ვთხოვე, ბესი ცოტა ხნით კვლავ დარჩენილიყო მასთან, სანამ დავბრუნდებოდი.

პირველად მივეკროდი ასეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით. თითქოს მღვერების მთელი რაზმი მომდევდა უკან. გამიმართლა. ფოთიდან ბათუმამდე ისე ჩავედი, პატრულის არც ერთი მანქანა არ შემხვედრია, თორემ დაჯარიმება არ ამცდებოდა.

როგორც კი ჩემს მშობლიურ ქალაქში აღმოვჩნდი, მანქანა პირველსავე ტელეფონის ჯიხურთან გადაჩერე და ყრუდ ამოვიხსრე. მერე გადმოვედი და ცას ავხედე, რომელიც ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. მინდოდა, დავმშვიდობებოდი და ვარსკვლავების დათვლას შევუდექი. სიმწრით გამეცინა. ადრე ასეთი სისულელეები თავში აზრადაც არ მომივიდოდა. ახლა კი... ჩემდა უნებურად, აკაკის ლექსი გამახსენდა, „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები“... მორჩა! უნდა მოვეშვა ალთაზე ფიქრს, უნდა დავივიწყო მასთან გატარებული თითოეული დღე! „უნდა დავივიწყო, უნდა დავივიწყო!“ — დიდხანს ვიმეორებდი გონებაში, მაგრამ სამწუხაროდ, არაფერი გამომდიოდა.

რეზის ნომერი ავკრიფე. რაც შეიძლება სწრაფად უნდა ვუთხრა სათქმელი, სანამ გადამიფიქრებია. ზარი გადიოდა, მაგრამ არავინ იღებდა ყურმილს. მერე დედას დავურეკე მობილურზე. მაშინვე მიპასუხა. რომ ვუთხარი, ჩამოვედი-მეთქი, არც მომიკითხა, ისე მომაცარა:

— სასწრაფოდ მოდი, პარკთან რომ რესტორანია, მოცეკვავე შადრევნების გვერდით. დღეს გაიხსნა და დაგვაპატიუეს. ყველანი აქ ვართ, რეზიც ჩვეთანაა და ახლავს ნახე! — ამის თქმა იყო და გამითიშა.

მეც იქვე ვიყავი, რესტორანთან ძალიან ახლოს, ამიტომ მანქანა მოხერხებულად დავაყენე ნებადართულ ადგილზე, დისტანციურით ჩაკვებე და ფეხით გავაგრძელე გზა.

ბათუმში სიცოცხლე დულდა. ირგვლივ ყველა გასართობი ადგილი ფერადი ნათურებით იყო განათებული. რესტორნიდან ღრიანცელისა და მუსიკის ხმა გამოდიოდა. წამით

შევიჩერდი. არ მინდოდა შესვლა, ლამის გადავიფიქრე. ბოლოს ძალა მოვიკრიბე, ღრმად ამოვიოხრე და კარი შევალე. სქელ ხალიჩაში ფეხი უსიამოვნოდ მეფლობოდა. თვალები კი ცდილობდა, შესჩვეოდა მკვეთრ სინათლეს.

— მობრძანდით, — დაცვის ბიჭმა ღიმილით დამიკრა თავი.

პირველად დედას მოვკარი თვალი. თავისი დაქალის გვერდით იჯდა და რალაცაზე გულიანად იცინოდა. როგორც კი დამინახა, წამოხტა და ჩემკენ გამოიქცა.

— ლიკა! — ხელეზგაშლილი ჩამეხუტა და დიდხანს მკოცნა.

უცებ მხარზე ვილაცის მძიმე ხელი ვიგრძენი. თავი მოვებრუნე და მამაჩემის გაოცებულ თვალებს წავეყნდი.

— ასე ადრე რატომ ჩამოხვედი, შვილო?

ნაძალადევად გავეუღიმე. ნამდვილ მიზეზს ალბათ მამასაც კი ვერასდროს ვეტყვი. იქნებ არც მე ვიცოდი ზუსტად, რატომ ჩამოვედი.

— დედამ შემამინა: მითხრა, რეზი აუცილებლად უნდა ნახო... მამა მოიღუშა.

— აქ არის ეგ ნაძირალა. სალომესთან ცეკვით ირთობს თავს. აი, ეგერ! — საჩვენებელი თითი დარბაზის შუაგულისკენ გაიშვირა, სადაც წყვილები ცეკვავდნენ.

თვალი მის თითს გავაყოლე. ჩემდა გასაკვირად, უსიამოვნო რეაქცია არ მქონია. რეზი, როგორც ყოველთვის, გამორჩეულად კარგად გამოიყურებოდა. სალომეს მის მკერდზე მიედო თავი და მასთან ერთად ნელა მოძრაობდა.

— ლამაზი წყვილია, — საჭიროზე მეტხანს მოვუნდი ამ წინადადების წარმოთქმას, გავწელი მარცვლები.

— აბა, რა! — გაღიზიანებული ტონით წამოიძახა მამამ. — თან, ყველაფერი გააკეთა შენმა რჩეულმა იმისთვის, რომ მისი თავგასულობა ჩვენთვის დაენახებინა. წამითაც არ მოგვერიდა არც მე, არც დედაშენს. ვითომ არაფერი. რაც შენ ნახვედი,



დღე არ გავიდოდა, ერთად არ მენახა ორივე.

— შენ გგონია, სპეციალურად აკეთებს ამას?

— ეჭვიც არ მეპარება. იცოდა, რომ დედაშენი აუცილებლად გაგაგებინებდა ამ ამბავს და მომენტს არ უშვებდა ხელიდან. ისედაც მთელი ქალაქი მათზე ლაპარაკობს. გულთან ახლოს არ მიიტანო, კარგი? შენ ხომ ჩემი გოგო ხარ, მე მომბაძე. მოთმინება საუკეთესო საშუალებაა სამაგიეროს გადასახდელად.

— არ ვაპირებ სამაგიეროს გადახდას, მამი. დიდად არ მალეღვებს, ვისთან გაერთობა.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. შენი საქმეები როგორ არის? უფრო გარუჯულებარ. მთლად მულატი გამხდარხარ, — მამამ ვერ მოითმინა და გადაამეხვია.

— ჰო, გავირუჯე, დავისვენე და ვიმუშავე კიდევაც, როგორც მინდოდა, ისე. ორი დღით ჩამოვედი. მხოლოდ იმიტომ, რომ რეზისთან ყველაფერი გავარკვიო... საბოლოოდ.

— მართლა? და ყველაფრის გარკვევაში რას გულისხმობ?

— ეს მასზეა დამოკიდებული. ასე არ არის?

სწორედ ამ დროს დამინახა რეზიმ. იმდენად დიდი იყო მისი გაოცება, რომ ცეკვა შეწყვიტა. რალაც უჩურჩულა სალომეს, მაგიდასთან მიაცილა და ჩემკენ დაიძრა. ცივად ვადევნებდი თვალს მის მოახლოებას, თუმცა ვიგრძენი, რომ იმაზე მეტად მომნატრებოდა, ვიდრე მეგონა.

— ლიკა, აქ რას აკეთებ? — ჩვეულებრივად მოიშველია ჩემმა შეყვარებულმა და ჩემგან ორიოდ ნაბიჯში შედგა.

— შენ? — კითხვა შევუბრუნე და გამომცდელად მივაჩერდი.

ერთხანს ხმას არ ვიღებდით, მაგრამ ვიგრძენი, რომ კიდევ ერთხელ დავაყრიდით ერთმანეთს.

— სალომე როგორ გყავს? ირიბად გამომხედა.

— კარგადაა, — ირონიულად მომიგო, — როგორ მოხდა, შენს ახალ სახლს რომ შეელო?

— სხვათა შორის, არ გამძნელებია, — ირონიითვე ვუპასუხე.

რეზიმ სკამი გამოსწია და დაჯდა. მამაჩემმა ჩაახველა და წამოდგა.

— მაპატიეთ, სიგარეტი გამითავდა. ცოტა ხნით უნდა გავიდე. მალე დავბრუნდები, — თქვა და გაგვერიდა.

ვცდილობდი, რეზისთვის არ შემეხედა. აი, მოვედი, აქ ვარ და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. მიყვარს კი? წუთუ მომეჩვენა, რომ ალთაიმ გა-



დანონა იგი? ან იქნებ სულაც ალთაი მიყვარს?

— რატომ არ გამაფრთხილე, ჩამოსვლას თუ აპირებდი? — რეზი დაჟინებულ მზერას არ მაშორებდა.

— ამას განა რამე მნიშვნელობა ჰქონდა?

— აბა, არ ჰქონდა? გეყოფა, ლიკა, რა!

— თუ შეიძლება, ერთ კითხვაზე მიპასუხე, კარგი? ისევ გაქვს სალომესთან რომანი?



მხოლოდ წამით შეეყოყმანდა, მაგრამ ეს მაინც ვერ გამომაპარა.

— არა, — მსწრაფლ მომიგო. — მომისმინე, ლიკა, უნდა დავილაპარაკოთ. მაგრამ არა აქ. მოგვიანებით სახლში მოვალ, კარგი?

— სალომეს რომ აკოცებ, სახლში მიაცილებ და ძილი ნებისას უსურვებ, მერე, არა?

ჯერ ცივად შემომხედა, მერე კი კმაყოფილებით ჩაიღიმა:

— ესე იგი, ეჭვიანობა, არა?

არ ვუპასუხე, რადგან არ ვიცოდი, რა მეპასუხა.

— წამო, ცოტა ხნით გავიდე, შადრევნებთან გავიაროთ.

გავყევი. გარეთ დახუთული ჰაერი იდგა. ტროტუარს ტაატით დავეყევი. ხელი ჩამკიდა და თავისკენ მიმბრუნა. მერე მაკოცა. ოდნავ აღელვებული, მკერდზე მივეკარი და ხელები მოვხვიე. ვცდილობდი, მაგრამ ის განსაკუთრებული შეგრძნება ვერ გამოვცაადე, რომელიც გულს აჩქარებს და სასიამოვნო ჟრუანტელს ინვევს. არც მინა გამომცლია ფეხქვეშ, როგორც ეს ალთაის კოცნის დროს მემართებოდა.

— რა კარგია, რომ ჩამოხვედი! — წამჩურჩულა.

— მაგრამ დარჩენას არ ვაპირებ, — ცივად მივუგე.

— რა-ა? — ადგილზე გაშეშდა.

— ორი დღით ჩამოვედი.

— მაგრამ რატომ უნდა დაბრუნდე? დარჩი ჩემთან, გთხოვ!

— ვერა. ჯერ კიდევ დამრჩა სა-

მუშაო. აუცილებლად უნდა დავამთავრო.

ბრაზიანად ამოიხვნეშა.

— მეგონა, ამ სისულელეს დაივინყებდი.

— ხატვა სისულელე არ არის.

— დარჩი, რა... დარჩი და დავექონინდე.

— მერე, სალომე?

ხელზე ხელი მომიჭირა.

— მე შენ მიყვარხარ და არა — სალომე.

— მაგრამ ფოთში მაინც არ უნდა დავბრუნდე, არა?

— სწორედ ასეა.

— რა ორიგინალური სიყვარულია, — ჩამეცინა, — ნუთუ არ გესმის, რომ ფერწერა ჩემი ცხოვრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია?

მოულოდნელად გაჩერდა და უცნაური რამ მკითხა:

— იქ ვილაც გყავს, ხომ ასეა?

ტური მოვიკენიტი და ჯიბრიანად ვუპასუხე:

— ასეთ თამაშს შენ თამაშობ, რეზი! შენ და არა მე!

— იმ კოლოების საბუდარში შენი გამგზავრება ყოველთვის უცნაურად მეჩვენებოდა!

თვალეები დავხუჭე. მის საუბარში ეჭვიანობის ნოტები გამოსჭვივოდა. ედრე საამისო საბაბი არასდროს მიმიცია. როგორ მომიხდა, ამწუთას პირი მომელო და მომეყოლა ალთაის შესახებ. მაგრამ დროზე დავაჭირე ენას კბილი. ახლა სკანდალი არ მჭირდებოდა. აქეთ მომდებდა შარს და საქვეყნოდ გამომაჭენებდა, მილალატაო. საკუთარ რეპუტაციას ვერ შევვლახავდი მის გამო, ამაღ არ მილირდა.

— რას ცდილობ, რეზი? გინდა, მოთმინებშიდან გამომიყვანო, გეჩხუბო და მერე სუფთა სინდისით ისევ სალომესთან გაიქცე?

ჩემმა ნათქვამმა გააბრაზა.

— შეიძლება, ასეც არის! — ყვირით მომახალა.

მეტად აღარ მეყო მოთმინება. ამაყად ავნიე თავი და მხრებში გავსწორდი.

— მაშინ, დაბრუნდი მასთან! — ზიზლით მივუგე და გამოვბრუნდი. მისი გაღიზიანებული ხმა კვალდაკვალ მომდევდა მანამ, სანამ რესტორნის ხმაურმა არ გადაფარა...

შევედი თუ არა დარბაზში, მამაჩემს ვუთხარი, სახლში წავალ, დაღილი ვარ-მეთქი.

— რამე მოხდა?

— როგორც ყოველთვის. კიდევ ერთხელ ვიჩხუბეთ, — უდარდელად წარმოვთქვი.

— ცუდია, — თავი გააქნია მამამ,

— კარგი, წადი. მეც მოვალ, როგორც კი დედაშენი გულს მოიხებს თავის დაქალებთან ჭორაობით.

შინ დაბრუნებულმა თავი საოცრად მშვიდად ვიგრძენი, მაგრამ მართო ყოფნა დიდხანს არ დამცალდა.

მამა და დედა მალევე მოვიდნენ, სააბაზანოდან ახალი გამოსული ვიყავი, თავზე რომ წამომადგნენ. დედამ ნოტაციები წამიკითხა, აუცილებლად უნდა შეურიგდე რეზისო. მამაჩემს კრინტი არ დაუძრავს. ბოლოს, დედა დავილა შეგონებებით და თავი დამანება, დასაძინებლად გაეშურა, მამა კი გვერდით მომიჯდა.

— შენს თავს რაღაც ხდება, ლიკა. არ გინდა, მომიყვე? — გამომცდეულად შემომხედა.

— ოღონდ ახლა არა, მამი, რა.

— ის მაინც მითხარი, რას აპირებ?

— ზეგ უკან დავბრუნდები. ორი დღით დარჩენა მინდოდა, მაგრამ გადავიფიქრე.

— როგორც გინდა, შვილო. იმედი, იცი, რასაც აკეთებ...

ეს ნამდვილად ვიცოდი, ამიტომ პასუხად მხოლოდ გავუღიმე საყვარელ მამიკოს, რომელიც უთქმელად ხვდებოდა ჩემს გულისნადებს.

ღილით დედა შეეცადა ჩემს დარწმუნებას, — აქ დარჩი და იმ ბიჭს შეხვდი, უაზრობა მგონია, შენი ფოთში დაბრუნებაო, მაგრამ გადაწყვეტილების შეცვლას არ ვაპირებდი. ვერც ვერავინ მაიძულებდა ამას. ის დღე ძლივს გავძელი, მეორე დღით კი წასასვლელად გავემზადე.

ის იყო, მანქანა ეზოდან გავიყვანე და დაძვრას ვაპირებდი, რომ ვილაცამ დაამიძახა. ძრავა გამოვირთე და სარკიდან უკან გავიხიე. იქ რეზი იდგა.

— სად მიდიხარ? — გულგრილი ტონით მკითხა, როცა მანქანიდან გადმოვედი.

— საიდანაც მოვედი, — იმავე ტონით მივუგე.

— და სექტემბრამდე იქ აპირებ დარჩენას?

— ჰო.

მან ჩემი თმის ღერები თითზე დაიხვია და ამოიხვნეშა.

— გასაგებია. ვხედავ, მაინც მიალენი შენსას. მოიქეცი, როგორც გინდოდეს. მე დაგელოდები და რომ ჩამოხვალ, მერე ვისაუბროთ ამაზე.

განცვიფრებული სახე მივიღე.

— მერე, სალომე?

— რა — სალომე? მშვენივრად იცი, რომ სალომე ჩემთვის სულერთია. უბრალოდ მინდოდა, გეეჭვიანა. როგორც კი დაბრუნდები, ჯვარს დავინერო. კარგი?



ამ სიტყვებით მჭიდროდ მიმიხუტა მკერდზე და მაკოცა. ნაზად გამოუვიდა და გულიც შემეიტოვდა. ლოყა მხარზე დავადე. რას ვუნუნებ ამ ბიჭს? უკეთეს საქმროს ქალაქის ვერც ერთი გოგო ვერ ინატრებდა. თვითონაც ვერ ვხვდები, რომ მიყვარს. აი, ამნუთას ალთაიზე ფიქრი სულაც არ მინდა. განა ეს არ არის სიყვარული?

— უნდა ნავიდე, რეზი.

— დამირეკე, კარგი? და მალე დაბრუნდი.

თავი დავუქნიე და საჭეს მივუჯექი. როცა რეზი თვალს მიეფარა, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ არ მითქვამს მისთვის, შენს ცოლობაზე თანახმა ვარ-მეთქი...

უკანა გზა უფრო მოკლე მეჩვენა. იქნებ იმიტომ, რომ ფოთში დაბრუნების მეშინოდა? იქ ხომ სრული მარტოობა და სიცარიელე მელოდა...

ქალაქში შესულმა ბიბისთან გავიარე. ბესიმ დამინახა თუ არა, ყფით გამოქანდა ჩემკენ. სიხარულისგან კუდს გაუჩრებლად აქიცინებდა და ზედ მახტებოდა. ხელში ავიყვანე და მოვეფერე.

— მთელი ღამე ნკმუტუნებდა, — მითხრა ბიბიმ და სავესე პარკი მომარჩია ხელში, რომელშიც ბესის საჭმელი ეყარა.

— დიდი მადლობა ყველაფრისთვის!

ბიბის დავემშვიდობე და ბესისთან ერთად გზას გავუდექი. ახლალა შევამჩნიე, რომ მოღრუბლულიყო.

საავდრო ღრუბლები განოლილიყო ცაზე. არ მესიამოვნა. ცუდი ამინდი ხასიათს ყოველთვის მიფუჭებდა. ახლა მით უმეტეს, როცა მარტო უნდა ვყოფილიყავი და ხმის გამცემი არავინ მეყოლებოდა, ბესის გარდა.

ის იყო, სახლს მივადექი, რომ მანქანის სახურავს პირველი წვეთები დაეცა. ალთაის მანქანა არ იდგა ჭიშკართან. როგორც ჩანს, ნასულა. კოტეჯი მიტოვებულად მომეჩვენა. იქითკენ გახედვაც არ მინდოდა. სევდა შემომანვა.

მანქანა ეზოში დავაყენე და სახლში შევედი. გამოყრუებულიყო იქაურობა.

უცებ გაიელვა, რასაც ჭეჭა-ქუხილის მჭახე ხმა მოჰყვა. ბესიმ დაინკმუტუნა და ახლოს მოირბინა. როგორც ჩანს, შეეშინდა: საითაც ნავიდოდი, უკან მომეყვებოდა, სულ ფეხებში მეზღანდებოდა. მოულოდნელად რალაც ახმაურდა. ისე სწრაფად ამოვარდა გრიგალი, გონს მოსვლა ვერ მოვასწარი. კარ-ფანჯრებს ზრიალი გაჰქონდა. როგორც ჩანს, ნასვლის წინ დამეინყებია დაკეტვა. საძინებლის ორივე ფანჯარა ჩაკვტე და სამზარეულოში ჩავედი. უჯრებში სანთლებს დავუნყე ძებნა, ვინიცობაა, შუქი ჩამქრალიყო. ამინდს ისეთი პირი უჩანდა, კარგა ხანს არ გამოიდარებდა. ერთი მხრივ, მომწონდა კიდეც ამინდის გაუარესება. ალთაისა და რეზიზე ფიქრი აღარ მომიწევდა. ახლა მხოლოდ იმაზე

უნდა მეფიქრა, გრიგალს ფანჯრები არ დაეღენა და სახლში ნიაღვარი არ შემომვარდნოდა.

უფრო ადრე შელამდა, ვიდრე სხვა დროს. გეგონებოდათ, ზამთარი დადგაო, ისე აცივდა. მოწყენილობისგან არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ფანჯრიდან კოტეჯს გავხედე. მოულოდნელად გული გადამიქანდა. იქ შუქი ენთო! ნუთუ არ ნასულა?

რამდენიმე წუთი გახევებული ვიდექი. გარეთ ისე წვიმდა, არაფერი ჩანდა.

სწორედ ამ დროს კარზე ბრაზუნის ხმა გაისმა. სიხარულისგან არ მახსოვს, როგორ ჩავიბრინე საფეხურები. ნამში კართან გავჩნდი და გავალე. არ ველოდი მასთან კიდეც ერთხელ შეხვედრას. ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა.

— ასე მალე არ გელოდი, — მოსალმების მაგივრად მითხრა.

— მე კი უკვე ნასული მეგონე, — აკანკალებული ხმით მივუყე.


— ამინდი უარესდება. თუ წინააღმდეგი არ ხარ, აქ დავრჩები, შენთან. ვინ იცის, რა ხდება.

თან მესიამოვნა, თან შემეშინდა. მისი სიახლოვე სისულელეების ჩადენისკენ მიბიძგებდა ბოლო დროს.

ალთაის მარინა არ უხსენებია. არც ის უთქვამს, შეხვდა თუ არა, ამიტომ მათ შესახებ არაფერი ვიცოდი. ერთადერთი, რაც ვიცოდი, ის იყო, რომ მას სიგიჟებდე უყვარდა ის ქალი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

პრაქტიკული და ორიგინალური ხელსაწყო დიასახლისებისთვის „გამრიელი“ - ს ივნისის ნომერთან ერთად



იცხოვრე ექმიოლად!

ყუნის საცლელის ფასი: 4 ლარი  
შურნალთან ერთად: 7 ლარი



ალექსანდერ რარი



ნაწყობები წიგნიდან ბაბრძელები, დასაწყისი იხ. „გზა №19-22“

უსილავი ფრონტის საზოგადოება

„კაგებეს“ რეფორმატორული პოლიტიკის მომხრე თანამშრომელთა აქტიური მოქმედების შედეგად (ცხადია, მათ შორის პუტინის მსგავსი ახალგაზრდა ოფიცრები წარბოზდნენ), ფუფუნებასა და უპასუხისმგებლობას მიჩვეული ბევრი პარტიული ბოსის სავარძელი შეირყა. „კაგებეს“ თანამშრომლები უკვე ყველაზე მაღალი რანგის პარტიულ ფუნქციონერებსაც კი სრულიად მოურიდებლად უთვალთვალებდნენ და გორბაჩოვმაც მათზე ძალიან სერიოზული კომპრომატები მიიღო. თუმცა, პოლიტიკურიდან მთავარი პოლიტიკური მონინალმდეგეების მოსაცდლებლად მაინც სამ წელზე მეტი დასჭირდა.

1988 წლის ოქტომბერში მიხაილ გორბაჩოვმა თავისი სამი წინამორბედის მაგალითს მიჰბაძა — თავი უზუნაესი საბჭოს თავმჯდომარედაც აარჩევინა და ამ გზით კოლოსალური ძალაუფლება ჩაიგდო ხელთ. მაგრამ ქვეყანაში გარდატეხის მომენტის დადგომამდე ჯერ მაინც შორი იყო. საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და მმართველობის სისტემის საბაზრო იდეოლოგიისა და დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე, რადიკალური რეფორმირებისთვის ძალაუფლების ზღვარგადასულ ცენტრალიზაციაზე უარის თქმა იყო საჭირო. უნდა შეზღუდულიყო მბრძანებლურ-სადაამსჯელო აპარატის უფლებამოსილება, შექმნილიყო დემოკრატიული

ინსტიტუტები, შესწორებები შეეტანათ კონსტიტუციაში და სახალხო მეურნეობის ეკონომიკურ სტიმულირებაზე გადასვლა მომხდარიყო. ანუ უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, ქვეყანაში კერძო ინიციატივის უფლება უნდა დაეშვათ. და კიდევ, თავისი ისტორიული მისიის შესასრულებლად, გორბაჩოვს დასავლეთის მხარდაჭერაც ჰპერივით სჭირდებოდა.

სოციალიზმის საბჭოთა მოდელის რეფორმირების გრანდიოზული

უნდა აეგლო გვერდი. ამიტომაც იმ ქვეყნებისთვის, სადაც ხელისუფლებაში ბრეჟნევივით კონსერვატორული შეხედულებების მქონე „ბებრები“ რჩებოდნენ, „პერესტროიკის“ ცალკე ვარიანტები შემუშავდა.

თუკი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სახელმწიფო უშიშროების ორგანოების თანამშრომელთა მოვალეობა მმართველი ელიტის ჩინოსნებზე კომპრომატების მოპოვება იყო, საგარეო დაზვერვის ოფიცრებს გორბაჩოვმა დასავლეთ ევროპის „საბჭოთა კოლონიებში“ რეფორმატორული კურსის სანინაამდეგო შესაძლო კერების ჩაქრობა დაავალა. მოსკოვი პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიასა და, პირველ რიგში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მონდომებით ეძებდა ახალ, უფრო წინდახედულ პოლიტიკოსებს, რომლებიც არსებული საზოგადოებრივი წყობის რეფორმირებას ძალაუფლების დაუკარგავად შეძლებდნენ.

გდრ-ში ვლადიმირ პუტინის სადაზვერვო საქმიანობის შესახებ საკმაოდ ურთიერთგამომრიცხავი მონაცემები არსებობს. ცნობილია, რომ 1985 წელს ის ოჯახთან ერთად დრეზდენში ჩავიდა და ფორმალურად, გერმანიაში დისლოცირებული საბჭოთა ჯარების ჯგუფში ჩარიცხეს. არადა, სინამდვილეში, გდრ-ის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან („შტაზისთან“) მჭიდროდ მოთანამშრომლე საბჭოთა დაზვერვაში გაამჩნეს. თავად პუტინის თქმით, ის

საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ე.წ. „პუტინისეული ადგილას“ მოსაპლელად, გერმანიაში მთელი მსოფლიოს ჟურნალისტები ჩავიდნენ

გვემის დასახვისას, კრემლის ახალი მეთაური მხოლოდ საკუთარი ქვეყნის საზღვრებით როდი შემოფარგლულა. მისი აზრით, მოდერნიზაციის პროცესს არც ვარშავის ხელშეკრულებაში შემავალი სხვა სახელმწიფოებისთვის

„პოლიტიკური დაზვერვის ხაზით“ მუშაობდა. ამ ქვეყანაში „კაგებეს“ წარმომადგენლობის აპარატი მაშინ ათას თანამშრომელს ითვლიდა, თუმცა, დრეზდენში, გენერალ შირიკოვის ხელმძღვანელობით, მათგან მხოლოდ რვა თუ მუშაობდა. „კაგებეს“ გადამდგარმა გენერალმა, რომელიც ოდესღაც პირველ მთავარ განყოფილებაში გდრ-ს კურირებდა, „კომსომოლსკაია პრავდასთვის“ შემდგომ მიცემულ ინტერვიუში ხაზი გაუსვა, — პუტინის საქმიანობით ყოველთვის კმაყოფილი ვიყავიო. საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ე.წ. „პუტინისეული ადგილების“ მოსაველად, გერმანიაში მთელი მსოფლიოს ჟურ-



მიხაილ გორბაჩოვი და გდრ-ის ხელმძღვანელი ერის ჰონეკერი



ნალისტები ჩავიდნენ. ისინი გულ-  
 მოდგინედ ეძებდნენ პუტინის კვალს  
 დრეზდენში, ლაიფციგში, ბონსა და  
 ბერლინში, უამრავ კითხვას უსვამ-  
 დნენ სადაზვერვო საქმეში კარგად  
 ჩახედულ ადამიანებს, მაგრამ ხელჩა-  
 საჭიდი მანც ვერაფერი აღმოაჩინეს.  
 პირველი მთავარი სამმართველოს  
 ყოფილ უფროსს ვლადიმირ კრიუჩ-  
 კოვს, რომელიც „კაგებეს“ 1988-1991  
 წლებში ხელმძღვანელობდა, პუტინი  
 საერთოდ არ ახსოვდა. ეს გვარი ასე-  
 ვე არაფრისმთქმელი აღმოჩნდა გდრ-  
 ის უშიშროების სამინისტროს სადაზ-  
 ვერვო სამმართველოს ხელმძღვანელ  
 მარკუს ვოლფისთვის. გერმანიის  
 ერთიანი სოციალისტური პარტიის  
 დრეზდენის საოლქო კომიტეტის  
 ყოფილი მდივანი ჰანს მოდროვი  
 ირწმუნებოდა, პუტინს არასდროს  
 შევხვედრივარო, საბჭოთა დაზვერ-  
 ვის ყოფილი მაღალჩინოსანი თანამშ-  
 რომელი, გენერალი ოლეგ კალუგინი  
 კი პუტინის ხსენებისას გულგრილად  
 იჩქრდა მხრებს.

ამ ყველაფრის ახსნა მხოლოდ  
 სამი გარემოებით თუა შესაძლებე-  
 ლი. პირველი: შესაძლოა, პუტინს,  
 ასაკიდან გამომდინარე, საპასუხის-  
 მგებლო პოსტი უბრალოდ არ ეკავა;  
 მეორე: არც ისაა გამორიცხული,  
 რომ ის ტიპური „კაბინეტის მუშა-  
 კი“ იყო და მნიშვნელოვან დავალებ-  
 ბებს საერთოდ არ აძლევდნენ; და  
 მესამე: ამ ადამიანის საქმიანობა  
 იმდენად იყო გასაიდუმლოებული,  
 რომ მისი არსებობის შესახებ ზემ-

კედლის დანგრევის პროგნოზირება  
 კი არა, „გერმანიის დემოკრატიული  
 რესპუბლიკის პრობლემის გადაჭ-  
 რის“ თავისი ვარიანტის შემუშავებაც  
 კი შეძლო. პუტინისავე მტკიცე-  
 ბით, ტექნიკური და ეკონომიკური  
 შპიონაჟით ის არასდროს ყოფილა  
 დაკავებული და გერმანიის ფედერა-  
 ციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე  
 საიდუმლო ინფორმაციის მოპოვე-  
 ბაც არასდროს უცდია. წინააღმდეგ  
 შემთხვევაში, — ხაზს უსვამს იგი,  
 — გერმანიის გაერთიანების შემდეგ  
 მისი კონტრდაზვერვა ქვეყანაში  
 შესვლის უფლებას არაფრით მომ-  
 ცემდაო. ვლადიმირ ვლადიმოვი-  
 ჩის თქმით, კრემლიც კარგად არის  
 ინფორმირებული დრეზდენში მისი  
 საქმიანობის შესახებ, რადგანაც  
 აღმოსავლეთ გერმანიაში მის ყოფ-  
 ნასთან დაკავშირებული, „შტაზის“  
 არქივის ყველა მასალა ბერლინის  
 კედლის დანგრევის შემდეგ გფრ-ის  
 სპეცსამსახურებს გადაეცა და ამ  
 კუთხით არანაირი უსიამოვნო სიურ-  
 პრიზი არ არის მოსალოდნელი.

როგორც ჩანს, ამ უწყებათა არქი-  
 ვებში პუტინზე ძალზე მწირი მონა-  
 ცემები ინახება. თუმცა, იქ მართლა  
 სენსაციური მასალებიც რომ ყოფი-  
 ლიყო დაცული, გფრ-ის ხელისუფ-  
 ლება მინც ვერასდროს გარისკავდა  
 იმ ადამიანის საჯაროდ მხილებას,  
 ვისზეც უახლოეს წლებში მარტო  
 რუსეთ-გერმანიის ურთიერთობა კი  
 არა, არამედ მთელი ევროპის სტაბი-  
 ლურობაც მნიშვნელოვნად იქნება

ლაიფციგში მდებარე, საბჭოთა კავ-  
 შირ-გერმანიის მეგობრობის საზოგა-  
 დობის საოლქო განყოფილების თავ-  
 მჯდომარის „საფარქვეშ“ მუშაობდა  
 და მისთვის საინტერესო პირებთან  
 გარკვეული კავშირების გაბმა შეეძ-



დრეზდენსა და  
 ლაიფციგში მასა  
 და მის ოჯახზე  
 მხოლოდ კარგს თუ  
 ლაპარაკობდნენ

ლო. რალა თქმა უნდა, პუტინი ლა-  
 იფციგის ბაზრობის სისტემატური  
 სტუმარიც იყო და იქ ბევრი ცნობილი  
 ადამიანის გაცნობა მოახერხა.

ისე, აღმოსავლეთ გერმანიაში  
 მცხოვრები საბჭოთა მოქალაქე-  
 ბისა და რუსი ემიგრაციის პირველი  
 ტალღის წარმომადგენლებისთვის  
 სპეცსამსახურებთან პუტინის კავში-  
 რის დადგენა დიდ სირთულეს ნამდ-  
 ვილად არ წარმოადგენდა, ამიტომაც  
 არც მასთან და არც მის ოჯახთან  
 არ ურთიერთობდნენ. ვლადიმირს  
 ეს ძალიან აღიზიანებდა, რადგანაც  
 თავს წესიერ ადამიანად თვლიდა,  
 რომელსაც უნამუსო საქციელის  
 ჩადენა უბრალოდ არ შეეძლო. მარ-  
 თლაც, დრეზდენსა და ლაიფციგში  
 მასა და მის ოჯახზე მხოლოდ კარგს  
 თუ ლაპარაკობდნენ.

პუტინების ოჯახი რადებერგერ-  
 შტრასზე მდებარე №101 სახლის  
 სტანდარტულ ოროთახიან ბინაში  
 ცხოვრობდა. 1986 წლის მეორე ნა-  
 ხევარში მეორე გოგონა შეეძინა,  
 რომელსაც პუტინის დედის პატივ-  
 საცემად, მაშა დაარქვეს. გდრ-ში  
 გატარებულ წლებს ვლადიმირი  
 ყოველთვის ძალიან თბილად იხსე-  
 ნებს. უქმე დღეებში ის ცოლთან და  
 ქალიშვილებთან ერთად, პატარა  
 ნაცრისფერი „ლადიტ“ საქსონიის  
 შვეიცარიაში დასეირნობდა, სალა-  
 მოობით კი ლუდმილასთან ერთად,  
 პატარა ღია კაფეს სტუმრობდა და  
 ლუდსა და შემწვარ ძხვს შეექცეოდა.  
**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## უქმე დღეები ის ცოლთან და ქალიშვილებთან ერთად, პატარა ნაცრისფერი „ლადიტ“ საქსონიის შვეიცარიაში დასეირნობდა

დგომ ინსტანციებშიც კი არაფერი  
 იცოდნენ. რაც უფრო ყურადღებით  
 სწავლობენ პუტინის ბიოგრაფები  
 მისი ცხოვრების ამ პერიოდს, მით  
 უფრო ურთიერთგამომრიცხავ მო-  
 ნაცემებს აწყდებიან. როგორც ჩანს,  
 ე.წ. „უხილავი ფრონტის“ მოსკოველი  
 მებრძოლები ყველანაირად ცდილო-  
 ბენ ამ პერიოდის გასაიდუმლოებას  
 და ჟურნალისტების მცდარ კვალზე  
 დაყენებას.

თავად პუტინი კი ჟურნალის-  
 ტებთან ინტერვიუში საკმაოდ დან-  
 ვრილებით ჰყვება, თუ რით იყო  
 დრეზდენში დაკავებული. თურმე  
 გულმოდგინედ აგროვებდა საჭირო  
 მონაცემებს და ანალიტიკური დამუ-  
 შავების შემდეგ მოსკოვში გზავნიდა.  
 და რომ ამ გზით მარტო ბერლინის

დამოკიდებული.  
 საბჭოთა დაზვერვის დრეზდე-  
 ნის ჯგუფი ანგელიკა-შტრასეს №4  
 სახლში იყო განთავსებული. ეს ნაც-  
 რისფერი ვილა ლოშვიცის არისტოკ-  
 რატიულ კვარტალში, სახელმწიფო  
 უშიშროების სამინისტროს საოლქო  
 სამმართველოს მოპირდაპირედ  
 მდებარეობდა. თუმცა პუტინი იქ იმ-  
 ვიათად ჩნდებოდა. სამაგიეროდ, აღ-  
 მოსავლეთ გერმანიაში განლაგებულ  
 ჯარების დასავლეთის ჯგუფის 380  
 000-კაციან ნაწილებში, კარლსხორ-  
 სტში მდებარე „კაგებეს“ წარმომად-  
 გენლობის შტაბბინებში და აგრეთვე,  
 ლაიფციგში მდებარე საბჭოთა კავ-  
 შირის გენერალურ საკონსულტოში  
 რეგულარულად დადიოდა. ამას კი  
 იმიტომ აკეთებდა, რომ გდრ-ში,



# სამყარო

## 5 ივნისი

### შიდსის აღმოჩენის დღე

დაავადებების კონტროლის ამერიკულმა ცენტრმა ახალი დაავადება — შიდსი დაარეგისტრირა. XX საუკუნის „შავ ჭირად“ წოდებული დაავადება პირველად 1981 წელს აღმოაჩინეს. ექიმები იკვლევდნენ ახალგაზრდებში პნავმოცისტიტებით (მიკროორგანიზმი, რომელიც, როგორც წესი, ანთებით პროცესს არ იწვევს) განვითარებული პნევმონიის მიზეზს. ამერიკელმა მეცნიერმა, გოტლიბმა პირველად აღწერა ახალი ვირუსი, რომელიც იმუნურ სისტემას აზიანებს და სინდრომიც განსაზღვრა. მას ადამიანის იმუნოდეფიციტის სინდრომი უწოდეს და ასევე დადგინდა მისი გავრცელების გზები. ინფექციის გავრცელების განსაკუთრებული მატება 1995 წლიდან დაიწყო. მედიკოსებმა და მეცნიერებმა ჯერ ვერ მიაგნეს დაავადების სრულად განკურნების მეთოდს. დღეს მსოფლიოში 10-მდე პრეპარატი გამოიყენება, რომლებიც მხოლოდ აუმჯობესებს დაავადებული ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობას და უხანგრძლივებს სიცოცხლეს.

### „ბიძია თომას ქოხის“ დღე

საბჭოთა ბავშვებში ეს ნაწარმოები ძალზე პოპულარული გახლდათ და დარწმუნებული ვარ, 30 წლის ზევით უკლებლივ ყველა ადამიანს აქვს ნაკითხული. მაშინ განსაკუთრებულად გვაშინებდნენ „საზიზღარი“ ამერიკით და კაპიტალისტური წყობილების უარყოფით მხარეებზე დიდი აქცენტი კეთდებოდა. ამიტომაც, „ბიძია თომას ქოხი“, სადაც შავკანიანი მონის გაუსაძლისი ცხოვრება აღწერილი, ყველა ბავშვის სამაგიდო წიგნად იქცა. ჩემი პირველი შთაბეჭდილება ახლაც მახსოვს. ემოციებს ვერ ვმაღავდი და დიდრონი ცრემლებით ვტიროდი, საცოდავი ადამიანების გამო. ნაწარმოებს არაფერს ვერჩი, მართლაც კარგად აქვს ავტორის ყველაფერი გადმოცემული. უბრალოდ, კომუნისტური წყობილების ანტიამერიკულ განწყობას გაუფსვი ხაზი. წიგნი ნაკითხუ-

# საყოფასობრობო ნივთების კვირული

## რამ აიძულა ჟურნალისტი, ბურთულიანი ხალაი გამოეკონაბინა?

ლი მქონდა, მაგრამ ნაწარმოების შექმნის ამბავი არ ვიცოდი და ახლა, ამდენი წლის შემდეგ გავიგე. თურმე, 1851 წელს, ყოველკვირეულმა გამოცემამ, National Era-მ დაიწყო ჰარიეტ ბიჩერ სტოუს რომანის, „ბიძია თომას ქოხის“ გამოქვეყნება, რომელიც 10 თვეს გაგრძელდა. „ამ პატარა ქალის წიგნმა სამოქალაქო ომი გამოიწვია“ — თქვა პრეზიდენტმა ლინკოლმმა მოგვიანებით. 1852 წელს ნაწარმოები წიგნად გამოვიდა და ფურორი მოახდინა. ის იმ დროისთვის წარმოდგენილი ტირაჟით — 300 ათასი ცალი გაიყიდა. ამავედროულად, ავტორს კრიტიკოსები და მონინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ჰარიეტს ამბავი მოგონილი ჰქონდა და შესაბამისად — გაბუქებული. პასუხად ჰარიეტმა 1853 წელს ახალი ნაწარმოები — „ბიძია თომას ქოხის გასაღები“ გამოაქვეყნა. მასში ის მტკიცებულედაც არსებობდა, რომ ნაწარმოები რეალურ ფაქტებზე იყო დაფუძნებული.

P.S. „ბიძია თომას ქოხის გასაღები“ არ მაქვს ნაკითხული. არადა, საინტერესო იქნებოდა.

## 6 ივნისი

### ელექტრონული დაბადების დღე

თანამედროვე ტექნოლოგიები ადამიანებს კომფორტის საშუალებას აძლევს. აი, წარმოიდგინეთ, რა იოლია ტანისამოსის გაუთოება. აიღებ უთოს „შნურს“, შეაერთებ შტეფსელში, დააყენებ უთოს საჭირო ტემპერატურაზე, ღილაკს თითს დააჭერ, დანამავ, გაუსვამ მსუბუქად და რამდენიმე წუთში, გატკიცინებულ ტანისამოსს ტანზე მოირგებ. დაახლოებით 300 წლის წინ (არც

ისე ცოტა დროა, დამეთანხმებით), ჩვენი წინაპრები

თუჯის უთოს იყენებდნენ, რომელშიც გავარვარებულ ნახშირს ყრიდნენ ან ლუმელზე აცხელებდნენ, ეს კი მოუხერხებელი იყო ნაზი ქსოვილისგან დამზადებული თეთრეულისა და ხავერდის დასაუთოებლად. თანაც ასეთი უთო მალე ცივდებოდა და ხშირად სჭირდებოდა გაცხელება, რასაც დიდი დრო მიჰქონდა. ერთი კაბის დაუთოებას 4-5 საათი სჭირდებოდა. მოგვიანებით, XIX საუკუნეში ნახშირის უთო აირსა და თხევად სანვავზე მომუშავე უთოებმა ჩაანაცვლა. კერძოდ, სანვავად ნავთსა და ალკოჰოლის იყენებდნენ. ამერიკელმა ჰენრი სლიმ 1912 წელს ელექტროუთო დააპატენტა. პირველი ელექტროუთო „წინაპრებზე“ გაცილებით მოხერხებული იყო, მაგრამ ნაკლი მაინც ჰქონდა — ტემპერატურის მარეგულირებელი მოწყობილობა არ ჰქონდა და ამის გამო ხშირად ტანისამოსი ეწვებოდათ ხოლმე. პირველი თერმომარეგულირებელი უთო 1920 წელს გამოვიდა. XX საუკუნის მეორე ნახევარში უთოს დამატენიანებლის ფუნქციაც დაემატა. ახლა კი უთოს ანტიბაქტერიული მოქმედებაც აქვს. ბევრი დიასახლისი წუნუნებს — დაუთოება არ მიყვარსო. ნახშირის უთოების ეპოქაში რომ ეცხოვრათ, ნეტავ მაშინ რას იტყოდნენ?

## 8 ივნისი

### მტვერსასარუტის დღე

ამ კვირაში საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების დღესასწაულები უხვად გვაქვს. ჩვენი ყოველდღიური გამოყენების ნივთი, მტვერსასარუტი თურმე თავიდან მექანიკური ყოფილა, რასაც ვერ წარმოვიდგენდი. მეგონა, ის მხოლოდ ელექტროენერჯის გამოგონების შემდეგ გაჩნდა. ისტორია კი გვაუწყებს, რომ თურმე 1869 წელს, ამერიკელმა მაკგრათინიმ მტვერსასარუტი დააპატენტა. ის მოქმედებაში სახელურს მოჰყავდა, რომელიც ხელით უნდა დაგეტრიალებინა, რაც ძალზე მოუხერხებელი იყო, რადგან ერთდროულად სახელურის ტრიალი და მოწყობილობის იატაკზე გადაადგილება ძნელი იყო. მაკგ-





რაფინიმ წარმოება ჩამოაყალიბა და მტვერსასარუტების გამოშვება დაიწყო, რომელთაც 25 დოლარად ყიდდნენ. ამ მტვერსასარუტთან დღემდე მხოლოდ 2 ცალია შემორჩენილი და ორივე მუზეუმშია დაცული. მექანიკური მტვერსასარუტი XX საუკუნის დასაწყისში ელექტრულმა შეცვალა, რომლის პირველი მოდელიც 60 დოლარი ღირდა. 1920-30-იან წლებში მტვერსასარუტებზე მოთხოვნა გაიზარდა, რადგან დიასახლისები დარწმუნებული იყვნენ, რომ მტვერთან ერთად ბაქტერიებსაც ანადგურებდნენ. წლების განმავლობაში მტვერსასარუტი ფუფუნების საგნად რჩებოდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ის საშუალო კლასის ადამიანებისთვის ხელმისაწვდომ და აუცილებელ ნივთად გადაიქცა და დღემდე ასეა.

**9 ივნისი**  
**მემოზრების საერთაშორისო დღე**

იმედია, თითოეული თქვენგანის გვერდით არსებობს ისეთი ადამიანი, ვისაც ამ დღესასწაულს მთელი გულით მიულოცავთ, რადგან ის სწორედ იმისთვის დაწესდა, რომ მოუცლელობის, პრობლემებისა და დაბრკოლებების მიუხედავად, მეგობრებს შევასხენოთ, რომ ისინი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი არიან. შესაძლოა, ეს დღესასწაული ზოგიერთისთვის საბაბი გახდეს საიმისოდ, რომ დიდი ხნის უნახავი მეგობარი მოინახულოს ან შემოირიგოს. შესაძლოა, დიდი ხნის წინ ჩაფიქრებულ და განუხორციელებელ „აქციას“ მოახსიათ თავი და შეიკრიბოთ. მოკლედ, ვისაც როგორ მოგიწოდებთ, ეს დღე ისე გაატარეთ, მე კი გლოცავთ და ერთგულ და უანგარო მეგობრებს გისურვებთ.

**„სიკვდილით დასჯის დღე“**  
1935 წელს, საბჭოთა კავშირში მიიღეს კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ მათ წინააღმდეგ, ვინც უცხოეთში „გაიქცეოდა“. კანონის თანახმად, გაქცეულის ნათესავებიც დამნაშავეებად ცხადდებოდნენ. საბჭოთა ხელისუფლებამ ასეთ გადამჭრელ ზომებს შიშის გამო მიმართა. ისინი ფიქრობდნენ, რომ თუ ქვეყანაში შიმშილობა დაიწყებოდა, ხალხი ემიგრაციაში წავიდოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ემიგრაციაში წასვლის მსურველთა რიცხვი ძალზე დაბალი გახლდათ. „შიმშილობის წლებში“ ხალხი სოფლებიდან დიდ ქალაქებში გადადი-

ოდა საცხოვრებლად. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დასავლეთს გამიჯვნოდა. მოსახლეობის უმეტესობას კანონი არ შეეხებია. გლეხები საცხოვრებელ ადგილსაც კი ვერ ტოვებდნენ და ვერ გადაადგილდებოდნენ პასპორტის უქონლობის გამო. საზღვარი ცუდად იყო დაცული და ემიგრაციაში წასვლის ზოგიერთი მსურველი კონტრაბანდისტებს უკავშირდებოდა, გარკვეული თანხის საფასურად საზღვარს მიღმა გადადიოდა, მერე ამერიკაში მიემგზავრებოდა. არალეგალური ემიგრანტების დახვედრის შესახებ კანონი სტალინის სიკვდილის შემდეგ შეიცვალა. სიკვდილით დასჯა პატიმრობით შეიცვალა. ასეთი მკაცრი შეზღუდვები 1990 წლამდე არსებობდა.

**10 ივნისი**  
**საბურავის დაბადების დღე**

1846 წელს, შოტლანდიელმა რობერტ ტომპსონმა პნევმატური საბურავები დააპატენტა. მის განაცხადში გამოგონების აღწერილობა ასეთი იყო: „სრულყოფილი ბორობალი ურმებისთვის და სხვა მოძრავი ობიექტებისთვის“. საბურავი შედგებოდა შიდა „კამერისგან“ და გარეთა საფრისგან. „კამერა“ ჩვეულებრივი აფრის რამდენიმე ფენისგან მზადდებოდა, რომელიც კაუჩუკით იყო გაყვანილი, გარეთა ნაწილი კი — ტყავისგან. გამოგონება საზოგადოებამ არ აიტაცა, ტომპსონის სიკვდილის შემდეგ კი სულაც მიივიწყეს. წლების შემდეგ უელტჩრეზმა წინამორბედის გამოგონება გააუმჯობესა და ამით დაუდო სათავე თანამედროვე საბურავების წარმოების ტექნოლოგიას. დღესდღეობით ავტომობილებზე „უკამერო“ საბურავები გამოიყენება, რომელიც გაცილებით პრაქტიკულია.

**ბურთულიანი კალმის საერთაშორისო დღე**

ალბათ გასაკვირი სულაც არაა, რომ ბურთულიანი კალმის გამოგონებელი პროფესიით ჟურნალისტი გახლდათ. უნგრელმა ლასლო ბირომ ბურთულიანი ავტოკალამი 1938 წელს დააპატენტა. როგორც ყველა ჟურნალისტს, მასაც ბევრი საწერი ჰქონდა და ბატის ფრთას იყენებდა, რაც ძალზე მოუხერხებელი იყო, რადგან ჯერ ერთი, მელანი სჭირდებოდა და მეორეც — მელანი ფურ-



გე, რას წერდნენ მფრინავები ფრენის დროს). რამდენიმე თვის შემდეგ ჟურნალისტი არგენტინაში გადავიდა, პატენტი იქაც დაარეგისტრირა და რამდენიმე დღეში მილიონ დოლარად გაყიდა. არგენტინულმა კომპანიამ დაიწყო ბურთულიანი კალმისტრების მასობრივი წარმოება. პროდუქციის სიიფემ და გამოგონების პრაქტიკულობამ განაპირობა კალმისტრების წარმატება. კომპანიამ მსოფლიო ბაზრის დაპყრობა მოინდომა, მაგრამ ხელი მაშინდელმა მოუწესრიგებელმა „კანონმა პატენტის შესახებ“ შეუშალა, ვინაიდან ბურთულიანი კალმისტარი მხოლოდ 2 ქვეყანაში იყო დარეგისტრირებული, სხვა ქვეყანაში გაყიდვისთვის კი იმ ქვეყნების პატენტი იყო საჭირო. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთ-ერთმა ამერიკულმა კომპანიამ იდეა მოიპარა და კალმების სერიულ გამოშვებას შეუდგა. ყოველდღე 10 ათასობით კალამი იყიდებოდა, რამაც კომპანიას დიდი მოგება მოუტანა. ჟურნალისტმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი და სცადა, თავისი უფლებები დაეცვა, მაგრამ სასამართლომ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. 1958 წელს, ფრანგმა მარსელ ბიკმა სრულყო კალამი და მას BIC-ი დაარქვა. დღესდღეობით კომპანია BIC-ი მსოფლიო ბაზრის მესამედს აკონტროლებს.



# საიდან გაჩნდა სრურწმენა ადამიანთა ცნობიერებაში?

წლების მანძილზე რელიგიური რწმენის უგულვებლყოფამ ისე შეურიცხა ერთმანეთს მართლმადიდებლური სწავლებები, ხალხური ტრადიციები და ცრურწმენებზე დამყარებული წეს-ჩვეულებები, რომ ადამიანთა ნაწილს დღემდე უჭირს ერთმანეთისგან განასხვავოს ჭეშმარიტი რწმენა და ცრურწმენა. ბევრი მორწმუნე, ეკლესიის წიაღში მყოფი ადამიანიც, ეკლესიურ დოგმატებსაც კი ცრურწმენაში ურევს...

ჩვენი ჟურნალის მკითხველები ხშირად მოგვმართავენ ცრურწმენასთან დაკავშირებული სხვადასხვა შეკითხვით. სწორედ ამ თემასთან დაკავშირებულ კითხვებს ვუპასუხებთ.

— საიდან შემოვიდა ცრურწმენა ადამიანის ცნობიერებაში?

### არქიმანდრიტი მასარი (აბუსაძე):

— ადამიანის ცნობიერებაში ცრურწმენა მას შემდეგ შემოვიდა, რაც ადამი გაგდებულ იქნა სამოთხიდან. ადამიანები ვერ შეიცნობდნენ სამყაროს ბოლომდე, ამიტომაც იმ მოვლენებს, რაც სამყაროში ხდებოდა — კოსმოსურ თუ მიწაზე მომხდარ მოვლენებს, რასაც ადამიანები ვერ აღიქვამდნენ, თვითონ უძებნიდნენ ახსნას და ამ მოვლენებს რაღაც მისტიკას უკავშირებდნენ. შემდეგ, ძველ სამყაროში არსებული წარმართული პერიოდის სწავლებები წარღვნასთან ერთად გაქრა და აღმოიფხვრა ადამიანთა ცნობიერებიდან. წარღვნის შემდგომ უკვე ნოედან დაიწყო კაცობრიობა და ამის შემდეგ ნოეს შთამომავლობაში გაჩნდა ცრურწმენები. ადამიანებმა დაიწყეს ჯერ ზეციური სხეულების

თაყვანისცემა — მზის, მთვარის, ვარსკვლავების, თანდათან გავრცელდა კერპთაყვანისმცემლობაც და უკვე ცრურწმენებმა დაისადგურა ხალხში. ადამიანი თავადაც მიდრე-



კილია ცრურწმენებისკენ, თუმცა, დაცემული ანგელოზებიც ძალიან უწყობენ ხელს, აქტიურობენ, რომ ადამიანი ცრურწმენაში განმტკიც-

დეს. რას ნიშნავს ცრურწმენა? — რწმენა არის ღვთის სარწმუნოება ანუ ღვთის მცნებების, ღვთის სწავლებების დაჯერება, ცრურწმენა — ამის საპირისპირო, ყველა არასწორი შეხედულება, რაც სცილდება ჭეშმარიტებას. უკვე ქრისტიანულ პერიოდში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ქრისტიანობა გავრცელდა, უამრავი ცრურწმენა აღმოიფხვრა, მაგრამ საბოლოოდ არ განადგურებულა. შემდგომ, განსაკუთრებით ათეიზმის ხანაში, საბჭოთა ქვეყნებში, კვლავ აღორძინდა ცრურწმენა, რადგან ადამიანები მოწყდნენ ჭეშმარიტ სწავლებას და რაც არ იცოდნენ, თავიანთი წარმოდგენებით შეავსეს. რა თქმა უნდა, ქრისტიანობას წარმართობა და ცრურწმენა ვერასოდეს შეეთვისება, მაგრამ ამ დროს მოხდა გარკვეული სინთეზი — ქრისტიანობაში შეიტანეს ადამიანებმა ცრუ სწავლებები. ეს არის უკვე ცრურწმენა, რადგან ქრისტიანობას მცირედიტაც კი თუ შეეუერთებთ სიცრუეს, ეს, რა თქმა უნდა, ქრისტიანობა აღარ არის. ქრისტიანობა არის ის, რაც აბსოლუტურად ჭეშმარიტია, ხოლო ყველაფერი სხვა, რაც ხალხის მიერაა დამატებული, რაც ეწინააღმდეგება საღვთო სწავლებასა და ღვთის მცნებებს, — ცრურწმენაა.

— ჩვენი ჟურნალის მკითხველთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბედისა და ბედისწერის არსებობის საკითხი. რა სწავლება აქვს ეკლესიას ბედისწერის არსებობასთან დაკავშირებით?

— ბედისა და ბედისწერის არსებობის დაჯერება პირდაპირ ღვთის გამოხატვის ნიშნავს. დავუშვათ, ადამი-

### ამტუალური კითხვები

— უფალი ყოვლისმცოდნეა, ადამიანი კი თავისუფალია თავის არჩევანში. უფალმა იცის, მე რა გზას ავირჩევ და თითოეული ჩემი ნაბიჯით მას ვუახლოვდები ან ვშორდები. უფალი ცდილობს, დამანახვოს ჭეშმარიტი გზა, მაგრამ ისიც იცის, ნებისმიერ შემთხვევაში რას მოვიმოქმედებ და საბოლოოდ, ვცხონდები თუ არა? ანუ ჩემი დაბადებიდანვე უწყის უფალმა ჩემი მომავალი სვედრი?

— უფალმა ჩვენი დაბადებისთანავე კი არა, სამყაროს რომ ქმნიდა, მაშინაც უწყობდა, ჩვენ, დედამიწაზე მცხოვრები თითოეული ადამიანი რას მოვიმოქმედებდით, რა აზრს გავივლებდით თითოეული ჩვენგანი, ისიც კი უწყობდა. უწყის ისიც, ვცხონდებით თუ არა. სახარებაში წერია: „სახელები თქვენი

დაიწერა ცათა შინაო“ ანუ საუბარია ცხოვნების ნიგზზე, რომელშიც დაწერილია სახელები იმ ადამიანებისა, რომლებიც სასუფეველში მოხვდებიან, მაგრამ უფალმა წინდაწინ კი არ შეადგინა, ვინ უნდა მოხვდეს სასუფეველში და ვინ — არა, არამედ უფალმა უწყის, ვინ მოხვდება სასუფეველში.

— მე და ერთ ქალბატონს რამდენიმე წელია, გვიყვარს ერთმანეთი. აღრეცის ერთმა პიროვნებამ მოტყუებით წაიყვანა ნათესავის ოჯახში, რის შემდეგაც იძულებული გახდა, მასთან სამოქალაქო ქორწინება გაეფორმებინა. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა ჩვენი კავშირი ეკლესიური გზით — ჯვრისწერით განვაშტკიცოთ?

— თქვენი კითხვიდან არ ჩანს, ეს

ქალბატონი გაყრილია თუ არა მეუღლესთან. თუ მას ოჯახი აქვს და ხელიც აქვს მონერილი, ცხადია, მასზე ჯვრისწერის უფლება არ გაქვთ. თქვენ პირადად უნდა მიმართოთ მოძღვარს, დაწვრილებით აუხსნათ ყველაფერი და მოძღვარი მოგცემთ კურთხევას, როგორ მოიქცეთ.

— უნდა მოვიხსნა თუ არა ჯვარი დაწოლის წინ?

— ჯვარი არასოდეს არ უნდა მოვიხსნათ.

თქვენთვის საინტერესო კითხვები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯის სახით, ტელეფონის ნომერზე: 555.56.63.22





ანმა თავი მოიკლა. თუ ამ კუთხით მივუდგებით, გამოდის, რომ ეს მისი ბედისწერა იყო, ანუ მისი ბედისწერა იყო — ნარწყმედილიყო. ე.ი. უფალი უსამართლოა, ვიღაცას დაუნესა, რომ ნარწყმედილიყო, ვიღაცას — ცხონებულებიყო. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ღმერთი უსამართლოა. უფალი არის აბსოლუტურად სამართლიანი, ამიტომ ბედისწერის არსებობაზე ფიქრი უკვე ღვთის გმობა, ღმერთში ეჭვის შეტანაა. ამგვარი მიდგომით გამოდის, რომ როდესაც

ადამიანი სცოდავს, თვითონ არაფერ შუაში ყოფილა, რადგან ღმერთმა დაუნესა, მისი ბედისწერა იყო. ეს ღვთის მგმობელი აზრებია.

**— არსებობენ თუ არა ავი თვალის მქონე ადამიანები? ანუ შეიძლება თუ არა, ცუდი თვალთ შეგხედოს ვინმემ და ამან ცუდად იმოქმედოს?**

— ეს არის ბოროტისგან შემოგებული ტყუილი. როდესაც რაიმე განსაცდელი გვწვევს ან დაბრკოლება შეგვექმნება, ჩვენს ცოდვებს კი არ ვუღრმავდებით, იმას კი არ ვაბრა-

ლებთ, რომ ეშმაკისკენ მივიდრიკეთ, მისგან მოწოდებული აზრები მოვიღეთ და ამის გამო გვეწია ღვთისგან დაბრკოლება თუ სხვა სახის განსაცდელი, არამედ თითქოს გამვლელმა შემოგვხედა ცუდად. მსგავსად იმისა, რაც ადამსა და ევას დაემართათ სამოთხეში, ბოროტი ყოველთვის ცდილობს მოგვატყუოს, მოგვანოდოს ასეთი აზრები, რათა ადამიანები ერთმანეთს დაგვაპირისპიროს.

**საუბარს „გზის“ მომდევნო ნომერში განვაგრძობთ**

**კვირის წმინდანები**

**წმინდა დამიანა, დამეიტრეაყოფილი**

5 ივნისს აღესრულება ხსენება წმინდა დემეტრე მეფეყოფილისა. იგი იყო წმინდა კეთილმსახური მეფის, დავითის შვილი. მოღვაწეობდა XI საუკუნეში. დავით მეფემ დემეტრე სიცოცხლეშივე აიყვანა სამეფო ტახტზე. მან ჯერ კიდევ დავითის სიცოცხლეში მოიხვეჭა სახელი და დიდება. მისი მეფობის დროს აღორძინდა ჰერეთი, სომხეთი, ჯავახეთი, არტანი და ტაო. ძლევამოსილი მეფე შეთქმულებისა და ლალატის მსხვერპლი გახდა. ჯერ დიდგვაროვნები აუშხედრდნენ, რომელთაც ტახტზე დემეტრეს ნახევარძმის, ვახტანგის აყვანა სურდათ. მეფე დემეტრემ სწრაფად ჩაახშო ერთიანი საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ამბოხი. შემდეგ საკუთარი ძე — დავითი აუშხედრდა მამას. საყვარელი შვილის ლალატით გულნატკენმა

გვირგვინოსანმა დატოვა ყოველივე და მონაზვნად აღიკვეცა დამიანეს სახელით და დავითგარეჯის უდაბნოში დაეყუდა, სამეფო ტახტი კი თავის შვილს, დავითს დაუთმო. დავითი ექვს თვეში გარდაიცვალა. დემეტრე-დამიანე კვლავ ჩაერთო ქვეყნის საქმეებში, სამეფო ტახტზე ავიდა და თანამმართველად თავისი ძე — გიორგი გამოაცხადა.

დავითგარეჯის მონასტერში აღკვეცილმა მეფემ ჰიმნოგრაფიის შესანიშნავი ნიმუშები შექმნა. განსაკუთრებით ცნობილია შესხმა ღვთისმშობლისა — „შენ ხარ ვენახი“... იოანე ბატონიშვილი წერს: „ღირსი დემეტრე-დამიანე იყო შესანიშნავი რიტორი, პოიტოკოსი და შემთხვევითი უცხოთა შაირთა, რომელმანც მრავალი სწავლებანი გამოთქვა“.

წმინდა დამიანემ დაასრულა და აკურთხა დავითის მიერ დაწყებული გელათის მონასტერი. გარდაცვალების შემდეგ თავადაც გელათის მონასტერში დაკრძალეს. აღესრულა 1157 წელს.

**ღირსი სვიმონ მესვეტი**

ღირსი სვიმონ მესვეტე მოღვაწეობდა VI საუკუნეში. იგი დაიბადა ანტიოქიაში, ღვთისმშობლის ქრისტიანების, იოანესა და მართას ოჯახში. მისი შობისა და ღვთის სამსახურში ჩადგომის შესახებ, წინასწარ ეუნყათ მის მშობლებს, წმინდა იოანე ნათლისმცემლის გამოცხადებით. 6 წლის სვიმონი უდაბნოში გავიდა, ერთხანს მართოდმარტო ცხოვრობდა, შემდეგ კი ნათლით მოსილმა ანგელოზმა ერთ-ერთ მონასტერში მიიყვანა, რომლის წინამძღვარიც აბბა იოანე სვეტზე იყო დაყუდებული. ბერმა სიყვარულით მიიღო ყრმა.

შვიდი წლის სვიმონმა იოანეს სვეტზე ასვლის ნება სთხოვა. მოძღვარმა ყრმა სვიმონი ბერად აღკვეცა და საკუთარი ხელით აიყ-


ვანა სვეტზე. ღირსმა სვიმონმა 68 წელი გაატარა სვეტზე, განუწყვეტელ ლოცვასა და მკაცრ ღვანლში. წმინდანი გულმხურვალედ შესთხოვდა უფალს სულიწმინდის მადლის მინიჭებას, წმინდანის ლოცვა შესმენილი იქნა, მასზე სულიწმინდა გარდამოვიდა ანთებული სანთლის სახით და ღვთაებრივი სიბრძნით აავსო. ღირსი მამა დაუზარებლად მოძღვრავდა რჩევა-დარიგების მსურველთ. გარდა ამისა, წერდა ეპისტოლეებს სინანულზე, ბერმონაზვნობაზე, ქრისტეს განკაცებაზე, მომავალ სამსჯავროზე. ღირს სვიმონს ღვთისგან სასწაულმოქმედების ნიჭიც მიემადლა.

სვიმონ მესვეტის სულიერი შვილი იყო იოანე ზედაზნელი. სწორედ მისი კურთხევით ჩამოვიდა ცამეტე ასურელი მამა საქართველოში. ღირსი მამა 75 წლისა აღესრულა. მისი ხსენების დღე დანესებულია 6 ივნისს.

**ღირსი მამა ბასილი**

ღირსი ბასილი იყო საქართველოს მეფის, ბაგრატ მესამის შვილი, იგი ყრმობიდანვე მონაზვნური ცხოვრებისკენ ისწრაფოდა. შეისწავლა ფილოსოფია და ღვთისმეტყველება. ფლობდა მრავალ უცხო ენას. ბასილი თავისი დროის ერთ-ერთი გამორჩეული ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი იყო. წმინდა ბასილი მოღვაწეობდა ხახულის ლავრაში, სადაც ათი წლის ასაკში მიიყვანს, იქვე აღიკვეცა ბერად. ბერად აღკვეცის შემდეგ ხელმძღვანელობდა მონასტრის სასულიერო საგანმანათლებლო საქმეს. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც.

შემდეგ ღირსი მამა ათონის მთაზე გაემგზავრა და იქვე დარჩა სამოღვაწეოდ. სწორედ ათონის მთაზე მოღვაწეობის პერიოდში დაწერა „გალობანი წმიდისა მამისა ფეფთიმესნი“. მამა ბასილი ათონის მთაზევე აღესრულა, ივერონის მონასტერში. ღირსი ბასილის ხსენება დანესებულია 9 ივნისს.





# სიღნაღიდან დაწყებული საქართველოს გაერთიანება

„ეს სპექტაკლი მთელმა საქართველომ უნდა ნახოს“, — განაცხადა ცნობილმა თეატრალურმა მოღვაწემ, გურამ ბათიაშვილმა, რომელიც სპეციალურად ჩავიდა სიღნაღში, პრემიერაზე. სპექტაკლი „სიკვდილი და ქალწული“ ხუთი დღის განმავლობაში სრული ანშლაგით მიდიოდა სიღნაღის თეატრის სცენაზე. თეატრის მთავარმა რეჟისორმა, მურად ვაშაკიძემ, რომელიც, ამავე დროს, ამ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორიცაა, საზოგადოებას შესთავაზა თემა, რომელიც დღეს ძალიან აქტუალურია.

## მარინა გოგოლაშვილი

**მურად ვაშაკიძე:**  
— შურისძიების მოძალებულები წყურვილი ჩვენი დღევანდელი სულიერი მდგომარეობაა. მინდოდა, ჩემი ხალხისთვის მეთქვა, რომ ბოროტებას ბოროტებით ვერ დავთრგუნავთ. სამწუხაროდ, ქართულ დრამატურგიაში ასეთი პიესა ვერ აღმოვაჩინე. ერთხელ, როდესაც ამ თემაზე ვესაუბრებოდი ჩემს კოლე-

და ქალბატონი ნანას დახმარებით, პიესის ორიგინალი, ინგლისურ ენაზე, ამერიკაში მოვიძიეთ. აღმოვაჩინეთ, რომ არსებობდა ამავე სცენარით გადაღებული რომან პოლანსკის ფილმიც. ეს კიდევ უფრო გვიმძაფრებდა

მიტევება და პატიება არის ყველაზე დიდი შურისძიება!

შურისძიების აკვირებული წყურვილით ფსიქიკურ ტრანსში ჩავარდნილი პაულინას თავში ატეხილი ზარები გვაფხიზლებს, გვეუბნება, რომ სისხლის ალების წესი შორს არის თანამედროვე ცივილიზაციისგან და შურისგების ამგვარი დაუსრულებელი ჯაჭვი მთელ ქვეყანას (და ეგებ, კაცობრიობასაც) მოშობას უქადის. ამიტომაც, საფეთქელზე მიბჯენილი რევოლვერიდან აღარ ესვრის ტყვიას პაულინა ექიმ მირანდას, რომელიც ხუნტის რეჟიმის დროს ციხეში ამ

## როგორც გურამ ბათიაშვილმა შენიშნა, ეს არის არა ჰლანაბური, არამედ დროული სპექტაკლი, რომელიც მთელმა საქართველომ უნდა ნახოს



ნანა ბუკია, მურად ვაშაკიძე და თორნიკე მახარაშვილი

პასუხისმგებლობის გრძნობას, მუშაობის პროცესში.

**— აქ არის ყველაფერი, რაც ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანას თავს გადახდა: ტოტალიტარიზმი, სადიზმი, ბოროტება, დაუნდობლობა, ცოცხებიც კი. მეტისმეტად ზედაპირზე ხომ არ დევს სათქმელი?**

— წარმოიდგინეთ, საერთოდ არაფერი ჩაგვიმატებია პიესაში, არც ერთი დეტალი, არც ერთი პასაჟი, მათ შორის, არც ცოცხების ეპიზოდი. ამ ცოცხებზე ჩვენც ბევრი ვიფიქრეთ. ამოღებას ვაპირებდით, მაგრამ ორი მომენტის გამო არ ვახლეთ ხელი. ჯერ ერთი, პაულინას ტრაგიზმით სავსე, სრულიად გენიალური მონოლოგი უბრალოდებოდა, უფერულდებოდა, სიმძაფრე ეკარგებოდა და მეორეც, უნდა გავისიგრძევანოთ, რომ ასეთი რამ სხვა ქვეყანაშიც მოხდა, მაგრამ ის ქვეყანა გა-

ქალის პერმანენტული გაუპატიურებით, ხოლო გარეთ მის მეუღლესთან ჰომოსექსუალური კავშირით იყო დაკავებული.

მსახიობი თემურ მერმანიშვილი, რომელმაც თავზარდამცემი სიმართლით წარმოაჩინა ნაძირალა მედროვე ექიმის ამაზრზენი სახე, როცა ფინალში წარმოთქვამს უკანასკნელ ფრაზას — „ამიერიდან ჩემი სინდისით უნდა ვიცხოვრო“, — სცენიდან მთელ დარბაზს, თითოეულ მაყურებელს ისეთ გამყინავ მზერას მოატარებს, რომ ყველასთვის ნათელი ხდება: მსხვერპლისგან შენდობილი, ნაძირალად დარჩენილი, მკვდარი იცხოვრებს ამქვეყნად.

კიდევ ერთი, უმთავრესი დეტალი, რაც ამ სპექტაკლს გამოარჩევს და განსაკუთრებული ყურადღების ღირსად ხდის, არის ის, რომ დასში მოწვეული ზუგდიდის თეატრის მსახიობი, ნანა ბუკია თამაშობს ხუნტის მსხვერპლის, პაულინას მთავარ როლს.

### მურად ვაშაკიძე:

— იცით, აქ არ არის საუბარი ნიჭიერებაზე, უნარ-შესაძლებლობაზე... საერთოდ, ყველა მსახიობს აქვს თავისი ნიშა, სადაც ის საუკეთესოა. პაულინას ასე შემსრულებელი ქალი ჩემს დასში არ მეგულებოდა, ამიტომაც მოვინვიე ნანა ბუკია, რომელმაც ჯერ კიდევ სტუდენტმა მოახდინა ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება. როდესაც თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე ვნახე, ედუარდო დე ფილიპოს „ცილინდრში“, მთავარ როლს, რიტას, ასახიერებდა.

გას, ზუგდიდის თეატრის მსახიობს, ნანა ბუკიას, მსჯელობამ მიგვიყვანა ჩილეელი დრამატურგის, არიელ დორფმანის პიესასთან, — „სიკვდილი და ქალწული“, რომელიც, თავის მხრივ, მუზერტის უკვდავი ქმნილების სათაურს უცვლელად იმეორებს. პიესის მთავარი გმირის, პაულინას ცხოვრების ტრაგედიაც თითქოს მთლიანად ამ ტრაგიკული მუსიკითაა გაჟღერებული. პიესაში ასახული ჩილეს ხუნტის ამბავი თითქოს ერთი ერთში იმეორებს ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. ქართული თარგმანი არ არსებობდა

დარჩა. ხოლო თუ ჩვენ მორალურად გავიხრწნებით, თუ შურისძიების წყურვილით ანთებულნი ერთმანეთს ამოვხოცავთ, უბრალოდ, აღარ ვიარსებებთ. ვფიქრობ, დღეს, ასეთ ვითარებაში, თეატრის პირდაპირი ვალია, დადებითი ემოცია მიანოდოს საზოგადოებას და უთხრას: ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ყოფნა მოსაპოვებელია. თანაც, როდის ვცდილობთ, მოვისპოთ? როცა უკვე გადავფურჩით ტოტალიტარულ რეჟიმს? კი! კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა! მე მომხრე ვარ ქრისტიანული მორალის, რომლის თანახმადაც, შენდობა,



გადავწყვიტე, თუკი რიტა ითამაშა, პაულინასაც დაძლევს-მეთქი. მართლაც დაძლია და ისე ითამაშა, რომ ხანდახან მეშინოდა, მართლა არ გაეყდეს-მეთქი...

**ნანა ბუკია:**

— ეს ჩემთვის, მართლაც საოცრებო როლი იყო. სახლში ავადმყოფი დედა დავტოვე და აქედან ყოველდღე ვეხმიანებოდი ტელეფონით. ზუგდიდის თეატრში მიმდინარე რემონტის გამო იმდენად ვიყავი მოწყურებული სერიოზულ პროფესიულ მუშაობას, რომ ვა-ბანკზე წამოვედი. რეპეტიციების დროს ბევრჯერ ისე გამიჭირდა, ჩემოდანიც კი ჩავალაგე უკან გასამგზავრებლად, რადგანაც მომეჩვენა, რომ მეტს ვეღარ გავუძლებდი. თუმცა, პაულინას ტკივილი ძალიან კარგად მესმოდა. მე ხომ იქვე, აფხაზეთის ყურისძირში ვცხოვრობ. როლზე მუშაობისას განმიახლდა ის გაცდა, 2008 წლის აგვისტოში დავით ბაქრაძის განცხადების მოსმენისას რომ დამეფულა — ხუთ წუთში ზუგდიდს დაბომბავენო და ზუსტად სამ წუთში ლამის მთელი ქალაქი დაცალა. მარტო დავრჩი... მე ცენტრში ვცხოვრობ... გიჟივით ვიყავი... არ ვიცოდი, რა მექნა. ბოლო წლების რეჟიმმა ძალიან დამლალა და ყველა

ეს ტკივილი და გაცდა პაულინას როლის თამაშისას ბუნებრივად გამოიხატა...


სიღნაღის თეატრის დასთან თანამშრომლობამ კიდევ ერთი „ტიტულ“ მოუტანა ზუგდიდელ მსახიობს — „სიღნაღელობა“. ამ ქალაქს სტუმარი არ აკლია და სიღნაღელებს მასპინძლობა არ ეშლებათ, მაგრამ რაკი ორი დღით კი არა, მთელი ორი თვით რჩებოდა ამ პატარა ქალაქში ნანა ბუკია, შინაურულად ჩაიხუტეს და განსაკუთრებული მასპინძლობით დაამახსოვრეს თავი.

**ნანა ბუკია:**

— ვგიჟდები სიღნაღელებზე. მათი გულისხმიერება და სითბო რომ არა, შესაძლოა, იმ ჩალაგებული ჩემოდნით, მართლაც დამეტოვებინა სამუშაო, მაგრამ ის არაჩვეულებრივი აურა, რომელიც აქ დამხვდა, ძალიან ბევრს მავალეზდა და არ მქონდა უფლება, მათი იმედი გამეტრუებინა...

იმედის გაცრუება იქით იყოს და როგორც გურამ ბათიაშვილმა შენიშნა, ეს არის არა პლაკატური, არამედ დროული სპექტაკლი, რომელიც მთელმა საქართველომ უნდა ნახოს, რათა გავიხსენოთ, რომ შურისძიება

არ არის გამოსავალი. სჯობს, ყველამ ვალიაოთ ჩვენი შეცდომები და მივუტევოთ ერთმანეთს. ეს იქნება დიდი გაერთიანება, რომელიც დაიწყება არა „თავკომბალას პრინციპით“, მაინცდამაინც თბილისიდან,



სცენა სპექტაკლიდან (ნანა ბუკია და თემურ მერმანიშვილი)

არამედ პატარა ქალაქ სიღნაღიდან, რომელიც მშენებელი ინჟინრის, ციკლოპური ცივილიზაციის მკვლევარის, ნაზი ხანიაშვილის, მოსაზრებით, „ზედხედიდან ქმნის გიგანტურ მბრუნავ ბორჯღალოს — ერთგვარ მზეს“, მარადიული საქართველოს სიმბოლოს.

29 მაისიდან 12 ივნისამდე



შურნალი "ოჯახის მკურნალი"

2 ფორმატით!

აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ფორმატი!

შინაარსით იდეალურია!

სამედიცინო ჟურნალი "ოჯახის მკურნალი" თვეში ორჯერ

სანამ ექიმთან მიხვალ!

ახლა უკვე მთლიანად ფერადი მაღალბოლიგრაფიული ფასი: 2 ლარი

მცირე ზომის კომპაქტური ფასი: 1 ლარი

იპიტხეთ პრესის გამავრცელებლებთან!



# როდის მიხვდა „ნახშირზე“ გაზრდილი ჭოლა, რომ მისი ოჯახი უეცრადაა?

რეჟისორი ლევან წულაძე და მისი მსახიობი მეუღლე — მანანა კოზაკოვა კარგი კულინარიული მონაცემებით გამოირჩევიან, გემრიელი კერძების მომზადება მათი ჰობია და ორი წარმატებული ხელოვანი, ფანტაზიას არც სამზარეულოში უჩივის. ცოტა ხნის წინ, ქალბატონმა მანანამ „ნიკორას“ ექსპერიმენტშიც მიიღო მონაწილეობა, სადაც ამ ფირმის გემრიელი პროდუქტების გამოყენებით, მრავალფეროვანი სალათი სწრაფად და იოლად მოამზადა. ცოლ-ქმარი ოჯახურ ტრადიციებზე გვესაუბრება და თავიანთ რეცეპტებსაც გვთავაზობს.

### თამაზ დაღვაწი

**ლევანი:**  
— პირველი მცდელობა, რაიმე მომემზადებინა, საკმაოდ ადრეულ ასაკში მქონდა. დედაჩემი მუშაობდა, მონაფეები ჰყავდა და უდროობის გამო, საჭმელი ხშირად ეწეებოდა, ნახშირდებოდა. ახლა რომ გაიგებს, ამას ვამბობ, გაგიჟდება, მაგრამ ასე იყო, „ნახშირზე“ ვარ გაზრდილი (იკინის). ერთხელ, ტელევიზიით დოკუმენტური ფილმი ვნახე, თუ როგორ აკეთებდნენ ხინკალს. გადავწყვიტე, გამეკეთებინა და თქვენ წარმოიდგინეთ, გამომივიდა კიდეც! მაშინ 10-11 წლის ვიყავი. ამის შემდეგ, დიდი კულინარიული მონაცემები არ გამომიჟღავნებია, მაგრამ ცხოვრებამ

კეთება არ ვიცი, მაგრამ ხორცეულისგან გემრიელი საჭმელები გამომდის.

**მანანა:**  
— გურმანი რომ ვარ, მეტყობა კიდეც. კულინარია ჩვენი ოჯახური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია და მეც ბავშვობიდან მაინტერესებდა. დედაჩემი ძალიან გემრიელ სადილებს აკეთებდა, მაგრამ ნამცხვრებს, ტორტებს ვერ აცხოვდა, ამიტომ მე ეს სფერო უფრო მიზიდავდა და



სუფრა, ძირითადად, თეატრალურ სანახაობას წარმოადგენდა

კარგადაც გამომიდიოდა. მერე უკვე, როცა გავთხოვდი, გამომიდინარე იქიდან, რომ ტკბილეული არც ლევანს უყვარს და არც ჩვენს ქალიშვილს, შვევეში და სადილებზე „დავხელოვნი“. ექსპერიმენტებსაც არ ვერიდებით ხოლმე და რალაცებს ვიგონებთ. პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შედეგი. ერთობლივად მივითად ვამზადებთ. როცა ლევანი მზარეულობს, შეიძლება ზოგჯერ დამხმარის ფუნქცია უფრო შევასრულო. ბეთანიაში აგარაკი გვაქვს და ლევანს იქ უფრო უყვარს რალაცების კეთება, ახალ-ახალ რამეებს იგონებს, წალამზე ფოლგაში გემრიელ რალაცებს აკეთებს, ხორცს მარაოსავით აასხამს ხოლმე შამფურებზე და გემრიელი გამოსდის.

რიბებოდა. მათ შორის, ბიძაჩემი — რეზო დვალისვილი, ერთ-ერთი საუკეთესო თამადა იყო, ვინც კი გამიგია. ასევე, კაკო დვალისვილი — ბაიკოს მამა და მათი მეგობრები. ყველაზე მეტად ოთარ მამფორია მახსენდება, შესანიშნავი პოეტი. იკრიბებოდნენ, საუბრობდნენ, დროს ატარებდნენ. პატარა ვიყავი და ამ ყველაფერს ვიმახსოვრებდი. ერთხელ, ჩაიწერე კიდეც, მაშინ ჩამწერიანი მაგნიტოფონი ახალი ხილი იყო, მერე ამ ჩანაწერს ჩემს მეგობრებს ვასმენინებდი, იმ სადღეგრძელოებს „ვიპარავდით“

ხოლმე და ჩვენეულად ვასალებდით. ბედნიერი დრო იყო. სუფრა, ძირითადად, თეატრალურ სანახაობას წარმოადგენდა, არა მარტო თბილისში, რეგიონებშიც. მოგეხსენებათ, პროფესიონალი თამადები არსებობდნენ, გურიაში ბიძა მყავდა — თამაზ წულაძე, ერთ-ერთი ლეგენდარული თამადა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრს სვამდა და იტანდა კიდეც, არამედ იმიტომ, რომ საოცრად ენამოსწრებული კაცი იყო. რომ დავინახავდი, სანამ ხმას ამოიღებდა, უკვე მეცივნებოდა, რადგან ვიცოდი, რაიმე ენაკვიმატს იტყოდა.



ხორცს მარაოსავით აასხამს ხოლმე შამფურებზე და გემრიელი გამოსდის

### ძველებური სუფრის ტრადიციები და ლეგენდარული თამადავი

**ლევანი:**  
— ჩემი მშობლების დროინდელი ქეიფები ცალკე ამბავი იყო. მასხოვს, ჩვენს სახლში შესანიშნავი ხალხი იკ-

**გურული ბავშვის ფიქრები...**  
— ბავშვობისას, მწყინდა ხოლმე, ხაჭაპურს იმერული ხაჭაპური რომ ერქვა, გოჭს — მეგრული გოჭი, კუპატიც მათი იყო და ვამბობდი, ჩვენ რაღა დაგვრჩა მუგუზალის გარდა-მეთქი? (იკინის). მერე, როცა „ასპარეზზე“ გურული ღვეზელი გამოჩნდა, ჩემი ამბიციებიც დაკმაყოფილდა. ვთვლი, რომ დასავლური სუფრა შესანიშნავია, მაგალითად, თხილით გაკეთებული ბაჟე, როგორ მიყვარს! მახსოვს, იქ რომ ჩავდიოდი, მამიდაჩემი უგემრიელეს ხაჭაპურს მიცხობდა ჩვილი ყველით. ჩემთ-

მასწავლა. საერთოდ, ჩემი აზრით, ეს ყველა მამაკაცშია. როგორც ყველა ქართველს სჩვევია, მეგობრებმა ჯერ მწვადი შევწვით, მერე „ოსტრი“ გავაკეთეთ, მერე „ჩაქაფული“ და ასე ვისწავლე. ყოველდღიური სადილების



ვის გურია ბავშვობის დაუფინყარი შთაბეჭდილებებია. ძალიან მიყვარს საცივი და შეიძლება ითქვას, რომ საცივიდან საცივამდე ვცხოვრობ და მიხარია, როცა ახალ წელს ოჯახში სამივე ერთად ვართ. ბებიჩემი უგემრიელეს საცივს აკეთებდა, დედაჩემიც მისი რეცეპტით ამზადებდა და ძალიან კარგი გამოსდიოდა, ეს საამაყო მომენტი იყო ჩვენს ოჯახში და მერე უკვე, როდესაც მანანამ საცივი პირველად გააკეთა დამოუკიდებლად, მივხვდი, რომ ცოლის არჩევაში არ შევმცდარვარ და ჩემი ოჯახი შედგა!

**მანანა:**

— ორი ინდაურის საცივს მაკეთებინებს ხოლმე, რომ მას ბევრი შეხვდეს (იციინის).

**დაძირავეპული თამადავი და ჭიქასთან დაბადებული სადღებრძელო კულტურა**

— მახსოვს, ხშირად ვამბობდით ამ სადღებრძელოს — კაცს რომ კაცი მოენატრება, აი, იმას გაუმარჯოსო, მაგრამ ეს ახლა რომ ვთქვათ, შეიძლება არასწორად გაგვიგონ. ბევრი რამ შეიცვალა. მე და ჩემი მეგობრები ყოველთვის ამ თეორიის მომხრეები ვიყავით — სადღებრძელო ჭიქის პირთან მიტანამდე უნდა დაიბადოს, ამაშია მთელი ეშხი. მომზადებული და გაზეპირებული სადღებრძელო „მკვდარია“. არ მიყვარს, როცა თამადავი წინასწარ დაგეგმილი და მომზადებული ლექსებით იწონებენ თავს. თურმე მონვეული თამადავი არსებობენ, რომლებიც ამაში ფულს იღებენ. ვთვლი, რომ აქ იწყება საქართველოს დაღუპვა. ოჯახს ისე როგორ უნდა გაუჭირდეს, რომ საგვარეულოში ერთი უხერი თამადა მაინც არ ჰყავდეს?! ვიდრე მონვეული, რომელიც სუფრას ქალაღდზე დანერი-

**კორეელმა ქალმა ჩვენ თვალწინ ამოიყვანა აკვარიუმიდან და დაჭრა დაიწყო**

ლი სახელებით გაუძღვება. ეს ოჯახის სირცხვილია, თორემ იმ თამადავისთვის — პირიქით, კარგია, ფულს შოულობენ და შესანიშნავი პროფესია აქვთ — თამადა.

**— თქვენ როგორი თამადა ხართ?**

— არ მიყვარს თამადაობა. ჯერ ერთი, დავბერდი და მიჩვენია, გვერდიდან ვუყურო, ადრე ამას

არაფორმალურ ლიდერს ეძახდნენ — „ნე ფარმალი“ ვარ, გვერდიდან ვხმაურობ ხოლმე.

**— ბევრის დაღევა შეგიძლიათ?**

— ახალგაზრდობისას შემეძლო, ახლა, აბა სადა?! ჩვეულებრივად, როგორც ყველას. გურული რომ ვარ, ფიცხი ვიყავი და იმაზე ორჯერ მეტს ვიტენიდი, ვიდრე შემეძლო, რომ სხვებს არ ჩამოვრჩენოდი. ეს ბავშვური შეჯიბრების, აზარტის მომენტი იყო.

**სპაგეტის მოსამზადებელი მანანა**

— ძალიან მიყვარს იტალიური სამზარეულო — პიცები და პასტები. სხვათა შორის, გრძელი სპაგეტების დასამზადებელი მანქანა მაქვს და მაკარონი მე თვითონაც გამიკეთებია. კლასიკური სპაგეტის მოყვარული ვარ. მაკარონის მოხარშვისას მთავარი გახლავთ დრო — არც გადახარშული უნდა იყოს და არც მთლად უმი, ყველა მაკარონს მოხარშვის თავისი წესი აქვს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კი, რა თქმა უნდა, სოუსია, რომელსაც სხვადასხვა არომატისკენ მიჰყავს.

**მანანა:**

— გასტროლზე უამრავ ქვეყანაში

**მოკვიდე ხალი ამ რვაფხას და პირში გავიქანა! ლეჭავ, ლეჭავ და ხილუბით ხლავ! რამდენიმე ნაჭერი ენის ქვეშ შემიცოცდა**

ვართ ნამყოფი და ბევრი ქვეყნის სამზარეულო გავგისინჯავს. საერთოდ,

**პირში მოკლული კორეული რვაფხა**

**ლეჭანი:**

— ქუჩაში ამზადებდნენ და საკმაოდ ძვირიც ღირდა, მაგრამ ვიფიქრე,



სხვათა შორის, ლეჭანმა კორეაში რვაფხა შეჭამა...

გავსინჯავ-მეთქი. არ ვიცოდი, თუ ცოცხალი რვაფხა უნდა მეჭამა. კორეელმა ქალმა ჩვენ თვალწინ ამოიყვანა აკვარიუმიდან და დაჭრა დაიწყო. ვერც ტაფა დავინახე, ვერც



ქვაბი, არც ორთქლი ამოდიოდა საიდანმე და ცოტა კი დავეჭვდი, ცუდად მენიშნა, მაგრამ... მოგესხენებათ, რვაფხას ცენტრალური ნერვული სისტემა არა აქვს, ამიტომ ყველა ნაჭერი ცალ-ცალკე ცოცხლობს და თავისით მოძრაობს. ეს მოძრავი ნაჭერი რომ მომცა, მომეჩვენა, რომ ამ კორეელმა ქალმა დამცინავად, ორზროვნად გამიღიმა და ეს გამონვევად მივიღე — თეთრკანიანო, შენ ამას ვერ შეჭამო და გავიფიქრე, რომ ამ „ოხერ“ კორეელთან თავი არ უნდა შევირცხვინო და ჩემი სამშობლო ვასახელო, თავი არ მომეჭრას-მეთქი! მოკვიდე ხელი ამ რვაფხას და პირში გავიქანე! ლეჭავ, ლეჭავ და კბილებით კლავ! რამდენიმე ნაჭერი ენის ქვეშ შემიცოცდა და მოკლედ, დიდი ნამებით, მაგრამ როგორც იქნა, შევჭამე! ზურაბ გაგლოშვილიც დამესმარა, 1-2 ნაჭერი მანაც შეჭამა, მიხვდა, რომ აქ საქართველოს

როცა სადმე მივდივართ, ვცდილობ, იქაური, ნაციონალური კერძი გავსინჯო. სხვათა შორის, ლეჭანმა კორეაში რვაფხა შეჭამა...



პრესტიჟის საქმე წყდებოდა და ასე გამირულად გადავიტანეთ ეს ამბავი.

— რაიმე სოუსი მაინც არ მოჭყვა?

— არაფერი! ზუსტად მაგას ვამბობდი, მარილი მაინც მამაყრევინეთ-მეთქი! რაღაც სიმინდის ნახარშივით წყალი მომანოდეს მისაყოლებლად, ისინი ჩაის ეძახიან.

— ბატონო ლევან, რაიმე კერძის თქვენეულ რეცეპტს ხომ არ შემოგვთავაზებთ?

— გეტყვი. ავიღოთ ღორის ხორცი და მოგრძო ფენებად დაეჭრათ, რომლებიც თანდათანობით ისე უნდა იკლებდეს სიგრძეში, რომ კონუსის ფორმა მიცვლეთ. მაგალითად, პირვე-

— იმიტომ გადავწყვიტე, რომ „ნიკორას“ დაარსების დღიდან აქტიური მომხმარებელი ვარ და მისი პროდუქცია ოჯახში ძალიან მოგვონს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქართულია, მეორეც, ვთვლი, რომ ხარისხიანია და ჩვენთვის ფასითაც მისაღებია. ახალ-ახალ შემოთავაზებას ყოველთვის თვალყურს ვადევნებთ და ვაგემოვნებთ ხოლმე. მაკარონი ცივ სალათში, რომელიც იქ გავაკეთე და რომელიც ლევანს ძალიან უყვარს, სხვათა შორის, სულ „ნიკორას“ ინგრედიენტები გამოვიყენე — მოვხარშეთ პატარა, მრგვალი მაკარონები და მწყრის კვერცხები, რომელსაც



სადილის კეთება როლივითაა, იცით, ხან გამოდის, ხან — არა

ლი ნაჭერი 20 სმ სიგრძის რომ იყოს, მომდევნო — 18, 16 და ა.შ. შემდეგ, ყველა ნაჭერს შამფური გავუყაროთ, მარაოსავით იქნება და ფენებს შორის ჩავდოთ ნიორი, წინაკა, პომიდორი, ყველის ნაჭრები, მაგალითად, პარმეჯანო და როცა მაყალზე დნება, ეს ყველი ხორცის ნაჭრებს ერთმანეთთან ანებებს და ამაგრებს. ამ კონუსს რომ შეწვავთ, შეგიძლიათ დაუფქვავი წინაკის მარცვლებიც მოაყაროთ, კარგ არომატს აძლევს. მაყალზე გადაატრიალ-გადმოატრიალეთ და უგემრიელესია. შამფურებზე აცმა მთელი თავგადასავალია, რთულია, მაგრამ საინტერესო სამუშაოა.

— ქალბატონო მანანა, თქვენ რომელი კერძის მომზადებას გვასწავლით? ახლახან „ნიკორას“ ექსპერიმენტში გიხილეთ, სადაც მათი პროდუქციის გამოყენებით, მაკარონის ცივი სალათი გააკეთეთ, რომელიც საკმაოდ იოლი მოსამზადებელი ჩანდა, მისი რეცეპტი გვითხარით და საერთოდ, რატომ გადაწყვიტეთ, ამ ექსპერიმენტში მონაწილეობა?

ქოლესტერინის შემცველობა დაბალი აქვს და მავნებელი არ არის, ჩავაჭერი კიტრის მარინადი, უმი კიტრიც შეგიძლიათ გამოიყენოთ, ჰოლანდიური (ან ნებისმიერი სხვა სახის) ყველი, „მოხარშული ძეხვის“ „შაშხის“, რომელიც ძალიან გემრიელია, სიმინდის მარცვლები, მაიონეზი, პომიდორი, ბულგარული წინაკა, მწვანე ხახვი, 1-2 კბილი ნიორიც ჩავაჭყლიტე, შავი პილპილი, მარილი გემოვნებით, ბევრი არ უნდა და მშვენიერი გამოვიდა. ამ სალათის გაკეთების იდეა სიონში რომ ვიყავით დასასვენებლად, მაშინ გამიჩნდა, „ნიკორას“ პროდუქცია შევიძინე, დანარჩენი, რაც სახლში მქონდა, ყველაფერი ჩავაყარე და ჩემებს ძალიან მოეწონათ. საერთოდ, სადილის კეთებას მე შემოქმედებით ჭროლმი აღვიქვამ, როლივითაა, იცით, ხან გამოდის, ხან — არა. მესმის, რომ ჩვენს ქალბატონებს ჰბეზრდებათ მუდმივად სამზარეულოში ფუსფუსი, მაგრამ მაინც უნევთ და ჯობია, შემოქმედებითად იყვნენ განწყობილინი.

თუო ყორღანაშვილი

თომა ფირცხალანი, 12 წლის:

— ელჩთან შეხვედრა ძალიან სასიამოვნო იყო. ისიც და მისი მეუღლეს მხიარული ადამიანები არიან. როგორც ჩანს, ორივე ძალიან განათლებულია. ცდილობენ, ქართული ენა ისწავლონ და დაგვიახლოვდნენ. ამიტომ ჩვენი მეგობრობა თანდათან უფრო განმტკიცდება და როგორც მათ თქვეს, იაპონიასა და საქართველოს შორის მეგობრობის ძალიან გრძელი ჯაჭვი იქნება, რომელსაც ვერაფერი განწყვეტს.

დავით შარდოსანიძე, 11 წლის:

— მეგონა, ქართულად მხოლოდ მასწავლებელი ილაპარაკებდა. ელჩისგან ქართულ ტექსტს არ ველოდი...

— გაკვეთილზე ღელავდით? — ყველა ღელავდა.

თომა: — მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

— იაპონური ენის შესწავლით რატომ დაინტერესდით?

— ძალიან ლამაზი და საინტერესო ენაა. ხშირად გამოგვადგება, რადგან იაპონია დღეს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა გახლავთ. მართალია, ცოტა რთულად შესასწავლია, მაგრამ თუ მოინდომებ, ყველაფერს შეძლებ.

ბატონ ელჩს „ქართული სასწავლებლის“ მეათე კლასის მოსწავლე, ლევან ვეშაპიძეც გაესაუბრა.

— ენა იაპონურად ამოვიდგი — ოჯახთან ერთად, იაპონიაში ვცხოვრობდი.

— იაპონიაში რამდენ ხანს იყავი? — საბოლოო ჯამში — 6 წელი.

— ელჩს პირველად შეხვედი? — ამ ელჩს — კი, მაგრამ წინასწარ სისტემატურად ვხვდებოდი: შაბათობით ვსტუმრობდი ხოლმე. ვმეგობრობდით.

— როგორ დამეგობრდით?

— გამოფენაზე შემხვდა. ისე მოხდა, რომ ცოტა ხნით დაველაპარაკე. მკითხა, — იაპონური საიდან იცით? როცა ვუამბე, ძალიან დაინტერესდა და თქვა, — იაპონური არ უნდა დაგავინწყდეს, შაბათ-კვირას ჩემს სახლში მოდი და ვისაუბროთ.

— დღეს ელჩს რაზე ესაუბრე? მომეჩვენა, თითქოს დაძაბული იყავი...

— დაძაბული იმიტომ ვიყავი, რომ ოფიციალურ შეხვედრებს მიჩვეული არ ვარ. ელჩს გავცეკანი, ვუთხარი რა მქვია, რამდენი წლის ვარ, სად ვსწავლობ...

— იაპონიასთან დაკავშირებით, რა გეგმები გაქვს?



# იაპონიის ელჩი „საქართველო-იაპონიის ასოციაციას“ და „ქართულ სასწავლებლებს“

„ქართულ სასწავლებლებსა“ და იქვე არსებულ „იაპონია-საქართველოს ასოციაციას“ საპატიო სტუმარი — იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში — ბატონი ტოშიო კაიტანი ეწვია. მას თან ახლდნენ: მეუღლე — ქალბატონი ჰარუე კაიტანი, საელჩოს პირველი მდივანი — ბატონი ნორისიკო ნაკაჯიმა, საელჩოს ატაშე — ბატონი ისუხირო კოჯიმა და კულტურის ატაშეს თანამშემე — ქალბატონი რუსუდან გვერდითელი. საპატიო სტუმრები VI კლასის მოსწავლეებს იაპონური ენის გაკვეთილებზე დაესწრნენ. ბატონმა ელჩმა ბავშვებს ქართულად მიმართა და თავისი დადებითი შთაბეჭდილებები გაუზიარა...

— უპირველს ყოვლისა, არ მინდა, რომ ეს ენა დამავიწყდეს. ვიცი, იაპონური ენის ცოდნა ნებისმიერი პროფესიის არჩევის შემთხვევაში გამომადგება... როცა საქართველოში

პირველ საფეხურზე, იაპონურის გარდა, ბავშვებს ქვეყნის კულტურას, ეთნოგრაფიას, ტრადიციებს ვასწავლით...

**პაბლო ძველაძე, „საქართველო-იაპონიის ასოციაციის“ პრეზიდენტი**



იაპონელმა სტუმრებმა ქართველ მოსწავლეებს წიგნები და ჟურნალები გადასცეს

იაპონელები ჩამოდიან, თარჯიმნობას ვუწვევ ხოლმე...

### — სხვა უცხო ენებიც იცი?

— იაპონურზე უკეთ ინგლისური ვიცი. გერმანული — დაახლოებით იაპონურივით (საქართველოში ვისწავლე, ძალიან კარგი მასწავლებელი მყავს), რუსული — ძალიან ცუდად. ლათინურს დამოუკიდებლად ვსწავლობ...

### — ეთერ სვანიძე, „ქართული სასწავლებლის“ დამაარსებელი:

— სკოლაში იაპონურ ენას 1994 წლიდან ვასწავლით, სამთავრობო გრანტებიც მივიღია... საელჩოებთან ურთიერთობის ტრადიცია გვაქვს. ჩვენი საქმიანობის გასაცნობად, იაპონიის ახალი ელჩიც მოვიწვიეთ.

### — სკოლაში იაპონურ ენას რამდენი ბავშვი სწავლობს?

— ამჟამად — 65. მეექვსე კლასში იაპონურის შესწავლა სავალდებულო საგანია, მერე კი სასურველ უცხო ენას ბავშვები უკვე თავად ირჩევენ.

მრავალწლიან მუშაობას (იაპონიასთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის გაღრმავება-გამტკიცების საკითხში) გაცენენ, დაათვალიერეს „ქართული სასწავლებლის“ მოსწავლეების მიერ იაპონიისადმი მიძღვნილი ნახატები. შემდეგ, „იაპონია-ვერა ზიის ქვეყნების საზოგადოების“ ოსაკას ფედერაციის პრეზიდენტის — ქალბატონ ეიკო არაკის მიერ ასოციაციისთვის გამოგზავნილი უამრავი სასკოლო წიგნისა და პროფესორ სეიჩი კიტავას გამოგზავნილი იაპონური ჟურნალების სკოლისთვის გადაცემის ცერემონია შედგა...

### ტოშიო კაიტანი, იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში:

— მიხარია, რომ ასეთი ლამაზი და საყვარელი ბავშვები იაპონიის სიყვარულით გაიზრდებიან და მომავალშიც, ამ სიყვარულს გულით ატარებენ, უფრო მეტს ისწავლიან... დიდი ბედნიერებაა, თუ ორმხრივი ძალისხმევით მომავალი თაობის აღზრდას შევძლებთ. მოხარული ვარ, რომ ამ სკოლისა და ასოციაციის დათვალიერება შევძელი. მხატვრულად რომ ვთქვათ, ბატონი კარლოსა და ამ



### ლო-იაპონიის ასოციაციის“ პრეზიდენტი:

— სასწავლებელი მოსწავლეთა მიერ კავკასიის რეგიონისთვის დამახასიათებელი ფენომენის — აღმოსავლური და დასავლური კულტურის გზაჯვარედინის არსის გაცნობიერებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურის შესწავლის გარეშე, საქართველოს მომავალი მოქალაქის ჩამოყალიბება წარმოუდგენელია.

სკოლის საპატიო სტუმრები „საქართველო-იაპონიის ასოციაციის“

სკოლის (რომელმაც წლების წინ, ბავშვებისთვის იაპონური ენის შესწავლა გადაწყვიტა) შრომის შედეგად, ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის ხე გაიფურჩქნა. მაღლობელი ვარ, რომ ჩემს წინამორბედ ელჩებს „ქართულ სასწავლებელში“ ყოველთვის იწვევდნენ, გულთბილად ხვდებოდნენ, სკოლას აცნობდნენ...

ლონისძიების ბოლოს, ასოციაციის პრეზიდენტმა — ბატონმა კარლო ქველაძემ იაპონიასთან მეგობრობაში შეტანილი წვლილისთვის ასოციაციის წევრები და სკოლის პედაგოგები საპატიო სიგელებით დააჯილდოვა.



# „ქერის უბანში“ ყველა წამყვან პოლიტიკოსს შეხვდებით“

უმეტეს შემთხვევაში, „ერუდიტის“ რუბრიკაში ჩანერაზე რესპონდენტის დათანხმება ძალიან ჭირს. მსახიობი ბიორბი მარშანი იშვიათი გამონაკლისი აღმოჩნდა. როცა დაფურეკე, მისმა რეაქციამ გამაკვირვა, — „უი, „ერუდიტი“ უნდა ჩამწერო? მიხარია“. შეხვედრის დროს კი „სიხარულის“ მიზეზი ასე ახსნა:

## პრაქტიკული კავიარი

— განა იმიტომ მიხარია, რომ ძალიან დიდი ერუდიტი ვარ და ყველა კითხვას პასუხს გავცემ. რომელ კითხვაზეც პასუხი არ მეცოდინება, შემრცხვება. მომავალში მეტის ნაკითხვასა და ცოდნის შექმნას შევეცდები. რომ გითხრა, ჟურნალებს ხშირად ვკითხულობ-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ „გზაში“ ამ რუბრიკას ნაუკითხავს არასდროს ვტოვებ. იმასაც ვაღიარებ, რომ ბევრი რამ მისწავლია.

— **სასიამოვნოა. ახლა რას კითხულობ?**

— დღეს 2 საათი თავისუფალი დრო მაქვს, რობერტ ბლოხის ნაწარმოებებს ვკითხულობ, ეს წიგნი ბებიასთან არის. ინტერვიუს შემდეგ იქ მივალ, ნავიკითხავ და ნამოვალ. დღეს დავამთავრებ. ეს ავტორი კარგი ტიპია.

— **„კარგი ტიპი“ როგორია?**

— სანამ წიგნის კითხვას დავიწყებდი, მის ბიოგრაფიას გავეცანი. ბლოხის ნაწარმოების მიხედვით შიჩკოვს ფილმი „ფსიქო“ აქვს გადაღებული. ფილმებში საშინელებათა ჟანრი არ მიყვარს, მაგრამ წიგნში საინტერესო აღმოჩნდა.

— **ნაკითხულ ნაწარმოებებს ხელახლა უბრუნდები?**

— ბავშვობაში უფრო ხშირად ვუბრუნდებოდი.

— **რომელმა ნაწარმოებმა მოახდინა შენზე ნარუმ-ლეელი შთაბეჭდილება?**

— ქრისტინე ნესტლინგერის „ძირს კიტრა ხელმწიფე“ საბავშვო მოთხრობაა. ის შთაბეჭდილება დღემდე მახსოვს, რომელიც ამ ნაწარმოების ნაკითხვისას დამეუფლა.

— **მაღელვარებით „კომედი ჯგუფის“ კიდევ ერთი პროექტი — „ქერის უბანი“ გავა. ამ პროექტზე რას იტყვი?**

— ეს პოლიტიკური მულტიფილმი, სერიები იქნება.

— **ანუ პოლიტიკაში ყოფნა ქერის ორმოში ყოფნის ტოლფასია?**

— (იციინის) მაგას თავად ნახავთ. ჩვენი სცენარისტები და პაროდისტები მუშაობენ. მოქმედება ქერის უბანში ვითარდება, სადაც 2 საცხოვრებელი სახლი დგას. ერთი ნითელია, მეორე — ლურჯი. ფერები რაზე მიანიშნებს, ადვილი მისახვედრია. „ქერის უბანში“ ყველა წამყვან პოლიტიკოსს შეხვდებით.

— **რომელი ქართველი მოქანდაკე მუშაობდა როდენტთან?**

— იაკობ ნიკოლაძე.

— **ბერძნულ მითოლოგიაში კარგად ერკვევი?**

— ბავშვობაში უფრო ვიყავი გატაცებული, ახლა — ნაკლებად. ალბათ ბევრი რამ დავიწყებულიც მაქვს.

— **აფროდიტე, პოსეიდონი, ეროსი. ბერძნული მითოლოგიის ამ ღმერთებს, რომელი ღმერთები შეესაბამებიან რომაულ მითოლოგიაში?**

— ვაიმე, მაგდენი მართლა არ მახსოვს.

— **ვენერა, ნებტუნი, კუპიდონი. რომელ ქალაქში ინახებოდა „10 მცნების ქვა“, ვიდრე იგი ტაძრის დარბევის დროს დაიკარგებოდა?**

— იერუსალიმში.

— **ვის ეკუთვნის გამონათქვამი — „გვარდია კვდება, მაგრამ არ ნებდება“?**

— რომელიმე ცნობილ მხედართმთავარს, მაგრამ რომელს? (ფიქრობს) განწყობით ნაპოლეონს „ჰგავს“. ასეა.

— **გამოიცანი. რა ერქვა სევილიელ დალაქს?**

— ვაიმევე! მართლა ვიცოდი, ვერ ვიხსენებ.

— **ფიგარო. რომელია ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის დამაკავშირებელი სრუტე?**

— გიბრალტარი.

— **როგორ იბადება ზღარბი?**

— არ ვიცი, რას გულისხმობ?

— **ეკლებით იბადება?**

— (იციინის) არა, თუ სწორად ვიცი, პატარა ზღარბუნიას თმა აქვს და მერე უუხეშდება.

— **რომელი ქვეყანაა ბენისბოლის სამშობლო?**

— ეს თამაში ძალიან უყვართ ამერიკაში. შესაძლოა, ეს ქვეყანა იყოს.

— **დიახ. ცნობილია, რომ მეფის რუსეთში კატორღელებს წვერ-ულვაშს მხოლოდ ცალ მხარეს ჰპარსავდნენ. რატომ?**

— თუ რომელიმე მათგანი გაქცევას მოახერხებდა, იოლად ამოიცივდნენ.

— **პოეზია გიყვარს?**

— მიყვარს, მაგრამ ლექსები ზეპირად არ ვიცი. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტსა და სკოლაშიც არაერთი გამოცდა მაქვს ჩაბარებული.

— **„გაზაფხულის თქეში უშხაპუნებს...“**

— ...*(მანყვეტინებს)* ფანჯრებს,/ ყველა აივანი გადმოჰკიდებს ჩანჩქერს/ და მეზობლის გოგოც გაიხარებს მაშინ,/ წვიმის ასაღებად გავარდება კარში,/ რომ ხვალ უფრო კარგად თმები ზიმზიმებდეს,/ რომ ხვალ უფრო კარგად მე ვერ ვიძინებდე“...

— **ადამიანის რომელ გრძნობას უწოდებ შექსპირმა მწვანეთვალეა ურჩხული? შურს, ბოლმას, ეჭვიანობას თუ სიძულვილს?**

— ეჭვიანობას. არა?

— **დიახ. შენში ეს გრძნობა რა დოზითაა?**

— ეჭვიანი არ ვარ. ეს არაპრაგმატული გრძნობაა. თუ ეჭვიანობ, იმ ადამიანთან ურთიერთობა არ უნდა გააგრძელო. თუ მარტო შენთვის ეჭვიანობ, ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარ თავს იტანჯავ. როცა გინდა, საყვარელი ადამიანი მარტო შენი იყოს და სულ შენთან იყოს, ეგონიზმი უფროა.

— **„აიდა“, „ოტელო“, „ტრაგიატა“, „რიგოლეტო“, „ბალ-მასკარადი“. ვინ არის ამ ცნობილი ოპერების ავტორი?**

— ჯუზეპე ვერდი.

— **ერთხელ ვერდიმ განაცხადა, — ეს მუსიკის განუყოფელი ნაწილიაო და მისი პარტიტურაში ჩანერაც კი მოითხოვა. რაზეა საუბარი?**

— არ ვიცი.

— **აპლოდისმენტებზე. რომელ კუნძულზე მომხდარ აჯანყებას ეხება ქართული ფილმი — „ჯვარცმული კუნძული“?**





- ვერ ვიხსენებ.
- რეზო თაბუკაშვილის...
- (მანყვეტინებს) დავიბენი, კუნძულ ტექსელზე მომ-ხდარ აჯანყებას.
- 1872 წელს, თბილისსა და ფოთს შორის რკინიგზის გახსნის შემდეგ ერთ-ერთი უბნის ტერიტორია ორ ნაწილად გაიყო. რკინიგზის აღმოსავლეთ ნაწილში მუშახელი მიწებს უნებართვოდ იკავებდა. რა ეწოდა ახალ უბანს?
- ნაძალადევად იკავებდნენ და ნაძალადევი ეწოდა.
- ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ, რამდენი სამეფო ჩამოყალიბდა?

— სამეფო და არა — სამ-თავრო?

— მხოლოდ სამეფოებზე გეკითხები.

— ქართლის, კახეთისა და იმერეთის.

— ჭადრაკის თამაში გიყვარს?

— ნორმალურად ვთამაშობ.

— რამდენი პაიკია თამაშის დაწყების დროს საჭადრაკო დაფაზე?

— (ითვლის) 16 გამოდის.

— ჭოროხი, ენგური, თერგი, მტკვარი. ამ მდინარეებიდან რომელი მიედინება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე?

— ენგური.

— ამ ხელსაწყოს, რომელიც გამიზნულია ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობის დასაფიქსირებლად, ოფიციალურად „პოლიფიზიოგრაფი“ ჰქვია. დაასახელე მისი საყოველთაოდ ცნობილი სახელწოდება.

— არ ვიცი.

— სიცრუის დეტექტორი. რომელმა მეფემ მოახერხა მონღოლთა თითქმის 100-წლიანი ბატონობის შემდეგ, მათი საქართველოდან განდევნა?

— გიორგი ბრწყინვალემ.

— საქართველოს რომელ მუნიციპალიტეტშია თავმოყრილი ისტორიული ძეგლები: ნულრულაშენი, ქვეშის ციხე და ორბელიანთა კარის ეკლესია?

— ბოლნისში.

— ოჯახში მამის, დედისა და შვილის წლოვანებათა ჯამი 60-ია. მამის წლოვანება დედისა და შვილის წლოვანებათა ჯამის ტოლია. რამდენი წლის არიან მამა, დედა და შვილი?

— (პაუზის შემდეგ) 5, 25 და 30 წლის.

— მწერების რომელი ოჯახია დაყოფილი ფენებად: დედალი, მამალი, მუშა, ჯარისკაცი და მონა?

— ფუტკრების.

— ცდები.

— ჭიანჭველების.

— „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონიაზე გამარჯვებულებს სტატუეტებს ართმევენ და რამდენიმე დღის შემდეგ უბრუნებენ. რატომ?

— მათზე მფლობელის სახელი და გვარი რომ ამოტვიფრონ.

— ეს კავშირი 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა და 1991 წლის 26 დეკემბერს დაიშალა. რომელ კავშირზეა ლაპარაკი?

— სსრკ-ზე.

— ამ ქვეყანაში ექიმებს კარგ გასამრჯელოს უზღიდნენ, მაგრამ თუ იმპერატორი ავად გახდებოდა, მის გამოჯანმრთელებამდე ფული აღარ ეძლეოდათ. რომელ ქვეყანაში ხდებოდა ასე?

— ვერ გეტყვი.

— ჩინეთში. დაასახელე მოგზაური, რომლის სახელსაც ატარებს სრუტე, რომელიც მან გაიარა, კუნძული, რომელზეც ის გარდაიცვალა და ზღვა, წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში?

— ვერ გიპასუხებ.

— ბერინგი. რა ერქვათ მექადან მედინაში გაქცეულ მუჰამედის თანამებრძოლებს?

— მუჰაჯირები.

— რა ერქვა ალუდა ქეთელაურის ცოლს?

— 2 თვის წინ წავიკითხე, მაგრამ ვერ ვიხსენებ.

— ლელა. გოგონა სარკესთან მივიდა, საკუთარი გამოსახულება დაინახა და თავის თავს შუბლზე აკოცა. შეიძლება თუ არა, ასე რომ მოხდეს?

— არა. საკუთარ თავს სარკეში შუბლზე ვერანაირად ვერ აკოცებ.

— ვის პატივსაცემად ეწყო ბოდა ძველ საბერძნეთში ოლიმპიური თამაშები?

— ზევსის.

— „საკმარისია, ერთი უბრალო გასეირნება ფსიქიატრიულ კლინიკაში, რათა დარწმუნდე, რომ ძალა არაფერს ნიშნავს“. რომელი ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსია ამ სიტყვების ავტორი?

— ვერ გიპასუხებ.

— ფრიდრიხ ნიცშე. „თითქოს მზეს ჩამოვარდნოდა“, „ბრონეულის ყვავილივით ჰყვაროდა“... რომელ პერსონაჟს აღწერს ასე გიორგი ლეონიძე?

— მარიტას.

— რომელი მხატვრის შემოქმედებაში უჭირავს განსაკუთრებული ადგილი ბალერინებს?

— ედგარ დეგას.

— კოლექციონერები მათ ხელში ჩასაგდებად საათობით დგანან რიგში, წერენ წერილებს და ქურდობასაც არ ერიდებიან. რაზეა ლაპარაკი?


— არ ვიცი.

— ავტოგრაფებზე.

— მე მონეტების კოლექცია მქონდა და ჩემს ძმას ვაჩუქე, მაინც ის მამარაგებდა, ხშირად მოგზაურობს და ყველა ქვეყნიდან მონეტა ჩამოაქვს.

— დაბოლოს, დაასრულე დალაი ლამას ცნობილი გამონათქვამი: „კარგად შეისწავლე წესები და დარღვევის საუკეთესო და უმტკივნეულო გზებიც...“

— „...გეცოდინება“.



საკუთარ თავს სარკეში შუბლზე ვერანაირად ვერ აკოცებ



# „მე დავბრუნდები“ – ფილმისა და მირზა გელოვანის საოცრად მსგავსი სხოპრების გზა

მირზა გელოვანმა მხოლოდ სამ წელს იტრიალა თბილისის ლიტერატურულ წრეებში... უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად დადიოდა, მუშაობდა გამომცემლობაში, რედაქციაში... დაქორწინება სურდა, მაგრამ არ დასცალდა — ნითელ არმიაში გაიწვიეს, მოგვიანებით კი, ფრონტის ხაზზე აღმოჩნდა... დიდხანს ირწმუნებოდა: „მე დავბრუნდები!“ ... „არ არის ტყვია, რომელიც მე მომკლავს, რადგან ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც ჰკლავდნენ და არ კვდებოდა, რადგან იმედია ვარ და იმედი ამარცხებს სიკვდილს, რადგან გამბედავი ვარ და სიცოცხლით მოთამაშე“ — წერდა ახლობლებს, სატროფოს და კვლავ უმეორებდა: „არ დამიღონდეთ... მე დავბრუნდები!“ დაბრუნების რწმენა, როგორც ჩანს, მოგვიანებით, ომის ქარცეცხლმა გაანელა: „მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები,/ რომ თქვენი თმები დამაბრუნებენ,/ მაგრამ დღეები, როგორც ქურდები,/ ჩემს შეპირებას ანადგურებენ./ და სადმე ტყვია თუ გააციებს/ გულს საშინელი განადგურებით, /თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ,/ დანაშაული არდაბრუნების...“ 27 წლის პოეტი ომის დასასრულს, ბელორუსიაში დაიღუპა. ადგილობრივ მცხოვრებლებს მისი ცხედარი გაუპატიოსნებიათ და ჯერ ცალკე, მოგვიანებით კი — ვიტებსკის საძმო სასაფლაოზე დაუკრძალავთ. ამის შესახებ მხოლოდ 19 წლის შემდეგ გახდა ცნობილი — მაშინ, როცა ადგილობრივმა პიონერებმა მირზას დედას მისი შვილის საფლავის შესახებ მისწერეს, თუმცა, შვილის მოლოდინით სავსე გული ამ დროს უკვე გაციებული იყო...



იმ პერიოდისა და ომის შესახებ ცოტა რამ ვიცოდი

## შორენა ლაბაძე

მირზა გელოვანს, სამწუხაროდ, დღესაც არ აქვს შენობილი „დანაშაული არდაბრუნების“ — პოეტის ცხედარი კვლავ მისი საყვარელი ქვეყნიდან შორს — ბელორუსიაში განისვენებს... მოსკოვშია ფილმის დედანიც...

1982 წელს მირზა გელოვანის შესახებ მერაბ თავაძემ ფილმი „მე დავბრუნდები“, გადაიღო... როგორც თავად რეჟისორი ამბობს, ფილმის გამოსვლის პირველი პერიოდის შემდეგ ის ეკრანზე თითქმის აღარ გამოჩენილა... რამდენიმე დღის წინ,

— ფილმის გადაღების იდეა ჟიუ-ლი შარტავას ეკუთვნის. იმ პერიოდში კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი იყო. მან უთხრა რეზო ჩხეიძეს, — ფილმი პოეტი-ჯარისკაცის, მირზა გელოვანის შესახებ უნდა გადავიღოთო. სარეჟისორო ფაკულტეტი იმ წელს დავამთავრე. რეზომ, — იქნებ ამ სურათის გადაღებას შენ მოჰკიდო ხელიო. შევცბი. მირზა გელოვანის ლექსები წაკითხული მქონდა, მაგრამ იმ პერიოდისა და ომის შესახებ ცოტა რამ ვიცოდი. არ ვიცოდი, რამდენად შესაძლებელი იყო ჩემგან ამის გაკეთება. მივმართეთ მწერალ თემურ მალლაფერიძეს (ყოფილ

წლის ქართველები და 1941 წლის მსოფლიო ომი. დავინყე მასალების ძიება. არქივში მომიხდა მუშაობა, სადაც ჩემდა საუბედუროდ, ისეთი მასალები ვნახე, რომლის გაცნობა ძალიან მძიმე აღმოჩნდა. საშუალება მომეცა წამეკითხა დასმენის წერილები. აღმოჩნდა, რომ ბევრი ცნობილი და წარმატებული, ღირსეული ადამიანი ერთმანეთზე დასმენის ბარათებს წერდა. შევეცადე, ეს რაიმე სახით სცენარში გადმომეტანა. რაც შეეხება 1941 წლის ამბებს, ეს მხოლოდ ფილმებიდან ვიცოდი. სცენარის წერა თავად დავინყე. ეს სცენარის დაწერის ჩემი პირველი ცდა გახლდათ. მოსკოვში არსებული ფოტო და კინოლოკუმენტების სანახავად მოსკოვის არქივში მოგვიხდა წასვლა. ომის პირველიდან ბოლო დღემდე გადაღებულ კადრებს თვენახევრის განმავლობაში, დილის 9-დან საღამოს 6-მდე ვუყურებდი. ამ შემზარავმა კადრებმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს სრული შოკი იყო. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასეთი იყო ომი. ეს სასაკლავო გახლდათ. მივხვდი, რომ ფილმი არ უნდა ყოფილიყო შელამაზებული. გადაღების სულ სხვა მანერა იყო საჭირო. ამიტომ, ჩვენს ოპერატორს, დოდიკა სხირტლაძეს ვუთხარი, არავითარი შტატივი არ გამოეყენებინა. მას ფილმი ჩვეულებრივი „კონვასით“ უნდა გადაეღო. ეს გახლდათ ხელის უმარტივესი საბჭოთა აპარატი. ვუთხარი, რომ „კონვასით“ თვითონ



იზა გიგოშვილი

ამ შემზარავმა ხალხებმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს სრული შოკი იყო. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასეთი იყო ომი

32 წლის შემდეგ ფილმი მწერალთა სახლში აჩვენეს, იმ შენობაში, სადაც სურათის ნაწილია გადაღებული. გადაღებისა და იმდროინდელი ცენზურული წნეხის შესახებ ფილმის რეჟისორი, **მერაბ თავაძე** იხსენებს...

პარლამენტარ ვასილ მალლაფერიძის მამა). მას ამ თემაზე ნამუშევარი ჰქონდა. წავიკითხე და მივხვდი, რომ ეს ის არ იყო, რაც უნდა გადაგველო. ვფიქრობდი, როგორ შეიძლებოდა დამკავშირებინა ერთმანეთთან 1937



მიზანსცენაში, ბრძოლაში უნდა შესულიყო. ომის კადრები, რომლის გადაღების საშუალება არ გვქონდა, არქივიდან ამოვიღეთ. მიუხედავად ამისა, ეს ეპიზოდები ძალიან წააგავს ჩვენს გადაღებულ კადრებს. მაშინ პირველად სურათს გოსკინოში (კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი. — რედ.) ვაბარებდით. როცა იქ ვუჩვენეთ, გვეკითხებოდნენ, რომელი ეპიზოდებია დოკუმენტური და რომელი — თქვენი გადაღებული? ეს სერიოზული შეფასება გახლდათ.

**— ფილმის ნაწილი მწერალთა სახლის შენობაშია გადაღებული?**

— დიახ, ამავე შენობაში, სადაც ახლა ფილმის ჩვენება გაიმართება. როცა მწერალთა კავშირის შემადგენლობისთვის მსახიობებს ვარჩევდი, ძალიან მინდოდა, მათ შორის პეტრე გრუზინსკი ყოფილიყო. შეუძლოდ გახლდათ, მაგრამ ძალიან ვთხოვე მოსულიყო. ვუთხარი, რომ მინდოდა, მისი სახე ეკრანზე დარჩენილიყო, თანაც, ეს უფრო მეტად აამაღლებდა ფილმის ღირებულებას. დამწყებ ახალგაზრდა რეჟისორს დიდი თანადგომა გამიწია და მოვიდა.

**— ფილმის გადაღებას მაშინდელი ცენზურა არ უშლიდა ხელს?**

— სცენარმა ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობა განიცადა. როგორც მოგახსენიეთ, მინდოდა, 1937 წლის სიმძაფრე აღმებეჭდა ფილმში, სწორედ ის პერიოდი, როცა განუკითხავად იჭერდნენ ადამიანებს. ასევე დიდი სურვილი მქონდა, ფილმში გალაკტიონი ყოფილიყო. მისი როლის შესასრულებლად იაშა ტრიპოლსკი შევარჩიე და როცა მას გრიმი გავუკეთეთ, ვერ წარმოიდგენთ, მართლაც როგორ ჰგავდა გალაკტიონს. თავად ტრიპოლსკიც ძალიან ბედნიერი იყო, რომ მას ამ გენიოსი პოეტის როლი უნდა ეთამაშა. როდესაც სცენარი მოსკოვში გავგზავნეთ, რეზო ჩხეიძეს წერილი მოსწერეს: „თუკი მერაბ თავაძე ამ სცენარით აპირებს ფილმის გადაღე-

ბას, ჩვენ ამას ვუკრძალავთ“. ეს წერილი დღესაც ჩემს სახლში ინახება. რეზო ჩხეიძემ მითხრა, მიშველე რამე, ჩაგვივარდება ფილმი, როგორმე სცენარი უნდა გადააკეთოო. საგონებელში ჩავვარდი. როგორ უნდა გადაემკეთებინა სცენარი, როცა ფილმში აუცილებელი იყო ლადო ასათიანის, ალიოშა საჯაიას, გალაკტიონის, ირაკლი აბაშიძის, ნიკა აგიაშვილის ყოფნა... დავინწყე ვითომ გადაკეთება და მოგვიანებით ფილმი კვლავ გავგზავნეთ ცენზურის გასაველელად. ისევ მოგვწერეს, არ გაბედეო ამის გადაღებაო. მოდიოდნენ ადამიანები და ნეგატივს, რომელიც ფილმის დედანში იყო, ჩემ თვალწინ მაკრატლით ჭრიდნენ... ასე ამოჭრეს ბევრი ღირებული ეპიზოდი, რომელიც ძალიან მინდოდა, ფილმში ყოფილიყო...

**— ფილმის გამოსვლას როგორი გამოხმაურება მოჰყვა?**

— არაჩვეულებრივი შეფასება ხვდა წილად, მრავალი პრიზი მიიღო. რუსები ამბობდნენ, შეხედეთ, როგორ შეუძლიათ ქართველებს ფილმის გადაღება მაშინ, როცა ბიუჯეტი საერთოდ არ არსებობსო. მერაბ თავაძემ შეძლო და ომის ეპიზოდები მხოლოდ 2-3 მანქანის გამოყენებით გადაიღო. დიდი მადლობა ამ შეფასებისთვის, მაგრამ შემოქმედისთვის ყველაზე მთავარია, საშუალება მისცე, ის გააკეთოს, რაც მას სურს და როგორც თავად ხედავს, მან უნდა იმუშაოს ყოველგვარი კომპრომისების გარეშე. სწორედ ამ სულისკვეთებისაა ფილმში შესული ლადო ასათიანის ფრაზა, როცა მას ეუბნებიან, ლექსი გადააკეთე და დაგვებედავთო. ლადო კი პასუხობს: ლექსი დაიბეჭდება ისე, როგორც მე ის დავწერე და არა ისე, როგორც თქვენ გინდათო. ეს არის პრინციპი, თითქოს ერთგვარი პროტესტი იმის მიმართ, რასაც ჩვენ ვერ ვაკეთებდით, განსაკუთრებით, პოლიტიკურ სამხედრო ფილმებში.

**— მირზა გელოვანი, ლადო ასათიანი, ალექსანდრე საჯაია — მსახიო-**

**ბების შერჩევა რთული იყო?**

— გია ძნელაძე ჩემთვის უსაყვარლესი მსახიობი და მეგობარი იყო. ის ორ ფილმში გადავიღე. ამ სურათში ლადო ასათიანის როლს თამაშობს. მას საოცარი აურა, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა საქმის



მან უნდა იმუშაოს ყოველგვარი კომპრომისების გარეშე

მიმართ. ალიოშა საჯაიას კი თემურ გვალია ასახიერებდა. რაც შეეხება თავად მირზას როლს, ამ როლისთვის თავდაპირველად რეზო ჩხიკვიშვილი გავსინჯე, მაგრამ რაჭომლაც ვერ დავინახე ის, რაც მჭირდებოდა და როლზე სხვა მსახიობი დავამტკიცე. იმ სხვამ საერთოდ ვერაფერი შეძლო. რეზოს ბოდიში მოვუხადე და ვთხოვე, იქნებ ერთად შევძლოთ მირზას როლზე მუშაობა-მეთქი. რეზო დათანხმდა და მიმაჩნია, რომ ძალიან ღირსეულად შეასრულა ეს როლი, ამისთვის ბევრი ჯილდო და პრემიაც მოიპოვა. საშუალებად რომ მქონოდა, ამ ფილმს ყოველი შარტავას მივუძღვნიდი. მან საოცრებები გააკეთა, რომ ფილმი შექმნილიყო. ასევე, სოსო ორჯონიკიძემ და ვაჟა ლორთქიფანიძემ. ომის გადაღება იმ პირობებში და იმ საშუალებებით, რაც ჩვენ გვქონდა, თითქმის შეუძლებელი იყო. განა არ შეიძლებოდა, მაგრამ მაშინ ძალიან ცნობილი რეჟისორი უნდა ყოფილიყავი და მთელი სახელმწიფო უნდა ამოგდგომოდა მხარში. ფილმის დედანი კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაიწვა. მაშინ უამრავი ქართული ფილმი განადგურდა. ასლები მხოლოდ მოსკოვში დარჩა. ამ ფილმის აღდგენა ძალიან ძველი ფირიდან მომიხდა და შესაბამისად, ხარისხი ისეთი არ არის, როგორიც უნდა იყოს.



რეზო ჩხიკვიშვილი

„თუკი მერაბ თავაძე ამ სცენარით აპირებს ფილმის გადაღებას, ჩვენ ამას ვუკრძალავთ“



# როგორ აყრებოდა საფუძველი ევროკავშირს

დასასრული.  
დასაწყისი იხ. „გზა“, №21

## აოგიაჟოვიციელი გეოგრაფი

რიჰარდ კუდენჰოვემ ცხარე მოღვაწეობა გააჩაღა. ევროინტეგრაციის მთავარმა იდეოლოგმა ოთხი პან-ევროპული კონგრესის მომზადება და ჩატარება მოახერხა: ვენაში (1926, 1935); ბერლინში (1930) და ბაზელში (1932). ერთ-ერთ სხდომაზე „პოლიეჟოვიციელი გეოგრაფები“ გეგმის პატარა ნაწილიც განხორციელდა — გამოაცხადეს ევროპული პარტიის შექმნა, რომლის



მათი სახელები და ავტორიტეტი ერთიანი ევროპის იდეის საუკეთესო პროპაგანდას წარმოადგენდა.

მთავარ ამოცანად მშვიდობის ხელშეწყობა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა დაისახა.

მაგრამ შემდეგ სხვა დრო დადგა: 1933 წელს გერმანიის სათავეში მოსულმა ნაცისტებმა საკუთარ ტერიტორიაზე პან-ევროპული კავშირის მოღვაწეობა აღკვეთეს, ხოლო კუდენჰოვე-კალერგის ყველა წიგნი იმ ლიტერატურის ნუსხაში მოხვდა, რომელიც დაწვას დაექვემდებარა, რადგან „ევროპის გაერთიანება რასების დაუშვებელ შერევას მოიტანდა“. ადოლფ ჰიტლერმა პან-ევროპას „რასობრივი გარეწების იდეალი და ებრაელების მიერ ევროპის დაპყრობის ინსტრუმენტი“ უწოდა. აქედან გამომდინარე, პან-ევროპეიზმის მთავარ მტრებად იმხანად გერმანელი ნაციონალ-სოციალისტები იქცნენ.

ამ მხრივ, 1935 წელი პან-ევროპული კავშირის განვითარების გარდამტეხ წლად იქცა. რაც უფრო ახლოვდებოდა მეორე მსოფლიო ომი, მით უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ ქვეყნები ევროინტეგრაციის იდეებს. რეალურ პოლიტიკაზე პან-ევროპული კავშირის გავლენა

შესუსტდა. პრობლემათა განხილვა მხოლოდ ერთა ლიგის სხდომებზე ხდებოდა შესაძლებელი (ეს ერთადერთი ორგანიზაცია იყო, რომელიც ევროპულ ქაოსს უპირისპირდებოდა). ომებს შორის პერიოდში სახელმწიფოთა ნაციონალისტურმა განწყობილებამ იმძლავრა, მათ ლიდერებს კი არ აღმოაჩნდათ სურვილი, ოფიციალურად მიეღოთ პან-ევროპული იდეა. აღინიშნებოდა ეკონომიკური ავტარკიის (თვითკმარობა) მიდრეკილებებიც. ბევრ პოლიტიკოსს არ სჯეროდა წინასწარმეტყველური პროგნოზის, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ევროპა არ გაერთიანდებოდა,

ის აუცილებლად რუსებისა და ამერიკელების ინტერესთა სფეროებად დანაწილდებოდა.

30-იანი წლების შუახანს პან-ევროპულმა მოძრაობამ გეზი არა შემდგომი გაფართოების, არამედ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ევროპაში ახალი ომის დაუშვებლობისკენ აიღო. ამასთანავე, ის მეთოდურად და თანამიმდევრულად ამზადებდა კადრებს ელიტის იმ წარმომადგენელთაგან, რომლებიც მომავალში აღიარებულ სულიერ ავტორიტეტთა მისიის შესრულებას შეძლებდნენ. სხვადასხვა დროს პან-ევროპული კავშირის წევრი ბევრი გამორჩენილი ინტელექტუალი ყოფილა: ალბერტ აინშტაინი, ბერნარდ შოუ, პოლ ვალერი, ჰაინრიხ და თომას მანები, ხოსე ორტეგა-ი-გასეტი, შტეფან ცვაიგი, რაინერ მარია რილკე, მიგელ დე უნამუნო, ზიგმუნდ ფროიდი, ფრანც ვერფელი, სალვადორ დე მადარიავა; ასევე პოლიტიკოსები: ოტო ფონ შპაბსბურგი, კონრად ადენაუერი, შარლ დე გოლი, ფრანც იოზეფ შტრაუსი, ბრუნო კრასკი, ჟორჟ პომპიდუ და სხვ. მათი სახელები და ავტორიტეტი ერთიანი ევროპის იდეის საუკეთესო პროპაგანდას წარმოადგენდა.

## „ინათაი..“

1938 წელს ავსტრიაში ნაცისტური ანშლუსის შედეგად, პან-ევროპული კავშირის ბიურო ლიკვიდირებული იქნა. მეორე მსოფლიო ომის წლებში კუდენჰოვე-კალერგიმ ევროპის ტე-

რიტორიაზე მოღვაწეობა შეწყვიტა. უკანასკნელ მომენტში ის ხელიდან დაუსხლტა ნაცისტებს, რომლებიც ევროპის გაერთიანებას სულ სხვა პრინციპით გეგმავდნენ. გრაფი ჯერ „მშობლიურ“ ჩეხოსლოვაკიაში გაემგზავრა, შემდეგ — შვეიცარიაში, იქიდან — საფრანგეთში. ამ ქვეყნის კაპიტულაციის შემდეგ, 1940 წელს, გრაფი, პორტუგალიის გავლით, აშშ-ში ჩავიდა.

1942-45 წლებში კუდენჰოვე ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ისტორიას ასწავლიდა, ამერიკაში კი პან-ევროპულ იდეებს განავითარებდა.

1943 წელს, პან-ევროპული კავშირის მეხუთე კონგრესი სნორედ ნიუ-იორკში ჩატარდა. ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წელს გრაფი ევროპაში დაბრუნდა და საკუთარი კონცეფციის დანერგვის საქმე წამოიწყო. პოპულარიზატორთა რიგებში მან ცნობილი ადამიანები ჩააყენა, მაგალითად, ისეთი აღიარებული პოლიტიკოსი, როგორც იყო დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, სერ უინსტონ ჩერჩილი, ასევე, საფრანგეთის ლიდერი — შარლ დე გოლი.

1946 წლის 19 სექტემბერს ჩერჩილი ციურისის უნივერსიტეტში გამოვიდა სიტყვით, რომლის მომზადებაშიც კუდენჰოვე-კალერგი მონაწილეობდა. ამ სიტყვაში დეკლარირებული იყო პან-ევროპული იდეის საფუძველზე „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნის აუცილებლობა. ქარიზმატულ ინგლისელ ექსპრემიერს ამ იდეის ავტორის დამსახურების აღნიშვნა დააფინყდა.

დაუღლებელი და მოუსვენარი გრაფი, კონსერვატიულ-ქრისტიანული პოზიციებიდან, მწვავედ აკრიტიკებდა ომის შემდგომი პერიოდის ევროპული ინტეგრაციის ვიწრო ეკონომიკურ და ტექნოკრატიულ მიმართულებებს. ის აშკარად გამოდიოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა საბჭოთა ოკუპაციისგან გათავისუფლების მოწოდებით და თავისუფალი ევროპული სახელმწიფოების უფრო მჭიდრო ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანების სასარგებლოდ. ევროპას, შორეულ პერსპექტივაში, რუსეთსაც მიაკუთვნებდა, რადგან მიაჩნდა, რომ ის დროებით განუდგა ევროპულ დემოკრატიას და მომავალში, ევროპასა და აზიას შორის კულტურული საზღვრები არა ურალზე, არამედ ალტაიზე გაივლებოდა. ის წერდა: „ევროპა გან-



ფენილი იქნება ჩინეთამდე, იაპონიამდე და წყნარ ოკეანემდე. მასსადაამე, ასე შორს აღმოსავლეთით და ამხელა სივრცეზე დემოკრატიული სისტემა გავრცელდება“.

1947 წელს, ევროპელი პარლამენტარების გასაერთიანებლად, კუდენჰოვე-კალერგიმ ევროპული საპარლამენტო კავშირი დააფუძნა და მისი გენერალური მდივანი გახდა. თავდაპირველად, ევროპის საპარლამენტო კავშირი ყველა სხვა ორგანიზაციასთან გაერთიანების წინააღმდეგე იყო. მხოლოდ 1952 წელს, ევროპული მოძრაობის წევრი გახდა და კუდენჰოვე-კალერგი ამ მოძრაობის საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს.

**„თოზიანი კაცის არჩეული“**  
„პან-ევროპეიზმის მამა“ რუსეთსა და აშშ-ს დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა, რადგან მათ გაერთიანებული ევროპის მთავარ საფრთხედ მიიჩნევდა: საბჭოთა კავშირის ევროპაზე თავდასხმა, ხოლო ამერიკას მისი ყიდვა შეეძლო. თუმცა, თუკი აშშ-ზე ის მხოლოდ აღნიშნავდა, რომ ევროპას ამ სახელმწიფოს მიმართ დამოუკიდებლობა უნდა შეენარჩუნებინა, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობები კუდენჰოვეს მთავარ თავსატეხად ესახებოდა. ის წერდა: **„ევროპას შეუძლია, ომით გამოწვეული ეკონომიკური კატასტროფის შედეგები დასძლიოს მხოლოდ რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობითა და რეკონსტრუქციაში მისი მონაწილეობით. რუსეთსა და ევროპას ერთმანეთი სჭირდებათ, რათა ერთობლივი ძალებით აღდგნენ“...**

შეიძლება ითქვას, რომ პან-ევროპული პოზიცია რუსეთთან მიმართებაში ამ პროექტის წინააღმდეგობრიობის მაგალითს წარმოადგენს: ერთი მხრივ, კუდენჰოვე კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ რუსეთი ნებისმიერი მმართველობის პირობებში სახიფათოა და ამიტომაც, ერთადერთ გამოსავლად ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანება ესახებოდა, მასთან თანაარსებობის სამშეიდობო საშუალებათა მუდმივ ძიებაში იყო; მეორე მხრივ, პარადოქსული დიპლომატიურობით აზუსტებდა: „მომავალი პლანეტური ადამიანის წინაპრად თანამედროვე ევროპაში, რუსი გვევლინება, რომელიც საკუთარ თავში სლავურ-თათრულ-ფინურ ნაზავს აერთიანებს და მთელ ევროპულ ხალხთან შორის, ყველაზე ნაკლებად გამოირჩევა გამოკვეთილი რასობრიობით. ამდენად რუსი — ტიპური სულის ადამიანია“...

**„ევროპისთვის მუღამ ზაღადყოფი“**

1950 წლის 18 მაისს გრაფი რიჰარდ კუდენჰოვე-კალერგი კარლოს დიდის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი გახდა. ეს იყო მისი ღვანლის დაფასება ევროპის გაერთიანებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის; მოღვაწეობის, რომელიც მთელი მისი ცხოვრების აზრად იქცა.

გარკვეული ხნის შემდეგ, მან ევროპის საბჭოს გაერთიანებული ევროპის დროშის პროექტი შესთავაზა. დროშაზე ქრისტიანული ჯვრის არსებობის გამო, პროექტი დაინუნეს.

1955 წელს გრაფმა ახალი ევროპის ჰიმნის სახით, ბეთჰოვენის „სიხარულის ოდა“ წარმოადგინა, რაც დღეს ევროკავშირის ოფიციალურ ჰიმნადაა აღიარებული.

ევროპის ერთგული პატრიოტისა და მტკიცე კონსერვატორის, რიჰარდ კუდენჰოვე-კალერგის გული 1972 წლის 27 ივლისს გაჩერდა. მისმა პირადმა მდივანმა, ქალბატონმა დეშმა მოგონებებში დაწერა, რომ გრაფმა თავი მოიკლა, რაც გულმოდგინედ შენიღბა, თუმცა, ყველა სამეცნიერო ბიოგრაფიაში წერია, რომ მან ბუნებრივი სიკვდილით დატოვა ეს სამყარო.

თომას ედისონი ამბობდა: „როცა საგანი ისე არ მუშაობს, როგორც თქვენ გეგმავდით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის უსარგებლოა“.

ობიექტურმა თუ სუბიექტურმა მიზეზებმა, კუდენჰოვეს პან-ევროპულ პროექტს ცხოვრებაში სრულყოფილი რეალიზების ნება არ მისცა. მისი გავლენა სახელმწიფოთა პოლიტიკაზე თავდაპირველად იმით შემოიფარგლა, რომ დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფორუმებზე მტკიცებულ ევროპულ პრობლემებზე მსჯელობას შეუნყო ხელი.

გრაფის იდეა, რომელმაც დროს წინ გაუსწრო, მის სიცოცხლეში უტოპიად ესახებოდათ. მაგრამ ფაქტია: ევროპის გაერთიანების იდეა სულიერ ტრადიციად იქცა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. მან დროთა განმავლობაში დინამიზმი და შინაგანი ძალა მოიკრიბა და ევრო-

პელი საზოგადოება მისი განხორციელებისთვის მოამზადა. სწორედ ამაში გამოიხატება კუდენჰოვე-კალერგის, როგორც გაერთიანებული ევროპის იდეის ავტორისა და სულიერი მასწავლებლის, ეჭვმიუტანელი დამსახურება.

გრაფის მრავალი პესიმისტური წინასწარმეტყველებაც ახდა. როგორც მან განჭვრიტა, ევროპის კონტინენტი ახალმა, პირველ მსოფლიო ომზე უფრო საშინელმა ომმა გამოფიტა, ხოლო საბჭოთა კავშირმა რამდენიმე ათწლეულით დაიქვემდებარა ევროპის აღმოსავლეთი და ნაწილობრივ ცენტრალური ნაწილი. თუმცა საბოლოოდ ევროპა მაინც გაერთიანების გზას დაადგა.

შვეიცარიული ალპების ფერდობზე განთავსებულ, მოკრძალებული საფლავის ქვაზე, რომელიც იაპონური ქვების ბალისა და ველური ვენახის ქვეშ იმალება, ვკითხულობთ: **Pionnier des Etats-Unis D'Europe** — „ევროპისთვის მუღამ მზადყოფი, როგორც პიონერი“. ალბათ სხვა ეპიტაფიას გრაფი საკუთარი თავისთვის არც ისურვებდა.

დღეს ევროკავშირში 28 სახელმწიფოა გაერთიანებული. მისი საწყისი შეადგენლობა 1957 წელს შედგა და 6 ქვეყანა გააერთიანა: ბელგია, გერმანია (ფედერაციული რესპუბლიკა), იტალია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია და საფრანგეთი. 1973 წ. მათ შეაერთდნენ: ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო, დანია და ირლანდია. 1981 წ. ევროპის წევრად მიიღეს საბერძნეთი, 1986-ში – ესპანეთი და პორტუგალია. 1995 წ. ევროკავშირს ემატა 3 სახელმწიფო – ავსტრია, ფინეთი და შვედეთი შეაერთდნენ. „ევროპულ ოჯახს“ ყვალაზა დიდი შემაჯობა 2004 წ. ჰქონდა – ერთდროულად 10 სახელმწიფო გაწევრდა: უნგრეთი, ჰინდუსი, ლატვია, ლიბია, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთი და ესტონეთი. სამი წლის შემდეგ – 2007-ში მათ მიჰყვნენ ბულგარეთი და რუმინეთი. დღემდე ბოლო – 28-ი წევრად ევროკავშირში შემაჯობა ხორვატია მიიღეს.






# ამბავი ავტოზუსების გარეგანზე მსოვრებ ბიჭუნაზე და ფერებამორთიქული ქართული სისარტყელა

საკუთარ თავს პირობა მივეცი, არ „გამემონიტორებინა“ „ფეისბუკის“ აქტიუ-  
ალური თემები, თუ რომელიმე მათგანი განსაკუთრებულ შთაბეჭდლებას არ  
მოახდენდა ჩემზე. საქართველოში აქტიუალური კვლავ პოლიტიკაა, საუბრები  
მომავალ არჩევნებზე, „ელგებებზე“, ვინ მოაწერს ასოცირების ხელშეკრულ-  
ბაზე ხელს — პრემიერი თუ პრეზიდენტი და ადამიანები, რომლებიც თამამი  
საქციელითა თუ რეპლიკებით პოპულარობის მოხვეჭას (საკუთარი თავის  
გაპიარებას) ცდილობენ. მაგრამ არის სოციალურ ქსელში თემები, რომლებიც  
გაცილებით დიდ ყურადღებას მოითხოვს, ვიდრე მათ ეთმობა. ამბავს, რომე-  
ლიც უნდა მოგიტხროთ, ჩემი აზრით, კაცობრიობის სირცხვილი უნდა ეწოდოს  
— კაცობრიობისა, რომელიც ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, სქესის  
იდენტიფიცირებისა და საკუთარი თავის გაპიარებაზე უფრო სერიოზული  
პრობლემის წინაშე დგას. ეს — სიღარიბეა.

## ქათი ნიკოლაკა

ლურჯ პერანგში შემოსილი ბიჭი  
უსიცოცხლოდ წევს მზისგან გახუ-  
რებულ ტროტუარზე და გამვლელებს  
მავედრებელ მზერას აყოლებს. ეს  
მუმბაელი ლაკჰან კალეა, დაბადები-  
დან ყრუ-მუნჯი და ცერებრალური



დამბლით დაავადებული ბიჭუნა,  
რომელსაც ყველაფერთან ერთად,  
დროდადრო ეპილეფსიის შეტევაც  
ემართება. ის თავს ვერ აღწევს მზის  
მცხუნვარებას, რადგანაც ქუჩაზე მდ-  
გარ ავტობუსების გაჩერების რკინის  
სკამზე თოკით არის მიბმული. სკამზე  
ბებიამ მიაბა, 66 წლის სახუბი კალემ.  
ასე ავადმყოფი ბიჭი უსაფრთხოდ  
იქნება მანამდე, სანამ ბებია მუმბაის  
ქუჩებში ხელნაკეთ თოჯინებს ყიდის.

— სხვა რა გზა მაქვს? ბიჭი ყრუ-  
მუნჯია. სადმე რომ დაიკარგოს ვერ-  
სად ვიპოვი. თან, ჩვენ უსახლკარონი  
ვართ, აქვე ქუჩაში ვცხოვრობთ და  
შესაბამისად, არც მისამართი გვაქვს.  
ლაკჰანი სულ პატარა იყო, მამა რომ  
გარდაეცვალა, დედა კი სადღაც გა-  
დაიკარგა და აგერ უკვე წლებია, მას-  
ზე არაფერი გამიგია, — ამბობს ბებია  
და თვალბზე მომდგარ ცრემლს  
დაკოჟირილი ხელით ინმენდს.

ერთ დღეს უცხოელი ფოტოგრა-  
ფის მიერ გადაღებულმა ფოტოებმა

პატარა უსახლკარო ბიჭუნა მთელ  
მსოფლიოს გააცნო. თუმცა ინდოე-  
თი იმ ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება,  
რომლებსაც არ გააჩნია საჭირო რა-  
ოდენობის დანესებულებები მსგავსი  
პრობლემების მქონე ადამიანების-  
თვის და ხშირ შემთხვევაში, ისინი  
ბედის ანაბარად არიან მიტოვებული.  
ქვეყანაში კი არის რამდენიმე არა-  
სამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ  
ისინი მილიარდიანი მოსახლეობის  
უსახლკაროთა ნაწილს ვერაფრით  
ეხმარებიან. ასეთ დღეში ინდოეთში  
დაახლოებით 40-დან 60 მილიონამდე  
მოსახლეა. თუმცა, მომავალი წლის  
თებერვალში ინდოეთის პარლამენტი  
აპირებს კანონპროექტის განხილვას,  
რომელიც სიღარიბის ზღვარს მიღმა  
მყოფი ადამიანების სოციალურ რეა-  
ბილიტაციას შეეხება და რომლითაც  
გათვალისწინებული უნდა იყოს რო-  
გორც საცხოვრებელი პირობების  
შექმნა და დასაქმება, ასევე განათ-  
ლების საკითხების მოგვარება. მაგ-  
რამ ხალხს ამისი ნაკლებად სჯერა:  
5 წელია, ეს საკითხი განსახილველი  
პრობლემების რიგში დგას.

ქალბატონი კალე კი იმედს მა-  
ინც არ კარგავს. ის ყოველ დილით  
ცხელ ჩაისა და ძველი პურის ნატეხს  
აჭმევს ავადმყოფ შვილიშვილს და  
მოუთმენლად ელოდება 2015 წლის  
თებერვალს, რათა სამუდამოდ გაა-  
თავისუფლოს ბიჭუნა ბორკილისგან.

ყოველთვის, როდესაც სახლში  
ვბრუნდები, ლეონიდის ქუჩის ასახ-  
ვევთან, სასტუმრო „მარიოტის“  
გვერდზე ვხედავ, აგერ უკვე მერამ-  
დენე წელია, ახალგაზრდა ქალი ასე  
7-8 წლის გოგონასთან ერთად, ძირს  
დაფენილ ასფალტზე ზის, გვერდით  
პლასტმასის ერთჯერადი ჭიქა უდ-  
გას, რომელშიც ორიოდ ხუთთეთ-  
რიანი უყრია და სევდიანი თვალებით  
გასცქერის სივრცეს. მახსოვს, ეს  
ქალი რამდენიმე თვის წინ ფეხმძიმედ  
იყო. დღემდე არ მასვენებს კითხვა:  
ახალშობილს რა ბედი ეწია?.. ან რამ-  
დენჯერ შევსწრებივარ თბილისის  
გაყინულ ქუჩებში გარდაცვლილი  
უსახლკაროს ირგვლივ შეკრებილ,  
შენუხებულ თანამოქალაქეებს!..  
ასეთ კადრებს მეხსიერებიდან ვერ  
ამოშლი.

განა ჩვენთან ცოტანი არიან? განა  
ჩვენთან მათზე ფიქრობენ? განა ჩვენ-  
თან გული შესტკივათ? არჩევნები,  
პრემიერისა და პრეზიდენტის ჭიდი-  
ლი, არანორმალურად გაზრდილი  
პრემიები, სქესის იდენტიფიცირებისა  
და ცისარტყელას მიმართ პროტეს-  
ტია პოპულარული თემები ჩვენთან.  
ახალი ცისარტყელაც გაავრცელეს  
„ფეისბუკში“. მასში მხოლოდ ერთი  
ფერია — შავი და „ეროვნული ცისარ-  
ტყელა“ უწოდეს ცისარტყელოფობი-  
თ შეპყრობილებმა.

*მომავალ Facebook მონიტორამდე*






# პროექტი მაკულიტერატურა

კონტრფეტს!


მიიღათ ძველი წიგნები, ჟურნალები, რვეულები...  
და მიიღეთ სანაცვლოდ ახალი წიგნები



150  
წერტი



35  
წერტი




140  
წერტი



28  
წერტი

თითო წიგნი



60  
წერტი

თითო წიგნი

და სხვა მრავალი წიგნი

## განაცვლად შენი თარო და შეინარჩუნე გარემო!

მაკულიტერატურის ჩაბარება შეგიძლიათ წერეთლის №116 -ში ყოველ დღე, კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

ახალი წიგნების არჩევა შეგიძლიათ სავაჭრო ცენტრ „დიდუბე პლაზას“ ეზოში - ჯიხური 10  
მისამართი: წერეთლის გამზირი №116, 10-დან 18 საათამდე.  
ტელ: 599 888 226; 599 888 225

[www.makuliteratura.ge](http://www.makuliteratura.ge)



დასაწყისი იხ. გვ. 17

მაღალი ეშელონებია ჩართული, ამას ისიც ადასტურებს, რომ როცა ნოდარ გვიჩიანი ნარკორეალიზაციისთვის დააკავეს, მას „სიტყვაზე ენდვენ“ და გადაუხდელი გირაოს (500 ათასი ლარი) საფუძველზე წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. როგორ ნარმოგიდგენიათ, რომ ნარკორეალიზატორს (ფარულად გადაღებული აქვთ, როგორ ყიდის ნარკოტიკს, სახლიდან უღებენ 243 აბ სუბუტექსსა და იარაღს), რომელსაც გარანტირებული აქვს სამუდამო პატიმრობა, სიტყვაზე ენდობიან და ათავისუფლებენ? ამას რომ რიგითი გამომძიებელი არ გადაწყვეტდა, ხომ ფაქტია. გარდა ამისა, ამ მკვლელობაში თუ მაღალჩინოსნები არ არიან ჩართულნი, შემთხვევის ადგილზე მისულ დავით კეკუას რატომ უნდა გასჩენოდა ტყვიის გულის შეცვლის სურვილი? ისიც გახსოვთ ალბათ, გენერალი კეკუა მერე ციხეში გაურკვეველ ვითარებაში რომ გარდაიცვალა. როგორც ნოდარ გვიჩიანი ამბობს, მას აქვს ისეთი ინფორმაცია, რასაც ტელეფონით არ ამბობს. ჩავიდნენ და დაპკითხონ. მათი ახალი ჩვენებები რომც არ გაითვალისწინონ, ჩვენ იმ ჩვენებებითაც ვმართობდებით, რაც აქამდე აქვთ მიცემული. რატომ არ ინტერესდებიან, ვინ ახდენდა მათზე ზენოლას?

— რატომ არ უნდა აძლევდეს ხელს პროკურატურას მათი დაკითხვა და სიმართლის დადგენა?

— პროკურატურა არათუ არ იძიებს, ვინ და რა პირობებში მოახდინა მათზე ზენოლა, არამედ სირაქლემის პოზაშია. რაში უნდა აძლევდეთ ხელს, როცა საქმეში დევს წინასწარ გამომძიებელი 500-ათასლარიანი გადაუხდელი გირაო-სადა შემდეგ, მანკიერად გაფორმებული



გია გვიჩიანი

საპროცესო გარიგებების დოკუმენტური მტკიცებულებები? უფრო მეტიც, დღემდე არ იძიებენ 2013 წლის იანვარში აღძრულ სს საქმეს ჩვენი დნმ-ების და თითის ანაბეჭდების საექსპერტო დასკვნების დამალვის ფაქტზე, დამნაშავე პირების გამოსაფლენად. პროკურატურა ასევე, დღემდე არ იძიებს 2013 წლის 18 დეკემბერს აღძრულ საქმეს, რომელიც ჩემს ცემა-ნამებას ეხება. ჩვენ არანაირი კომპენსაცია არ გვავინტერესებს, ოჯახებში გვინდა დაბრუნება. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ გამოძიებას ხელს უშლის მთავარი პროკურორის მოადგილე შოთაძე, რომელმაც თავისი კარიერული აღმასვლა ჩვენი საქმით დაიწყო. ღარიბაშვილს ატყუებენ, შოთაძე იმ დროს სტაჟიორი იყო, არადა, მას პროკურორის სტატუსით აქვს ხელი მონერილი საბრალდებო დასკვნაზე. ჩვენს განაჩენში არათუ მტკიცებულებათა ერთობლიობა, არამედ ერთი უტყუარი მტკიცებულებაც კი არ არის. ბრალდების მხარე გვირდება, რომ ისინი თავიანთ დასკვნით სიტყვაში ახსნიან ყველაფერს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ისეთი უტყუარი ფაქტები და აღიბეზა საქმეში, ვერაფერს ახსნიან. მაშინ გვერდით უნდა აუაროს მათ მიერ მოსყიდული ცრუ მონემების ჩვენებებსა და ყველა ფაქტობრივ გარემოებას. ჩვენ იქით ვუმტკიცებთ, რომ თეორიულ დონეზეც კი ვერ ჩავიდნენ ამ დანაშაულს. შესაძლოა, მათ ისიც კი ამტკიცონ, რომ მე ტელეპორტაციით გაგზნდი გერმანიიდან თბილისში და ისევ უკან დაგვრუნდი. სასამართლოზე გაუფრდებია ისეთი გარემოებაც, რომელიც თავდაყოფა დააყენებს ბრალდების ვერსიას. სამართლიანობის აღდგენის იმედი ჩამისახა ჩვენს საქმეზე გენპროკურორის ბრიფინგზე იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებამ. მე ველარ შევძლებ, ვატარო მკვლელის სახელი. ორი უდანაშაულო ადამიანი სამუდამო პატიმრობისა და სიკვდილისთვის გაგვნირეს.

— სად იმყოფებით ლომინაძის მკვლელობის დროს და მოსამართლემ რატომ არ გაიზიარა თქვენი ალიბი?

— არსებობს საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან ამონაწერი, რომ საქართველოდან გერმანიაში მივემგზავრები 23 ივლისს და ჩამოვდივარ 10 აგვისტოს (არსებობს სატელეფონო ამონაწერიც), რასაც სასამართლომ გვერდი აუარა. ჩემი და ლომინაძის საქართველოში ყოფნა არც დროში ემთხვევა და როგორ ვუთვალთვლებდი და ვსწავლობდი მის მარშრუტს, საინტერესოა.

ლომინაძე ვენესუელიდან დაბრუნდა 22 ივლისს. 10-11 აგვისტოს წასული იყო დასავლეთ საქართველოში, 12-ში ჩამოვიდა და 13-ში მკვლელობა მოხდა. ანუ ჩვენი თბილისში ერთდროულად ყოფნა მხოლოდ 12 აგვისტოს ემთხვევა. მკვლელობის მომენტში, დილის 8-ის ნახევრიდან 9 საათამდე კი თბილისის რკინიგზის სადგურში ვიმყოფებოდი ოჯახის წევრებთან ერთად (არსებობს სატელეფონო ამონაწერები); ბათუმში მივდიოდით. სასამართლომ ვერ ახსნა, ივლისში როგორ უნდა დამედგინა ლომინაძის ვიზუალი ან ის, რომ ბახტრიონზე ცხოვრობდა, ან თვალთვალი, იმ მარტივი მიზეზით, რომ ლომინაძე 27 ივნისს ნავიდა ვენესუელაში, მაგ დროს კინოდარ გვიჩიანი იყო ციხეში (ციხიდან 3 ივლისს გამოვიდა). ხერკილაძე აცხადებს, ივნისში მოხდა მოლაპარაკება ჩვენსა და გვიჩიანს შორის. ან გვიჩიანს საიდან უნდა სცოდნოდა ივნისში, რომ აგვისტოში ლომინაძე ბახტრიონზე, მამის სახლში დარჩებოდა?

— ნოდარ გვიჩიანთან რა ურთიერთობა გქონდა?

— მე და გვიჩიანი ერთუბნელები, ბახტრიონელები ვართ და 1996-დან 1999 წლამდე კარგი ურთიერთობა გვქონდა, შემდეგ მოხდა უსიამოვნება და გავწყვიტე მასთან ურთიერთობა. შეიძლება, შემთხვევით რაღაც მოგიხდეს, ადამიანიც შემოგაკვდეს, მაგრამ ფულის გულისთვის ნახვიდე და სრულიად უცხო კაცი მოკლა, ამორალობაა. მე რა ადამიანიც ვარ და რისი გამკეთებელიც, ვინც მიცნობს, ყველამ იცის. კილერის იარაღი რომ არ მივიკარი, ამიტომაც ვზივარ მაღენ ხანს ამ ჯოჯოხეთში და ამიტომ მაგულობს ნამედას. ლომინაძის მამას უთქვამს, ვენდობი გვიჩიანის ჩვენებას, მე პროკურორის მჯერაო. რა ველაპარაკო გამწარებულ მამას? უარგუმენტოდ ვინმესი რატომ უნდა გჯეროდეს? როგორ შეიძლება, არ გაინტერესებდეს შვილის ნამდვილი მკვლელის ვინაობა? ბოლოს და ბოლოს, აიყვანოს ავტორიტეტული ადვოკატი, თუნდაც — უცხოელი და გაარკვიოს სიმართლე. ფული თუ არ აქვს, ჩვენ გადავუხდით, მეტი რა გავაკეთო აქედან? მეცოდება, მაგრამ იმის გამო, ოღონდ წყნარად იყოს და დაიჯეროს, რომ მე ვარ მკვლეელი, ციხეში ყოფნას არ ვაპირებ. ხელისუფლება თუ დაიცავს სასამართლოს იმისგან, რომ ირაკლი შოთაძის ან მის დაქვემდებარებაში მყოფი პროკურორების მხრიდან ზენოლა არ მოხდეს, 100%-ით ვარ დარწმუნებული, რომ გავმართლდებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისლა დავგრჩინა, სტრას-ბურგს მივმართო.





# „ნონსტოპი“

## თეატრის ივანიძის კოლაქსიიდან

(მოდერნიზმის რუბრიკა „ანტიდაქრისანობი“ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით)

ლავრენტი ბერიას ივანე ჯავახიშვილთან ფარული, პირადი მტრობა ჰქონდა. ჯავახიშვილს სემესტრის დამთავრება არ აცადეს, ისე დაითხოვეს უნივერსიტეტიდან. მთვრალმა სტუდენტებმა ლექციის ჩატარების საშუალება არ მისცეს და აუდიტორიიდან გააგდეს. რეპრესიების დროს ივანე ჯავახიშვილის გადარჩენას სტალინის ცოლისძმას, ალექსანდრე

მომანოდე ჩემი დის ხელთათმანო.

საბჭოთა კინოცენზურა ხანდახან სრულ აბსურდამდე მიდიოდა. ყველას გახსოვთ, ლეონიდ გაიდაის კომედია „ნაპარნიკი“, სადაც ხულიგანი ფიოდორი მის საცემრად წკეპლამომარჯვებულ შურიკას ეხვეწება, „მოჟებ ნე ნადა!“ ის კი პასუხობს: „ნადა, ფედია, ნადა!“ ცენზორის მტკიცებით, რეჟისორი ამ სიტყვებით ფიდელ კასტროს შეურაცხყოფდა.



სვანიძეს მიაწერენ, მაგრამ სინამდვილეში თავად სტალინს დასჭირდა ჯავახიშვილი — ბელადს სურდა დაემტკიცებინა, რომ იგი მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყნიდან იყო და არა ვიღაც ბარბაროსი, რასაც ხშირად იმეორებდა ტროცკი. ჯავახიშვილს დაევალა ჯულაშვილების გენეალოგიის გამოკვლევა, რასაც მან კარგად გაართვა თავი და სტალინის მოწონება დაიმსახურა. ამის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი დეპუტატად აირჩიეს, მისცეს აგარაკი და პერსონალური ავტომობილიც დაუნიშნეს. იგი 64 წლის ასაკში ლექციის კითხვისას გარდაიცვალა.

ერთხელ, თეატრ გლობუსში სპექტაკლის დროს, ინგლისის დედოფალმა ელისაბედ ტიუდორმა სცენაზე ხელთათმანი ისროლა. შექსპირმა, რომელიც მეფის როლს თამაშობდა, ვერ გაბედა, უყურადღებოდ დაეტოვებინა დედოფლის ეს ქმედება და პარტნიორს მიმართა, — აიღე და

ადამიანის ტვინში დაბადებისთანავე დაახლოებით 14 მილიარდი უჯრედია და მათი რაოდენობა სიცოცხლის ბოლომდე აღარ იზრდება. 25 წლის ასაკიდან უჯრედების რაოდენობა დღეში 100 ათასით კლებულობს. საშუალო სირთულის ტექსტის კითხვისას ტვინი წუთში 70 უჯრედს კარგავს. 40 წლის შემდეგ მკვეთრად ჩქარდება ტვინის დეგრადაცია, 50 წლის ასაკიდან კი ნეირონების (ნერვული უჯრედების) დაშრეტა ხდება და ტვინის მოცულობა მცირდება.

70-იან წლებში შოტლანდიაში ჩატარდა მოკრივეთა დიდი ტურნირი. გამარჯვებულისთვის დაწესებული იყო ულამაზესი თასი, ხოლო მეორე ადგილზე გასული სპორტსმენისთვის — 10 ათასი გირვანქა სტერლინგი. ფინალში გასულ ორივე მოკრივეს მეორე ადგილზე გასვლა სურდა. პირველ რაუნდში ისინი 2 მეტრზე ახლოს არ მიჰკარებდნენ ერთმანეთს. მეორე რაუნდში კი ერთ-ერთ მოკრივეს დარბაზიდან დამამცირებელი სიტყვები შემოესმა, ნერვებმა უმტყუნა, მონინალმდეგეს მიუახლოვდა და ხელი მოუქნია. ეს უკანასკნელი მაშინვე „ნოკაუტში ჩავარდა“. ათწამიანი ათვლის დროს „გამარჯვებული“ დარბოდა კუთხიდან კუთხეში იმის იმედით, რომ მეტოქე ფეხზე წამოდგებოდა. ის კი „გემრიელად“ ინვა და 10 წამის ამონურვას ელოდა. უკვე პრაქტიკულად გამარჯვებული

მეტოქე მიხვდა, რომ 10 ათასი ხელიდან ეცლებოდა, გამწარებული მივარდა ვერაგ მეტოქეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წიხლი ჩააზილა. ამ ქმედების გამო იგი დისკვალიფიცირებულ იქნა და მოგება მის მეტოქეს ჩაეთვალა.

„შევალე დე ზოლრუში“ ალექსანდრე დიუმამ 66 საათში დაწერა. ნაძლევი ჰქონდა დადებული, რომ სამ დღეში დაწერდა და დათქმულ ვადაზე ადრე დაასრულა ნაწარმოები.

ინგლისის მეფე ჯეიკობ II-ეს ერთი ქალბატონი ევედრებოდა, — მთელი ცხოვრება ვნატრობ, ჩემი შვილი ჯენტლმენად ვიხილო, ჩემი ოცნების ასახდენად თქვენი თვალის დახამხამებაც კმარა და უარს ნუ მეტყვი. „ქალბატონო, მე შემეძლია, თქვენს შვილს თავადის ტიტული ვუბოძო, მაგრამ თუკი მას თანდაყოლილი თვისებები არ გააჩნია და შესაბამისი აღზრდა არ აქვს, ჯენტლმენად მამაზეციერიც კი ვერ აქცევს“, — მიუგო მეფემ.

პატიმრობაში მყოფი სადამ ჰუსეინი თვითონ ირეცხავდა ტანსაცმელს. ზედამხედველები ნებას აძლევდნენ, მოენია თავისი საყვარელი სიგარები. საკნის ერთ კედელზე, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ჯარისკაცებმა ბუშის სურათი ჩამოჰკიდეს, სამაგიეროდ უფლება მისცეს, მეორე კედელზე თავისი ორი დაღუპული ვაჟის სურათები დაეკიდა.

დიეგო მარადონა ინგლისის ნაკრების კარში ხელით გატანილი გოლის გამო ლამის ჯვარს აცვა პრესამ. გაბეზრებულმა ფეხბურთელმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „ინგლისელთა მეკარეს, შილტონს შეეკითხეთ, მისი კარის ხაზი ბურთმა ათი სანტიმეტრით რომ გადაკვეთოს და მსაჯმა ვერ შენიშნოს, მივა და მსაჯს ეტყვის — გოლი გავუშვიო?“





## გზავნილები

გამარჯობა. გილოცავთ ზაფხულის მობრძანებას. ალბათ წელიწადი

# ზვილის მეგობარზე გასვლილი ოჯახი

დის ეს დრო ჩემსავით, თქვენშიც თავისუფლების ასოციაციას ინვესტ. თუმცა, ამასთან ერთად, სინანულის გრძნობაც მეუფლება, რადგან ძალიან მალე გადის და შემოდგომა ისე მალე დგება ხოლმე, რომ შეე-

ბულებაში წასვლას კი არა, თვალის დახამხამებასაც ვერ ვასწრებ ხოლმე. იმედია, წელს ყველაფერი კარგად იქნება. ახლა გავეცნოთ „გზავნილებში“ მოსულ ამბებს და მოვიფიქროთ, რას გამომიგზავნით მომავალ კვირაში.

## უღანაუაულო დამნაშავე

„გიორგი მოსიყვარულე მეუღლე და ყურადღებიანი მამა იყო, ყველას უყვარდა და პატივს სცემდა. სამსახურიც ჰქონდა და მატერიალურადაც არ უჭირდა. როცა დანაშაული გაიხსნა და მთელი ჯგუფი აიყვანეს, გიორგიმ აღიარა, — მეგობრებს ფული სჭირდებოდათ და მათ ხატრი ვერ გავუტყებო. ჯგუფში ოთხნი იყვნენ, სამი ბავშვობის მეგობარი იყო, მეოთხე — შემომატყებელი. სწორედ იმ მეოთხეს „გაუბრწყინდა“ გონება — მდიდარი მშობლების შვილები გავიტაცოთ და გამოსასყიდი მოვიტხოვოთ. პირველმა „ოპერაციამ“ გაუმართლათ, მეორე მცდელობასაც კარგი პირი უჩანდა, მაგრამ... ყველაფერი კი ასე დაიწყო: ლევანმა გიორგის უთხრა, — ვახო მაგარ შარში გაეხვია, დიდი ვალი აიკიდა და ფული უნდა მოეფროვოთო. გიორგიმ დაუფიქრებლად გამოიღო სეიფიდან 5.000 დოლარი — ამის მეტი არ მაქვს, მთელი ფული საქმეში მაქვს ჩადებულიო...“

სალამო ხანს ძველ მეგობრებს თორნიკეც შემოუერთდა. ერთად უნდა მოეფიქრებინათ, როგორ გადაერჩინათ ყელამდე ვალებში ჩაფლული ვახო. თორნიკემ — ერთი მდიდარი კაცი ვიცი, რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდა სოფლიდან, ძეხვის წარმოება დაიწყო, რესტორანიც ააშენა და უცებ გამდიდრდა. ერთი შვილი ჰყავს, 12 წლის ბიჭი. ორი დღით რომ წავიყვანოთ მისი შვილი, ისიც დაფეთდება. ბანდიტები ხომ არ ვართ, ბავშვს რამე დავუშავოთ, კარგს ვაჭმევთ და ვასმევთ, ბუმბულეებში გვეყოლება, სანამ მამამისი გამოსასყიდს მოგვიტანსო. ალბათ მეგობრის გასაჭირი რომ არა, გიორგი არ დასთანხმდებოდა ამ გარიგებას, მაგრამ ხატრი ვერ გაუტყებია ძმაცაცებს. სკოლიდან გამოსულ ბავშვს ხელი დასტაცეს და მანქანაში უკრეს თავი. კიკეთში, თორნიკეს აგარაკზე წაიყვანეს. თავიდან ცოტა შეშინებული ჩანდა ბიჭი,

ნიღბიანები რომ მიდი-მოდიოდნენ, მაგრამ ყველა კარგად ექცეოდა, მულტიფილმებს უყურებდა, აუზში ცურაობდა... ბავშვის მამამ 50.000 დოლარი მესამე დღეს დანიშნულ ადგილზე ისე მიიტანა, პოლიციისთვის არც გაუგებინებია.

ვახოც დროებით გამოძვრა რთული მდგომარეობიდან, მაგრამ ვალი კიდევ რჩებოდა. მცირე ხანი გავიდა და თორნიკემ ახალი ვარიანტი გამოძებნა. მეორე უფრო ძნელად მოსახელთებელი აღმოჩნდა. 7 წლის გოგონას მოტაცებას რა უნდოდა, მაგრამ ფრთხილობდნენ, საქმე ისე მოეგვარებინათ, მშობლებს განგაში არ აეტყებათ. ბავშვს ადრე მიაკითხეს. იცოდნენ, რომ მამის მძლოლი გაკვეთილების შემდეგ სკოლის წინ ელოდებოდა, ამიტომაც სკოლაში უფრო ადრე მივიდნენ და გოგონა საკლასო ოთახიდან გამოვიდა თუ არა, ლევანი ბავშვთან მივიდა, — დედამ გამოგზავნა, დღეს მე წავიყვანო, — უთხრა გოგონას და იქით წაიყვანა, სადაც ბიჭები ელოდნენ. ამჯერად იმერეთისკენ გაქუსლეს. როგორც კი რიკოთს გასცდნენ, მაშინვე დარეკეს ბიზნესმენ მამასთან. ოჯახი უკვე შეშფოთებული დაეძებდა გოგონას. დაზაფრულ კაცს ბავშვის გამოსასყიდის მისატანად სამი დღის ვადა დაუთქვეს. თანხა არ იყო პატარა, მაგრამ იმედი ჰქონდათ, შეძლებული მამიკო შვილის დასახსნელად ყველაფერს გააკეთებდა. გაფრთხილება მკაცრი და შეუვალი იყო — არსად განაცხადოთ, თორემ ბავშვს

მკვდარსაც ველარ იპოვიო... რა იცოდნენ, რომ გოგონას მამას ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავდა იმ უწყებაში, რომელსაც ასე უფრთხოდნენ. დათოს, ბავშვის მამას, უკვე ნათქვამი ჰქონდა მეგობრისთვის თავს დატეხილი უბედურების შესახებ... თავიდან ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გამტაცებლებს უნდოდათ, თუმცა, ფულის გადაცემის შემდეგ, ისე არ წარიმართა საქმე, როგორც ვარაუდობდნენ. შეხვედრის ადგილი სპეცრაზმელებმაც იცოდნენ და გამტაცებლები — ლევანი და თორნიკე დააკავეს. გიორგი და თენგიზ ბათუმში ელოდებოდნენ მეგობრებს. ბანდის წევრების ვინაობა რომ გახმაურდა, საზოგადოება გაოცებული დარჩა. ყველას ოჯახი ჰყავდა, თავ-თავისი საქმე და სამსახური ჰქონდათ, განსაკუთრებით გიორგის იქ ყოფნამ გააოგნა ხალხი. სასამართლოზე არც მშობლები მისულან და არც მეუღლე. დამნაშავეებს 12-12 წელი მიუსაჯეს. გიორგის ცოლს, რისიც ძალიან ეშინოდა, ის მოხდა. თავის სამეგობროში სულ ამას ამბობდა: მეშინია, გიორგის ცოდვამ ჩვენს შვილებს არ უნისო... ადრეც მორწმუნე იყო, მაგრამ ამ ამბის შემდეგ დღე და ღამე ეკლესიაში ლოცულობდა, ერთი წლის წინ უმცროს გოგონას ლეიკემია აღმოაჩნდა. დედის ლოცვამ და სათანადო მკურნალობამ ბავშვი გადაარჩინა.

წინოს სჯერა, რომ ეს იყო უმკაცრესი პასუხი გიორგის საქციელისთვის“.



ნაძღვრილი ძეგლი ამასოდეს მივსვამოვს



# მსოფლიოში ყველაზე მავარი ქმარი

„უამრავი თავგანისმცემელი მყავდა, მაგრამ ჩემი მოსაწონი არც მალალი, ქერა და ცისფერთვალება ალმონდა და არც შავგვერემანი ათლეტი. ასე რომ, კავანდარა ნიკას ჩემი იმედი არ უნდა ჰქონოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდი. — სასწაული უნდა მოხდეს, თავი რომ გავუყადრო-მეთქი.

ძმაცაცები დაუდგენენ გვერდში და ურჩიეს: — შენი ქეთა დღე და ღამე „ფეისბუქში“, ადექი და შეეხმინან, ყოველდღე თავის სურვილებს აქვეყნებს „ფეისბუქში“. შენც შეუსრულე, ოღონდ ვინაობა არ გაუმხილო. მერე, ვნახოთ რა იქნება, ამას წინათ დანერა, კოკერ-სპანიელის ლეკვი მინდაო, მერე ცისარტყელას ფერები ინატრა... ნიკას თურმე ჭკუაში დაუჯდა მეგობრების რჩევა და საქმეს შეუდგა. ჩაუჯდა „ფეისბუქს“ და ჩემი სურვილების ნუსხას გაეცნო: კოკერ-სპანიელის ოქროსფერი ლეკვი; ცისარტყელას ფერები; გურამ დორჩანაშვილის „სამოსელი პირველი“; საყვარელი ფილმის დისკი; იების კორიანტელი; შოკოლა-

დის ტორტი; ფრანგული სუნამო.

ამის შესრულება ძნელი არ იყო და ნიკამ ღამეში ლეკვი მიყიდა, თან ლურჯი ბაფთა შეაბა, კალათში ჩასვა და კარის წინ დამიდო. მერე ზარის ღილაკს თითი დააჭირა და თვითონ დაიშალა. კმაყოფილი დარჩა პირველი დღით. დადგა მეორე კვირა. ნიკამ მანქანის უკანა სავარძელი ნაირ-ნაირი ყვავილით აავსო და ვიდრე ქალაქს ეძინა, ჩემი კარის წინ ყვავილები მოფინა. ამჯერად ზარი აღარ დაურეკავს. იცოდა, რომ ოჯახიდან ერთ-ორ საათში ვინმე მაინც გამოვიდოდა...

წინგის ჩუქების ჯერიც დადგა. არც ეგ დამიგვიანა ნიკამ, მერე ფილმიც გადამინერა და ისიც კარის წინ, ღამეში შეფუთული დამიტოვა. მეხუთე კვირა დღე იისფრად აბრიალდა და კართან იების ხალიჩა დააფინა. გახარებული, „ფეისბუქს“ მეშვეობით, მთელ ქვეყანას ვამცნობდი, რომ ძალიან ბედნიერი ვიყავი. თან ცნობისმოყვარეობა მკლავდა, მაინტერესებდა უჩინარი თავგანის-

მცემლის ვინაობა. როცა უახლოეს მეგობარს, ლიკას გავუმძლავნე, — მგონი, შემეყვარდა ჩემი სურვილების შემსრულებელი-მეთქი, ეს ამბავი მეორე დღესვე მივიდა ნიკას ყურამდე და ბიჭმაც გადაწყვიტა, ბოლო ორი ნატვრა ერთ დღეს შეესრულებინა. ძმაცაცებს სთხოვა დახმარება, ისინიც სიამოვნებით დასთანხმდნენ ჩემს ოჯახში სტუმრობას. ნიკამ იყიდა შოკოლადის ტორტი, ჩემი საოცნებო სუნამო და ვარდების თაიგულით ხელდამშვენებული მომადგა. ზარი დარეკა და „განაჩენის“ მოლოდინში თავი ყვავილებში ჩარგო. ნიკა რომ დავინახე კარის ზღურბლზე, გოცებისგან აღმომხდა: — შენ? — ბიჭს ხმა არ ამოუღია, მაგრამ მის უკან მდგომმა მეგობრებმა მაშინვე დამიდასტურეს, — დიახ, დიახ! სიხარულით გადავხვები ნიკას და ბიჭები შინ შევიპატიჟე. ერთი თვის შემდეგ ჯვარი დავინერეთ... ახლა წლინახევრის დემეტრე გვყავს. ჩემზე კარგი ქმარი მსოფლიოში არავის ჰყავს“.

## მორჯულაბული დედამთილი

„ჩემი დედამთილი სამი წელი ქოთქოთებდა, — რად მინდა ისეთი რძალი, შვილიშვილს თუ არ გამიჩენსო (ჩემი მამლის ცოლზე ამბობდა), მერე ვაჟსაც შეაპარა, ცოლს გაშორდით. შვილმა ერთხანს წაუყრუა, მერე, ყელში რომ ამოუვიდა დედის ჩირჩინი, უთხრა: — ლიკა კი არაა, მე ვარ უნაყოფო. ამის მერე ლიკა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა რძალს. ისე გამოაშტერა ჩემი შვილი, რომ უშვილობას აქეთ იბრალებს, მე რომ ჩემი რძლის ადგილზე ვიყო, გავეყრებოდი ქმარს, გასაქანს მივცემდი, სხვა რომ მოეყვანა. გიგის რომ ჩემთვის დაეჯერებინა და ჩემი მეგობრის ქალიშვილი მოეყვანა ცოლად, ყველანი ბედნიერები ვიქნებოდითო“, — ამ სიტყვებით თენდებოდა და ღამდებოდა ყოველი დღე. გიგიმ ლიკას სთხოვა, — დედაჩემის ნათქვამს ყურადღება არ მიაქციო, დაიღლება და გაჩუმდებო. ლიკა ასეც იქცეოდა, მაგრამ დედამთილის „რისხვას“ წერტილი რომ არ დაესვა, საცხოვრებლად მშობლებთან გადავიდა. შვილის უნაყოფობის დაჯერება ლიკას ცოცხალი თავით არ უნდოდა. აღარ მალავდა, რომ რძლად სხვა უნდოდა, რომელიც გიგის ერთგულად ელოდა ამდენი წელი. ერთ დღესაც გიგი მამას გაენდო: — დედას ომს ვერ გამოვუცხადებ, არადა, ლიკა ძალიან მიყვარს, ამიტომ გადავწყ-

ვიტე, ცალკე ვიცხოვროთ, ბავშვს ავიყვანოთ და გავზრდითო.

მამას ენანებოდა თავისი ხელით ნაშენ-ნაამაგარი სახლ-კარი, მაგრამ მაინც დაჰყავდა გიგის, — თუმცა წინდანი გააფრთხილა, დედამთილი იოლად ვერ შეეგუება ამასო. ქმარ-შვილის განზრახვა ლიკას ინსულტით დასრულდა. როგორც კი დედა გამოკეთდა, გიგიმ ბინა იქირავა და ლიკასთან ერთად ცალკე გადავიდა. მალე ბიჭი იშვილეს. გავიდა ორი წელი. ლიკამ ვედარ გაძლო უშვილოდ და გიგის შეუთვალა, — ოღონდ დაბრუნდი და ხმის ამომღები არ ვარო. გიგიმ ლიკა როგორღაც დაითანხმდა და დაბრუნდნენ შინ. რამდენიმე ხნის შემდეგ გოგონაც იშვილეს. ლიკა კარგა ხანს ცერად უყურებდა შვილიშვილებს, მაგრამ მერე ნელ-ნელა გული გაუთბა. რძალს კი, თუ აუცილებლობა არ იყო, არ ელაპარაკებოდა. ლიკა უკვე შეგუებული იყო დედამთილის ხასიათს და ყურადღებას აღარ აქცევდა. ერთხელაც, გიგიმ მამა და ბავშვები სოფელში წაიყვანა. ლიკა მუშაობდა, ლიკა კი სახლს „დარაჯობდა“. საღამოს თავი ცუდად იგრძნო, როგორ არ ეცადა, მაგრამ გიგის ვერაფრით დაუკავშირდა. ლიკა შინ გვიან დაბრუნდა. ივანშმა, მერე ცოტა ხანს ტელევიზორს უყურა. დაძინებას აპირებდა, რომ

ლიკას ოთახიდან ხმაური მოესმა. დედამთილის საძინებლის კარი შეაღო და გულზე შემოეყარა — ქალი იატაკზე ეგდო. ტელეფონს ეცა და „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახა. სასწაულით კვლავ გადაურჩა ლიკა ინსულტს. როცა რეანიმაციული განყოფილებიდან პალატაში გადაიყვანეს, ექიმმა უთხრა: — ყოჩალი ქალიშვილი გყოლიათ, დროულად გამოიძახა ექიმი. ფეხი არ მოუცვლია საავადმყოფოდან, ძალიან ნერვიულობდაო. მეორემ დაუმატა, — მაინც სულ სხვაა ქალიშვილი, აბა, რძალი რას შეინუხებდა თავსო. საავადმყოფოში ლიკა ყოველდღე ნახულობდა დედამთილს. შინ დაბრუნებულმა ლიკამ „მტრად“ და „უსირცხვილოდ“ შერაცხილ რძალს გულწრფელად სთხოვა პატიება და მაღლობაც გადაუხადა ზრუნვისა და გულსხმიერებისათვის. მოთმინებამ შედეგი გამოიღო, მან თავისი საქციელით მოდრიკა მედიდური დედამთილი“.

**მომდევნო ნომრისთვის (თქვენ მიერვე შერჩეულ თემებზე) ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com**



# შვილის მეგობარზე გაცვლილი ოჯახი

„თამაზს სიყვარულით გავყევი. შეგვეძინა ქალ-ვაჟი და ყველამ იცოდა, რომ უბედნიერესი ოჯახი მქონდა, მაგრამ... თამაზმა ოჯახი მიატოვა. ეს ამბავი ჩვეულებრივად დაინყო: თამაზს ქართულ ლიტერატურაში სამეცადინოდ 17 წლის გოგონა მოუყვანეს. თიკო პირველი დანახვისთანავე მოიხიბლა მასწავლებლით. ყოველი გაკვეთილი დღესასწაულად ექცა — სულგანაბული უსმენდა თამაზს. გამოხდა ხანი და გოგონამ წარმატებით ჩააბარა გამოცდები. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგო, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია თამაზს უნდა წაეკითხა. დაინყო სტუდენტობის მშვენიერი ხანა. ორი წლის შემდეგ, როცა თიკოს ჯგუფს ლექტორი გამოეცვალა, გოგონა დანაღვლიანდა, მაგრამ გამოსავალი მალე მოძებნა — იმ ჯგუფის ლექციებზე დაინყო სიარული, სადაც მისი სათაყვანებელი ლექტორი ლექციას კითხულობდა. თამაზს თავდაპირველად გაუკვირდა, თიკო პირველკურსელებთან რომ დახვდა. — აქ რა გინდაო? — ღიმილით ჰკითხა ნიჭიერ სტუდენტს. თიკომაც არ დაუგვიანა პასუხი, — თქვენი ლექციები მომენატრაო. ცოტა ხანში თიკო თამაზის ქალიშვილს, მასზე ორი წლით უმცროს მარის დაუახლოვდა. ერთხელ, თიკო გვიანობამდე შემორჩა თამაზის ოჯახში. თამაზის ნახვა ძალიან უნდოდა და ხან რას მოუყვა მარის, ხან — რას. ფეხს ითრევედა შინ წასასვლელად. თამაზი

თანამშრომლის იუბილეზე გახლდათ და შინ მისვლა უგვიანდებოდა. კარგა დაღამებული იყო და შვილის მეგობარი შინ აღარ გავუშვი, ამაღამ ჩვენთან დარჩიო. თიკოც სიამოვნებით დათანხმდა. თამაზი გათენებისას დაბრუნდა. შვილის საძინებელში შეიხედა, მარის და საყვარელ სტუდენტს ტკბილად ეძინათ. ისეთი ლამაზები იყვნენ, კარგა ხანს თვალი ვერ მოაშორა. მერე დაიხარა, მარისაც აკოცა და თიკოსაც. თიკო შეიშმუშნა, თვალი გაახილა და თამაზი რომ დაინახა, გაულიმა. შეცბა კაცი, ერთი კი ჩაილაპარაკა, — ბოდიში, რომ გაგაღვიძეო და უცებ გავიდა ოთახიდან. სწორედ იმ დღიდან დაინყო თიკოზე „სხვანაირად“ ფიქრი. მანამდე სულაც არ უკვირდა, რომ თიკო ხშირად ხვდებოდა თვალში — გოგონა ხომ ყოველთვის იქ იყო, სადაც თვითონ... იმ კოცნის შემდეგ კი თამაზი საკუთარ თავს ვერ უტყდებოდა, რომ სტუდენტი შეუყვარდა... თიკო სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისასაც ხშირად აკითხავდა თამაზს შინ. რჩევებს ეკითხებოდა, ყველანაირ მიზეზს პოულობდა, რომ მასთან მისულიყო. ერთხელ, ციცი და მარი შინ არ დახვდნენ — რაიონში ნასულიყვნენ ნათესავის ქორწინში. გადაწყვიტა, ეს შანსი ხელიდან არ გაეშვა და ლექტორს სიყვარულში გამოუტყდა... მართალია, თამაზი გრძნობდა გოგონასაგან სითბოსა და ყურადღებას, არც თვითონ იყო მისადმი გულგრილი, მაგრამ თიკოს სითამამემ მაინც სახტად დატო-

ვა. იმ დამეს თიკო მასთან დარჩა... ხუთი წლის განმავლობაში საიდუმლოდ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ერთ მშვენიერ დღეს კი, თამაზმა მითხრა, — რა ვქნა, აღარ შემიძლია ამდენი ტყუილით ცხოვრება, თიკო მიყვარს და მასთან უნდა წავიდეო... გაოგნებულმა სიტყვებს ველარ მოვუყარე თავი, შეურაცხყოფილი და განადგურებული ვიყავი. ცრემლები მახრჩობდა. თამაზმაც გამზადებულ ჩანთას წამოაგლო ხელი და კარი გაიხურა. ერთ დროს სანაქებო ოჯახის მამა და მეუღლე ახლა აღარც შვილებს კითხულობს, აღარც შვილიშვილებს... მისმა საქციელმა შვილები განარისხა, მისი სახელის ხსენებაც აღარ უნდათ. განსაკუთრებით მარი გრძნობდა თავს შეურაცხყოფილად — იმიტომ დამიმეგობრდა, მამაჩემთან ახლოს რომ ყოფილიყო. გულამოსკვნლი სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა. როცა თამაზი გულის შეტევით საავადმყოფოში აღმოჩნდა, შვილებმა მაინც მოინახულეს. პალატაში შესულეებს ტირილისაგან თვალებდასივებული თიკო დახვდათ. მისკენ არც კი გაუხედავთ, მამა მოიკითხეს და ოთახიდან მალევე ხმის ამოუღებლად გავიდნენ. თამაზი გადაარჩა. სადღაც, გულის სიღრმეში, მარის სჯეროდა, რომ ავადმყოფობის შემდეგ მამა ოჯახში დაბრუნდებოდა, მაგრამ შეცდა... თამაზი და თიკო დღესაც ერთად არიან, ჩვენ კი მიტოვებულები ერთმანეთს ვანუგეშებთ, რომ ოდესმე აუცილებლად დაბრუნდება“.

## როგორ უყვარდათ წინათ

„გული მწყდება, რომ ჩემს წინა თაობებს (43 წლის გახლავართ) უფრო მეტი რამ აქვთ გასახსნებელი, ვიდრე ჩვენ. ჩემი შვილების თაობა კი ძალიან მაკვირვებს. ნუთუ რაც დრო გადის, სიყვარული რომანტიკულობას კარგავს? მახსოვს ბებიას მონაყოლი ამბები, როცა თავის ყმანვილქალობას იხსენებდა, სულგანაბული ვუსმენდი. ნუთუ დღეს სირცხვილია ან დასაცინი, ბიჭმა ქვეყანას დაანახვოს, როგორ უყვარს გოგო? ამიტომაც მსიამოვნებს, როცა თქვენთან ლამაზი სიყვარულის შესახებ ვკითხულობ. ამას წინათ, შვილებთან ჩემი მეგობრის სიყვარულის ამბავს ვიხსენებდი — შეყვარებული ვაჟს გოგოს გამო როგორ გადაეშვა ხიდიდან მტკვარში და უნებურად, ჩემს 20 წლის ვაჟს ვკითხე, შენ თუ გააკეთებდი გოგოს გამო

ამას-მეთქი? არც დაფიქრებულა, ისე მომიგო, — ეგლა მაკლია, ხიდიდან ვიხტუნაო, თუ გოგოს ვუყვარვარ, ასეთი რამ არც უნდა მომთხოვოსო... ეგებ მართალია, გოგომ ისეთი რამ არ უნდა მოსთხოვოს შეყვარებულს, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას, მაგრამ მაინც სახტად დავრჩი. ამ თაობას ნამდვილად აკლია რომანტიზმი, არადა, როგორ უხდება

იგი სიყვარულს. ბაბუაჩემი ღარიბი ოჯახის შვილი იყო და ბებიას მშობლებს არ უნდოდათ ლატაკის სიძეობა, თვითონ თავადების შთამომავლები გახლდნენ და მატერიალურადაც არ უჭირდათ. მეზობლის პატარა გოგოს ერთი წლის განმავლობაში დაჰქონდა შეყვარებულებთან წერილები.



ნუ შემიყიბებები და ამ მოგვცეუბები



ბოლოს, მათ გაპარვა გადაწყვიტეს. სვანეთში გაიპარნენ, სადაც ბაბუას მეგობრები ჰყავდა. ორკვირიანი ძებნის მერე ხელი ჩაიქნიეს ქალის ახლობლებმა. ჩემს გათხოვებას მშობლების სიკვდილი არ მოჰყვებოდა, და ბებუას ოჯახში წერილი გაუგზავნია, — ჩემზე არ იდარდოთ, ძალიან ბედნიერი ვარო... ბაბუას ისე ეშინოდა, ქალი არ წამართვანო, სვანეთიდან ფეხი აღარ მოუცვლია, სანამ შვილი (მამაჩემი) არ შესძენიათ. სვანებს დიდი პატივი უციათ ახალგაზრდებისთვის. ღვიძლი შვილივით უვლიდნენ ბებოს. მერე, სამი თვის ბავშვით რომ უნახავთ მის მშობლებს, წყენა

დავინწყებით და სიძე-ქალიშვილი შინ სიხარულით მიუღიათ. ბებიაჩემის და, ლიზიკო, ჩემს ბებოზე სამი წლით უმცროსი იყო. ერთ აფხაზს ჰყვარებია, მშობლებმა, ამას მაინც აღარ მიეცემთ უფლებას, თავისი გაიტანოსო, უცებ გამოუძებნიათ ვილაც მდიდარი ქუთაისელი და მიუთხოვებიათ. სამი თვე არც შინ, არც გარეთ ტოვებდნენ ახალგაზრდას მარტოს. იცოდნენ შეყვარებული აფხაზის ამბავი — უკან არ დაიხვედა, ისე გაგიჟებთ უყვარდა ლიზიკო. ჰოდა, როცა გამჟღავნდა, რომ ლიზიკო ორსულად იყო, მერეღა შეწყვიტეს თვალთვალი. ერთხელ, მეგობრებთან

ერთად მოსეირნე ლიზიკოს აფხაზი წამოსწევია, ცხენზე შემოუსვამს გულის სწორი და თვალსა და ხელშეა გამქრალა... წარმოიდგინეთ, რამდენ ხანს დარაჯობდა აფხაზი საყვარელ ქალს და როგორც კი ხელსაყრელი მომენტი ნახა, მოიტაცა. მათ მართლაც ძალიან ლამაზი და ბედნიერი ოჯახი ჰქონდათ. ის კაცი ლიზიკოს შვილს საკუთარისგან არ არჩევდა. აი, ასე უყვარდათ ჩვენს ბებიებსა და ბაბუებს... ახლა, როცა ჩემს შვილებს მათ ამბავს ვუყვები, სიამოვნებით კი მისმენენ, მაგრამ ვიცი, გული რომ არ მატკინონ, ჩემს მონაცემებზე ჩუმიად მაინც ქირქილებენ“.

## „მკვლელი“ მასწავლებელი

„ეს ამბავი 90-იან წლებში მოხდა თბილისში. ჩემმა მეზობელმა, 16 წლის გოგონამ, რომელსაც მასწავლებელმა მთელი კლასის წინაშე შეურაცხყოფა მიაყენა, თავი მოიწამლა. მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. მასწავლებლის რისხვის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ გოგონა თავის შეყვარებულთან ერთად დაინახა. ისინი სკოლის ეზოში, მოფარებულ ადგილას ისხდნენ და საუბრობდნენ. გოგონას ძალიან მკაცრი მამა ჰყავდა, რომელიც შვილს მეგობრებთანაც არ უშვებდა. მასწავლებელმა იცოდა ეს ამბავი. არ მოერიდა გოგონას და მეგობრების თანდასწრებით გამოუცხადა — სანამ გვიანი არ

არის, მამამენს უნდა დაველაპარაკო, დროულად რომ მივიღოთ ზომები. მისმა სიტყვებმა სასიკვდილო განაჩენივით გაიჟღერა, გოგონამ იცოდა, მამა შავ დღეს დააყრიდა, იმისიც შეეშინდა, იმ ბიჭისთვისაც არაფერი აეტეხა გაცეცხლებულ კაცს და მოსალოდნელ უბედურებას დაასწრო — თავი მოიკლა. შეიძლება გაქვთ ამერიკული ფილმი ნანახი — „თვითმკვლელი ქალიშვილები“. ამ ფსიქოლოგიურ დრამაში თვალნათლივ ჩანს, თუ რატომ გადადგა საბედისწერო ნაბიჯი ერთი ოჯახის ხუთმა შვილმა. ეს იყო ერთსულოვანი პროტესტი მკაცრი მშობლის მიმართ, რომელიც ქალიშვილებს

უმკაცრესად აკონტროლებდა. ასე რომ, არანაირი გამართლება არა აქვს წნეხს აღზრდის დროს. როგორც წესი, ასეთ წნეხში გაზრდილი ბავშვები მიდრეკილები არიან დეპრესიისკენ ან ბავშვობაში მიღებული ფსიქოლოგიური ტრავმები დიდობაში უკიდურესად ცუდად აისახება. მინდა ყველა მშობელს ვუთხრა: გაუფრთხილდით შვილებს, გადამეტებულად ნურც სიმკაცრეს და ნურც ლოიალობას გამოიჩინებთ. „ოქროს შუალედის“ დაცვა ძნელია, როცა საქმე შვილს ეხება, მაგრამ მშობელმა ეს უნდა შეძლოს, თუკი მართლა სიკეთე უნდა შვილისთვის. ეს ამბავი კი გახშირებულმა თვითმკვლელობამ გამახსენა. ღმერთმა დაიფაროს ყველა ახალგაზრდა“.

## მოზილი-ზასია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოზილი-ზაციაში“ მოხვდეს, მესიჯი გამოგზავნეთ ტელეფონის ნომერზე: 91779. მესიჯის ფასი 6 თეთრი.



### ქაღაბი

18523 ვარ 48 წლის, სიმპათიური, განათლებული, კარგი ბუნების, წესიერი ქალბატონი. ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ მხოლოდ ოჯახიან, 50-60 წლამდე ასაკის, მატერიალურად შეძლებულ, შეგნებულ მამაკაცს, რომელსაც შეუძლია მხარ-


ში ამოდგომა. უმცროსები, ცოლს გაცილებულები და ერთჯერადები ნუ დარეკავთ.

17030 ვეძებ სერიოზულ მამაკაცს, მუდმივი ურთიერთობისთვის და შემეხმთანოს 35 წლამდე მამაკაცი.


17162 მოკლედ, ვარ 46 წლის, ქრისტიანი ქალი. ძალიან კარგი გარეგნობის, ძალიან კარგი დიასახლისი და მეოჯახე. ვმუშაობ, ოღონდ არა მაქვს ბინა და არა მყავს მანქანა. ვეძებ სერიოზულ, შეძლებულ და დასაქმებულ მამაკაცს, 55 წლამდე. მატყუარებმა და მახინჯებმა თავი არ შეინუხოთ. რედაქციას გთხოვთ, ტელეფონის ნომერი არ დაბეჭდოთ.



17188 ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ მხოლოდ ოჯახიან, 55-65 წლამდე ასაკის, მატერიალურად შეძლებულ, ავტომანქანის მქონე, კეთილი ბუნების მამაკაცს, რომელსაც დამამცირებელი თხოვნის გარეშე შე-



# მარტოხელა ქალთა და მამაკაცთა კლუბი



იმისათვის, რომ თქვენი განცხადება „ქალთა და მამაკაცთა კლუბში“ მოხვდეს, მესიჯი უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 91779 მესიჯის ფასი 6 თეთრი. ტექსტის რაოდენობა შეზღუდული არ არის.

უძლია მეგობარი ქალის დახმარება. ვარ 48 წლის, განათლებული, კარგი თვისებების, სიმპათიური, წესიერი ქალბატონი.

17672 ვარ კარგი გარეგნობისა და კარგი ხასიათის ქალბატონი, ორმოცი წლის. გამომეხმარეთ სამეგობროდ ჩემზე უფროსი ადამიანები. მამაკაცები, რა თქმა უნდა.

17686 გამარჯობა, გავიცნობ ნორმალურ ბიჭს, 21-დან 28 წლამდე, სერიოზული ურთიერთობისთვის. უნდა იყოს სიმპათიური, დასაქმებული, გოიმებმა და მატყუარებმა თავი შეიკავეთ.

19737 გთხოვთ, მომწეროთ 16379 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. ამ ადამიანის გაცნობა მსურს, გთხოვთ, ნომერი მომწეროთ. ანი ვარ.

19833 გამარჯობა, გთხოვთ, მომწეროთ 17686 მესიჯის ავტორის ნომერი. ამ ყოველივეს პირველად ვაკეთებ და იმედია — სწორად.

18849 ვარ 47 წლის. გამომეხმაროს 50-55 წლამდე ასაკის, უზრუნველყოფილი მამაკაცი, ქუთაისიდან.

19035 ვეძებ მამინაცვალს. გამომეხმაროს 16989 მესიჯის ავტორი.

19088 ვარ ქმარს გაშორებული, მყავს ორი შვილი და მაქვს ბინა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მამაკაცს, ვისაც ქართული, ტრადიციული ოჯახი უნდა და არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ. აუცილებლად უნდა მუშაობდეს და ჰყავდეს მანქანა. ბედნიერებასა და დიდ სიყვარულს ვპირდები.

19153 მეგობრობა. 19 წლის ვარ, ფოტომოდელი. ბებრები ნუ მომწერთ... აბა, ჰეი!

19663 ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ მხოლოდ ოჯახიან, 55-65 წლამდე ასაკის, ავტომანქანიან, მატერიალურად შეძლებულ, კულტურულ მამაკაცს, რომელსაც შეუძლია მატერიალური თანადგომა. ვარ 48 წლის, განათლებული, სასიამოვნო

ბუნების, სულით ხორცამდე პატიოსანი ქალბატონი.



## მამაკაცები

20621 გთხოვთ, მომწეროთ 17030 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20623 გავიცნობ თბილისში მცხოვრებ მანდილოსანს. ვარ 41 წლის, გამხდარი, მაღალი, სიმპათიური, მონესრიგებული და დასაქმებული. ვერ ვიტან ტყუილსა და მატყუარებს. იაქტიურეთ, მანდილოსნებო. არ ინანებთ, გელოდებით.

20624 გთხოვთ, მომწეროთ 11323 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20651 გავიცნობ სულიერად ლამაზ, მშვიდ, თავისუფალ, თბილისელ, 30-42 წლამდე მანდილოსანს.

20653 გავიცნობ გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით. სერიოზულებმა მომწერეთ. ვარ 27 წლის.

20664 გთხოვთ, მომწეროთ 17686 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20666 გთხოვთ, მომწეროთ 19088 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20670 გთხოვთ, მომწეროთ 7030 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20686 გამარჯობა. ვარ 28 წლის ბიჭი, თბილისელი. სამეგობრო ურთიერთობისთვის გავიცნობ 21-დან 35 წლამდე ასაკის გოგოს, თბილისელს. გამხდარს, ნორმალურ ადამიანს.

20688 გთხოვთ, მომწეროთ 7686 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20693 გთხოვთ, მომწეროთ 7686 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20731 გთხოვთ, მომცეთ 9905 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20733 გთხოვთ, მომცეთ 10657 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20745 სულმოუთქმელად ველი, როდის გამომიგზავნით 14214 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერს. თქვენი იმედი მაქვს და არ გამანბილოთ, ძალიან გთხოვთ. გმადლობ.

20749 ვარ საკმაოდ სიმპათიური, სპორტული აღნაგობის, 23 წლის ბიჭი. ვეძებ 18-დან 35 წლამდე ასაკის, სასიამოვნო გარეგნობის ქალს, რომელსაც მივანიჭებ სექსში სიამოვნებას.

20760 გავიცნობ ქუთაისელ ან ბათუმელ გოგონას, ინტიმური ურთიერთობისთვის, სასიამოვნოს, 21-28 წლამდე.



ყველაზე დიდი მიზიდულობის  
ძალა აქვს შავიძის,  
დილის ს. სავაძის



20761 გთხოვთ, მომწეროთ 8240 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20778 გთხოვთ, მომწეროთ 17672 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20778 გთხოვთ, მომწეროთ 17686 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20780 გავიცნობ გოგოს, 24 წლამდე, ფარული შეხვედრებისთვის. აუცილებლად უნდა იყოს მაღალი, რადგან ჩემი სიდაბლეს მყოფა! ღაღავის პონტიში ნუ გაიჩითებით. აზრი არ აქვს.

20789 ვარ 35 წლის, სიმპათიური, დასაქმებული მამაკაცი. გართობის მიზნით გამოუმხმარეთ.

20794 გავიცნობ მანდილოსანს ფარული შეხვედრებისთვის, 35 წლამდე. სასურველია, იყოს კახეთიდან. დანარჩენი — პირადად.

20804 გამარჯობა. ვარ 22 წლის. გავიცნობ 31 წლამდე ასაკის მანდილოსანს, ფარული შეხვედრებისთვის, რუსთაველს ან თბილისელს, მუდმივი ურთიერთობისთვის. ვარ დასაქმებული მამაკაცი. მომწერეთ, გოგონებოო. თაზო.

20813 მოგესალმებით. გთხოვთ, მომცეთ 17686 და 19153 მესიჯების ავტორების ტელეფონის ნომრები. მქვია გიორგი, ვარ 23 წლის.

20815 გთხოვთ, მომწეროთ 7686 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20816 ვარ 51 წლის მამაკაცი, ქუთაისიდან. ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ 60 წლამდე ასაკის ქალბატონს. შეხვედრის ადგილი არ მაქვს. მომწერეთ.

20856 გავიცნობ რუსთაველ ქალს, ლამაზი და თბილი ურთიერთობისთვის.

20857 გთხოვთ, მომცეთ 7686 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20890 ვარ 20 წლის, სტაბილური სამსახურით. ინტიმური ურთიერთობისთვის გავიცნობ 43 წლამდე ასაკის

მანდილოსანს, დასაქმებულს.

20891 თუ შეიძლება, 10657 მესიჯის ავტორის ნომერი მომეცით.

20892 ვეხმარები 17686 მესიჯის ავტორს. თუ შეიძლება, მიეცით ჩემი ნომერი.

20896 მერამდენედ გიგზავნით თხოვნას, სხვადასხვა ტელეფონიდან (სხვადასხვა ნომრიდან), რომ გამოგეგზავნათ 14214 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. თქვენგან პასუხი არ მომდის. თვითონ მისი მესიჯის ნომერიც მრავალჯერ გადავგზავნე, მაგრამ ეს მცდელობაც უშედეგო გამოდგა. გთხოვთ, კიდევ ერთხელ: გამომიგზავნეთ 14214 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. წინასწარ გიხდით მადლობას. ალბათ გამომიგზავნით.

20904 გთხოვთ, 17672 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი მომცეთ, გმადლობ.

20905 გთხოვთ, მომწეროთ 17672 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. ვარ 45 წლის.

20911 როგორ უნდა გავიგო მესიჯის ავტორის ნომერი, გაგვარკვიეთ.

20915 გთხოვთ, მომწეროთ 10657 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20916 გამარჯობა. ვარ 28 წლის მამაკაცი. სამეგობროდ ან ინტიმური ურთიერთობისთვის გავიცნობ 22-35 წლამდე ასაკის მანდილოსანს. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

20917 მოგესალმებით. გთხოვთ, მომცეთ 17686 და 19153 მესიჯების ავტორების ტელეფონის ნომრები. გიორგი.

20918 გთხოვთ, მომცეთ 10657 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20919 გთხოვთ, მომცეთ 11323 მესიჯის ავტორის მობილურის ნომერი. მესიჯით გამომიგზავნეთ.

20922 გამარჯობა. ვარ 28 წლის მამაკაცი. გავიცნობ ქალბატონს, 25-35 წლამდე, სამეგობროდ, თუნდაც სასიყვარულო ურთიერთობისათვის. მაქვს სტაბილური და მაღალანაზღაურებადი სამსახური. მყავს ავტომობილი, ვარ უცოლო. არასერიოზუ-

ლებმა შეიკავონ თავი.

20937 გთხოვთ, მომწეროთ 17162 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20939 გავიცნობ ქალს, დაოჯახებისთვის. იყოს თუნდაც უსახლკარო. 45-დან 50 წლამდე.

20945 გთხოვთ, მომცეთ 17030 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20964 გავიცნობ გოგოს, ფარული ურთიერთობისთვის.

20971 ვარ 19 წლის ახალგაზრდა. გავიცნობ, ვინც თვლის, რომ მშვენიერია. ვმუშაობ დაცვის პოლიციაში. აბა, გელოდებით.

20983 გთხოვთ, მომწეროთ ჟურნალ „გზის“ მე-18 ნომრის 17162 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20996 გამარჯობა. ისევ მე ვარ. გთხოვთ, მომცეთ 14214 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. გმადლობ.

21058 გთხოვთ, მომცეთ 17003 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

21082 გთხოვთ, მომცეთ ჟურნალ „გზის“ მე-17 ნომრის 17030 და 17686 მესიჯების ავტორის ტელეფონის ნომრები.

21086 გთხოვთ, მომწეროთ 17686 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20718 ვცხოვრობ მარტო. ვარ 39 წლის, უნაკლო ახალგაზრდა. 190 სმ სიმაღლის. ვიმეგობრებ კარგ ქალთან.

20621 გთხოვთ, მომწეროთ 17030 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20623 გავიცნობ თბილისში მცხოვრებ მანდილოსანს. ვარ 41 წლის, გამხდარი, მაღალი, სიმპათიური, მონესრიგებული და დასაქმებული. ვერ ვიტან ტყუილსა და მატყუარებს. იაქტიურეთ, მანდილოსნებო. არ ინანებთ, გელოდებით.

20624 გთხოვთ, მომწეროთ 11323 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20651 გავიცნობ სულიერად ლამაზ, მშვიდ, თავისუფალ, თბილისელ, 30-42 წლამდე მანდილოსანს.

20653 გავიცნობ გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით. სერიოზულებმა მომწერეთ. ვარ 27 წლის.

20664 გთხოვთ, მომწეროთ 17686 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20666 გთხოვთ, მომწეროთ 19088 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20670 გთხოვთ, მომწეროთ 7030 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.



ჭყუნად უაძრავი სხვისი ნერვების, საყვიარო მომ დახმობა



20686 გამარჯობა. ვარ 28 წლის ბიჭი, თბილისელი. სამეგობრო ურთიერთობისთვის გავიცნობ 21-დან 35 წლამდე ასაკის გოგოს, თბილისელს. გამხდარს, ნორმალურ ადამიანს.

20688 გთხოვთ, მომწეროთ 7686 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20693 გთხოვთ, მომწეროთ 7686 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20731 გთხოვთ, მომცეთ 9905 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20733 გთხოვთ, მომცეთ 10657 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20760 გავიცნობ ქუთაისელ ან ბათუმელ გოგონას, ინტიმური ურთიერთობისთვის, სასიამოვნოს, 21-28 წლამდე.

20761 გთხოვთ, მომწეროთ 8240 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20778 გთხოვთ, მომწეროთ 17672 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20789 ვარ 35 წლის, სიმპათიური, დასაქმებული მამაკაცი. გართობის მიზნით გამოუმეხმეაურეთ.

20794 გავიცნობ მანდილოსანს ფარული შეხვედრებისთვის, 35 წლამდე. სასურველია, იყოს კახეთიდან. დანარჩენი — პირადად.

20813 მოგესალმებით. გთხოვთ, მომცეთ 17686 და 19153 მესიჯების ავტორების ტელეფონის ნომრები. მქვია გიორგი, ვარ 23 წლის.

20815 გთხოვთ, მომწეროთ 7686 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20816 ვარ 51 წლის მამაკაცი, ქუთაისიდან. ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ 60 წლამდე ასაკის ქალბატონს. შეხვედრის ადგილი არ მაქვს. მომწერეთ.

20856 გავიცნობ რუსთაველ ქალს, ლამაზი და თბილი ურთიერთობისთვის.

20857 გთხოვთ, მომცეთ 7686 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20890 ვარ 20 წლის, სტაბილური სამსახურით. ინტიმური ურთიერთობისთვის გავიცნობ 43 წლამდე ასაკის მანდილოსანს, დასაქმებულს.

20891 თუ შეიძლება, 10657 მესიჯის ავტორის ნომერი მომეცით.

20892 ვეხმეაურები 17686 მესიჯის ავტორს. თუ შეიძლება, მიეცით ჩემი ნომერი.

20904 გთხოვთ, 17672 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი მომცეთ, გმადლობ.

20905 გთხოვთ, მომწეროთ 17672

მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. ვარ 45 წლის.

20915 გთხოვთ, მომწეროთ 10657 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20916 გამარჯობა. ვარ 28 წლის მამაკაცი. სამეგობროდ ან ინტიმური ურთიერთობისთვის გავიცნობ 22-35 წლამდე ასაკის მანდილოსანს. არასერიოზულდება თავი შეიკავეთ.

20917 მოგესალმებით. გთხოვთ, მომცეთ 17686 და 19153 მესიჯების ავტორების ტელეფონის ნომრები. გიორგი.

20918 გთხოვთ, მომცეთ 10657 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20919 გთხოვთ, მომცეთ 11323 მესიჯის ავტორის მობილურის ნომერი. მესიჯით გამომიგზავნეთ.

20922 გამარჯობა. ვარ 28 წლის მამაკაცი. გავიცნობ ქალბატონს, 25-დან 35 წლამდე, სამეგობროდ, თუნდაც სასიყვარულო ურთიერთობისთვის. მაქვს სტაბილური და მაღალანაზღაურებადი სამსახური. მყავს ავტომობილი, ვარ უცოლო. არასერიოზულდება შეიკავონ თავი.

20926 ნათესავ-მეზობელ-მეგობრებისგან ყოველდღიურად ათასჯერ დასმული შეკითხვის: „ცოლი რატომ არ მოგყავს?“ მიზეზით, გავიცნობ ნორმალურად მოაზროვნე, ორნიგნაკითხულ, იმერელ გოგოს. სასურველია, ზესტაფონელს!

20937 გთხოვთ, მომწეროთ 17162 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20945 გთხოვთ, მომცეთ 17030 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20964 გავიცნობ გოგოს, ფარული ურთიერთობისთვის.

20970 გავიცნობ ბათუმელ ქალბატონს, 20-35 წლამდე, სამეგობროდ.

20971 ვარ 19 წლის ახალგაზრდა. გავიცნობ, ვინც თვლის, რომ მშვენიერია. ვმუშაობ დაცვის პოლიციაში. აბა, გელოდებით.

20974 გთხოვთ, მომწეროთ 17030 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20983 გთხოვთ, მომწეროთ ჟურნალ „გზის“ მე-18 ნომრის 17162 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

20996 გამარჯობა. ისევ მე ვარ. გთხოვთ, მომცეთ 14214 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. გმადლობ.

21058 გთხოვთ, მომცეთ 17003 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.



### სხვადასხვა

წინასწარ ნათქვამ რეალობას გეუბნები და ნეტავ, ვტყუოდე. მეცოდინებოდა, რომ ოდესმე არ მიხატებდი, არ მოგინდებოდა ჩემი დაბრუნება, არ ინანებდი ჩემს დაკარგვას... ნეტავ ვტყუოდე და მეცოდინებოდა, რომ ჩემი ნასვლა გულს არ გატკენდა, ჩემს გახსენებაზე ცრემლი არ მოგეძალებოდა და ბნელ ღამეში უმისამართოდ არ იტყვი სიტყვას — „მიყვარხარ“... როგორ მინდა, ვტყუოდე იმიტომ, რომ ვიცოდე, — შენ იმაზე მეტად კარგად ხარ, ვიდრე მე მინდოდა, რომ ყოფილიყავ. ჩემით იხარებდი, ჩემით იფიქრებდი, ჩემით... ნეტავ, მართლა გამტყუნდეს ჩემი ნათქვამი სიტყვები, რომ შეგძულდეს და არ ინანო შენი ნაბიჯი, რომ გაგინდეს ჩემით უჩემობა... მე შენ მიყვარხარ იმ გულით, რომელმაც ეს სიტყვები, ეს გრძნობა დაგიტოვა... მე მიყვარები, სანამ გული ფეთქავს. გულიდან შენი სიყვარული არ გაქრება. გულს შენთან უნდა და არა — ჩემთან. მე ხომ ზედმეტი ვარ შენთვის? ჰოდა, მე წავალ. გულს გიტოვებ, შენი სიყვარულით სავსეს. გულს, რომელსაც შენი სიყვარული ავსებს. მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად...

მიშველე, კეთილო ადამიანო! დაუსრულებელმა, გაუსაძლისმა ცხოვრებამ დამქანცა. პროფესიით ვარ ხელოვანი, მაგრამ ბოროტმა ძალებმა სამსახურიდან გამათავისუფლეს და უკვე რამდენი წელია, ყველანაირი შემოსავლის გარეშე დამტოვეს. 20 წელია, მარტო ვენამები ცხოვრებას. ვარ 45 წლის ქალბატონი. ვარ უსახლკარო. არ მაქვს ბინის ქირის გადახდის საშუალება. სახლში მიზის უსაბუთო გიყვი შვილი, რომელიც საგიჟეთში მყოფ გიჟებს აჭარბებს და ეს მდგომარეობა ენით უთქმელმა ჩემმა საშინელმა ცხოვრებამ განაპირობა. ხელოვნებაში დიდ წარმატებებს მიაღწია და ამიტომ დასაჯეს და ულუკმაპუროდ დატოვეს. მითხარი, გთხოვ! რითი შეიძლება, შენი თანადგომა ვიგრძნო?

**ყურადღება! გთხოვთ, ისარგებლოთ მხოლოდ ლათინური შრიფტით. ქართულ, რუსულ, ბერძნულ და სხვა შრიფტს ნუ გამოიყენებთ, რადგან სისტემა ვერ „კითხულობს“ (უცნაური იეროგლიფების სახით ფიქსირდება) და მესიჯი ვერ გამოქვეყნდება.**





# ჰოროსკოპი

5-11 ივნისი

### ვეფხვი



ნერვულ დაძაბულობას უქმეებზე მეგობრებთან შეხვედრა და შემოქმედებითი საქმიანობა მოგიხსნით. ორშაბათს გაუფრთხილდით პირად ნივთებს. ოთხშაბათს გარშემო მყოფებს თქვენ მიმართ დადებითად განაწყობთ.

### კუჩხი



კვირას ბუნებაში მეგობრებთან ერთად დაისვენეთ. ორშაბათს არსად დააგვიანოთ. გააუმჯობესეთ დამოკიდებულება ბავშვებთან. მეტი ყურადღება გმართებთ ოჯახის წევრების მიმართ.

### ტყუპი



ნუ მიიღებთ დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებს. ყურადღებით იმოქმედეთ. მოერიდეთ კონფლიქტს უფროსთან. მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. ნუ გადადებთ ვიზიტს ექიმთან.

### კირჩხიბი



კარგი პერიოდია მოგზაურობის დასაწყებად. კვირას გართობა და თავგადასავლები გელით. სამშაბათს ნუ გასცემთ ტყუილ დაპირებებს. ოთხშაბათს ნუ გაამწვავებთ ურთიერთობას სამართალდამცველებთან.

### ლომი



პარასკევს დაასრულეთ დაწყებული საქმეები, რათა უქმეები თქვენი სურვილისამებრ გაატაროთ. ორშაბათს ახალგაჯნობილებთან სიფრთხილე გმართებთ. სამშაბათს მოაწესრიგეთ ავტომობილი.

### ქაფი



ხუთშაბათს სამსახურში მეტი ინიციატივა გამოიჩინეთ. ორშაბათს საპირისპირო სქესთან ნაცნობობა შეიძლება რომანი დასრულდეს. სამშაბათს უძრავი ქონების საკითხი მოაგვარეთ.

### სასწორი



გაუფრთხილდით ურთიერთობას გარშემო მყოფებთან. უქმეებზე არ გადაიღალდით. სამშაბათს გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა გარშემო მყოფებთან, საყვარელ ადამიანთან.

### მძვინვარი



პარასკევს თავი შეიკავეთ კონფლიქტისგან. შაბათი კარგი დღეა ნათესავებთან შესახვედრად. ოთხშაბათს გაუფრთხილდით პირად ნივთებს. დაეხმარეთ გარშემო მყოფებს, მატერიალურად, მორალურად.

### მშვიდობის



ხუთშაბათს კარგი დღეა ჩანაფიქრის განსახორციელებლად. კვირა — საყიდლებისთვის. ნუ გაართულებთ ურთიერთობას გარშემო მყოფებთან. ყველა მნიშვნელოვანი საქმე ოთხშაბათ დილას დაგეგმეთ.

### თხრი



ახალ პროექტებზე მუშაობა კოლეგებთან განხილვის შემდეგ დაიწყეთ. უქმეები საოჯახო საქმეებს დაუთმეთ. ორშაბათს მოერიდეთ საქმეების დაწყებას, კონფლიქტს. ოთხშაბათს საქმეებში დახმარება გარშემო მყოფებს სთხოვეთ.

### მეწყობი



ხუთშაბათი კარგი დღეა ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად. კვირას მნიშვნელოვანი ინფორმაციებს მიიღებთ. სიფრთხილე გმართებთ ცხოველებთან ურთიერთობისას. ოთხშაბათს მეტი დრო დაუთმეთ შემოქმედებით საქმიანობას.

### თევზი



მეგობრები გაჭირვებაში არ მიგატოვებენ. უქმეებზე მოაგვარეთ პირად ცხოვრებაში წარმოქმნილი სირთულეები. ორშაბათს ნუ ჩაერთვებით საექვო აქციებში. ოთხშაბათს ერთდროულად რამდენიმე ფონტზე მოგინვეთ ბრძოლა.

## რა მითოდებია საჭირო მამაკაცის დასაბრუნებლად ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით

**ვერძის** დაბრუნება გულწრფელი მობოდიშებით შეიძლება. თუმცა, უნდა აცალოთ, სანამ ბრაზი გადაუვლის და კონტაქტზე მხოლოდ ამის მერე გახვიდეთ. ნუ მოაბეზრებთ თავს ახსნა-განმარტებებითა და ულტიმატუმებით. ღირსეულად, მაგრამ გულწრფელად აღიარეთ თქვენი შეცდომები.

**კუროს** გაბრაზებაც ძნელია და შემორიგებაც. კურო უზომოდ მომთმენი ნიშანია, ამიტომ თუ მისი განაწყენება მართლაც შეძელით, დრო და მოთმინება დაგჭირდებათ მის გულში ძველებური პოზიციის დასაბრუნებლად. იყავით მაქსიმალურად თბილი, მზრუნველი და გამგები. ნაკლებად

ისაუბრეთ წარსულის წყენაზე.

**ტყუპი** შეიძლება მარტივად გაცხარდეს, თუმცა, მარტივადვე შეიძლება მისი შემორიგება. იგი ცვალებადი ნიშანია. შესაბამისად, კონფლიქტის შემდეგ მიეცით საშუალება, რომ „კარგად განიავდეს“, გაიარ-გამოიაროს, გული გადააყოლოს და ამის შემდეგ მარტივად შეიძლება ყველაფრის თავიდან დაწყება. წყენა მას აღარც ემახსოვრება.

**კირჩხიბისთვის** გულისტკენა საკმაოდ

მარტივია, წყენას კი ეს კაცი ხანგრძლივად და მონდომებით იმახსოვრებს. ამასთან ერთად, პრობლემა ისაა, რომ ხშირად ვერ გაიგებ ზუს-

ტად რა, როდის ან რატომ ეწყინა. მის შემოსარი გეზლად მზრუნველობისა და სიბოლს განსახიერებად უნდა იქცეთ. ნუ დაუწყებთ გამოკითხვას რაზეა განაწყენებული. საშუალება მიეცით, როცა ბრაზი გადაუვლის თავად ალაპარაკდეს.





# ანექდოტები

## გონების სპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის (პითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ, პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სკეჩისაჲ არ გავაქვით თხალი

1. სალამინის ბრძოლის შემდეგ თემისტოკლე სანაპიროს ათვალერებდა. ზღვას სპარსი დიდებულის გვამი გამოერიყა, რომელსაც ოქრომკედით მოქარგული მდიდრული ტანსაცმელი ემოსა და ძვირფასი სამაჯურიტა და ყელსაბამით იყო შემკული. ერთმა თანმხლებმა მხედართმთავარს შესთავაზა, გამარჯვებულის უფლებით ვისარგებლოთ და ნადავლი გავიყოთო. რა უპასუხა ბერძენმა სტრატეგმა?
2. რა წერია ურალის ქალაქ ზლატოუსტში აღმართულ სვეტზე?
3. რას ნიშნავს სიტყვა „სართი“?
4. რა შემთხვევაში ეძლევა სინგაპურის მოქალაქეს უფლება, შეიძინოს ახალი ავტომობილი?
5. 1993 წელს ლიბანის გენერალურმა პროკურორმა „მის ლიბანის“ — ჰადი თურქის დაპატიმრების ორდერს მოაწერა ხელი. რა გახდა ამის მიზეზი?
6. ვის ეკუთვნის სიტყვები: „საარჩევნო ბიულეტენი ტყვიაზე უფრო ძლიერია“?
7. ვის ეკუთვნის სიტყვები: „თავისუფალი რომ იყო, კანონებს უნდა ემონო“?
8. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ყველა ადამიანში ზის მონა“?
9. ვის ეკუთვნის სიტყვები: „მე შემიძლია საწერ მაგიდასთან მჯდომმა ვმართო იტალია“?
10. ვის მიუძღვნა გივი სიხარულიძემ სიტყვები: „მანამ იცოცხლებ, ქალღმერთო ერის, სანამ ქართველი ცეკვავს და მღერის“?



\*\*\*

დილოგი მდინარეში:  
— აქ ყველა საცურაო კოსტიუმი-თაა, თქვენ კი — პიჯაკით, ჰალსტუხით, ქუდით...  
— ეგენი ბანაობენ, მე კი ვიხრჩობი!..

\*\*\*

გურულმა ცოლს ლოგინში საყვა-რელთან ერთად შეუსწრო:  
— რას შობა აი ყაძახი ჩემს ლოგინში?  
ცოლმა საბნიდან თავი გამოყო:  
— სასწოულს შობა, სასწოულს!

\*\*\*

კახელი ქუჩის განაპირას მდგარ მძეავებთან აჩერებს მანქანას.  
— რომელია თქვენში ყველაზე ჯანიანი?  
— მე! — წინ წამოდგა ერთი.  
— 200 დოლარს მოგცემ. რისი გაკეთება შეგიძლია მაგ ფასად?  
— ყველაფრის!  
— ჩაჯექი!.. სარდაფში ბეტონია დასაგები!..

\*\*\*

ჭიჭიკიას ცოლი ეჩხუბება:  
— სულელი ვიყავი, ცოლად რომ მოგყვებოდი!  
— მაგი მეც შეგამჩნიე, მარა ვიფიქრე, დრო გავა და დაჭკვიანდება-მეთქი!

\*\*\*

ორი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს:  
— ცუდადაა ჩემი საქმე: გუშინ ექიმთან ვიყავი... გამსინჯა, წნევა 120-80-ზე, პულსი — 60...  
— მერე რა, ძალიან კარგია!  
— რა არის კარგი?! ისეთი ახალგაზრდა, ლამაზი ექთანის მიზომავდა, მე კიდევ — არც წნევა, არც პულსი!..

\*\*\*

ქმარი კომპიუტერთან ზის, ცოლი გასაღებს ეძებს.  
— გასაღები ხომ არ იცი, სად არის?  
— წარმოდგენა არ მაქვს... „დაგუგლე“ და ამოგიდგებს...  
\*\*\*

\*\*\*

— რა დამიჯდება ამ კბილის ამოღება?  
— 60 დოლარი.  
— რამდენ წუთში ამომიღებთ?  
— 2 წუთში.  
— რა ამბავია, 2 წუთში 60 დოლარი?!  
— კარგი, მაშინ, ჩემი თანაშემწე ამოგიღებთ 10 დოლარად და ნახევარ საათს მოუნდება!

\*\*\*

ერთი ყვავილების გამყიდველი ეკითხება მეორეს:  
— რა თავ-პირი ჩამოგტირის?  
— აი, იმ ბიჭს ხომ ხედავ — მთელი წელია, თავისი შეყვარებულისთვის ყვავილებს ყიდულობს ჩემთან.  
— მერე?  
— ახლა ცოლად მოჰყავს... რა კლიენტს ვკარგავ!..

\*\*\*

— ბავშვებო, მე თქვენ მოგიყვე-ბით, როგორ გაჩნდა პირველი ადამიანი.  
— ეგ ვიციტო, მასწ. თქვენ ის მოგვიყვეით, მესამე ადამიანი როგორ გაჩნდა!



\*\*\*

ხუთწლიანი პატიმრობის შემდეგ ქმარს სახლში ცოლი ეგებება ჩვილი ბავშვით ხელში.  
— ეს შენი შვილია?!  
— რა თქმა უნდა, ჩემია, — პასუხობს ცოლი, — წესიერად რომ მოქცეულიყავი, შენიც იქნებოდა!



\* \* \*

— ჩვენთან მთელი სოფელი სოკო-თი მოინამლა.  
— როგორ? ყველა ერთად?  
— არა, ჯერ — ერთი, დანარჩენები კი — იმის ქელეხში.

\* \* \*

ქიმიის გაკვეთილზე ბავშვები ცდებენ ატარებენ.  
— აბა, მაყვალა, ცდის შედეგად რა ფერის სითხე მიიღე?  
— წითელი.  
— ყოჩაღ, დაჯექი. შენ, ვანო?  
— ვარდისფერი.  
— არა უშავს რა. დაჯექი. მიხო, შენ?  
— შავი.  
— ორიანი!.. და ყველანი დანეკი-ი-ი-ით!..

\* \* \*

— ექიმო, გახდომის კარგი საშუალება მჭირდება.  
— კეთილი. ნახშირს გამოგიწერო.  
— აბებით?  
— არა, ნიჩბებით.  
— როგორ თუ ნიჩბებით?  
— ვაგონებს დაცლი.

\* \* \*

ებრაელი საბჭოთა კავშირიდან ისრაელში ემიგრაციაში მიდის. აეროპორტში გაჩხრიკეს და ბარგიდან ლენინის დიდი პორტრეტი ამოუღეს.  
— ეს რა არის?  
— რა კი არა, ვინ! ეს ამხანაგი ლენინია — პროლეტარიატის დიდი ბელადი!  
რას იზამდნენ, გაუშვეს. ჩავიდა ისრაელში. იქაც გაჩხრიკეს და უპოვეს ლენინის სურათი.  
— ეს ვინ არის?  
— ვინ კი არა, რა! ეს ოქროს ჩარჩოა!

\* \* \*

ქალი მივიდა პლასტიკური ქირურგიის სპეციალისტთან:  
— ექიმო, თქვენი კლინიკის კარისკაცი რა სიმპათიური კაცია!  
— ფული გვაკლია, ჩემო კარგო და, ხელფასის სანაცვლოდ ოპერაციებს ვუკეთებთ.

\* \* \*

სვანი ლატარიის ბილეთების გამყიდველთან მივიდა:  
— რამდენია ყველაზე დიდი მოგება?  
— ასი ათასი.  
— კარგია! გათამაშება როდის არის?


— ერთ კვირაში.  
— ცუდია! ფული ხვალისთვის მჭირდება.

\* \* \*

— ამბობენ, ყოველ ოთხ ადამიანზე ერთი დებილი მოდისო. ამას წინათ მატარებლით ვმგზავრობდი. კუპეში ოთხნი ვიყავით. დავაკვირდი და მსგავსი რამ ვერც ერთს ვერ შევნიშნე.

\* \* \*

ექიმი პაციენტის სმენას ამოწმებს:  
— აბა, გაიმეორეთ: თორმეტი!..  
— დებილი თავი გაბია!..



\* \* \*

სვანმა ბანკიდან თავისი დანაზოგი გამოიტანა და ხუთ წუთში ისევ უკან შეიტანა. ოპერატორს ცნობისმოყვარეობამ სძლია:  
— რაში დაგჭირდათ ფულის ხუთი წუთით გატანა?  
— არაფერში. უბრალოდ გადავთვალე.

# გონების სავარჯიშო

## „გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. „შეგიძლია აიღო ეს ძვირფასეულობა, შენ ხომ არა ხარ თემისტოკლე!“
2. სვეტს ერთი მხრიდან — „ვეროპა“, მეორე მხრიდან — „აზია“ აწერია.
3. დამატებითი სახით მიცემულ ფულს ან საქონელს (ძვირად ყიდვა ჯობს კარგისა, ზედ გამოლება სართისა).
4. თუ იგი ძველი ავტომობილის უტილიზაციის საფასურს გადაიხდის ან საზღვარგარეთ გაყიდის მას.
5. ლიბანელი ლამაზმანის დაუფიქრებელი საქციელი, როცა მან „მის მსოფლიოს“ კონკურსზე „მის ისრაელთან“ ერთად გადაიღო ფოტო.
6. აბრაამ ლინკოლნს.
7. ციცერონს.
8. იოსებ სტალინს.
9. ბენიტო მუსოლინის.
10. ნინო რამიშვილს.

# ჩვენი ფოტოგალერეა





				1. ბილი-არდის წითელი ბურთი			2. ქალაქი საფრანგეთში	3. გერმანიის კანცლერი	4. ორგანული და არაორგანული საშვარო		5. რძეული სასუფაღე	
				6. მსოფ. კომპიუტ. საინფორმ. ქსელი								
				7. იტალიის ფეხბურთის გუნდი			8. ინგლისური ლული					
											9. მრწამსი	
				10. ბოსტნეული	11. ქვეყანა აფრიკაში	12. მინერალური		13. ღონე				14. კართველი პოეტი
					16. კაბასი			17. ესპანური ავტომობილი	18. ინდის ხურმა			
							19. პარკოსანი კულტურა					
	20. რუსული როკ-ჯგუფი	21. დელამის გასაყარი					22. შვეიცარიის დედაქალაქი					
			23. ბრძოლა			24. ერი						
	25. იაზონის ზომილი	26. შიმშილი				27. ბერძნული ცეკვა						
						28. სპორტის მცენარე						
	29. ვადოქარი		30. ტექსტის შემქმნელი ნაწილი			31. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში	32. ქალაქი საქართველოში					
33. ჩიტების საჭერი მახე												
			34. თივის დიდი გრუბი									
35. ნაცვალსაზული		36. ქვეყანა ბალტიისპირეთში										
37. ავტოსპორტის სახეობა	38. დიდი გომეფო						39. მხარე საქართველოში					
							40. მუს. ნოტი					

**ზინა ნომრის საანგორდის პასუხები** 1. სერაფიმი; 2. რეგალია; 3. მონმარტრი; 4. ელიბო; 5. ვირმა; 6. არია; 7. მატლი; 8. გალა; 9. კარიბი; 10. სინდი; 11. არლეკინადა; 12. ლიმა; 13. ირაო; 14. აგონია; 15. „აელიტა“; 16. „აფონია“; 17. იანვარი; 18. არამ; 19. უსახელოური; 20. ავა; 21. მოემი; 22. მიშელ; 23. ანარქისტი; 24. ამიმა; 25. კიმ; 26. მანდარინი; 27. ონი; 28. ეგვიპტე; 29. ლენონი; 30. ელ; 31. კრიო; 32. რამ; 33. „აილა“; 34. ბაია; 35. გაუდი; 36. მელ; 37. გო; 38. ანუი; 39. ნარტა; 40. აბრა; 41. რუ; 42. ტერცია.

**სურათებზე:** სალვადორ დალი; მარკ შაგალი.

# ԿՅՎԱԸՎՋՅՈՒՆԻ ԹԻՎՔՈՒԼՈՒՄ ՁՆՄՓԸՆՄ ԻՎԱՅՈՒՄՆԵՐՆԵՐԻ ՁՆՍՎՆՉԻՑ!



ՁՆՄՓԸՆՄ ԻՎԱՅՈՒՄՆԵՐԻ ՁՆՔՅՈՒՆԻ ՓՆՆՅՈՒՄԻՆ  
ՆԱԸՅՈՒԸ ԺՆՁՁՎՁՎՅՈՒՄՆԵՐԻՆԵՐԻ  
ՁՁՁՁՁՁՁՁՁՁՁ • ՆՅՁՅՈՒՄՆԵՐԻՅՈՒՄ • ՈՆՅՈՒՄԻՆ • ՁՆՁՁՁՁ

# 7

## ՈՅՆՈՒՄՆԵՐԻ

**ԳՁԸ** week-ու  
ՆՅՈՒՄՆԵՐԻ ՆՄՁՁՁՁ!



**NABROS PHARMA**  
 ნახროფარმა  
 ახალი თაობის ჯიშის

# ესსელი

ღიაბაბუჩი ჯიშით ფეხის კანის ჯანმრთელობისთვის



- ეფექტური ზიჯანობის, ბაბუჩიანობის, სეფანის და ობის სოფობის წინააღმდეგ
- მხის ბაბუჩანობის ობაბუჩი ზიჯანობის ღიაბაბუს ღიოს
- აბუნინებს და აბიბინებს ჯანს
- ყოველღიუბი ბაბუჩანობისას 100-ჯბი აბსიბებს ბაბუჩიანობის ბაბუჩანობას დაბუბი აბსასბაბუბი



**Nabros**  
Pharma Pvt. Ltd.

ბნახროფარმი:  
 Nabros Pharma Pvt. Ltd.  
 ოფისიბაბუბი ობსიბიბაბუბი სანახროფარმი  
 შ.პ. „ბონსა ბახბა“. ბბ: 223 63 25

# ფლოკოლი სიროფი

100 მლ

*ბ-ბუბი ბახბუბი სიბუბი ბუბუბი!*



- ♥ ბახბუბა
- ♥ ბრიბი, ბაბიბობა
- ♥ ბაბის ბბიბი
- ♥ ბბბბა, ბბბი ბბიბი
- ♥ ბბბბის ბბბბბბის ბბბბბა
- ♥ სიბსიბბბ ბაბბბბბბბი ბბიბი



ბამბბბბბს ბბბბბბ ბბბბბბბ, ბბბბბბ ბბბბბბბს ბბბბბბ ბბბბბბ ბბბბბბბს ბბბბბბ ბბბბბბბ ბბბბბბ.



ბბბბბბბ: ბბბბ ბბბბ  
 ოფისიბაბუბი ბბბბბბბბ  
 სანახროფარმი შ.პ. „ბონსა ბახბა“  
 ბბ: 223 63 25

## თბილისის ონკოლოგიური ცენტრი Tbilisi Cancer Centre

ადრეული დიაგნოსტიკით, დროული ჩარევითა და სწორი მკურნალობით კბოს დამარცხება შესაძლებელია!



თბილისის ონკოლოგიური ცენტრი ბბბბბბ: სიბსიბბბი ბაბბბბბბის ბაბბბბბბბს ბბ-ბბბის ბბბბბბბბბ ბბბბბბბის ბამბბბბბბ, ბბბბბბბბს ბბბბბბბბბბბ, ბბბბბბბბბბბ და ბბბბბბბბ ბბბბბბბ, ბბბბ, ბბბბბბ ბბბბბბბის ბბბბბბბ ბაბბბბბ და ბბბბბბ-ბის ბბბბბბბბბ ბბბბბბ ბბბბბბბ - ბბბბბბბბბბ სბბბბ ბბბბბბს INTABEAM-ბს ბამბბბბბბ.

სამბბბბბბ ბბბბბბბბბის ბბბბბბ სბბბბბბბ ბბბბბბ ბბბბბბბბბ: ბამბბბბ, ბბბ-ბბბბბ, ბბბ და ბბბბ ბბბბბბბ, ბბ-ბბბბბ, ბბბბბ, ბბბბბბბ, ბბბბბ ბბბ ბბბ-ბბბ, ბბბბბბბბბ, ბბბბბბბბ, ბბბბბბბბ, ბბბბბბბბ-ბბბ.

სამბბბბბბ ბბბბბბბის ბამბბბბბბის ბბბბბ ბბბბბ ბბბბბ ბბბბბ ბბბბბბბბს ბბბბბბ-ბბბბბ, ბბბბბ ბბბბბბ სბბბბბბბს ბბბბბბბბს და ბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბბბ.

თბილისი, ბბბბბ, ბბბბბბბს ბ. 5, ბბ სარბბბი თბილისის ონკოლოგიური ცენტრი  
 (შპს „თბილისის ონკოლოგიური ბბბბბბბ“)   
 ბაბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბბბბს ბბბბბბბბბ: +995 2364485  
 www.cancer.ge, email: info@cancer.ge

*ბბბბბ ბბბბბბ.*

# ფოტოკუჩიონები



უძიებავ

# წიგნი რომელიც

უნდა  
ნაიკითხო  
სანამ  
ცოცხალი  
ხარ!



თომას მანი

## „ლოტა ვაიმარზი“

9 -დან 16 ივნისამდე

წიგნის სავაჭიარო ფასი: 7 ლ. ბაზეთთან ერთად: 8 ლ